

K 2564
2

ქართულ ხელნაწერთა კონსერვაციის
მონოგრაფია

ГОСУДАРСТВЕННЫЕ АРХИВЫ ГРУЗИИ

НАУЧНО-СПРАВОЧНЫЕ ПОСОБИЯ

Под общей редакцией
М. ГАБРИЧИДЗЕ, А. ИОВИДЗЕ, Ш. ЧХЕТИЯ

ТВИЛСИ

1949

საქართველოს სახელმწიფო არქივები

სამეცნიერო-საცნობარო სახელმძღვანელოები

მ. ბაბრიჯიძის, ა. იოვჩიძის, ზ. ჩხეტიას
საერთო რედაქციით

თბილისი
1949



ЦЕНТРАЛЬНЫЙ ГОСУДАРСТВЕННЫЙ ИСТОРИЧЕСКИЙ АРХИВ

ОПИСАНИЕ КОЛЛЕКЦИЙ ГРУЗИНСКИХ
РУКОПИСЕЙ

I

СОСТАВЛЕННО ПРОФ. С. КАКАБАДЗЕ И П. ГАГОШИДZE

Под редакцией
Акад. К. КЕКЕЛИДZE

ИЗДАТЕЛЬСТВО АРХИВНОГО УПРАВЛЕНИЯ МВД ГССР

ТВИЛИСИ—1949

სენგრაღური სახელმწიფო საისტორიო არქივი

ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა

I

შედგენილია ვ. რ. შ. ს. კაკაბაძის და ვ. გავრუშვილის მიერ

აკად. კ. ქავთაძის რედაქციით

091(353.1)

დაიბეჭდა საარქივო სამმართველოს სამეცნიერო საბჭოს
დადგენილებით

საქართველოს საბჭოთა კავშირის
საგარეო ურთიერთობების
მინისტროს

საგარეო ურთიერთობების მ/მგ. არქიტექტორი მ. ვაბრახიძე

წინასიტყვაობა

წინამდებარე აღწერილობა მოიცავს საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის ქართული ხელნაწერების კოლექციის ერთ ნაწილს. ეს კოლექცია მოთავსებულია ხსენებული არქივის ძველ საბუთთა განყოფილებაში, სადაც ქართული ხელნაწერების საერთო რაოდენობა უდრის 630 შესანახ ერთეულს. გარდა ამისა იქვე დაცულია სპარსული, სომხური, არაბული და სხვ. ხელნაწერებიც.

ხსენებული კოლექცია შედგა საბჭოთა ხელისუფლების დროს. როგორც ცნობილია, ქართველი ხალხის ისტორიის დოკუმენტალური მასალების გეგმიანი შეკრება და კონცენტრაცია, აგრეთვე მეცნიერული მიზნებისათვის მათი გამოყენება განსაკუთრებით განვითარდა ლენინ-სტალინის დიად ეპოქაში. დაწყებული 1921 წლიდან საქართველოში გაცხოველებული მუშაობა წარმოებს საარქივო ფონდების და საერთოდ წერილობითი ძეგლების შესაკრებად. 1921 წლიდან საქართველოს სსრ ცენტრალური არქივი (მაშინ ასე ეწოდებოდა ცენტრალურ საარქივო ორგანოს), აწარმოებდა სისტემატიურ მუშაობას ძველი ქართული საბუთების, ხელნაწერების შეკრებისა და დაცვის მიზნით. პირველ ხანებში ცენტრალური არქივი შეკრებილ ხელნაწერებს აბარებდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ სიძველეთასაცავს, ხოლო შემდეგ (1923 წლიდან), როდესაც მუშაობა ამ მიმართულებით გაფართოვდა, თვით საისტორიო არქივში შეიქმნა ძველი ხელნაწერების ფონდი. ამასთანავე დასავლეთ საქართველოში შეკრებილი ხელნაწერები და საბუთები ძველი ნაბეჭდი ქართული წიგნბითურთ გროვდებოდა ქუთაისში, სადაც საქართველოს ცენტრალურ არქივს თავისი განყოფილება ჰქონდა. ხოლო რადგანაც კოლექციების დაცვა უფრო მოსახერხებელი და უზრუნველყოფილი იყო 1922 წელს გახსნილ ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმში, ამიტომ შეკრებილი მასალები ხსენებულ მუზეუმში გროვდებოდა, სადაც დარჩა კიდევ იმ მიზნით, რომ მომავალში სამეცნიერო მუშაობისათვის სათანადო ბაზა შექმნილიყო ქუთაისში. ამ გარემოებით აიხსნება, რომ სსრ ცენტრალურ სახელ-

მწიფო საისტორიო არქივის ძველ საბუთთა განყოფილებაში თავმოყრილია ამ ეამად საბჭოთა ხელისუფლების დროს უმთავრესად აღმოსავლეთ საქართველოში შეკრებილი ხელნაწერები. კოლექციაში წარმოდგენილია აგრეთვე ლენინგრადის და მოსკოვის საცავებიდან რევეაკუაციის წესით უკან დაბრუნებული მცირე რიცხვის, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანი ძველი ქართული ხელნაწერები, რომელნიც ქვემოთ აღწერაში თავ თავის ადგილას არიან აღნიშნულნი. მოსკოვიდანვე ჩამოტანილია ალ. ხახანაშვილისეული მასალები და ძველი ხელნაწერები (81 შესანახი ერთეული). საქართველოში ხელნაწერები იკრიბებოდა უმთავრესად კერძო პირთაგან და ეკლესია-მონასტრებიდან, რის გამო კოლექციას შინაარსის მხრივ, შემთხვევითი ხასიათი აქვს, რადგანაც საკითხი იდგა ყოველგვარი ქართული ხელნაწერის მიღების და დაგროვების შესახებ მიუხედავად მათი შინაარსისა. ამით აიხსნება, რომ კოლექციაში ხშირად გვხვდება ქრისტიანული საკულტო ხმარების ხელნაწერი წიგნები, კერძო პირებიდან მოპოებული, თუ ეკლესია-მონასტრებიდან წამოღებული.

კოლექციაში არის ხელნაწერები დაწყებული IX ს-ნის II ნახევრიდან ვიდრე XIX საუკუნემდის. ეს ხელნაწერები შეიძლება დაიყოს შემდეგ დარგებათ: ისტორია, ფილოლოგია (გრამატიკები, ლექსიკონები), ძველი საერო მწერლობა, საერო და საეკლესიო სამართალი, ფილოსოფია, ღვთის-მეტყველება, ბუნების-მეტყველება, მედიცინა, რიტორიკა და სხვ. საერო მწერლობიდან აქ არის „ვეფხისტყაოსანი“ (XVIII ს-ნის ხელნაწერი), „რუსუდანიანი“ (XVII ს-ნის ხელნაწერი), თამარ მეფის შესხმათა XIX ს-ნის I ნახევრის ხელნაწერები, თეიმურაზ I-ს ნაწარმოებები, „ყარამანიანი“; წარმოდგენილია XVIII ს-ნის დასასრულის და XIX ს-ნის პირველი ნახევრის მწერლები.

საეკლესიო მწერლობიდან არის ოთხთავები (სახარებები), მართლ-მადიდებელ და კათოლიკე ეკლესიათა სალიტურგიკო წიგნები, აპოკრიფები, აგიოგრაფიული ნაწარმოებები, კანონიკური ძეგლები.

ცალკე ხელნაწერთაგან შეიძლება სანიმუშოდ აღნიშნულ იქმნას, მაგ., IX ს-ნის II ნახევრის და ყოველ შემთხვევაში არა უგვიანეს X ს-ნის დასაწყისის ხელნაწერი ოთხთავი (№ 107), რომელიც ტექსტის მხრივ, ეგრედ წოდებული ჯრუჭისეული ტიპის ოთხთავებს უდგება. თავისი სიძველის გამო ხელნაწერს ძველი ქართული ენის თვალსაზრისით ოთხთავის ქართული ტექსტის დასადგენად აქვს უდიდესი მნიშვნელობა.

დიდ მნიშვნელოვანია აგრეთვე თამარ მეფის დროინდელი ოთხ-
თავის ხელნაწერი (№ 323), რომელიც წალკიდან არის ჩამო-
ტანილი, სადაც ადგილობრივი მცხოვრებთ ის კულტის ობიექ-
ტად ჰქონდათ გადაქცეული და მასთან საწირავეები მიჰქონ-
დათ. საყურადღებოა, რომ ხელნაწერი წარმოშობით კლარჯე-
თიდანაა.

ყურადღებას იქცევს აგრეთვე XVI ს-ის გულანი მინიატიუ-
რებით (№ 302), დიდის ხელოვნებით შესრულებული. ეს ხელნა-
წერი დამზადებული ყოფილა სამეგრელოში მთავრის ლევან I-ის
დროს.

უნიკალურია ვახუშტის ისტორიის ავტოგრაფი და ვახუშტის
შერევე შედგენილი საქართველოს და მისი ნაწილების რუკები
(№104, 105). ვახუშტის ისტორიის მეორე ხელნაწერი (№ 103),
დავით თუმანიშვილის მიერ გადაწერილი, შეიცავს ზოგიერთ მი-
ნაწერს, ფრიად საინტერესოს ისტორიული მეცნიერების თვალ-
საზრისით.

დიად სტალინურ ეპოქაში მეცნიერების საერთოდ და ისტო-
რიული მეცნიერების კერძოდ აყვავებამ ერთობ გაზარდა ინტერე-
სი პირველ წყაროებისადმი. ლენინურ-სტალინური პარტიის ხელ-
მძღვანელობით ~~საქართველოს~~ საქართვე-
ლოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში შექმნილ მეცნიერე-
ბათა აკადემიის და სხვა სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებათა
ამ ინტერესის დაკმაყოფილების მიზნით საქ. სსრ შინაგან საქმეთა
სამინისტროს საარქივო სამმართველო, მას შემდეგ, რაც მან უკვე
გამოსცა სახელმწიფო არქივების მოკლე მეგზურები, შეუდგა ცალ-
კე ფონდების სამეცნიერო აღწერილობათა გამოქვეყნებას. ერთ-
ერთ ასეთი ფონდის აღწერილობას წარმოადგენს წინამდებარე
წიგნი. ეს აღწერილობა მიზნად ისახავს შეუქმნას დაინტერესე-
ბულ სამეცნიერო დაწესებულებებს და ცალკე მკვლევართ სრული
წარმოდგენა სსსრ ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში
დაცულ ქართული ხელნაწერების შესახებ. ამ მიზნით ყოველი ხელ-
ნაწერის აღწერილობას წამძღვანებული აქვს ცნობა ავტორის,
საწერ მასალის (ეტრატი, ქალაქი), გადაწერის, თუ დაწერის
დროის შესახებ. შემდეგ მოცემულია ხელნაწერის დამახასიათებე-
ლი თავისებურებანი ნაწარმოების დაწყებითი და დამასრულებელი
სიტყვების მოტანით. ცალკე მოცემულია ეგრედ წოდებული ანდერ-
ძები (ხელნაწერის ავტორის თუ გადაწერის) და აგრეთვე მინა-
წერებიც.

ხელნაწერები აღწერილია კატალოგში მოცემული სააღრიც-

ხეო წორმების მიხედვით. კატალოგში კი ხელნაწერები თავის დროზე შეტანილი იყო დაგროვების და შემოსვლის თანრიგის მიხედვით, ხოლო რადგანაც კოლექციის ხელნაწერები ლიტერატურაში იხსენიება ამ კატალოგის ნომრებით, ამიტომ კოლექციის გადაჯგუფება შინაარსობრივად, ხელნაწერების ნომრების შეცვლით, უხერხულად იქმნა აღიარებული.

ტექნიკურ ნიშნებად ტექსტის გამოცემისას მიღებულია: უბრალო ფრჩხილები აღნიშნავენ ხელნაწერის ნაკულუფიანი ტექსტის აღდგენილ სიტყვებს თუ მარცვლებს, კვადრატული ფრჩხილები კი—აღწერილობის დროს ჩანამატთა და ხანდახან ტექსტის შეწყვეტასაც. გაკვირვებითი ნიშანი შეცდომიანი ტექსტის წაკითხვის უცვლელად დატოვების მაჩვენებელია. კითხვითი ნიშანი უჩვენებს, რომ დაბეჭდილის წაკითხვა ხელნაწერის დეფექტიანობის ანდა გაურკვევლობის გამო არ არის საბოლოო. ხელნაწერის მართლწერა დატულია, გარდა ქარაგმებისა, რომელნიც გახსნილია ან და აღნიშნულია დეფიზით.

ამ პირველ წიგნში მოცემული ხელნაწერების აღწერილობა № 1-დან 250-მდე შედგენილია ს. კაკაბაძის მიერ, № 251-დან 340-მდე—პ. გაგოშიძის მიერ. დანარჩენი ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა გამოკვეთიებული იქნება ამ აღწერილობის II ტომში, რომელსაც დართული ექნება სათანადო საცნობარო აპარატი. სომხური, სპარსული, არაბული და სხვ. ხელნაწერების აღწერა მოცემული იქნება ცალკე.

ასეთი სამეცნიერო აღწერილობის გამოცემა პირველი ცდაა საქართველოს საარქივო ორგანოების სინამდვილეში. ამიტომაც მას შესაძლოა ზოგიერთი ნაკლი აღმოაჩნდეს. რედაქცია სიამოვნებით მიიღებს ყოველგვარ შენიშვნებს მით უმეტეს, რომ მას განზრახული აქვს მომავალში ამ მიმართულებით მუშაობის გაცხოველება.

ПРЕДИСЛОВИЕ

Настоящее Описание охватывает часть коллекции грузинских рукописей Центрального государственного исторического архива Грузинской ССР. Коллекция находится в Отделе древних актов названного архива; причем общее количество различных грузинских рукописей составляет 630 единиц хранения. Кроме того, там же имеются персидские, армянские, арабские и др. рукописи. Данная коллекция составилаcя после установления в Грузии советской власти. Как известно, плано-вое собиpание и концентрация документальных материалов по истории грузинского народа, а также их использование в научных целях развились в великую эпоху Ленина-Сталина. В Грузии, начиная с 1921 г. шла оживленная работа по собиpанию архивных фондов и вообще документальных материалов. С 1921 года Центpархив Грузинской ССР, как тогда именовалось архивное управление, вел систематическую работу по собиpанию древне-грузинских документов и рукописей. В первое время Центpархив собранные им рукописи передавал существовавшему тогда при Тбилисском государственном университете древлехранилищу, но затем, с 1923 года, когда работа в этом направлении расширилась, фонд древних рукописей был создан при самом Историческом архиве Грузии. Тогда же почти все собранные в Западной Грузии, в частности, в Имеретии рукописи и документы вместе со старопечатными грузинскими книгами концентрировались в Кутаиси, где Центpархив Грузии имел свое отделение. Но так как сохранность этих коллекций тогда более могла быть обеспечена в основном в 1922 г. Кутаисском государственном музее, то по этой причине собранные материалы передавались в

Этот музей, где они потом и были оставлены с целью создания в будущем документальной базы для научной работы в Кутаиси. Этим и объясняется, что в настоящее время в Отделе древних актов Центрального государственного исторического архива Грузинской ССР имеются собранные при советской власти рукописи преимущественно из Восточной Грузии. В коллекции представлены также полученные из ленинградских и московских хранилищ, в порядке реэвакуации, немногочисленные, но весьма важные древне-грузинские рукописи, отмеченные ниже в описании в соответствующих местах. Из Москвы же доставлены материалы и древние рукописи коллекции проф. Ал. Хаханашвили (81 единиц хранения). В Грузии рукописи собирались преимущественно от частных лиц, а также из церквей и монастырей, вследствие чего коллекция по своему содержанию не могла не получить случайного характера, так как вопрос стоял о приеме и собирании всяких древне-грузинских рукописей, независимо от их содержания. Этим и объясняется, что в коллекции имеются в большом количестве книги христианского культового назначения, собранные от частных лиц или взятые из церквей и монастырей.

В коллекции имеются рукописи, начиная со II-ой половины IX века до XIX века. Рукописи можно разделить по содержанию на следующие категории: история, филология (грамматика, словари), древняя светская литература, государственное и церковное право, философия, богословие, естествознание, медицина, риторика и др. Из памятников светской литературы здесь имеются: рукопись XVIII века поэмы Руставели „Витязь в тигровой шкуре“, „Русуданиани“ (рукопись XVII века), оды царице Тамаре (в рукописях I половины XIX века), произведения поэта царя Теймураза I-го, „Караманиани“ (повесть о Карамане) и т. д. Представлены также писатели конца XVIII-го века и I-ой половины XIX века.

Из памятников церковной письменности имеются четвероглавы (евангелия), литургические книги православной и католической церквей, апокрифы, агиографические произведения, канонические памятники,

Из таких рукописей для примера можно отметить четвероглав II-ой половины IX века и во всяком случае не позже начала X-го века (№ 107). По своему тексту этот четвероглав подходит к типу т. наз. джручских евангелий. Вследствие своей древности данная рукопись, с точки зрения изучения древне-грузинского языка и письменности, имеет очень важное значение.

Значительное внимание заслуживает также пергаментная рукопись—четвероглав времен царицы Тамары (XII в. № 323), доставленный из Цалкинского района, где местным жителям он служил культовым объектом—рукописи преподносились пожертвования. Рукопись эта по своему происхождению—из Кларджетии (Южная Грузия).

Заслуживает внимания также так называемый „гулан“—сборник церковных чтений (№ 302)—рукопись XVI-го века, украшенная миниатюрами, которые выполнены с большим мастерством. Рукопись изготовлена в Мегрелии при владельце Леване I-ом. Имеются также уникальный автограф истории Грузии царевича Вахушти (XVIII век), а также составленные тем же ученым карты Грузии и ее отдельных частей (№ 104—105). Другая рукопись истории того же Вахушти (№ 103), переписанная Давидом Туманишвили, содержит много интересных, с точки зрения исторической науки, приписок.

В великую сталинскую эпоху расцвет науки вообще и, в частности, исторической сильно увеличил интерес к первоисточникам. Для удовлетворения возникших в этом направлении потребностей у созданных в Грузии под руководством Ленинско-Сталинской партии и по инициативе ~~Академии наук~~ Академии наук и других научно-исследовательских учреждений Архивное Управление МВД Грузинской ССР, после издания кратких путеводителей своих госархивов, приступило к публикации научных описаний отдельных фондов. Данная книга представляет собой описание одного из таких фондов. Описание ставит себе целью дать заинтересованным научным учреждениям и отдельным исследователям полное представление об имеющихся в Центральном государственном историческом архиве Грузинской ССР грузинских рукопи-

сях: С этой целью описанию каждой рукописи предшествуют сведения об авторе, материале письма (пергамент, бумага), о времени написания памятника или переписки рукописи. Затем даются характерные особенности рукописи с приведением начальных и конечных слов, заключающихся в данном произведении; отдельно приводятся памятные записи об авторе и переписчике, а также приписки.

Рукописи описаны по номерам инвентарного каталога, в который они вносились по мере их накопления и поступления. Перегруппировка коллекции по содержанию, с изменением номеров рукописи, была найдена нецелесообразной, так как рукописи данной коллекции уже вошли под своими номерами в научную литературу. В качестве технических обозначений при издании текста описи принято: в простых скобках обозначены восстановленные слова или слоги, отсутствующие вследствие той или другой дефектности рукописи; квадратными скобками обозначены необходимые смысловые дополнения; восклицательный знак указывает на оставление без изменения данного чтения рукописи; вопросительный знак отмечает непонятность данного места рукописи вследствие ее дефектности или графических особенностей. Правописание оставлено без изменения. Сокращения слов раскрыты или же обозначены дефисом.

В данной I-ой книге рукописи, начиная с № 1 по 250, описаны С. Какабадзе, описание же рукописей № 251 по 340 выполнено П. Гагошидзе. Описание остальных грузинских рукописей будет опубликовано во II-ом томе. К этому же II-му тому будут приложены и соответствующие указатели. Описание армянских, персидских, арабских и др. рукописей будет издано отдельно.

Издание такого научного описания документальных материалов является первым опытом в работе архивных органов Грузии. Вследствие этого возможно, что оно не будет лишено некоторых недостатков. Редакция с удовлетворением примет замечания и пожелания, тем более, что она намерена в будущем еще более расширить эту работу.

მ ა რ ხ ვ ა ნ ი

155 ფ.; 29X21; უყდო; თავბოლო ნაკლული; ნუსხური (სათაურები სინგურით); XVIII ს. (ხელის მიხედვით); შემოსული 1924 წ. თელავგორის (ქართლს) წმ. თევდორეს ეკლესიიდან.

იწყება: ... რომელნი საცთურისაგან განვთავისუფლდით და გავნათლდით ნათლითა სამართოთა, აღვიპყრნეთ ველნი ჩუენნი და ფსალმუნთაებრ ვჰმადლობდეთ ღმერთსა და კედელსა ზედა და ფიცართა და სამლუდელოთა მათ ჭურჭელთა გამოსახულთა ხატთა ქრისტეს მკსნელისა ჩუენისათა.

წყდება: უკეთუ დღითი დღე არვინ მიიღოს, არა თავს იღების, არამედ საძნაურცა უჩნ და დიდად მწუხარე არნ, ვინათგან უკუშ არა ზოგადი პური, არამედ პური ცხორებისა, და სასმელი არა მსოფლიო, არამედ სასუმელი უკუდავეებისა წინაგვც გარეწარად შევრაცხოთა? და ვითარ არა იყოს საქმე ესე პირუტყუსებისა და სიცოფი...

აღმეხევევი ეფრემი, ხახოვარი წიგნი

29 ფ.; 15,6 X 9,4; ქალაღი (ცისფერი); 1805; 1805 წ.; დაუწერელია 5v, 7v, 8r, 20v, 21v, 23, 24v, 25, 26, 27; შემდგენელი—ქართლ-კახეთის დედოფლის მარიაშის მოძღვარი, მღვდელი ეფრემ აღექსევეი. 1803—1805 წ.; შიდა-ქართლის ახალქალაქის თევდორე ტირონის ეკლესიიდან.

1. სია წირვაში მოსახსენებელ პირთა—ქართლ-კახეთის სამეფო სახლის წევრთა იმერთა მეფის სოლომონ II-ის და გრიგოლ დადიანის დართვით, კათალიკოზ ანტონის, ქართლ-კახეთის სხვა და სხვა ეპისკოპოსთა, მონასტრების წინამძღვრებისა, მღვდლებისა და დიაკვნების. ფ. 1—5.

2. მლდლის ეფრემ ალექსევეის პირადი და საეკლესიო ხარჯების ნუსხა. ფ. 6 — 12, 21 r.

3. საღებავების რეცეპტურები. ფ. 13—20 r.

4. გადასახდელ წირვათა ნუსხა, ფ. 27 v—29.

3

კ ო ნ დ ა კ ი

გრაგნილი: 1565×22,6; ეტრათი, ნუსხა ხუცური; შემკულობანი თავასობისა ტექსტის სხვადასხვა ადგილას, ერთგან—სახის სურათით; XV-ს.; შემოწირული იყო 1924 წ. გრაკალში მცხოვრებ ნიკოლოზ ამილახვარის მიერ.

დასაწყისი: წმიდისა საკურობხევისა შენისა და თანამდებობისა თაყვანისცემისა დიდებისა—მეტყულებისა შეწირვად შენდა შენ, მეუფეო, შეიწირე პირთაგანცა ჩუენ ცოდვილთა სამწმიდად გალობად და მომხედენ ჩუენ სიტკბოებითა შენითა, მოგვიტევენ ჩუენ ყოველნი ცოდვანი ჩუენნი . . .

ბოლო: და ვითარცა არა უღირს იჩინე შესლვად სერობდ სახლსა სიმონ კეთროვანისასა, ეგრეთვე ნუ უღირსი (!) იჩინებ შემოსლვად სახლსა სულისა ჩემისასა უსჯულოებდსგან კეთროვან—ქმნობილისა (!); რამეთუ არა . . . (და სხვა, ბოლო გადასულია).

შინაწერები (ტექსტის ზეღით): 1. შეუნდვნეს ღმერთმან ზაქარიას დევიძეს ცოდვანი მისი დღეგრძელობით, მეუღლესა მისსა (ტექსტის ზეღით).

2. ღმერთო, შეიწყალე სული მერაბის იაშვილისა; ღმერთო, შეიწყალე საღირ მას მეორედ მოსლვასა.

3. ღმერთო, შეიწყალე გიორგი მას მეორედ მოსლვასა; ღმერთო, შეიწყალე მანასე, ღმერთო, მას მეორედ მოსლვასა.

4. XVIII-ს; მხედრულად: . . . იმის მეუღლეს თეთრუას ღმერთმან შეუნდვნეს.

5. XVI ს. მხედრულად: ქ. სულსა ნ(ა)სყიდასა წიწილძესა შეუნდვნეს ღმერთმან, ამინ, მეუღლეს.

6. ნუსხა ხუცური XVII-ს.: ღმერთო, შეიწყალე სული რატის ლორიკასშვილისა.

7. ნუსხა ხუცურით XVIII-ს.: მოიკსენე, უფალო, მონა შენი გოგინა და მისი შვილი ელენე, ამინ.

8. ნუსხა ხუცურით. XVII ს.: მოიკსენე, უფალო, ხარკაშნელი მათეოხ:

4

მ ა რ ხ ვ ა ნ ი

442 ფ; 29×21; ქალაღი; ტყავადაკრული ფიცრის ყდა; არ აქვს თავფურცელი; ბოლო ნაკლულია; ნუსხური (სათაურები, პირველი გვერდი განახლებულია XVIII ს-ნის ზეღით, სინგურითა); XVIII ს. დასაწყისი; შემოსულია 1924 წ. სტეფანწმიდის ეკლესიიდან.

იწყება: ...იწყებიან წმინდანი მარხენი მეზუტრისა და ფარი-
სეველისისა; უფალო, ღაღად ვჰყავსაჲ; დასდებელნი აღდგომისნი
ვმისანი ა; ეჰად დიდებული ნუმცა ვილოცავთ ფარისაველისაებრ,
ჰ მმანო, რამეთუ რომელმან აღიმაღლოს თავი თვისი, დაშდაბლ-
დეს.

წყდება: და უთხრაჲ ელისეს, ვითარმედ არაჲ აღდგაჲ
ყრმა იგი. და შევიდა ელისე სახლსა მას და აჰა ყრმა იგი მკუ-
დარი იდგა ცხედარსა ზედა მისსა და შევიდა ელისე სა...

მინაწერები: 1) ფ. 19 ნუსხურად ტექსტის ხელით: ბატონიშვილს სიმონს
დღეგრძელობითი ცოდვანი მათნი შეუნდოს ღმერთმან.

2) ფ. 54 r ისევე: სიმონს ბატონიშვილს შეუნდოს ღმერთმან ცოდვანი მათნი.

3) ფ. 129 r მხედრულად XVIII ს-ნის ცუდის ხელით: ეს მრიბიეზი სი-
ფირიდონი მღვდილისა. ვინცი მოიპარასი, გაუწყ(რეს)ღვთის მშობელი, ზეციე-
რი მამა.

4) ფ. 141 r. ტექსტი: მფორესა შაბათსა მწუხრი ჩუტულეებისაებრ, წესი
ღამის თვეისა, ყოველივე აღდგომისა ითქუას. უფალო, ღაღად ჰყავ. გ. გიხარო-
დენი მჯდომარე. (ამის პირდაპირ არშიაზე ტექსტის ხელით) არსენი კათალიკოაი.

5

პ ა რ ა კ ლ ი ტ ო ნ ი

331 ფ.; 29,3×21,7; ქალაღი; ტყავგადაკრული ხის ყდა; თავნაკლუ-
ლი; ნუსხური (სათაურები სინგურით); XVII ს.; დაწერილია 331 ა; შემოწი-
რულია 1924 წ. გამისი (გუდამაყარში) მცხოვრებ ნიკო ბეჰაურის მიერ.

იწყება: ...ღალნეს, ხოლო მე ცოდვათაგან შეევაგინე. ამისთვს
მონანული გივმობ მსგავსად მისსა. შეიწირე ღაღადებაჲ ჩუენი,
ვიტყვ: მომივსენე, მვსნელო, სასუფეველსა შენსა.

ბოლო: და ევას მწუხარებაჲ სიხარულითა უოხჰნობითა
აღაესე, რამეთუ შენგან შობილმან, რომელმან ხრწნილებაჲ მათი
უხრწნელყო, იშუად, რომელი ორითა ბუნებითა ღმერთი სრული
და კაცი სრული, და კულაღ მანგანა მუნვე სამოთხედ.

მინაწერი: 1) XVII ს-ნის მხედრულით: ეს პირველის გიორგის წა-
კითხულია.

2) XVII ს-ნის მხედრულით: ეს პარაკლიტონი გიორგის მღდლისა
არის (ორივე მინაწერი უკანასკნელ გვერდზე).

6

გამოკრებილი სამოციმულოს ნაწყვეტი

2 ფ.; 23×18,3; ეტრავი; უყდო; თავბოლო ნაკლული; ნუსხური; (სა-
თაურები სინგურით); XIV ს-ნის; შემოსულია 1924 წ. ბოდორნის ეკლესიიდან.

იწყება: ...თჳსსა მას, ვითარცა რამეთუ საიდუმლოდ იგი აწვე იქმნების უსჯულოებისაჲ. გარნა ხოლო რომელსა უპყრიეს აწ, ვიდრემდე შორს განვიდეს და მაშინ გამოჩნდეს უსჯულოდ იგი, რომელი იგი უფალმან ავოცოს სულითა პირისა მისისაჲთა.

წყდება: არამედ მე არა ვისსა გელმწიფებასა დავემორჩილო საზრდელისათჳს დამცველისა ზრდელისათჳს, ხოლო ღმერთი იგი...

7

გამოკრებილი სამოციქულო—სახარება

144 ფ.; 29,5×19,5; ქალაღი; ტყავგადაკრული ხის ყდა; თავბოლო ნაკლული, დაშლილი; ნუსხური (სათაურები სიეგურით) XVII-ს.; შემოსული 1924 წ. ბოდორნის ეკლესიიდან.

იწყება: ...სახარებაჲ იოანესი. განვიდა იესუ მოწაფითურთ თჳსით . . გეგსა მას ნაძოვანსა, სადა იგი იყო მტილი, რომელსა შევიდა თავადი და მოწაფენი მისნი. იცოდა იუდაცა მიმცემელმან მისმან ადგილი იგი...

წყდება: ...მზა მიყავ მე, რათა ვისერო და მოირტყენ და მმსახურებდე მე ვიდრე ვჰამო და ვსუა და ამისსა შემდგომად ჰამე და სუ შენცაჲ. ნუ უკუშ მადლი აპყრას მონისა, რამეთუ ყო ბრძანებაჲ მისი არა ვჰგონებ, ეგრეცა თქუენ ოდეს ჰყოთ ბრძანებული თქუენდა, თქუთ ვითარმედ მონანი ვართ...

მინაწერება: ფ. 31r XVIII ს-ნის ცუდი მხედრული ხელით: ქ. მე თქუენს მომნასა (!) გიგსა არგანაშვილს დამიწერ (!), თქუენს ფერხთ მიწა მტერს შენდობას მიბრძანებდეთ. მე დიდ (!) შემეწევა და თქვენ უზრუნველ იქმნებით. კრიტიკს გულისათვის ძვირს ნუ იტყვით სულისა ჩემისათვის.

2. ფ. 7. v. XVII—XVIII ს-ნეთა მიჯნის ახლოს ცუდი მხედრული ხელით:

ქ. ერთის ნახვით შემოიყვარდი, თვალში ნათლად ჩამოივარდი; რამ დაგბადა ასე ტურფა, თუ არ ზეციით ჩამოვარდი; შენი თეთრი პირი მიყვარს, მარგალიტი, ღაწვი, ვარდი; თურმე ღმერთმა შენ დაგბადა, გუნებით (ხარ) ჩემთვის კარგი.

3. 75 r. მხედრული ხელით: ეს სამოციქულო, ვინც წაიკითხავდეთ, ასრე ბრძანეთ—მალმეც უსწავლია, ამინ და კირიელისონ, კორონიკონსა ტოდ (=1686 წ.).

4. ფ. 84 V. XVII საუკუნის მხედრულის ხელით: ქ. ეს სახარება და სამოციქულო წმიდ[ა] გრიგოლისა არის. მე დამიწერია გიგს არგანაშვილსა. ვინც ეს იხილოთ, ძვირს ნუ ბრძანებთ სულისა ჩემისათვის.

5. ფ. 105 r. XVII ს-ნის მხედრული ცუდი ხელით: ქ. ე (ს) სამოციქულო წმინდის ნიკოლოზისა.

ქ ა მ ე ნ ი

111 ფ.: 10,5×7,5; ქალაღი; უყდო; ნაკლული თაგბოლოში და შუა-შიც; ნუსხური (სათურები სინგურით); XVIII ს; შგმოსული 1924 წ. ბოლორნის ეკლესიიდან.

იწყება: ...განგაჩინა შენ და სარწმუნოდ განმგებელად საიდუ-მლოთა სულიერად, ვინა ყოველნი პატივ გცემთ შენ, იაკობ.

წყდება: სოფლისა შემოქმედისა პირველად ნაყოფად მკსნე-ლო, შესწირეს სოფელი მკნეთა მოწამეთა შენტა და გვედრების მათითა ოხითა—მშვდობად სოფელსა მოანიქე, ეკლესიასა და ერსა და ქალაქსა შენსა და სოფელსა, და იქსენ ყოვლისაგან კირისა ვედრებითა ღმრთის მშობელისათა ცხორებისათვს სულთა ჩუენ-თათვს. აღსავალნი ჳმად : დ : იხარებს ეკლესია...

9

კ ო ნ დ ა კ ი

გრაგნილი: 188×19,7; ეტრატი; თაგბოლო ნაკლული; ნუსხური (სა-თურთა ასოები სინგურით); XIV ს-ნის (ხელის მიხედვით); შგმოსულია 1924 წ. ძალისის ეკლესიიდან (ქართლი).

იწყება: ...მოიხურეს პერექელნი ლუდელმან, პირველად უეშხუმსა დაჰბუროს, ჯუარი დასწეროს და თქუას: უფალი გამეფ-და, შეუსწიერებად შე(იმ)ოსა.

წყდება: და ღირს მყუენ ჩუენ, მეუფეო, დაუსჯულად კად-რებად და ჳდად შენდა ზეცათა ღთისა მამისა მოწყალისა და თქუამად...

მთაწერები: 1. ძუქუასა შე(უ)ნდენეს ღმერთმან მისი ცოდვანი (XV ს-ნის მხედრულით).

2. სულისა ჯარიასასსა შეუნდენეს ღმერთმან, ამინ. სულსა დავითისსა შეუნდენეს ღმერთმან, ამინ (XVI ს-ნის ნუსხურით).

3) კუალად ოჩიაშვილისა გიორგის შეუნდენეს ღმერთმან, ამინ; მისსა მეუ-ღლესა ნინოს შეუნდენეს ღმერთმან, ამინ; მათსა შვილსა ჳერაბინს შეუნდენეს ღმ-ერთმან, ამინ. XVII ს-ნის ნუსხურით).

4) მამასა შეუნდენეს ღმერთმან, ამინ (XVII ს-ნის ნუსხურით).

5) მიახას ცოდვანი მიახანი (!) შეუნდენეს ღმერთმან, ამინ (XV ს-ნის ნუსხურით).

6) ვარძიელისა შვილსა შვენიერა ყოვლისა რაჳდენს შეუნდენეს ღმერთმან; მის მამა ბიძათა შეუნდენეს ღმერთმან; მისთა და ძმათა შეუნდენეს ღმერთმა; მისსა მამ(ი)დასა შუმელ-ნოხსა შეუნდენეს ღმერთმა; მისსა გამდელსა მხეჳალსა შეუნდენეს ღმერთმა, ამ(ი)ნა (XV ს-ნის მხედრულით).

7) მოზისა თიხდარისა დღეგრძელობა; მისა მეუღლესა ჟათა ცოდვანი მიონი შეუ(ნ)დნ ეს ღმერთმან, ამინ; თომ(ა) დავით გვარდილსა... ღმორაშვილი შო... (XV ს-ნის იმავე ხელით, როგორც მინაწერი № 1).

8) ქ. ღმერთო უშველე მონასა შენსა ბაინდურასა მანა დღესა განკითხვისასა, ცოდვანი მისნი შეჯნდნეს ღმერთმან, მისი ძე... (XV ს-მის იმავე ხელით, როგორც მინაწერი № 1).

9) სულ(სა) ლაშქარა(სა) შეუნდნენ ღმერთმან. მარსყენ(?) ღმერთმან (XV ს-ნის ნუსხურით).

10) ბიაშვილსა ხ(ა)ყანს შეუნდნეს ღმერთმა, მისა მეუღლესა მეუღლესა შვენიერსა შეუნდეს ღმერთმა, ამინ (XV ს-ნის მხედრულით).

11) ქ. დავითიშვილე(ბ)თა სარიჯ(ას), გოდერძისა, ზაქარიასა და ციგაბლ(?) ცოდვანი შეუ... (XV ს-ნის ცუდი მხედრულით).

12) აქა ფარემუხასა და გიორგის ცოდვანი მისნი შეუნდნ(ე)ს ღმერთმან XVI ს-ნის მხედრულით).

13) ლუკას შეუნდნეს ღმერთმან; ელიას და მის მეუღლეს ამისულთას შეუნდნეს ღმერთმან, ამინ (XVI ს-ნის ნუსხურით).

შენიშვნა: რჩეულიშვილის გვარის მოხსენება ამტკიცებს, რომ ეს ხელნაწერი თავდაპირველად ჯავახეთში იყო ერთ ერთმონასტერში მოთავსებული. მოსახსენებელნიც მინაწერებში ჯავახურნი უნდა იყოს. XVII ს-ნეში ხელნაწერი წამოუღლიათ ქართლს.

10

ქაშინის ნაწყვები

122 ფ.; 13,6×8,7: ქალაღი; ყდა შემოშორებული, ფურცლებად დაშლილი, დაგლეჯილი; თავ-ბოლო ნაკლული; მხედრული, სათაურები სინგურით; XVIII საუკ. (ხელის მიხედვით); ნაკლული ტექსტი ალაგ-ალაგ შეესებებულა სტამბის ფურცლებით, სახელდობრ ფფ. 1—58, 113, 119.

იწყება: (ნაბეჭდი, ფ. 1): ... თი ანტიოქელისა: კბ: პოვნა პატროსანთა ნაწილთა წმიდათა მოწამეთა ეგგენიასთა: (1r—58 v). (ხელნაწერი ფ. 59): სახარებანი აღდგომისანი ათერთმეტნი საცისკრონი:—სახარება მატთესი ა.—მას ჟამსა შინა, ხოლო ათერთმეტნი იგი მოწაფენი წარვიდეს გალილიას მთასა მას, სადაცა უბრძანა მათ იესო...

წყდება: ...[ჰრქეა] სკმონ პეტრეს: სკმონ იონასო, გიყვარმეა უფროს ამათსა? ჰრქეა მას პეტრე: ჰე, უფალო, შენ უწყი, რამეთუ მიყვარ შენ. ჰრქეა მას იესო: აძოენ კრავნი ჩემნი. ჰრქეა მას მეორედ მერმეცა: სკმონ [იონასო], გიყუარ მეა? ჰრქეა მას პეტრე, შენ [უფალო] უწყი, რამეთუ მიყვარ შენ. ჰრქეა [მას] იესო: დაჰმწყენ ცხოვარნი ჩემნი. კულაღ ჰრქეა მას მესამედ, სკმონ იოქნასო, გიყუარ მეა უფროს ამათსა? შე[სწუხნა]... (116 v).

მინაწერები: უმნიშვნელონი: 121 rv, 122 rv.

ზ ა ტ ი კ ი

274 ფ.; 20,5×15; ქალაღდი, ტყავგადაკრული ხის დაზიანებულთა ყდა; თავბოლო ნაკლული, დაშლილი; ნუსხური; (XVI საუკუნისა ზელის მიხედვით); 6—10, 21—22 ფურცელი შეესებულია XVIII ს-ნის ხელით შემოსულია ოძისის ეკლესიიდან (ქართლში).

იწყება: ...ეკლესიასა შენსა და მიერ გილაღადებს; გარღამოუვლინენ ერსა შენსა, სახიერ, მოწყალეზანი შენნი და მშკღობაღ ყოველი სოფელსა მოჰმადლე და სულთა ჩუენთა დიდი წყაღობაღ.

წყდება: და მიიღეთ თქუენ მადლი უოხჰნოსა ცხოვრებისაღ და მძღაერთა სიქადულსა არაღ შეჰშინდით, გუჰმათა მიერ სატანჯველთა შინა იზარებდით ქრისტეს მიერ და აწ ძუღანი თქუენნი იჰმნეს მკურნალ სენთა ჩუენთა. მეოზ გვეყავ...

12

კ ო ნ დ ა კ ი

75 ფ.; 13×13,7; ქალღდი, ხის ყდის ერთი გვერდი; თავბოლო ნაკლული; ნუსხური; XVII ს-ნის (ზეღის მიხედვით); შემოსულია ყანჩავთის ეკლესიიდან (ქართლი).

იწყება: ...ღად დამიცვენ ჩუენ... შენსა საღმრთოღთა შენთა საიღუმლოთა... გუაკურთხენ, მეუფეო, ღირს არს და ჰეშმარიტად. სახელითა [ღმრთისათა] გუაკურთხენ, მეუფეო; ღმერთო, მიწყალენ ჩუენ და მკურთხენ ჩუენ...

წყდება: ...და თაყუანის საცემელისაღ სუღისა! შენისა ...ღნი ყოვლისაგან საეშმაკოსა ღონისაღ....

მინაწერი: მოიხსენე, ღმერთო, ზვარამზე (ფ. 21 რ., XVIII ს-ნის მბღარულით).

13

ი ა ზ ო ნ ის დ ა მ ე ლ ა ს ა მ ბ ა ნ ი

16 ფ.; 22—17,7; ქალღდი; თავბოლო ნაკლული; მბღარული; XVII ს-ნის მეორე ნახევრისა (ზეღის მიხედვით) 15 v და ფ 16 ცარიელია; შემოწირულია 1923 წ. შალვა რევ. ერისთავის მიერ სოფ. ოძისში.

იწყება: შენდა და აწ შენცა, ფრიად საყუარელო, მიწვეუნულნარ ჰასაკსა ჰაბუკობისა შენისასა და აჰა მკეღარი გმირ აზოანი და საკუირველი ყოფად სცხადღები, ბრწყინეღლე ყოველითურთ სიბრძნითა და გუაროენებითა უმეტეს სხეათა ყოველთა კაცთა და განვითარებულ არს, გუარიანმან მოიძიოს ჰატიენი და ჰეზანი აღსამა(ღ)ღებღად გუაროენებისა თვისისა...

წყდება: აღუთქვა მათ პელები მეფემ თვითწარსულა ლაშქრი-
თურთ თვისით და ძვირის ყოფისა მათისათვის ერთად მიგებათ
და მათ თაყუანი სცეს მას და გამოვიდენ პალატითგან მისით,
მხიარულ იქმნეს ფრიად და ჩაჯდა საჩქაროდ ჰერკულეს ხომალდ-
სა და წარვიდა მალე თელამონ მეფისა მიმართ და ევედრა...

შენიშვნა: ხელნაწერი გადმოწერილია ნაკლული დედნიდან, რომელ-
საც ბოლო არ ჰქონია. ამიტომ ხელნაწერი თავდება სიტყვაზე „ევედრა“
და შემდეგ მისდევს ცარიელი ადგილი. ხელნაწერს აქვს თავისი პაგინა-
ცია გვერდებად. მოწვენილი ტექსტი იწყება მე-7 გვერდიდან და თავდება
მე-35 გვერდის ორ შესამდებზე.

14

საბა ორბელიანის მოგზაურობა ეპროპაზი

23 ფ.; 22,2×17,8; ქალაქი მოლურჯო; ახალი დროის ყდაში;
თავში, ბოლოში შუაშიც ნაკლულია; 1808 წ.; გადამწერი—კახეთის სამე-
ფოს რეკტორი ალექსისძე დავით.

იწყება: ...და ღამე გაუწყვეტლად ენთება მისს საფლაგზედ.
გაგრამ კანდლები სულ დაფერილი, ბროწეული შუა გახეთქილი
რომ: იყო, სულ ყველა ასე იყო. ოთხი პორფირის სვეტი ტრა-
პეზის სალხინებელზედ და ოცდაორი ფერადის მარმარილოს მა-
ღალი სვეტი ეკლესიაში და აქათ იქით სხვა უცხო ქვების სვეტე-
ბი იყო. ჩამიყვანეს სამარტილეში...

ან დერძი: აღვსწერე ესე წიგნი გარდანუსხვით მე კეთილ-
შობილმან ალექსის ძემან, სრულიად კახეთის სამეფოს რეკტორ-
მან, სიბრძნის მოყვარემან დავითმან. ვინც წარიკითხოთ, ჩემთვის
შენდობა ჰყავით. ესე იგი ოდესმე კაცს შეაქცევს, თვარა უკეთე-
სის წიგნის წერა იყო უფრო ჩემგან შესაბამი; თვესა ენკენის-
თვესა, რომელ არს სეკდემბერი ა, წელსა ჩუი, ქორონიკონს უჟჷ,
დავით.

შენიშვნა: ხელნაწერს აქვს თავისი წინანდელი პაგინაციაც გვერ-
დობით. მოწვენილია გვ. 59—60, 65—66, 69—78, 113—128, 161—162,
165—166, 171—172, 175—176, 197—204, 211.

15

ბატონის აღზიის ამბავი

10. ფ.; 22,2×17,5; ქალაქი ლურჯი; უყდო; თავ-ბოლო ნაკლუ-
ლი; მხედრული, XVIII ს-ნის ბოლოსი (ხელის მიხედვით); მე-10 ფურცე-
ლი ცარიელია. შემდწირულია 1924 წ. შალვა რევ. ერისთავის მიერ (სოფ.
ოდისი, ქართლში).

იწყება: ...მოსახსენებელ უკუნიამდე. მეორესა ძესა მისა ეწოდა ფარიზი, რომელსა სახელ ედვა ალექსანდრე. უსწავლულესი იყო ესე სხვათა ხელოვნებათა შიგან მშვილდოსნობისათა. მესამესა ძესა ერქვა დეიფებ...

წყდება: მხიარულ იქნა მეფე ამისთვის და ფრსად მაქებელი მხნე მოქალაქეთათვის. წარვიდა პალატსა თვისსა და ბრძანა მოწოდებად ძენი თვისნი და მოვიდნენ მისთანა ყოველნი დასხდნენ თვითვეულნი ადგილთა ზედან თვისთა ღირსებისა...

შენიშვნა. ხელნაწერი გადმოწერილია ნაკლული დედნიდან, რომელიც, როგორც სჩანს, თავდებოდა სიტყვებზე: ადგილთა ზედან თვისთა ღირსებისა.

16

ქილილა და ღამანა

7 ფ.: 22×17,6; ქალაღი; უყდო; თავბოლო ნაკლული, მხედრული (სათაურები და თავი სიტყვები სინგურით); XVIII ს. (ხელის მიხედვით); შემოწირულია შალვა ერისთავის მიერ 1624 წ. (ოძისი).

იწყება: ...გარდიმ უბრძანა: მაგა შენის თქმის მიხედვით ქვეყანა აღისპობაო.

წყდება: გარდიმ უბრძანა—ყოველივე სოფელსა შინა მოიპოვების და უკეთუ არა ესრეთ, მაშინ დამბადებელმა რად შექმნაო. ბაჭირმა მოახსენა—სადიდებელად თვისად. გარდიმ ჰკითხა—ვითარ იდიდებსო. მან მოახსენა—დაცვიო...

17

სიბრძნე ბალავარისა

ფ. 43; 22,2×18; ქალაღი; ბოლო-ნაკლული; მხედრული; XIX ს. (ხელის მიხედვით); შემოწირული წილკანში მცხოვრებ თეიმურაზ ლაშაურის მიერ 1924 წ.

დასაწყისი: სიბრძნე ბალავარისა, თქმული მამისა. ისაკისა ძისა საფრონ პალესტინელისა მიერ.

მივედ ოდესმე ქვეყანასა იოპეთს და მუნ ვჰპოე მე წიგნი ესე ინდოეთა (!) შეფისა საწიგნესა, რომელსა შინა წერილ არიან საქმენი ამის სოფლისანი ...

წყდება: შემდგომად მოიპოა ღონე ესე და ოდეს აღიძრის გულის თქმად, აღანთის სანთელი და მიეპყრის თითი და ეცხელის რა, უკმოიტაცის და თქვის: # იოდასაფ საწყალო! უკეთუვერ დაუდგამ აწ ცეცხლსა შენსავე აღნთებულსა და კვალად დაშრეტაღსა და მას საუკუნესა ვითარ დაუდგნე ცეცხლსა დაუშრეტელსა და ვითარ მოითმენ ბნელსა მას გარესკენლსა. აწ დასცხერ ბოროტისაგან და ცოდვისა და ესრე სახედ წინააღმდეგობადა გულის სიტყვათა. ხოლო ასული იგი მეფისა...

შენიშვნა: ხელნაწერის უკანასკნელი ფურცელის მეორე გვერდი (ფ 43 v ცარიელია—მეტე არ გადაუწერიათ ან დედანიც ნაკლული ყოფილა).

18

აკოქრიფული კითხვა-პასუხი სარწმუნოებრივ საკითხებზე

46 ფ.; 13×18,2; ქალღმერთი; უყდო; თავ-ბოლო ნაკლული; მხედრული; XIX ს. (ხელის მიხედვით); შემოწირულია 1924 წ. წილკანში მცხოვრებ თეიმურაზ ლაშაურის მიერ.

იწყება: ...მოძღვარი: მანამდისინ ღმერთი იყო, მამა, ძე და სული წმინდა, ამათის ბრძანებით დაიბადა ცა და ქვეყანა, ანგელოზნი და კაცნი და ყოველი ხილული და უხილავი.

მოწაფე: რისგან გააჩინა ღმერთმან ცა და ქუშყანა? მოძღვარი: არაფერი არა იყო რა, არარასაგან ასრე შეამკო მან თავადმან...

წყდება: და ქალმან უთხრა: უკეთუ ნება ჩემი ჰყოთ, მეცა ჰყოთ ეგრეთვეო. მათ მო(ი)მტკიცეს ფიცით ქალი იგი და უთხრეს კაცისა უბრალო კვლა და მერმე ღვინის სმა და სიმთვრალესა შინა მათ ანგელოზთა წარსთქვეს ლოცვა იგი, რომელი ანგელოზთა განაფრეს (!). ხოლო ქალმან მან დაისწავლა ლოცვა იგი და შეესხა ფრთენი და აფრინდა მესამედ ცად და მუნ დაჯდა. რომელნი ჩანს ვარსკვლავნი იგი მთიები ცისკრისა, იგი დიაცი არსო. ხოლო ანგელოზთა დასცვივნეს ფრთენი და ერძსა ბნელსა ჯურღმულსა...

19

იხტორია ალექსანდრა მაკაელონელისა

113 ფ.; 35,7×22,5; ქალღმერთი; უყდო; დაზიანებულია; მხედრული; (ცარიელია ფ. 113 v) XIX ს. (ხელის მიხედვით); შემოწირულია თეიმურაზ ლაშაურის მიერ) სოფ. წილკანი, 1929 წ).

დასაწყისი: ისტორია ალექსანდრე მეფისა მკედონისა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა, ჩრდილოეთისა და ყოვლისა სამკრეთისა და თვთმპყრობელისა მეფეთ მეფისა.

იტყვიან ძედ ყოფად მისა მკედონიის მეფის ფილიპესად, არამედ არა არს ესრეთ და ცრუ არს ესე ყოველივე...

ბოლო: და მოკვდა იგიცა... დედოფალი, ცოლი ალექსანდრესი, დიდითა მით ქირ... აღიმპიადე ფრიად სტიროდა მეფესა ალექსანდრესთს... სა მისისა როქსანასათვის და მისცეს იგინი მიწასა... მისთა ორნივე ერთად და მეფენი მთავარნი წარვიდ... სამეფოთა და საპატრონოთა შინა, ვითარცა ალექსანდრეს ცხ... შინა განეყო მათთს, ეგრეთ ეპყრათ თს თსი ქეყანა... ტკიცებდენ და ესრეთ დაესრულა მკედონიის მეფისა ფილიპეს ძისა ალექსანდრეს ანბავი.

20

კ რ ე ბ უ ლ ი

44 ფ.; 23+15,4; ქალაღი; ტყავ-გადაკრული ხის ყდა; ბოლონაკლული; მხედრული (სათურები სინგურით) 1734; ვადამწერი—სურამის ნაცვლის შვილი ქაიხოსრო; შექენილია 1924 წ. პოლ. კარბელაშვილისაგან.

1. [წმ. ნინოს ცხოვრება]. მეტაფრასული მეორე რედაქცია (ფ. 1—26 r.).

დასაწყისი: იანვარსა იდ ცხოვრება და მოქალაქეობა ღირსისა და მოციქულთა სწორისა ნეტარისა ნინოსი. გვაკურთხე, მამაო.

მათ ჟამთა, ოდეს იწამა წმიდა და ყოვლად ქებული და დიდებული მთავარმოწამე გიორგი კაბადუკიელი, მასვე ჟამსა შინა და მასვე ქალაქსა შინა კაცი ვინმე იყო თანაზიარი და მეგობარი წმინდისა. მოწამისა. ესე კაცი იყო კეთილად მორწმუნე და შვილი მდიდართა და წარჩინებულთა და იყო იგი ძლიერი და წარჩინებული და განთქმული ბრძოლათა შინა და წყობათა შინა, რომლისა სახელი ზაბილონ. ესე ზაბილონ წარვიდა ჰრომედ წინაშე მეფისა მაქსიმიანესა მსახურებად და მიიღებდა ნიქსა და პატივსა...

ბოლო: მაშინ გულისწმა ყვეს, დაჰკრძალეს მასვე დაბასა შინა ბოდეს და ეკლესია აღაშენეს და ეფისკოპოზი განაჩინეს მას ზედა. ესრეთ პატივით და კრძალულებით პატივსცეს წმიდასა და ნეტარსა მოციქულსა და განმანათლებელსა ქართლისასა, კახეთისა.

შერ[ეთ]ისასა, სამგზის სანატრელსა ღმრთივ დიდებულს ნინოს. შემდგომად წმიდისა ნინოს ცხოვრებად საუკუნოდ მისვლისა მეფემან კეთილად წარმართა ღმრთისა მსახურება და იქცეოდა სიმდაბლითა, სიმშვიდითა, გლახაკთ მოწყალებითა, მღვდელთა პატივცემდა, ეკლესიათა აშენებდა და ესრედ სათნოდ ღმრთისა(დ) მიიცვალა და დამარხეს მის მიერ აღშენებულსა ეკლესიასა სამთავროსა. შემდგომად მისმან ძემან რეჟა მოიღო მეფობა მისი და იგიცა წარვიდა კვალსა მამათა მისთასა შემკული ღმრთისა სათნოებითა.

2. [უწყება მეფეთა ქართლისათა] (ფ. 26 r—29 v).

დასაწყისი: უწყება ჯერ არს, თუ მეფენი ქართლისანი ვიეთ ტომი იყვნეს, რამეთუ აღექსანდრე მეფემან, ვითარცა დაიმორჩილნა ყოველნი მაშინ ქართლსა და იხილნა ნათესავნი სასტიკნი, ნათესავნი წარმართთანი, რომელთა აწ ჩვენ ბუნთურქად უწოდთ, რამეთუ ცხონდებოდეს იგინი ყოვლად უცხოოდ კაცთა ბუნებისაგან, ვითარცა იყუნეს მკეცნი...

დასასრული: ხოლო ვითარ იგი პირველ იყუნეს ასნი სოფელნი სასყიდლად მირონისა, ამის წილ განუწყესა ასი დრაკანი. ხოლო ამისა შემდგომად კუალად ესოდენ განაჩინეს, რათა სახელით ოდენ მოიქსენებოდეს პატრიაქი ანტიოქელი ქართლს. ესრეთ განაგეს ქართლისა ეკლესიათა წესი და ესეცა არს ვიდრე დღემდე დღემდე სადიდებელად ძისა მამისა და წმიდისა სულისა, რომლისა არს დიდება უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

3. გალობანი წმიდისა ნინოსნი (ფ. 28v—44r).

დასაწყისი: თვესა იანვარსა წმიდისა დედისა ჩვენისა ნინოსი. ჳმად დ: მკნეონი აღზრდილი უბიწოებით მტკიცე სარწმუნოებითა მოძღვარი ქართლისა სანატრელი ნინო, მკეველი ყოველთა მკსნელისა, რომელი კუალსა მისსა შეუდგა სიხარულით და უქადაგა ყოველთა ძალი ღეთაებისა და ასწავებდა ერსა.

წყდება: რამეთუ გლახაკი მარადის თქუენთანა არიან, რამეთუ დამასხა მაგან ნელსაცხებელი ესე ჯორცთა ჩემთა და საფლავად ჩემდა ყო. ამინ გეტყუი თქუენ, სადაცა იქადაგოს სახარება ესე, ყოველსა სოფელსა ითქმოდის დედაკაცი ესე.

განიცადე: იხარებდით მართალნი უფლისა მიმართ და წრფელთა შვენის ქება.

ანდერძი: ბრძანებითა ღმრთისა დაუსაბამოსათა და დაუსრულებულისათა ცხოვრება ესე წმინდისა და ღირსისა ქართველთ განმანათლებელისა ნინოსი სამეუფოსა ქალაქსა მოსკო(ვ)ს დავაწერინე მე უთრუთ აბაზაქემ სულისა ჩემის სათხებლად წმინდისა და ნეტარის ნინოს მადლითა და მეოხებითა. ღმერთო, წარ-

მართე ველთა ესე წერილი. მე ცოდვილმა ახალ მოსწავლემ სურამის ნაცვლის შვილმა ქაიხორამ აღესწერე და ვინც წაიკითხოთ, ღმრთის გულისათვი პატრონ-საცა და დამწერსაც შენდობა უბძანეთ; დაიწერა ქრისტესა აქათ ჩლლდ.

21

სახარების ნაწყვეტი

სახარების ნაწყვეტი, იოანესი; 3 ფ.; 15,7×11; ქალაღი; უყდო; თავ-ნაკლული; ნუსხური (სათურები სინგურით); XVI ს. (ხელის მიხედ-ვით); შემოსულია 1924 წ. ქართლის ერთ-ერთი ეკლესიიდან.

იწყება: ...თავი თანა ზლუად. ხოლო სხუანი მოწაფე-ნი ნავით მოვიდოდეს, რამეთუ არა შორს იყენეს ქუეყანისაგან.

ბოლო: (გიორგი მთაწმიდელის ანდერძი): ესე საცნაურ-იყავნ ყოველთა, რამეთუ წმიდაჲ ესე ოთხთავი ჩუენ ახლად გვი-თარგმნია(!) ფრიადითა იძულეებითა ძმათა ვიეთმე სულიერთა და-ბერძულთა სახარებათა შეგვიმოწმებია(!) ფრიადითა გამოწული-ლევითა და ვინაცა ვინ სწერდეთ, ვითა აქა ჰპოოთ, ეგრე დასწე-რეთ. თუ ამისაგან ჯერ გიჩნდეს დაწერა, ღმრთისათვის სიტ-ყუათა ნუ შესცვალებთ, არამედ ვითარცა აქა სწერია, ეგრე და-წერეთ. დიდებაჲ და მადლი ღმერთსა ყოველთა კეთილთა მიზეზსა. სრულ იქმნა წმიდაჲ ესე ოთხთავი, თარგმნილნი გიორგი მთაწმი-დელისანი.

ანდერძი: ამისა მწერალსა არჩვაქესა ნიკოლაოზს და მეუღლესა მისსა მა-რისს ცოდვანი მათნი შეუნდნეს ღმერთმან და მათთა დედამამათა ცოდვანი მათნი შეუნდნეს ღმერთმან, ამინ. ვინცა შენდობაჲ ბრძანოთ, შეგინდოს თქუენ-ცა ღმერთმან.

მინაწერი: 1) ქ. (ღმერთო, შეიწყალე. [სა]უკუნო შამუკა(!). ვინცა შენდო-ბა... (ფ. 3 r, XVII ს-ნის ცუდი მხედრული ხელით).

2) ესე წმინდა სახარება დავითისია, ღმერთმან (ფ. 3 r, XVII ს-ნის ნუს-ხურით).

22

გამოკრებილი მარხვანი ჯატიკი

86 ფ.; 20×15,3; ქალაღი; უყდო; თავ-ბოლო ნაკლული; დაშლი-ლი; ნუსხური (სათურები სინგურით); XVIII ს-ნისა ხელის მიხედვით); შემოსულია 1924 წ. ერთაწმიდის ეკლესიიდან.

იწყება: ...ნი ქრისტე მაცხოვარო, ხოლო ანგელოზისა მიერ უწყებულნი სიხარულისა სასწაულთა უთხრობდეს მოციქულთა, ვი-თარმედ აღდგომაჲ მკუდრეთით. წინამძღვარი ცხორებისა ჩუენისა და მოკლად სიკუდილი მძღავრი და უძლები და იჯსნა ადამი...

წყდებოდა: ვაქებდეთ განმანათლებელთა ჩუენთა და კმაე.ცყოთ, ქადაგნო უფლისანო, საღმრთოთა ვედრებითა თქუენითა სოფლისათჳს მშვიდობაჲ ყავთ, წარმართნი აოტენით და მართლმორწმუნენი შეზღუ...

შენიშვნა: დაშლილ ხელნაწერში ჩამატებულია ცალკე ფურცლები სხვა ნუსხური ხელნაწერებიდან (ხელის მიხედვით XVI ს-ნისა, ფ. 2, 21 — 22, 82—83 და XVII ს-ნისა ფ.10).

23

ლ ო ც ვ ა ნ ი

7 ფ.; 19×14; ქალაღი; უყდო; ფურცლები, ნაწყვეტი; ნუსხური (სათურები სინგურით); XVII ს. (ხელისმიხედვით); შემოსულია ერთაწმიდის ეკლესიდან.

იწყებოდა: ...უფალო, ვინმე დაუთმოს, რამეთუ შენ მიერ არს ლხინებაჲ და შენ მიერ გამოჯსნა, რამეთუ შენ მხოლოდ ხარ წმიდაჲ შემწე ძლიერი შესავედრებელი ცხორებისა ჩემისა...

წყდებოდა: ლოცვაჲ დღისა მ ჟამისაჲ: მეუფეო, უფალო იესუ ქრისტე ღმერთო ჩუენო, რომელი პონტოელისა პილატესზე ჯუარს ეცუ, დაეფალ და...

24

მარხვანის ნაწყვეტი

1 ფ.; 37,3×25; ქალაღი; უყდო; თავბოლო ნაკლული; ნუსხური; (სათურები სინგურით); XVII საუკუნისა (ხელის მიხედვით); შემოსულია 1924 წ. ერთაწმიდის ეკლესიიდან.

იწყებოდა: ...[ი]წყებიან წმიდანი მარხუანი მეზუქრისა და ფარისეველისა კჯრიაკით და სრულ იქმნებიან დიდსა შაბათსა. მწუხრო უფალო ლალად ჰყავსა დასდებელნი აღდგომისნი სამნი, რომელიცა ჳმა იყოს...

წყდებოდა: ვითარცა იგი ოდესმე აცხოვნე კაცთმოყვარე მეზუქრე იგი, მეცა მომანიქე შენდობაჲ აურაცხელთა ცოდვითა ჩემთა. დიდითა მით სიღამბლითა ვერ იკადრებდა თუალთა ახილვად მეზუქრე იგი, მეუფეო, ამისთჳსცა ლირს ყავ იგი ცოდვითა შენდობასა მოჰმადლე, ქრისტე...

საღმრთაწილის ნაწილები

2 ფ.: 31,2×21,5; ეტრატის უყდო; თავ-ბოლო ნაკლული; ნუსხური (სათაურები სინგურით); XVI ს-ნისა (ხელის მიხედვით); შემოსული 1924 წ. ერთაწმიდის ეკლესიიდან.

იწყება:... შეილთა შეგიწყნარებს თქუენ ღმერთი, რამეთუ ვ... მამამან. ხოლო უკეთუ შორს ხართ სწავლაჲსაჲ... მწირნი ვიდრემე ხართ და არა შეილნი. და კჳალად უკუეთუმიცა...

წყდება: უბიწოო ქალწულო, ზეცით მოგართუად შენ გაბრიელ ხრ... ბდა. გიხაროდენ შენ, მიმადლებულო, ღმერთი შენგან იშვეს მგნს... იქმენ შემწე და მფარველ ყოველთა, რომელნი ღირსად გხადიან შენ... და საცთურნი სოფლისანი შენ, გაბრიელ წინამძღუარო...

ს ა ხ ა რ ე ბ ა

183 ფ.: 21,5×14,5; ეტრატის უყდო; დაშლილი, 172 ფურცლის შემდეგ ტექსტს აკლია; ნუსხური (სათაურები სახარებათა და შიგ ტექსტში თავი ასოები სინგურითა); XIV ს-ნისა (ხელის მიხედვით); სახარებულთა სამი სურათი ფერადებით; შემოსულია 1924 წ. თორტიხის ეკლესიიდან.

დასაწყისი: (ზოგიერთი ადგილი გადასულია): :ა: განჯორციელებისათჳს; :ბ: მოგუთა მისვლისათვის; :გ: მოწყუსდისათჳს ჩჩულთასა...

წყდება:... და ვიდრე იგი არღა ჰრწმენა მათ სიხარულისა მისგან დასაკრველებისა, ჰრჭუა მათ იესუ: გაქუს რაჲ აქა ჭამადი? ზოლო მათ მიუპყრეს მას თევზისა მწურისა ნაქევიარი და თაფლისაგან გოლი...

ანდერძი: უწყით, წმინდანო მახარობელნო, მათე, მარკოზ, ლუკა და იოანე, რამეთუ დიდად გავისაჯე მე, ცოდვილი გიორგი, მეოხ მეყვენით აქაჲ და მას საუკუნესა, ამინ (ფ. 172 v).

მანაწერები: 1) ივანე მამა ჩუენსა გულხარა ვიხარო ლეგანი მართომბელე (4) (ფ. 2 v XV ს-ნისა მდარე მხედრული ხელით, გაურკვეველი; პირველი 6 სიტყვა განმეორებულია).

2) ქ. ღმერთო, შეიწყალე ხუციშვილი პატარაკაცი (ფ. 3 v XVII ს-ნის მხედრულით).

3) ბერსა ესტატეს შეუნდნენ ღმერთმან, ამინ (ფ. 4r XIV—XV ს-ნის ასო-მთავრულით).

4) ვიწყით სამხთოა წ(ე)რილი, ვახსენით წმინდა სამება; თვესა იენისის ჩვიდმეტსა ღ(ი)რისის მარინის წამება;

ლალი ებრძოდა ლანბროხო, არა ჩნდა დღე (და)ღამემა (ფ. 71 v XII ს-ნის მხედრულით).

5) ქ. ღმერთო და სახარებაჲ, პირო მხთისაო, შენ შეიწყალე ფოცხვერას-შვილები, სრულ ერთობით დაიცვე, ამინ (სიტყვა ამინ განმეორებულია შვიდჯერ). წმინდაო ღმერთო (ფ. 72 r XVII ს-ნის ნუსხურით).

6) ქ. ღმერთო; შეიწყალე, ხუცისშვილის პატარაკაცის სული (ფ. 72 v ს-ნის მხედრულით).

7). ცოდვილსა და საწყალობელსა კიმაურსა მიქელს და მისთა დედა მამათა და ძმათა შეზნდვენ, უფალო ღმერთო (ფ. 106 v, XVI ს-ნის ნუსხურით).

8) ქ. ესე სული შენი . . . მიხსნე(!) და აცხოვნენ მისენ შენ, უფალო ქრისტე მეუფეო და და წმინდაო მღთის მშობელო და ამინ და კარიანესულ (!) (ფ. 106 v, XVII ს-ნის მდარე მხედრულით და შეცდომებით).

მიწყალე ჯანიბეჲ (იქვე, იმავე ხელით).

9) ქ. წმინდაო იოანე, მეოხ ეყავ მონასა შენსა დავითსა (ფ. 107 r, XVI ს-ნის ცუდი მხედრულით).

10) ქ. ნებთა და შეწვევითა მხთის(ა)თა, მამისა და ძისათა და სულისა წმინდის(ა)თა მოგვიდეთ ეს ს(ა)ნ(ა)რ(ე)ბა კახმან კაცმან შენ ჯანიბეგს კორინთელს (ფ. 183 v, XVII ს-ნის მხედრულით იმავე ხელით, როგორც მონაწერი № 8).

27

თ უ ნ ი

72 ფ.; 25 + 19; ეტრატე; უყდო; თაებოლო ნაკლული; ნუსხური (სათურები სინგურით); XIII ს-ნისა (ხელის მიხედვით); შემოსულია 1924 წ. თორტიზას ეკლესიიდან (ქართლი).

იწყებთა: ...ყოველთა მეუფესა... ევედრებასა დაჰსნად ევედრ... მშობელი თვისი ნაყოფად მიჰმადლა მას სახარებით... ჰორფირი დღეს დაიქუსვის საშოსა შენსა ანნა, რომელი მეუფშმან დაღმერთმან ყოველთამან შთაიციუას და კაცთა გამოუჩნდეს და დასცეს მბრძოლი ჩუშნი მტერი მამათა ჩუშნთა ღმერთმან ყოვლად ძლიერმან...

წყდებთა: კანკელსა წინაშე დაუსუწონო ხატი ქრისტეს შობისაჲ და დადგენ ხატსა წინაშე ორნი კელაპტარნი და რა ჟამს იწყონ გალობად, აღანთნენ კერონნი ვიდრე ჟამისა გასრულებამდე. დაწყებასა მესამისა ჟამისასა დაჰრეკონ ძელსა და შეკრბენ ეკლესიად და ილოცონ ორი ჟამი მზისაჲ და სამყმისა(!) ხოლო მზისასა...

მინაწერები: 1) ღმერთო, შეიწყალე სული ფრიად ცოდვილიცა ასთანდრის და ძმანი უდღვრძელენ (ფ. 13 v XIV—XV ს-ნის ნუსხურით).

2). ქ. ესე თვენი წმინდი(!) შიოსი იყო. ახლა მე ვიშოვნე ღთის შეწვევითა. ღმერთო, მშვიდობაში მოაჯმარე. შენმა მადლმან და სახელმან, შენი მადიდებელი ვარ, ოთარაშვილი შიო დიაკვანი გებეწებე (ფ. 35 v, XVII ს-ნის მდარე მხედრულით).

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ი ა ნ ი

31 ფ.; 21,7×17,5 ქალაღი (ლურჯი, ფილიგრანით); უყდო; შიგნით ძლიერ ნაკლული; დაშლილი; XVII—XIX ს-ნეთა მიჯნის (ხელის მიხედვით); შემოსულია 1924 წ. ბარბ. თუმანიშვილისაგან (ხელთუბანი, ქართლი).

დასაწყისი: ისტორია ალექსანდრე მეფისა მაკედონელისა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა, ჩრდილოეთისა და ყოვლისა სამჯრეთისა და თვითმპყრობელისა მეფეთ მეფისა.

მაკედონიის მეფისა ფილიფესად. არამედ არს ესე ძე იგი ეგვიპტის მეფისა ნეკთანაფისა ფილიპეს ცოლისა დედოფლისა ალიმპიადეს მიერ შემთხვევითა მით ესეთითა.

ბოლო: ვითარცა ალექსანდრე ცხოვრებასა შინა განუყო შათ, ეგრეთ ეპყრათ თჳს თჳსი ქვეყანა და (დ)ამპტიცებდნენ და ესრედ დაესრულა მაკედონიისა მეფისა ალექსანდრეს. ჰამბავი.

დაესრულა მაკედონიისა მეფის ალექსანდრესი ამბავი.

ჰ ა რ ა მ ა ნ ი ა ნ ი

8 ფ.; 22×17; ქალაღი (ლურჯი); უყდო; თავბოლო ნაკლული; მხედრული (სათურები სინგურით); XVIII—XIX ს-ნეთა მიჯნა (ხელის მიხედვით); შემოსულია ბარბ. თუმანიშვილისაგან (ხელთუბანი, ქართლი).

იწყება: ჯელმწიფეს მუხლსა აკოცა. ბძანა ჯელმწიფემ: ლხინსა და სმასა შეეკცნენ. ხელმწიფე, სარდალნი, დიდებულნი, ფალავანნი და სხვან(ი) ყოველნი ყარამანს ქებას შეასხმიდიან. იმ ლამეს ამ ყოფა ქცევით შე(ე)კცნენ. იქით მზარესა რაიაზამ ომი-დამ გაბრუნებული დაღონებული თჳსა სადგომსა მივიდა და განისვენა. რა დილა გათენდა, ხართაფაქიმ ვეზირი მოიხმო, უშანგ ჯელმწიფესთან გაგზავნა, ორმოცის დღის პაემანი სთხოვა...

წყდება: შეშფაბარი წელში ძლიერად ჩაიდრიკა. მერმე ყარამანმა ქუსლი ჰკრა და შემაიხლტუნა. მოუხდა სალსალს, ერთი ძლი(ე)რი ლახტი ჰკრა, რომ მარტორქას წელი მოსწყდა მისითა ძლიერებითა. ორნივე ქვეითნი დარჩნენ. რა იგინი ყარამანთა მა ქვეითად ნახა, აღარ ეომა და ეგრე უთხრა: ფალავანო, ვერა მანერთის ძლიერება ხომ გავსინჯეთ. აწ თუ შე და(ე)გხოცეთ, ვინ უნდა გნახოსთ და თუ თქვენ მომკლავთ, ვინ დაგვინახავთ.

მ ს ო უ ლ ი ო ი ს ტ ო რ ი ა

[დავით თუმანიშვილი, მსოფლიო ისტორია]; 20 ფ.: 32×20,7; ქალაქი (ფილიგრანი), ახალი დროის ყდა; [თავბოლო ნაკლული; ნუსხური; XIX ს-ის პირველი მესამედი; შემოსულია ბარბარე თუმანიშვილისაგან (ხელთუბანი, ქართლი).

იწყება: მეოთხე [ნაწილი].

ვითარ იყო ბერძენთა შორის შინათვე აღრეულობა და ბრძოლა? ერთი თავისუფლება აღჰსდგა მეორესა ზედა და მაკედონელთა მეფემან ფილიპე, მამამან ალექსადრესა დიდისამან, ირგო ფრიად მას ჟამსა შინა და დაიმორჩილა იგინი სრულიად უფლებასა თვისსა ქუშზე და ამით შეიქმნა [დაწყება] ბერძენთა სამთავროსი.

წყდება: მიუგო მას, ვითარმედ დაბადებიდვან ჩემით არა ვჰყოფილვარ მეჯინიბედ და წმიდასა თვისსა პეტრესა სრულიად ერთ სახე არს მარჯუშენ გინა მარცხენე ავჟანდა დაპყრობილ იყოს.

რავდენ გზის შევიდა წრიდერიკი იტალიასა შინა მხედრობითა?

ექუსჯერ: პირველად გვრგვინოსან იქმნა, მეორედ დაამშვიდა აღშფოთებული ქალაქი მედიოლანი და კრემონი მოაოხრა საფუძველადმდე, გარნა უკუშ...

შენიშვნა: ხელნაწერს აქვს თავისი ძველი პაგინაცია, იწყება მე-17 გვერდით და თავდება მე-79 გვერდით, შიგნით აკლია გვერდები 41—60.

მ ვ რ ო ვ ი ს ვ ე ო ვ რ ა უ ი ა

16 ფ.: 36×21,2; ქალაქი (მოლურჯო, ფილიგრანით); თავ-ბოლო ნაკლული; მხედრული; XIX საუკუნის პირველი მესამედი (ხელის მიხედვით); შემოსულია ბარბარე თუმანიშვილისაგან 1924 წ. (ხელთუბანი, ქართლი).

I

იწყება: ნაწილი :ა: საჯელმწიფოთა საკაოროლოთა და რესპუბლიკათათჳს ევროპიისათა.

გ ე რ მ ა ნ ი ი ს თ ჳ ს :

გერმანიას აქჳს 200 მილი სიგრძე; 100 მილი სიგანე, ხოლო სიმეურგლე 680. ჰაერი არს მუნ კეთილი და მრთელი, გარნა ცივი. ქუშყანა ნაყოფიერი უფროსლა პურითა და პირუტყვთ, საკმ-

ლითა; ვენახი არა ყოველგან თანაჰსწორ მოქმედებს; ტყენი, რომელნიცა არა მცირედ არიან და ვრცელ, უხუტებენ მფრინუშლითა და სხუტთა (!) ცხოველითა. გერმანიასა შუა იპოებიან მადანნი რკინისა, ტყვისა, ვერცხლისა და სხუათა . . .

წყდება: ქალაქნი ესე მოვიდნენ ესე ვითარსა შინა ძალსა და პიტის ცეპასა, რომელ იგინი ხშირად იყუნენ დამზავებელ უთანხმოებათა შათ, რომელიცა გამოვიდოდა ჩრდილოეთის მპყრობელთა შორის. აქუნდათ მათ ამას ახსავალსა შინა ძალი და შემძლებლობა თვისი მუნამდე, ვიდრემდის სხუანი ერნი ევროპისანი მიიღებდნენ წარმართებასა ვაჭრობასა შინა. მუნიდამ მოაკლდა ვაჭრობასა მათსა და თითქმის ესე ვითარსა შინა ვიწროსა სახლუარს მოვიდა, ვითარცა შინა ვხედავთ ჩუშნ აწ.

ჟამითი ჟამად მიიწია შეკრებულება ესე დამცირებასა შინა ესრეთ . . .

შენიშვნა: 1) ხელნაწერს აქვს თავისი წინანდელი პაგინაცია. ტექსტი იწყება მე-13 გვერდიდან და თავდება მე-28 გვერდზე.

2) ხელნაწერი წარმოადგენს დავით თუმანიშვილის მიერ შედგენილ საგეოგრაფიო ნაწარმოების ნაწყვეტს. გადაწერილია მისივე ხელით.

32

თეიმურაზ I-ის ლექსთა კრებული

8. ფ.; (პირველი ფურცელი და 7 v (დარეული); 35×22,2; ქალაღი; უყვო; ბოლონაკლული; ნუსხური; ფ. 2 r. 7 r, 8 r. აქვს ფერადი შემკულობა; XIV ს-ნის პირველი მესამედის (ბელის მიხედვით); შემოსულია ბარბარე თუმანიშვილისაგან (ხელთუბანი, ქართლი).

1. ქება იმერეთის მეფის ალექსანდრესი და მისი ცოლის ნესტარდარეჯანისა.

დასაწყისი: ლექსი სათარგმანებელი, ქება და მკობა მეფის ალექსანდრესი და დედოფლის ნესტან დარეჯანისა, ნათქუამი მეფის თეიმურაზ პირუშლისა მაჯამად.

რადგან არ ვჰსცხრები ქებასა, ვგონივარ ამათ მისანი;

აწ ჩემთა გულთა ლახვარი, სათი მაქვს სათათ მისანი;

სიმელნე შავთა წამწამთა, სისხო სიხშირე მისანი.

მინაწერი: ალექსანდრე იყო ძე ლეონ მეფისა, ლეონ იყო ძე ლეონ მეფისა, ლეონ იყო ძე ავგიორგისა. ხოლო ესრეთ იუწყეთ, მკითხველნო: ალექსანდრე ვიდრე გამეფდებოდა, მამასა მისა ლეონ მეფესავე მოეგვარა მისთვის ცოლად ასული ბარძიმ ამილახორისა, რომლისაცა სახელი ნესტან დარეჯანობითა არა არს ხსე-

ნებულ ცხოვრებასა შინა; ესე ალექსანდრე გამეფდა წელსა ქრისტესა 1561 სა და ჰყვანდნენ მას ძენი (მას ბარძიშის ასულსა თანა);
 ოთხნი—დავით, რომელი იყო მამა ამა თეიმურაზ მეფისა, გიორგი, ერეკლე და კოსტანტინე. დავითსა ჰყვა ცოლად ასული აშოთან მუხრანის ბატონისა ქეთევან, რომელი ეწამა შაბაზისაგან. გიორგი მოიკლა და ალექსანდრე მეფე კოსტანტინესაგან და კოსტანტინე—კახთაგან. ალექსანდრე მეფეს—ზემორე ვახსენე—არა ესეა დედოფალი სახელით ნესტანდარეჯან, არამედ ასული ჰყვა ფრიად შვენიერი და კეკლუცი, რომელი მისცა ცოლად ალექსანდრემ მანუჩარ დადიანსა წელსა ქრისტესა 1591, რომელიცა მოკვდა შობასა ზედან ძისა ლეონისა და მე ესრეთ ვგონებ მწერლისაგან შემცდარი იყოს დედოფლის ხსენება და არის ესე ზემორე თქმული ქებანი მეფეს ალექსანდრესა ზედან და ასულსა მისა ნესტან დარეჯანსა ზედა და არა დედოფალსა ზედან. დ. თუმანოვი-

ბოლო: იახტანსა თანა სარონი, გვერდს თასი
 ღვინო კულეზი

და ყოვლის წიგნისა უმცროსი, ჩანს მათი უფლისწულები.
 2. ანბანთ ქება (ფ. 8).

დასა წყისი: ანბანთ ქება სრული და უკლები,
 თქმული პირველის მეფის თეიმურაზისაგან.
 აღმართა მხსნელმან ჯუარი გოლგოთას, სისხლი
 დაჰსთხია ადამის ძვალთა;
 აღმოსავლეთით მისცა მამული პირველ მუნიდგან
 გამონაძალთა.

წყდება: ნუ ჰსცდები, სულო ცოდვილო, ღვთი-
 სათვის მუხლთა დაყრასა;
 ნუ გიორჩენია ავის თქმა ლოცვასა ცრემლთა
 დაყრასა;

ნათლის მცემელო, გვედრივარ სულთა და ხორცთა
 გაყრასა;
 ნუ მოეშვები შენ ჩემთჳს სამოთხის კარსა დაყრასა.

შენიშვნა: 1) ხელნაწერს აქვს წინანდელი პაგინაცია. მოწვენილო
 ტექსტი მოთავსებულია 46—56 და 58—59 გვერდებზე.

2) ხელნაწერი გადაწერილი ყოფილა დავით თუმანიშვილის მიერ.

33

კრებული (საისტორიო ნაწარმოებთა)

384 ფ.; 34×21,5; ქალაღი ფილიგრანით, მე-325 ფურცლიდან ღუ-
 რჯი ქალაღი; ტყავადაკრული ყდა; მხედრული (სათაურები 1—324 ფუ-
 რცელზე სინგურით); XVIII ს-ის ბოლო (ფ. 1—324 ხელის მიხედვით).
 და 1820—1826 წ. (ფ. 325.—324); ამის გადამწერი დავით თუმანიშვილი.

ცარიელი გვერდები: 325 v—326 v, 226 v, 350 v—353 v, 354 v—368 v, 369—378; შემოსულია ბარნაბ თუმანიშვილისაგან (ხელთუბანი, ქართლი).

1. [ვახუშტი ბატონიშვილის საქართველოს ისტორია].

ა) [ზნენი და წესნი საქართველოსანი, ფ. 1—96 r]

დასაწყისი: ტომობა და ჰშიამომავლობა ქართულთა ნოეს ძის იაჭეთის თესლისაგან, ვიდრე ქართლოსისა და ძმათა მისთამდე და განყოფილებანი მათნი და ძეთა მათთა.

აწ (ზნეთათჳს) ვიწყით ძუშლიდამ ახლამდე საქართლომასათა ზნეთა და ჩუშულებათა და წესთა მათთა პირველ განყოფილებისა და შემდგომად განყოფილებისა . . .

ბოლო: გარნა მეფე გიორგი, ამათი მყოფელი და განმგე ნეშტთა ქუეყანათა, იყო ფრიად მწუხარე განხეთქილებისათჳს სამეფოდა ესე ვითარად, არამედ კუალადცა მცდელობდა შეერთებასა და ეგრეთვე გებასა გიორგისასა, გარნა ვერლარა ღონის მძიებელი და მპოვნელი გარდაიცუალა წელსა ქრისტეს 1469, ქართულსა 157 მეფე გიორგი და დაჰფლეს იგი მცხეთას, ხოლო გიორგი მეფისძის კოსტანტინესსა და მის ქუშპორეთა მეფეთა ქმნულებათა ვიწყებთ წარწერათა თჳს თჳსთა ქარტათა და ადგილთა ზედა, ვინათგან იქმნენ განყოფილებანი.

2 [გენეალოგიური სქემა ქართველთა მეფეებისა უძველესი ხანიდან მე-16 ს-ის მეორე ნახევრამდის, შედგენილი ფერადებად დაეით თუმანიშვილის მიერ 1826 წ., გადაწერილი მის მიერვე ფ. 95 და 96—შუა.

დასაწყისი: ნოე, სემ, ქამ, იაფე (!).

ბოლო: 77 მეფე ვახტანგ; 78 მეფე გიორგი, ამის დროს განჰსქდა საქართულო სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ, ქრისტესა 1465 წელსა. უწყებულებულება ქარტისა ამის მკითხუშლთათჳს. ნოედამ ვიწყე ქარტა ესე. ხოლო, მკითხუშლნო, იუწყეთ ესრეთ, რომელ ყუთლის ფერთა არიან ქართლოსიანნი, მას ზედან მოშაოდ ყვითლითა—არშაკუნიანნი, მწუბანითა—ნებროთიანნი, ლურჯთა—ხოსროვიანნი, პირის ფერითა—ზაგარტოანნი. ხოლო ამათ შორის რომელნიცა მეფენი და მთავარნი არიან, მათ რიცხვი უსხედს და მისდევს, მით იგულისხმეთ და რომელთაც არ უსხედეს, ისინი ძენი და ძმანი მათნი არიან არა მეფენი და მთავარნი და ფოთლად წითელი თუ სხუა ფერი სამკუთხედი აბიათ, ისინი ცოლნი და ქალნი არიან. ქარტა ესე არს წარმომჩენელ ვიდრე 78 მეფისა გიორგისადმდე და მის დროს რა განჰსქდა სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ საქართულო ქრისტესა 1465 წელსა, მის შემდგომნი მეფენი თვისთა ისტორიათა შინა ჩამირდაეს ესე

სახელდევ, რომელიცა ვიმუშავე თავით ჩემით და არა სხვდამ გარ-
დმოღებით მე თავადმა მდივნის ეგნატის ძემ ნადვორნის სოვეტნი-
კმან დანვით თუმანოვმან ქრისტესა 1826 წელსა.

მინაწერი: ქმნილ არს ლექსი ესე მეფაჲსა თამარისთვის ანტონის-
მიერ არხიეპისკოპოსისა დავითიან პალკრატიონისა მეფის ძისა.

ამისსა ბროლსა ნათელსა აყიყი შუა ჰრეოდა;

აღსა ნათელსა ნაწებსა ბაგე შუშნებით რეოდა;

მისნი სიტუტრფე კეკლუტნი მნათობთა გარდარეოდა

და ვარდი ზამბახი წალკოტსა მის მიერ მისარეოდა (ფ. 63 r).

3. (ვახუშტის) უწყებულება მკითხველთათვის (ფ. 96—100).

დასაწყისი: უწყებულ იყავნ, რამეთუ ბრწყინვალის მეფის
გიორგის ცხოვრება და მის ქრწმოთა მეფეთა არღა რა მოიპოვე-
ბის, გარნა საგონებელ არს, რამეთუ ყოფილ არს ცხოვრება მი-
სიცა და სხუათაცა მეფეთა განყოფილებისადმდე . . .

დასასრული: რამეთუ მეფის განზრახუას ვჰგონებ ესრეთ,
ვითარცა აღუსწრეთ, ვინაითგან ნათესაობის ქორონიკონსა ჰსწო-
რესა ჰსწერს, გარნა შემწყობი ამისი შეცთომილ არს. ხოლო ჩუშნ
შესრულებისათვის ვმადლობთ ღმერთსა და შევესწირავთ ქებასა, პა-
ტიესა და დიდებასა დაუსაბამოსა ერთსა ღმერთსა, მამასა და ძე-
სა და სულსა წმიდასა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე,
ამინ.

4. აღწერა აწინდელისა ქართლისა საზღურით, მთით, მდინა-
რეებით და ადგილთა და მას შინა შენებულებათა (ფ. 101 r—176 r).

დასაწყისი: ვინაითგან სახელნი და აღშენებანი, ვისით
იქმნა, ქუშყანისა ამის, დავსწერენით, აწ ვიწყოთ თვთოეულთა წა-
რმოთქმად მთათა, ველთა და წყალთა . . .

დასასრული: ხოლო წელსა ქრისტესა 1745 ქართულსა-
433 იცხო მეფედ ცხებულობით თეიმურაზ ოკდომბერს 1 მცხეთას,
რომელსაცა ჰსცხო და აკურთხა გვირგვინოსნებით დისწულმან
ჯვსმან კათოლიკოს არხიეპისკოპოსმან მეფისძემან ანტონი დავი-
თიან ბაგრატიონმან თანვმა ყოფითა ქართლისა და კახეთისა ეპი-
სკოპოს წარჩინებულთათა.

5. [გენეალოგიური სქემა ქართლის მეფეთა მე-15 ს-ნის მეო-
რე ნახევრიდან ვიდრე გიორგი XIII-მდე, შედგენილი დავით თუ-
მანიშვილის მიერ 1826 წელს და ფერადებად შესრულებული მის
მიერვე], ფ. 175—176 შუა.

დასაწყისი: 78 მეფე გიორგი, ამის ღროს განჰსქდა საქა-
რთველო სამ სამეფოდ . . .

დასასრული: დავით მემკვდრე, იოანე, [იოანეს ძე] გრიგოლ, ბაგრატ [ბაგრატის ორი ვაჟი სახელ დაუსახელებლივ], თეიმურაზ.

უწყებულება მკითხველთათვის: შემდგომად განხეთქილებისა სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ დასჯდა საქართულოს ნაწილსა ზედა ქართლის მეფედ ძე გიორგისა 79 კოსტანტინე და ვიწყე მისგან ვიდრე უკანასკნელ მეფის გიორგისადმდე ქმნა ქარტისა ამის. ესრედ შეისწავედ, მკითხველნო, რომელთაც რიცხვ მისდევს, მეფენი არიან და რომელთაც არა აქვთ რიცხვი, ისინი ძმანი, ძენი არიან და რომელთაც ჯუბარი უსხედსთ, ისინი სამღვდლონი არიან. პირისფერით ქართველთ მეფედ ბაგრატოანნი არიან და აღისფერით—კახთ მეფედ ბაგრატოანნი ნაზარალი ხანიდამ და იისფრად ფოთოლნი ცოლნი და ქალნი არიან: ვქმენ ქარტა ესე თავადმა მდივნის ეგნატისძემ ნადგორნის სოვეტიკმა დავით თუშანოვიმან 1826 წელსა ქრისტესა. დავით.

შენიშვნა: ტაბულა შეიცავს ვახტანგ V-ისა და იესე მეფის რუსეთში მყოფ შთამომავალთა სახელებსაც ვიდრე XIX ს-ნის დასაწყისამდის.

6. აღწერა ჰერეთისა, კახეთისა და კუხეთისა, კვალად თუშეთისა და დიდოეთისა (ფ.176r—215 r).

დასაწყისი: ხოლო ქუშყანისა ამის სახელნი არიან სამნი: რამეთუ შერეთი ეწოდა თარგამოსის ძის ჰეროსის გამო, რომელსა ძმათა თუსთა შორის წილაჲ ჰხუდა ქუშყანა ესე . . .

დასასრული: მაშინ მოვიდა თეიმურაზ და დაჯდა ტფილისს ქრისტეს 1744, ქართულს 432, ხოლო ძე თეიმურაზისა ერეკლე დაჯდა კახეთს.

7. [გენეალოგიური სქემა კახეთის მთავრების და მეფეების მე-9 ს-ნის დასაწყისიდან ვიდრე გიორგი XII და მისი ოჯახის წევრებამდე, ფერადებით შესრულებული].

დასაწყისი: 1 გრიგორი მთავარი, 2 ვაჩე ქორიკოზი. 3 სამოელ ქორიკოზი . . . 76 მეფე ალექსანდრე, მცხეთის აღმშენებელი. 77 მეფე ვახტანგ, ძე მცხეთის აღმშენებლისა.

ბოლო: 15 მეფე გიორგი უკანასკნელი; დავით მემკვიდრე, ცოლი ამისი ელენე; იოანე, ცოლი ამისი ქეთევან, ძე გრიგოლ; ბაგრატ, ცოლი მისი ეკატერინა; [ერთი ძე უსახელოდ]; ელენე ცოლი თეიმურაზისა; მიხაილ, ჯიბრაილ, ილია, ოქროპირ, ირაკლი.

წარმოჩენა შერთა, კახთა მეპატრონეთა და მეფეთა უწინარეს და შემდგომთა.

ქსრელ იუწყეთ, მხილუმლნო ქარტისა ამის: მწვანენი ფერი-
თა არიან გრიგორი მთაფარი და შემდგომნი მისნი. ხოლო განჰს-
ქდა რა საქართუმლო სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ, ესე
გრიგორი განჰსდგა ქრისტესა 787 წელსა და იწოდა ქორიკოზად
ვიდრე 10 კვრიკე კახთ მეფემდის. ამის უწინარეს და ამის დროს
რომელნიცა იყუმნენ შერეთს მეფენი ბაგრატიონნი, მათნი ფერნი
არიან პირის ფერი. ხოლო ამან კვრიკე მეფემან გაიშვლა შერთა
მეფის ძე გაიკ და ამან გაიკმან ჰქმნა ერთ სამეფო (ჰერეთ-კა-
ხეთ-კუხეთი და იწოდა კახთ მეფედ. შემდგომად შეპყრობილ იქ-
მნა მეფე 14 მეფე აღსართან და მოჰსცეს დავით აღმაშენებელსა.
მიერ უამიღვან იქმნა ერთ მეფობა საქართუმლოსი. განსქდა რა სა-
ქართუმლო სამ სამეფოდ 78 გიორგი მეფის დროს, ძმა ამ გიორ-
გისა დიმიტრი იყო კახეთს და მოკჳდა(ა), არამედ დაუტევა მან
ძე დავით. იხილა დავითმან შეპყრობა ათაბაგისაგა(ნ) 78 გიორგი
მეფისა, ეკურთხა ბოდბეს დავით მეფედ ქრისტესა 1469. ამ და-
ვითილამ, რომელთაც რიცხვი მოსდევსთ აღისფერთა ანუ პირის
ფერთა ქართლის მეფეთაგანთა, მეფენი არიან და სხუანი ძენი,
ასულნი და ძის ძენი. ხოლო ფუსტულის ფერით არიან ხანნი,
რომელნიცა მართვდნენ კახეთს და ისფერნი, ფოთლად ქმნილნი,
არიან ცოლნი. ხოლო თეიმურაზ და არაკლი—ძე მისი—, ვინაიდ-
ვან პირველად ისხდნენ მეფედ კახეთს და ერეკლემ იმეფა, ეგრ(ე)თვე
გიორგიმ—ძემან მისმან, ამისთჳს აქაცა ცხად ვყავ და არა მოვჰსპე-
ვქმენ ქარტა ესე თავადმან ეგნატი მდივნის ძემ ნადვორნის სოვე-
ტნიკმან დავით თუმანოვმან ქრისტესა 1826 წელსა.

8. აღწერა აწინდელისა ოვსეთისა ანუ კავკასიათა შინათა (ფ. 215 r—222).

დასაწყისი: ქრესიანა ესე, რომელსა აღტსწერთ, წილხდო-
მილ არს კავკასოსი, ძისა თარგამოზისა. ხოლო მოვიდეს რა. ორ-
ნი ესე ძმანი ლეკან და კავკასოსი, ლეკანმან დაიპყრა წილი თჳსი
და გამოსლუასა ხაზართ მეფისასა...

ბოლო: და არიან მორჩილებასა შინა უფროს ჩერქეზთასა,
ეგრეთვე სხუანი ოსნიცა, გარნა დიგორი მცირეს რასმე ჰმორჩი-
ლებს რაჳის ერისთავს, ვინათგან უპყრავს მას რაჳა და არს დღეინ-
დელად დღემდე ესრეთ და შემდგომი უწყის ღმერთმან.

9. აღწერა საჩინოთა ადგილებთა სამცხე სპათაბაგოსთა (ფ. 223—250).

დასაწყისი: ხოლო ქრესიანისა ამის სახელი არს საკუთარი
ქართლი ამისთჳს, რამეთუ არს წილივე ქართლოსისა და მისგანვე

ევწოდა ქართლი და შემდგომად სიკუდილისა მისისა საქართულსო
ანუ საქართლო და იწოდების დღემდეცა ეგრეთვე...

ბოლო: შემდგომად მოვიდა ძლეული უსუფ ფაშა აწყუტის
და მოკუდა მუნ. ამისი მსმენელი ისაყ ფაშა დამძიმდა ფრიად,
გარნა ჰმართვიდა იგივე ქრესიანათა.

10. [გენეალოგიური სქემა მესხეთის მფლობელთა, ფერად-
ბად შესრულებული: ა) დაწყებული გვარამ კურაპალატისაგან ვიდ-
რე ბაგრატ აფხაზთა და ქართველთა მეფემდის, ბ) დაწყებული
იოანე მხარგრძელიდან ვიდრე უსუფ-ფაშამდის] ფ. 250 და 251
შუა.

ა) დასაწყისი: ვახტანგ გორგასლანის ასული, ცოლი გუ-
რამ ბაგრატიონისა, რომელნი მისცა მირდატმან. გურამ, ძე სოლო-
მონისა შეიღთა ძმათაგანი—ჩამამავლობა დავით წინასწარმეტ-
ყუშლისა, რომელსა მისცა მირდატმან და ცოლად და ტაო საერ
ისტოდ.

დასასრული: 44 ბაგრატ მეფე. ბირველად ქართლს გაა-
მეფა მამობილმან დავით კურაპალატმან, მერმე აფხაზეთს.

ბ) დასაწყისი: 1 იოანე ათაბაგი მხარგრძელი სამცხისა
და სხუათა. 2 ავაგ, ათაბაგი სამცხისა და სხუათა, ხოლო გარდა-
იცვალა რა ავაგ ათაბაგ და არა დაჰშთა ძე, გარნა ასული ხუარ-
შაგ, რომელი შეირთო სადუნმან და შუა ორნი ძენი—შალვა და
ზაქარია. ხოლო ცოლი ავაგისი გუანცა შეირთო 65 მეფემან დავით
და შემდგომად მიუბოძეს სპასალარობა სარგის ჯაყელს ციხე-
ჯუ(ა)რელსა და მერმე იწოდა ათაბაგობა. 3 სარგის ათაბაგი...

დასასრული: 27 ისაყ ფაშა, 28 ასლან ფაშა, 29 უსუფ ფაშა.

წარმოჩენა მკითხულთათვის. ხოლო ოდეს მოვიდა დავით
წინასწარმეტყუშლის გუარისა შვიდა ძმათაგანი გურამ, ძე სოლო-
მონისა, და დავისიდა მირდატს, ძესა ვახტანგ გორგასლანისასა,
და მან მისცა და თვისი ცოლად და ტაოს ერისთავობა, შემდგო-
მად სიკუდილისა მირდატისა და ძმისა მისისა ლეონისა და ძეთა
მათთა დაუმკვდრესთ სამკვდრებელი თვისი ძესა გურამისასა ბაგრატს.
ხოლო ბაგრატმან იწოდა მირდატოვანობა და ერისთავობდა. შე-
მდგომად სიკუდილისა ბაგრატიისა მოჰსცა კეისარმან ძესა ბაგრატი.
სასა გურამს მეფობა ქართლისა და კურატპალატობა ქრისტესა 586
წელსა. ამან იწოდა მამისა თვისისა სახელით ბაგრატოვანობა და ძენი
მისნი და ჰშთამომავლობანი ზოგნი ქართლსა ისხდნენ მეფეთ, ზოგ-
ნი სამცხე-კლარჯეთსა, ტაოს და სხუათა ადგილთა და სომეხთა
მეფეთა სამეფოთა ზედა და სხუანი ერისთავად და ერისთავთ ერ-
ისთავად. რომელნი ისხდნენ ქართლსა მეფენი ვინა მთავარნი, მათ

უსხედსთ რიცხვ და სხუათა სამცხესა გინა სხვათა ადგილთ შეფეთა, ერისთავთა არა უსხედს. ესე ყოველნი არიან პირის ფერითა. ბაგრატიონნი და შემდგომად დროსა თამარ მეფისასა ამან იონანეს უწოდა ათაბაგობა, ზაქარია ამირსპასალარისა ძმასა მხარგრძელსა. ვიდრე სარგის ჯაყელისადმდე იყუნენ მხარგრძელნი ათაბაგად, ესენი არაან ყვთლის ფერითა და მწუანითა არიან სარგის ათაბაგის ჯაყელი ციხე ჯუარელიდამ ჰშთამოსრულნი ვიდრე უსუფ: ფაშამდის. ათაბაგთ უსხედს იონანდამ რიცხვ ათაბაგთა ანუ ფაშათ მყოფთა, იგინი არიან ფაშანი და ათაბაგნი. ესრეთ იგულისხმეჲ მკითხველო. ხოლო ყუარყუარეს დროს სრულიად არღარა მორჩილ ექმნენ მეფეთა ქართლისათა და არღარა მორჩილ ექმნენ და დაიპყრეს საყმოდ თვსად ქრისტესა 1451 წელსა. ხოლო კუალად რა განიყუმს ქუწყანანი სულთან მურადმან და შაჰსეფა ყენმან, დაჰშთა სულთანსა სამცხე-საათაბაგო და იმერეთი ქრისტესა 1636 წელსა, უმეტეს განიმკვდრეს ათაბაგთა. ხოლო ოდეს იქმნა მახმედიან 21 ათაბაგი ბექა და უწოდეს საფარ ფაშა, შე(ე)რიათ მახმედიანობა და შემდგომად 23 ათაბაგისა როსტომისა იქმნეს სრულიად მახმედიან. იქმნა ქარტა ესე ხელითა თავადის ეგნატის ძის ნადვორნის სოვეტნიკ(ი)ს დავით თუმანოვისაგან ქრისტესა 1826.

11. აღწერა ეგრისის ქუწყანისა ანუ აფხაზეთისა ანუ იმერეთისა (ფ. 251—299 რ).

დასაწყისი: ქუწყანისა ამის სახელნი არიან საერთოდ სამი, პირველად ეგრისი, მეორედ აფხაზეთი, მესამედ იმერეთი...

ბოლო: ხოლო ლეონ მოადგა შროგას (!) ციხეს ძესა ზურაბისასა ზაალს, რათა არა იგიცა დაიპყრას იგიცა მეფემან. მცირეს ხანს მისცეს ლეონს და დაიპყრა იგი ლეონ, განუტევა ზაალ და წარვიდა ქართლს ზურაბ მამისა თვისისა თანა და იყოფოდნენ ნუნისს.

12. [გენალოგიური სქემა დას. საქართველოს მფლობელთა, დაწყებული აფხაზეთის მეფის ლეონისაგან ვიდრე იმერეთის მეფე სოლომონ II-მდის, შედგენილი დავით თუმანიშვილის მიერ 1826 წ. და შესრულებული ფერადებად მის მიერვე].

დასაწყისი: ლეონ; 1 ლეონ, მეფე აფხაზთა, 2 მეფე თეოდოსი...

დასასრული: 49 მეფე დავით, რომელსა პირველ ეწოდა—სოლომონ უკანასკნელი.

წარმოჩენა მკითხუპლთათვის აფხაზთა და იმერთა მეფეთა. დაიპყრა რა მკლავითა თვისითა 33 მეფემან ვახტანგ გორგასლან

ეგრის მდინარეს იქით და კვლად მისცა კეისარმან მზითუადვე-
 ვახტანგ გორგასლანსა და ეპყრათ ხოსროვიანთა ვიდრე 40 სტეფა-
 ნოს მთავარისადმდე ქრისტესა 600 წელსა. ამავე წელსა მიუღო-
 სტეფანოს მთავარსა კეისარმან ეგრის მდინარეს იქით და დასტა-
 ერისთავი თვს ცვალებითა და უწოდა აფხაზეთი. ხოლო მოსლტასა,
 მურტან ყრუსასა ქრისტესა 663 წელსა იყო ერისთავად ლეონ.
 ამან ლეონ ისტუმრა მეფენი მირ და არჩილ და მსახურებდა მე-
 ფებრ. შემდგომად უკუქცევისა მურტან ყრუსა კეისარმან მოჰსცა.
 ლეონს მკვდრად ერისთობა და გვრგინი და შემდგომად არჩილ-
 მეფემანცა მისცა ასული მირ მეფისა ცოლად და მორჩილებდა
 მეფეთა. მოკტდა ესე ლეონ, დაჯდა ძმისწული ამისივე ლეონ. ესე
 ლეონ იყო ხაზართა მეფის ასულის წული, რომლითა შემწვე(ო)ბი-
 თა უმეტეს განიმკვდრა საერისთვო, ვინაჲდგან ბერძენთაცა მოღე-
 ბოდათ ძალი. შემდგომად სიკუდილისა მთავართა 45 ჯტანშერ-
 და იოანესი განჰსდგა ესე ლეონ და მიიტაცა ლიხის მთილამ ვიდ-
 რე ზღუადმდე და იწოდა აფხაზთა მეფედ ქრისტესა 786 წელსა.
 და იყუნენ მეფენი ვიდრე მეფის თეოდოსადმდე. ხოლო დროსა
 ამას აფხაზთა ითხოვეს დავით მეფის კურატპალატისაგან, რომელ-
 სა ეპყრა ტაო და სომეხთა მეფეთა სამეფო. 53 მეფის გურგანის-ძე,
 მეფე ბაგრატ—შვლობილი თვთ დავით მეფისა, რომელიცა მოსცა
 და აკურთხეს მეფედ აფხაზთა ქრისტესსა 985 წელსა და იყუნენ
 მეფენი ერთ მეფობითა ბაგრატოანნი ვიდრე ლაშას ძის დავითი-
 სა და რუსუდანის ძის ნარინ დავითისადმდე. და შემდგომად
 ამათ განიყუტეს ორ სამეფოდ ქრისტესსა 1259 წელსა. დაჰმთა ნა-
 რინ დავითს ლიხის მთის იქით ზღუადმდე და მან მოსპო სახე-
 ლი აფხაზთა მეფობისა და იწოდა იმერთა მეფედ. ხოლო ამა ნა-
 რინ დავითილამ ვიდრე უკანასკნელ არჩილის ძის მეფის სოლო-
 მონაჰდის ისხდნენ მეფენი, ერისთავნი, ბაგრატოანნი, ეგრეთვე
 ქართლის მეფენი და ძენი, ესენი არიან პირის ფერნი და შერეულ-
 ნი არიან ლურჯნი და აფხაზთა მეფენი არიან მწუხანენი. ლეონ
 აფხაზთა მეფილამ ვიდრე უკანასკნელ მეფის სოლომონისადმდე
 რაოდენნ მეფენი ანუ ერისთავნი ყოფილან, ყოველთავე რიცხვ
 უსხედს და რომელთაც არ უსხდეს, ისინი არ არიან. ესრეთ გუ-
 ლისხმა ჰყავ, მკითხველო და მხილველო ქარტისა ამის. იქმნა ქარ-
 ტა ესე ჯელითა თავადის მდივნის ეგნატის ძის ნადვორნის სოვე-
 ტნიკის დავით თუმანოვისაგან ქრისტესსა 1826 წელსა ტფილისს.

13. [საკათალიკოზო სამწყსო სამცხე-საათაბაგოს], გადაწერი-
 ლი დავით თუმანიშვილის მიერ 1813 წ., ფ. 299 v.

ა) თავადების სია მონასტრებიტურთ;

დასაწყისი: არის ბატონის კათალიკოზისა ზემოქართლს, რომელ არს სამცხე საათაბაგო, სამწყსო თავადნი და სოფელნი. კავკასიძე მისის მამულითა; პარხალი მისითა შესავლითა და აზნაურ-შვილებითა საყმოდ. სამწყსოდ სამძივარი მისითა სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა...

დასასრული: თუხარელნი სასაფლაოთა მონასტრითა და კარის ეკლესიითა; მონასტერი ოშკი მისითა შესავლითა; დიდი და პატიოსანი ვარძიის მონასტერი მისითა შესავლითა უნაკლულოდ.

ბ) ეპისკოპოსების სია.

დასაწყისი: მაწყუტრელი გვრგვან—ბისონიანი არის, ამისი სამწყსო ყვიბის კორტნეთის შუა რომ წყარო ჰსდის, იმას ზევით ჯეობა და სადგერი, სულ აწყუტრი, დიასამიძის სახლი, ახალციხე და ახალციხის წყლის გაღმართი და გური(ი)ს წადგომამდის...

დასასრული: 12. ბანელის სამწყსო—სულა ბანი, ტაოს—კარი, ფანასკერტი, პარიზის (!) ჯეობა, სულა ოლთისი, ნამურაკიანი. 13. დადაშნელის სამწყსო—სულა კოლა და ხორცევენი ყარასალზედ მიდგამდნი. ამ ეპისკოპოსთ მაკურთხეველი და უფროსი ქართლის კათალიკოზია. ამის ჯელთ არის ყუტლა.

ანდერძი: ეს ზემო წერილი ამ ქართლის ცხოვრებაში არ იყო, მე ერთ ადგილს ვპოვე და გარდმოვსწერ—ჰშ.აუმატე ამ ქართლის ცხოვრებას მე, ეგნატი მდივნის ძემ, თავადმა კოლლეჟსკის სეკრატარმა დავით თუმანისშვილმან, წელსა ქრისტესა 1813, ხოლო ქართულსა ქრონიკონსა : ფა : იანუარის 10 დღესა

14 [ვახუშტის მიერ შედგენილი ქრონიკა] (ფ.300—311 r).

დასაწყისი: ქორონიკონები, ჩუტნი მიერ პოვნილნი წიგნებთა შინა, და სახელნი წიგნებთა მათ არიან ესენი: იმერული ძველი გარიგების წიგნი...

დასასრული: (1753 წ. ქართულსა 441) მეფე სოლომონ ჯანაძეს იმერთა, მან ფაშა ჩამოიყვანა და დაიპყრა კჳალად იმერეთი.

15. [სამცხე—სათაბაგოს ეპისკოპოსების სამწყსო, გადაწერილი დავით თუმანიშვილის მიერ 1820 წელს], ფ. 311 r.

დასაწყისი: მაწყუ(ე)რელი უფროსი და ბისონიანი; ამის სამწყსო ყუბის(ს)ა, კორტანეთს შუა რომ წყარო ჰსდის, იმას ზევით, საავალიშვილო, სადგერი, სულ აწყვერი, დიასამიძის სახლი, ახალციხე და ახალციხის წყალს გაღმართ გურიის წადგომამდინ.

დასასრული: დანდალოს ქვემოთი აქარა ქუთათლის სამწყსო ყოფილა.

ანდერძი: ესეც მე ვიპოვე და მას შეუმატე. თუმცა თჳს ადგილს არ არის შთაწერილი, გარნა დაუქარგველოპისათვის ვქმენ ესე, ამისთვის ნუ დამგმობთ.

თავად დავით იგნატის-ძე თუმანოვი თევსა თებერვალსა 25-სა 1820-სა წელსა ტფილის.

16. [ვახუშტის მიერ შედგენილი სინქრონული ტაბულა, უძველესი დროიდან XVIII ს-ნის შუამდის] ფ. 311 v—320 r.

ტაბულაში ჩამოთვლილი არიან: „მეფენი ჰრომისანი (წელი), პაპანი ჰრომისანი (წელი), მეფენი კოსტანტინეპოლისანი (წელი), მეფენი ლიშპანიისანი (წელი), მეფენი ლალიისა ანუ ჭრანცუცისანი (წელი), მეფენი ვირტანიისანი (წელი), მეფენი დანიისანი (წელი), მეფენი შვეთისანი, მეფენი პოლონიისანი (წელი), მეფენი ბოლემიისანი (წელი), მეფენი ვენგრიისანი (წელი), მეფენი რუსისანი (წელი), მეფენი პორტოლალისანი (წელი), მეფენი პრუსისანი (წელი), მეფენი სპარსისანი (წელი), მეფენი საქართველოსანი, ქართლის კათალიკოსნი.

17. [აღმოსავლეთ საქართველოს სოფლების სია, შედგენილი ვახუშტის მიერ], ფ. 320v—325 r; ფ. 325 r დაწერილია დავით თუმანიშვილის მიერ.

დასაწყისი: სომხითის სოფლები ქრისტიანეთა და თათრის ობა: ალაღაჯში ობა 20.

1) ხოჯორნის ევეობა ხოჯორნა 1; 2) ბელი ქაშენი 2.

ბოლო: (ენისელის სოფლები) 12) კოსოროი, 13) ჯინიხი, 14) ბაზარი, 15) მოსაბრუნე, 16) ფადარი ობე.

18. შემოკლებული ისტორია მეფის თეიმურაზისა და ძისა მისა მეფის ირაკლისა [შედგენილი დავით თუმანიშვილის მიერ] ფ. 327—349 v.

დასაწყისი: ხოლო ოდეს უბოძა შაჰნადირ მეფობა ქართლისა თეიმურაზს და ძესა მისსა ირაკლის მეფობა კახეთისა, მაშინ წარვიდა ირაკლი კახეთს და დაჰსჯდა ტახტსა კახთა მეფეთასა.

დასასრული: და დასრულდა მეფობა საქართველოსა და კახთა მას ზედა (მეფე გიორგიზედ), ხოლო გარდაცვალება მისი იყო ქალაქს ტფილისის დეკემბრის 28-ს დღესა ქრისტესა 1800 წელსა, რომელიც დაფლეს დიდისა დიდებითა და ხელმწიფურობითა რუსთა სამარხოსა ქართველთა მეფეთასა მცხეთას.

[სია ქალაქების და ქვეყნებისა, შედგენილი დავით თუმანიშვილის მიერ], ფ. 354 r.

დასაწყისი: პერსაპოლი, სუზან ქალაქი, ირკანია, ეკვატანი...

ბოლო: ჩინეთი, ბალდადი, რუსეთი, არეზი, იალბუზი.

19. ქალაქნი საქართველოსანი უწინარეს განყოფილებისა და შემდგომად განყოფილებისა სამ სამეფოდ, ამა დრომდის ვითარ.

ისაჯელებოდნენ და ანუ აწვითარ ისაჯელებიან, ანუ ვისგან აღშენებულან, ანუ რომელსა წელსა და ოდეს მოოხრებულან, შენნი და ცალიერნი, გინა თუ დაბად ქმნილნი, ანუ სრულიად მოოხრებულნი, ანბანსა ზედან აღწერილ არიან ადვილპოვნისათვის [შედგენილი დავით თუმანიშვილის მიერ], ფ. 355 r—368 r.

დასაწყისი: არქევანი ქალაქი მცირე, რომელსა პირველ ეწოდა ქაოზიანი, ესე არს აღშენებული ქართლოსისაგან...

დასასრული: ხონი. პირტშლ იყო ქალაქი, რომელიცა აღშენა 2 მეფემან თეოდოსი აფხაზთამან ქრისტესა 819 წელსა ნარინ დავითისადმდე. მერმე მოოხრდა. ხოლო ოდეს იყო ქალაქი, მაშინ იყვნენ მას შინა მოსახლენი დედშემძლენი და ჩინებულნი, ვითარცა იყო თამარ მეფას დროს მდივანი მიიწვე მეფისა თამარისა მოსე ხონელი. და იქმნა შემდგომად დაბა და აწკა არს დაბა დიდი ვითარცა ქალაქი და იციან ბაზრობა მას შინა მის მაზრათა შინა მდგომარეთა და ვაჭრობა, რომელსა უწოდებენ პარასკეობასა. ესე არს ფოკას ჭევს ზევით. არს აქვე ეკლესია დიდი გუმბეთიანი, შუშნიერ ნაგები, ჰხის ეპისკოპოსი და შწყემსი ვაკისა. ესე იყო ერთობასა შინა ქართლის მთავარეპისკოპოსისა.

20. ციხენი საქართველოსანი უწინარეს განყოფილების და შემდგომად განყოფილებისა სამ საშეფოდ, შენნი და უშენნი, აღწერილ არს ანბანსა ზედა მხოლოდ სახელნი ციხეთანი თუ ვისგან აღშენდნენ, აქა არა არს მოხსენებულ და უკეთუ გენებოს, მკითხტშლო, ცნობა, განიხილე ვრცელი ისტორია ქართლისა და მაშინ ჰსცნობ. [შედგენილია დავით თუმანიშვილის მიერ]. ფ. 359 v—371 r.]

დასაწყისი: 1 აზეულას ციხე, 2 არმაზის ციხე, 3 ალის ციხე, 4 ალფის ციხე, 5 არშის ციხე...

დასასრული: 185 ჯარიხეთის ციხე, 186 ჯუარის ციხე, 187 ჯინის ციხე, 188 ჯეჯაოს ციხე. ესენი დაჰშთენენ თვსა ადგილთა და აქ მოუწერე: 189 სარბიელის ციხე, 190 ტრაწაყალის ციხე, 191 ორბეთის ციხე, 192 კვეტერის ციხე, 194 აწყურის ციხე.

თუმცა არიან სხვანიცა ციხენი მარაველნი, უსახელობის გამო დამჰშთენენ რომელნიმე და რომელნიმე იქმნება (!) შემცდა, რომელ აქვერ მოვიხსენე. უკეთუ გწადდესთ, აღწერასა შინა იძიეთ და ვგრეთვე ზემოხსენებულთა ციხეთა აღშენება, თუ ვისგან აღშენებულან, მუნ ჰსცნობთ. დავით თუმანოვი.

31 მდინარენი უდიდესნი, რომელნიმე უწინარეს განყოფილებისა საქრთუშლოსა არიან ანუ რომელთა ჰქონან თევზნი ანუ სა-

ხელნი, რით ეწოდათ, აქავე მოიხსენებინ და ეს მდინარენი ანბანსა ზედან წერილან [შედგენილი დავით თუმანიშვილის მიერ], ფ. 371 v—375 v.

დასაწყისი: 1 ალგეთი მდინარე, გამოჰსდის კლდეკარსა და მოდის აღმოსავლეთად, გარნა არა უწყებულ არს, რაჟსათჳს ეწოდა სახელი ესე.

2. არაგვ მდინარე, ესე გამოჰსდის მალრან-დვალეთს, ქნოლოს კავკასსა და ცისკარის კავკასიდან...

ბოლო: ხინოს წყალი გამოსდის რაქს (!) გურიის მთასა, მოდის აღმოსავლეთს—სამხრეთს შუადამ, ჩრდილო დასავლეთს შუა ლეხურის ციხემდე, მერმე ჰსდის აღმოსავლიდამ დასავლეთად, მიერთვის შავ ზღუასა აღმოსავლეთიდამ.

22. ხოლო რაოდენნი ტბანი არიან დიდი და მცირენი, თეჯიანნი და უთევზონნი [შედგენილი დავით თუმანიშვილის მიერ], ფ. 374v—375 r.

დასაწყისი: 1 აბოცის დაბის ტბა, მცირე ახალქალაქის წყალი გამოჰდის უთევზო.

2. ბარეთის ტბა, უთევზო, გარემოს მისა დაბნები ლაკვს მთამდე...

ბოლო: 16 ნარიანის ტბა, თამარ მეფისაგან გაკეთებული მცირე.

17. ერწის ტბა არა დიდი, რომელსა მდინარე ყვრილა გამოსდის თევზიანი და სასახლეცა აქა თამარ მეფისი.

23. [საქართველოს მეფენი და კათალიკოსნი თვისი ქრონოლოგიით, სახელდობრ მეფენი საქართველოსი, მეფენი ქართლისა, კახეთისა, აფხაზეთ-იმერეთისნი საქართველოს ეკლესიის მმართველნი, სია [შედგენილია დავით თუმანიშვილის მიერ], ფ. 375v—378 r.

დასაწყისი:	1	ფარნაეზი დასაბამითგან გამეფდნენ	3647
	2	საურმაგ	3712
	3	მურუანოს	3787
	4	ფარნაჯომ	3787

დასასრული:	54	ანტონი მეფის იესეს-ძე	1744
	55	ანტონი 2	1788
		ანტონი წავიდა რუსეთს	1810

ექსარხოსნი, სინოდისაგან დადგინებულნი:

1	ვარლამ	1811
	კანტორა ვახსნეს	1815

23 წესი და განგება კურთხევისათვის მეფისა, დროსა მას თუ ვითარ დასხდნენ მღუღელთ მთავარნი სრულიად საქართველოსნი (ფ. 279 r—379v).

დასაწყისი: 1. (მარჯუნივ) მობრძანდეს კათალიკოსი საქართველოსა და დაჰსჯდეს მეფისა ტახტსა ზედა მოკიდებით ნატიითა და ბალიშითა.

2. (მარცხნივ) მობრძანდეს კათალიკოზი აფხაზეთისა და დაჰსჯდეს ნატიითა და ბალიშითა.

3. შემოვიდეს დიდის სომხითის მიტრაპოლიტი და დაჰსჯდეს კათალიკოსის ქვემოთ ნატიითა და ბალიშითა.

დასასრული: 12 შემოვიდეს გიშელი და დაჯდეს და სხუანი ყოველთა მონასტერთა მოძღვარნი და წინამძღვარნი მათითა წესითა დასხდნენ და იქმნეს წესი თეატრისა გამოჩინებითა სამსა უკუც დღესა.

25. (უცხო ხელმწიფეთა სიები: რუსეთის მთავრების, მეფეების და იმპერატორების, სპარსთა მეფეებისა, სალჩუკიანელ თურქთა, სპარსეთის ილხანებისა, ლანგთემურის გვარისა, სეფიანნი და მათნი გამგრძელბელნი, რომის და შემდეგ საბერძნეთის კეისარნი. ოსმალეთის სულთანები, სომხეთის მართველნი და მეფეები. სიები შედგენილია დავით თუმანიშვილის მიერ. ფ. 379—387 v

დასაწყისი: ა) როსიის კნიაზნი, მეფენი და იმპერატორნი [შედგენილი დავით თუმანიშვილის მიერ].

კნიაზნი

1. რიურიკ ქრისტესსა	862
2. ოლლა "	879
3. რიურიკ 2 "	913
4. ოლლა 2 945 და სხვა.	

ბოლო: 174 კოსტანტინე, მამით ლათინი და დედით სომეხი, ქრისტეს აქათ 1342

175 გვიტონ " 1343

176 კოსტანტინე ტომით ლათინი და დედით ჰაოსიანი " 1345

177 ლეონ 6, მამისაგან ლათინისა და დედისაგან სომეხი " 1365

სიკვდილი ლეონისა და აღწყვეტა სომეხთა 1393.

კ რ ე ბ უ ლ ი

99 ფ.; 15×10 ს; ქალაღი; ხის ყდა; ბოლონაკლული; ნუსხური (სათურები სინგურით). XVI ს-ნის (ბელის მიხედვით); თავი შევსებულია XVIII ს-ნეში მარკოზ ჩაჩანიძის მიერ; შემოსულია ბერშუეთის გკლესიდან.

1. განგებამ წყალის კურთხევისაჲ, რომელ არს აიაზმაჲ (1r—12r).
დასაწყისი: მოიღონ ემბაზი, გინა ფეშხუმი ანუ სხუჲ რაჲმე წმიდაჲ ჭურჭელი. შინა შთაას(ხას) წყალი, დაასუწ(ონ) ძელი ცხორებისა, ჯუარი პატროსანი ფეშხუმსა ზედა ნერგთა თანა შროშნისათა...

ბოლო: გიხაროდენ, მაცვალო შეუწველო; გიხაროდენ, მთაო; გიხაროდენ, ვენახო; გიხაროდენ, ტრაპეზო საღთოო; გიხაროდენ, ბჭეო ღთისაო და ყოველთა შეწვენაო უხრწნელო, უბიწოო, უვნებლად დაიცევ სამწყსო შენი, შეგვიწყალენ ჩუწნ, ღმერთო, სრულიად.

2. სჯულის კანონი იოანე მმარხველისაჲ (14r—54 r).

დასაწყისი: მოიდრიკენს მუჯლნი მონანულმან და ჰრქუას მოძღვარსა თვისა ცრემლით და სულთქმით. აღგიარებ, მეუფეო ჩემო, ცოდვათა და ბრალთა ჩემთა წინაშე შენსა.

ბოლო: აწ უკუტ ვსენებულნი რომელნიმე ვსენებულ ხართ აღწერილნი სჯულის კანონსა შინა და რომელნიმე უწერელნი ცოდვანი და თუ ვერ განწესებულ არს პირველთა მამათაგან თვთულისა ცოდვისა კანონი, ესერა აღმიწერიეს მე გლახაკსა და უღირსსა ამას, ამინ.

3. გამოკრებილი საუფლო სადღესასწაულო სახარება სამოციქულონი (55r—99v).

დასაწყისი: სახელითა ღთისათა, იწყებიან თორმეტი საუფლო სახარება და სამოციქულო გამოკრებულნი—თუქსა მარტსა: ქე წმიდისაჲ ღთის მშობლისა ხარებაჲ, ფსალმუნი: იხარებდით დღითი დღე, ადიდებს სული ჩემი უფალსა. დასადები, რაზეთუ მოხედნა სიმდაბლ(ით), ებრაელთა მიმართ ებისტოლე პავლესი საკითხავი: ძმანო, განმწმედელი იგი და განწმედილნი იგი ერთისაგან არნ ყოველნი.

წყდები: შრომითა და რუდუნებითა და მღვდარებითა მრავალ გზის შიმშილითა და წყურვილითა და მარხვითა, მრავალგზის ყინელითა...

შენიშვნა: ეს მესამე ნაწილი ბოლო ნაკლულია.

შინაწერები: 1. ღმერთო, კარგარეთელსა უშველვე, ფ. 20 v.

2. ქ. ღმერთო, შეუნდევ შეჭირვებულსა ზერეკიძესა პავლეს (ფ. 62 v—63 r,

ანდერძი: მე გლახაკმან სულითა მარკოზ ჩაჩანიძემან დავწერე წმიდანი ესე აიხზა სულთა განმანათლებელი. ცოდვილი, საწყალი შენდობით მომიხსენეთ ღმრთისათვის სიყუარულისა, ვინცა მომიცხნეთ, უფალმან კეთილი საუკუნოს მოგავოს). ანინ, (12).

35

გამოკრებილი საღმრთოწერილები

141 ფ; 23,2×17; ეტრატე; უყდო, თავ-ბოლო, ნაკლული; ნუსხური (სათაურები სინგურით). XIII ს-ნისა (ხელის მიხედვით); შემოსულია ვარიანის გელესიიდან.

იწყება: და ევედრებთან ყოველთა მაცხოვარს ქრისტესა და მარადის მეოხ არიან ცხოვრებისათვის სულთა ჩუენთადასა: სხუანნი: :ა: გუერდი (გი)ხაროდენნი. შეიჭურნეს ბრძოლად ლუაწლსა მას უხილაეთა... (ფ. 2 r).

წყდება: პეტრე დაუტევა თევზობად და პავლე წინააღმდეგომად და ორნივე ესე შეიჭურნეს წინააღმდეგომად ჯუართთა მტერსა. უკეთურსა პეტრე ნათელმან სულისამან და პავლე მცხინვარებამან ქრისტეს მეუფისამან ზეშთა ყენა კაცთა ბუნებისა და დაუდნობელად განაახლა. პეტრე სიონს შინა გაბრწყინდა მადლითა ნუგეშინის მცემლისადათა, ქადაგა მაცხოვარი ქრისტე ჯუარცმული ერსა შორის ჯუარის მცემელთადასა...

შინაწერები: 1) ქრისტე, მოიხსენე ზეჩიკ, მისი ცოლი ეფფენი და ვარჯარი, მერმე იაკობი, მისი ცოლი მართ(ა) და მერმე ისპირი, მის(ი) ცოლი ცდო და მერმე ახალანა, მისი ცოლითუ(რ)თ, მეომე აშოა და მერმე ოვანა და მერმე მანელა და მერმე აგისა, ამის მწერ(ა)ეს შეუდნეს ღმერთ ილო ყ... ულსა ორდნა... წერ... ღმერთო (XVI ს-ნის მდარე და გაურჩეველი ნუსხურით, ფ. 9 v).

2. ღმერთო, აცხოვნე საბრალო მიქელ, წმიდაო გიორგი, გიორგი (ფ. 66 v; XII ს-ნის ნუსხურით).

36

კ უ რ თ ხ ე ჯ ა ნ ი

150 ფ.; 21×16; ქალაღი; უყდო, თავ-ბოლო ნაკლული; XVII ს-ნისა (ხელის მიხედვით). შემოსულია ქართლის ერთერთ ეკლესიიდან 1924 წ.

იწყება: კეთილად შეერთებითა უფლისადათა. შენ გუაცხოვნენ, ყოვლად წმიდისა. მღუდელმან: რამეთუ შეენის შენდა ყოველი (დიდება). დიაკონმან: უფლისა მამართ. (მღუდელმან:) ღმერთო საუკუნეთაო, რომელი განყოფილთა შეკრებ ერთად...

წყდება: და ესრეთ მეცა ზიარებად მისგან გულსმოდგი-
ნე ვარ, ვითარცა ჭეშმარიტებით ჯორცისა და სისხლისა მისისაჲ
და განსაწმენდელად ცხოვრებისა საუკუნესა დამკვიდრებად სასუ-
ფეველსა ცათასა განყოფილისა მათთვის, რომელნი.

37

ვნეზისა და ალდგომის კვირიაკების საკითხავები

10 ფ.; 15×10,7; ქალღმერთი; უყდო; თავბოლო ნაკლული. ნუსხუ-
რი (სათაურები სინგურით); XVII-ს. (ხელის მიხედვით); შემოსული ქართ-
ლის ერთ-ერთ ეკლესიიდან.

იწყება: მსახურებად ღმრთისაჲ. ცხოველისა. სახარებაჲ
ლუკასი. მას ეამსა შინა შეკრბეს მოხუცებულნი ერისანი, მღღელთ
მოდღუარნი და მწიგნობარნი და აღიყვანეს საკრებულოსა მათსა...

წყდება: აღდგომისა უფლისა ჩუწნისა იესუს ქრისტეისა.
ფსალმუნი: ესე არს ღღე, რომელი ქმნა უფალმან.

38

მ ა რ ხ ვ ა ნ ი

504 ფ.; 26,5×19,5; ქალღმერთი; უყდო; დაშლილი; ნუსხური (სათაურ-
ები სინგურით); XIV—XV ს-ნისა (ხელის მიხედვით); შემოსულია გორიჯვრის
ეკლესიიდან 1924 წ.

იწყება: მღუდელთმოდღუარნი, მეფენი და მთავარნი მონა-
ზონნი და მოწესენი და ყოველი ჰასაკი ერის კაცთაჲ, ჩჩვლთა და
ქაბუკთა და დააწესენ იგი ზეცათა შენსა სასუფეველსა. მოვედით
მოვიქცეთ, # ცოდვილნი, რამეთუ მოგუძლის ჩუწნ მდინარე იგი
ცეცხლისა უშრეტისაჲ.

წყდება: ...რომელი გამოზრდი ყოველთა, გვედრები, მად-
ლითა შენითა განმაძღე და უოხჰნოდასა მის ტაბლისა შენისა...

39

ქ ა ლ ვ ა უ ნ ი ა ნ ი

6 ფ.; 25,3×20,2; ქალღმერთი; უყდო; თავ-ბოლო ნაკლული; მხედრუ-
ლად XIX ს-ნის I ნახევრისა (ხელის მიხედვით); შემოსულია გორისჯვრის
ეკლესიიდან.

იწყება: ..ნებული წიგნების უნდა მიუჭანო და ის ჳემ-
წიფე დიახ დიდს წყალობას მიბოძებსო და აწ შენ წაიღე ეს წიგ-
ნებიო და რაც რომ წყალობა მოსაცემელად უნდა, იმას შენ მოგ-

ცემსო. გამოართო წიგნები ამ ვაჟმა და მაღლი გარდაუხადა-
გაიყარნენ და წარვიდა ვაჟი გზასა და მოაგონდა თავისი დედმამა-
დიან ბევრი იტირა და იმ ტირილში და დალაღვაში ძილ(ი) მოუი-
და და ცხენმა გზა დაკარგა და ვაჟს გამოეღვიძა, დიან მწყურვა-
ლი იყო თითონა და ცხენიცა.

წყდება: ქალმა შეიტყო, რომ თავისი ნაქმარი საქმე იყო.
ვერ უთხრა და მერმე ეს უთხრა: ეგ ძნელი სიტყვა არისო, მე მა-
გის ჯულაბს ვერ მოგცემო და ითხოვე ჩემგან საჩუქარი, რაც
გინდოდესო. ვაჟმა უთხრა: არა მინდა რა შენს მეტი, შენ ჩემი-
ხარ, მე შენი ვარო და მოიწონეს ყოველთა დარბაისელთა და-
აქორწილეს ვაჟი და ქალი. ჯემწიფემ...

40

სულიერნი სწავლანი თედორე აღმსარებლისა

69 ფ.; 25,5×19,2; ქალაღი; უყდო; ნაკლული; დაშლილი; ნუსხუ-
რი (სათურები სინგურით); XVI ს-ნისა (ხელის მიხედვით); შემოსულია-
1924 წ. გორიჯვრის ეკლესიიდან.

იწყება: სწავლანი სულიერნი წმიდისა და ნეტარისა მამისა
ჩუპნისანი თეოდორე აღმსარებლისა სტოდიელთა წინამძღურისანი
თვსთა მოწაფეთა მიმართ ყუპლიერისა კვრიაკეთაგან ვიდრე დი-
დად ოთხშაბათამდე, რომელნი წარიკითხვან დიდთა მარხუათა შე-
მდგომად სერობისა ლოცვსა და ისმენენ ყოველნი ძმანი ზედგო-
მით მღუმრიად ყოვლითა ლმობიერებითა, გვაკურთხენ, მამაო.

ძმანო და მამანო, სახიერი ღმერთი ჩუენი, რომელი მომ-
ცემს ჩუენ ცხორებასა და წლითი წლად მომიყუანებს ჩუპნ ჟამ-
სა ამას მარხვასა კაცთმოყუარებით...

წყდება: ჭამეთუ მცირედ უწინარეს ათნი ერთბამად მოი-
ხუნეს აქაჲ წყლითაჲ მოშთობილნი და კუალად ორნი განვიდეს
ერთბამად და ესრეთ, ხოლო საფლავთა დაუტეობენ და სახლთაჲ
ობოლთაჲ და ოჯერთა საქმეთაგან და ჩუპნმცა დავადგერით აქა
საუკუნოდ ნუ იყოფინ...

მინაწერი: ქ. წმინდის გიორგის გორიჯვრისაის მც(ი)რის. აშ(ა)ს ვინც გა-
მოახვას, იმის ეკლესიას (ფ. 1 r XVII ს-ნის მდარე მხედრულით).

41

აჯულის კანონი VI კრებისა და იოანე მხარხველისა

255 ფ.; 15,2×10,3; ქალაღი; უკანა ყდა ხის, წი ნა არ არის; ნუს-
ხური (სათაურები სინგურით); ფ. 255 v ცარიელია; XVII ს-ნის (ხელის
მიხედვით); შემოსული ივ. ანტ. კაპანაძისაგან (სოფ. ქვ. ნიჭოზი).

1. რჩულის კანონნი, ახლად თარგმნილნი წმინდისა მამისა ჩუშნისა ევთიმისა, (ფ. 1-177 r).

დასაწყისი: წესი და განგებად და რჩულის კანონნი მეექვსისა კრებისა ასსამეოცდარვათა წმიდათა მამათა, რომელნი შეკრბეს კოსტანტინესპოვლესა ახალსა ჰრომსა.

დასასრული: და ფრიადითა არზანგითა წარგზავნნა საყდართა სადიდებულად მამისა და ძისა და სულისა წმინდისა, რომლისა არს დიდებაჲ და პატივი, სიმტკიცე აწ და მარადის და უკუნიითი უკუნისამდე, ამინ.

2. კანონი შეცოდებულთანი, აღწერილნი ნეტარისა მამისა ჩუშნისა იოანეს მიერ კოსტანტინესპოვლელ მთავარეპისკოპოსისა, რომელსა ეწოდა მმარხველ (ფ. 78 r—202 r).

დასაწყისი: უწყებულ იყვნით, ვითარმედ ესე ნეტარი იოანე მმარხველი უკანასკნელ იყო ყოველთა მათ, რომელთა რჩულის კანონისა წესი დაწერნეს და მეექვსისა კრებისა შემდგომად იყო მრავალთა ჟამითა კეთილი მღუდელთ მოძღუარი და საესე სულითა წმიდითა...

დასასრული: რომელსა ყოველთა კაცთა ჰნებაეს ცხორებაჲ და მეცნიერებისა ქეშმარიტებისასა მოსვლაჲ და მისსა შუშნის ყოველივე დიდებისა შეწირვაჲ, პატივი, თაყვანისცემაჲ მამისა ძით და სულით წმიდითურთ აწდა მარადის და უკუნიითი უკუნისამდე, ამინ.

3. კანონნი შეცოდებულთანი, განწესებულნი ნეტარისა მამისა ჩუშნისა იოანე მმარხველისა მიერ კოსტანტინესპოვლელ პატრიარქისაჲ (ფ. 204r—238r).

დასაწყისი: უკეთუ ვისმე შეემთხვნენ ბუნებითი ცოდვანი, ესე იგი არს სიძვანი დედათა თანა, გინაჲ თუ ქურიეთა, ანუ მგვეალთა, ანუ მეძავთა წესითა მით ბუნებითისა ცოდვისათა და დაეყოვნოს საქმესა მას შინა ცოდვისასა მრავალ ჟამ და მერმე მოვიდეს სინანულად...

დასასრული: უბრალოჲ ყავ თაჲი შენი, მ წინამძღუარო, და განარინე და აცხოვნე სული შენი მადლითა ღმრთისაჲთა, მათ თუთ მისცენ სიტყუაჲ შენ წილ შემოქმედსა, რომლისა არს დიდებაჲ უკუნიითი უკუნისამდე, ამინ.

4. წესი, რომელი აღესრულებს აღმსარებელსა ზედა თვსთა ცოდვათათჳს (ფ. 238 r—247 v).

დასაწყისი: პირველად შეიყვანოს იგი მღუდელმან ეკლესიად და დაჰკრძალნეს კარნი და დაადგინოს წინაშე წმიდისა საკურთხებელისა...

დასასრული: რამეთუ ნაღობი მსალისა საქამადთაგან მაგრა განკრძალვად ჯერ არს პოხიერთა და მჭურვალეთა ჭამად-თად. თუ გუამისგან გამოვიდეს, :ი: დღე უზიარებელ იყოს. რომელმან დობილსა თანა იქორწინოს, ნულარა მღუდელობს.

5. უწყებად აღსარებისათჳს (ფ. 248—255 r).

დასაწყისი: მომყვანებელ იქმნების სულისა იგი მამად მათი, რომელთაცა რომლისა ერთბამად ჯერ უჩნდეს აღსარებად ცოდვისა, ოდეს ანუ მრავალთა წინაშე ხატისა უფლისაჲ ჩუენისასა იესუს ქრისტესა. თავანდილსა, და იწყების პირველად: წმიდაო ღმერთო...

დასასრული: და შემდგომად განჯსნისა დასახავს მღუდელ-ღო ჯუარსა მონაწილსა მას და იტყვს ღირს არსსა და ჭემმარი-ტისა, დიდებამ: აწდაჲ და ჩამოილოცავს: და ვითარ ჯერ არს და უწყებულ არს სჯულის კანონისაგან, ეგრეთ დასდებს კანონსა.

42

ზ. ანტონოვის კოხელია—განა ბიიამ ცოლი ზვირთო?

26 ფ.; 35×22; ქალაღი; უყდო: მხედრული; XIX ს-ის შუა (ხელის მიხედვით); ცარიელია ფ. 26; შემოსულია 1924 წ. ივ. ანტ. კაპანძისაგან (ს. ქვემო ნიქოზი).

დასაწყისი: მომქმენი პირნი: ბებერი და მდიდარი ვაჟარი გალუსტ მინაიჩ თანდოევი—ანტონოვი; შორს ნათესავი ამისი ჩინოენიკი მანუშარ სტეფანიჩ—უ. ჯაფარიძე.

ბოლო: აატონებო, ვინც ამელამ დაესწართ ნიშნობაშიაჲ გთხოვთ პატივი მცეთ, მობძანდეთ დღეისწორსა ქორწილშია.. დასრულდა.

მანუერი 1) Печатать позволится с том, чтобы по огпечатаии предьявлено было в цензорный комитет известное число экземпляров, 6 апреля 1852 года. Исправляющий должность грузинского цензора князь Эрстов (ფ. 2)

2) В этой тетради перенумерованных и скрепленных листов двадцать пять. Цензор князь Эрстов.

43

მ ა ნ ბ ნ ა

141 ფ.; 21,5×16,3; ქალაღი (ბოლღურჯო); ბოლოდაშლილი ტყავ-გადაკრული ყდა; ნუსხური (სათურები სინგურით); აქვს შემკულობანი ფ. 3 r, 137 r; სურათები ფერადით ფ. 2 v, 134 r; ცარიელია ფ 1 r.

1334 v, 141 v; XVIII ს-ის ბოლოცი (გელეს მიხედვით); შემოსულია ერთა წმიდის ეკლესიიდან 1924 წ.

1. მანანა (1—133).

დასაწყისი: შესხმა : ა: ღმრთივ ბრწყინვალისა და ყოველად დიდებულისა ჩუშნისა ღმრთის მშობელისა. აღდგე, უფალო, განსასტუმნებლად შენდა...

ბოლო: ესრეთ არცა ერთი დაშთეს უხმრად, არამედ ყოველივე სადიდებლად ღმრთისა დიდისა იყოს, რომელი არს კურთხეულ უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სრულ იქნა დამატკბობელი მანანა დიდებლად ღმრთისა დედისა, იყავნ, იყავნ.

2. პარაკლისი ევსტატესი (ფ. 135—141 r დაშლილი).

იწყება: ზ ყოვლად დიდებულო ღმრთივ გვრგვინოსანო მოწამეო ევსტათე, ა(ნ)გელოსთა თანა შეერთებულო...

ბოლო: დედოფალო ყოვლად ბრწყინშალო მარიაჲ, წმიდისა მოწამისა ევსტათის ლოცვითა წარმართენ დღენი ცხოვრებისა ჩუშნისანი სადიდებლად ძისა შენისა და ღმრთისა ჩუენისა.

მინაწერები: 1) ესე პატიოსანი წიგნი წმიდის მოწამის ევსტატისათვის შეწირული არის ახალქალაქის ერთაწმინდაში ქორთონიკონს უჟ (1802 წ.; ფ. 133 v, მხედრულით).

2). ერთაწმინდას შეწირული არის ესე წიგნი (ფ. 141 r იმავე მხედრულით, როგორც პირველი მინაწერი).

3) ჩუქე წელსა აპრილის იე დღესა მოველ ხიხნათ წმინდას ევსტატის კარს და პალატს, დაესდგე დღე ორმოცი. მცა ნუგეში თხოვისაებრ მშობელთ მამისა და დედისა, განგვითავისუფლა ძე ჩვენი ყრმა არჩილ, ვადმოგუხუნდა თავისის ურიცხვის მოწყალეობით ღმერთმან. მაგიერ ჰყონს დეკანოს ეპიფანეს და კანდელაკს პეტრეს, ზემორიცხვიდამ ორმოცამდის ყოველ ხუთშაფათს ჩვენთვის სწირავდნენ და ყოველდღე დილას და საღამოს პარაკლის იხდიდნენ დიდის გულისმოდგინებით, ღმერთმან დაუმადლოსთ და მაგიერი გარდაუხადოსთ. ეგრეთვე აქ მცხოვრებნი ახნაურნი და გლეხნი ჰეშმარითათ ასე ცდილობდნენ ჩემს სამსახურს და სიამოვნეს, რომ კიდევ ვწუხბი—სამაგიერო გარდახდა მე რა შამიძლიან მეთქი. ეგრეთვე გარეშე მცხოვრებნი—თავადნი, ახნაურნი და გლეხნი, ახალქალაქს—თარხანოვი ლუარსაბ ზახას-ძე, თავადი თარხანოვი ტეტია გლახას-ძე, ხოვლეს მიხაილ ევსტათისძე, ქაიხოსრო თავადი ივანეს-ძე, კავთიხვეს თავადნი იორამ და კიკოლა ტუტის ძენი, ბორტას თავადნი ივანე და რევაზ სალთხუციის ამილბარის ძენი; აქვე ერთაწმინდას მცხოვრები თავადი იორამ ზურაბისძე, ზემო ხანდაკს დიმიტრი ჯანდიეროვი, ყოველნივე ზემოთ, რომელთაც სახელნი მომიხსენებია, არ გიცი, თუ როგორ შევიძლო ამთგან ჩემი პატივისცემის მადლობა. სწორე მოგახსენოთ, რომ არ შამიძლიან არც ერთისა [სამაგიერო სამსახური. წმინდა ევსტათიმ გარდუხადოსთ თავის მოწყალეობით. ამისათვის გთხოვთ არ შემრისხოთ. გლეხთ მადლორაც მინდა მოგახსენოთ ახალქალაქ მცხოვრების ნახარას, გომს მკედლიშვილის ბუჟანასი, კავთიხვეს ბასიაშვილი ბერუსი, თელათგორს გოგოლაშვილი ნადირასი, მეტეხს ბარნაეისშვილის

მღუდლის, ამათი ყოლისფრით კაცურათ და მარდულად სამსახური რალა შოგახანოთ. საქებრად ჩემდა მოიქენენ. მე მადლობელი და მოხარული ამაღ ყოველგან თავადი თეიპურაზ ბაგრატიონი წელსა 1825 წელსა ნაისის კვ წარვედით წმინდის ეესტაის მოწყალებით (ფ. 1v—2v, მხედრულით).

44

ვეფხისტყაოსანი

138 ფ. 32, 2 X 20,7; ქალღი (მოლურჯო); ტყავ—გადაკრული ყდა; შემდეგ ჩაკრებული თეთრი ქალღი ფ. 1—2, 135—138; მხედრული (სათაურეხი და ტაეების პირველი სიტყვები სინგურით); XVIII ს-ნის მეორე ნახევარი (ხელის მიხედვით); შემოსულა ნიკოლოზ კოსტ. ფურცელაძისაგან (სოფ. მეუთი) 1924 წ.

დასაწყისი; რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მის ძლიერთა...

ბოლო: ამირან დარეჯანისძე მოსეს უქია ხონელსა.
აბდულ მესია შავთელსა, ლექსი მას უქეს რომელსა.

მანაწერი: ლუარსაბს ემადლობ. ტრადედიის მგზავნელსა.

დავითს მართლ ვაქებ, იმის გადმომთარგმნელსა,
ანტონ პირველის თარგმან სიბრძნის მბაძველსა.

ქართველთ ენისა თხზვა თვისების დამცველსა;

გვარ ფურცელაძეთ, აზნაურობით ძველსა;

ლუარსაბ გამცნებ, ეს წავიკითხე მე რა

ტრადედიები, ვოლტერის ცნობის სჭერა,

ვაქე მთარგმნელი, ქართული თხზუა და წერა;

თუნდ სათნო იყოს ჩემდა ამგვარი მღერა,

სხვას თუ არ სთარგმნი, წაიღო ესეც მერა.

იხილავ, შესხმა წარმოებს აწ სადა ვით;

ოდეს სთუაღვიდე, სცნა კიდურით სადავით;

აელეებ სიბრძნეს კრძალულების სადავით;

ესსოვე ქართველთ წიგნთა თარგმანთ სადავით;

ნესტეს მით დავებრე აჰა სტიხთ ხმა სადავით. 18 $\frac{9}{1}$ 32

2) წელსა ჩემდ ხ ნოემბრის ცხა გამოუცხადეს ჩენის ხელმწიფის ალექსანდრე ნიკოლოზისძის რამანოვის ბრძანება გორის უეზდის თავადთა და აზნაურთა და გლუხკაცთა, რომელიც ამ რიცხვიდგან განთავისუფლებული შეიქმნენ ბატონის ყმობიდგან გლუხნი, ამ განკარგულების გამოცხადება იყო გორის უეზდის საზოგადოებისათვის გორში, რომელნიც იყვნენ მიწვეულნი სრულებით ამ უეზდის თავადნი და აზნაურნი და გლუხნი. გორის მეიდანზე იყვნენ სრულებით

შეკრებილი და მთავრობისაგან გამოგზავნილი ამ გარდაწყვეტილების გამოსაცხადებლათ იყო ლებერნატორი არლოვსკი და ეს უკითხამდა რუსულათა და ქართულათ უკითხამდა გორის სობოროს მღვდელი სოლომონ ზახანოვი, რომელიც ამ შრომისათვის მიიღო სოლომონ მღვდელმან ჯილდოთ ოქროს საათი.

45

წმიდა გიორგის წამება

38 ფ.; 33,7×21, 4; უბრალო ყდა; მხედრული (სათაურები და ტაეპების პირველი სიტყვები სინგურიო); გადაწერილი 1852 წ.; შემოსული 1924 წ. თინათინ ნიკ. უთნელიშვილისაგან (ს. ფლავი).

დასაწყისი: კარი პირველი. დასაწყისი. წამება დიდის, ახოვანის, ზღვათა და ხმელეთა მპყრობელის, ღვაწლით შემოსილისა წმინდის გიორგის, ურმის თვალზედან მის მწარეს ორღანოს და მრავალ მახვილოვანსა მეფის ურწმუნოსაგან დეოკლიტიანისაგან იყო.

მას ეამსა ბერძენი მეფე, ურწმუნო და ფლიდია;
სახელი მისი გაიმბო სიავის გადაშკიდა;
ეწოდა დეოკლიტიან, მხეცი მძევარი, ფლიდია
და ქრისტიანენთა განმრყნელი და ეშპაკისა ხილია.

ბოლო: და ესე რა თქვა, უჩინარ იქმნა, არ დაიყოვნა წუთები;
უჩინარ იქმნა მოწამე, ვერვინ სცნა გზაცა კვალები.

ანდერძი: აღიწერა წიგნი ესე გიორგიანი მარზო(ე)ვის ასულის ნინოსაგან; ვანც წაიკითხოთ და შეცდომით იყოს რამე, მამიტვეთ; ჩყდბ წელსა, თიბათვის ია დღესა (ტექსტის ხელით).

46

ღარიბების წიგნი

5 ფ.; 20,6×15,7; ქალაღი; უყდო; მხედრული; XIX ს-ნის პირველი ნახევარი (ხელის მიხედვით); შემოსული 1924 წ. ანდრია ჩუბინაშვილისაგან (მეჯვრისხევი).

დასაწყისი: უწყოდე, კაცო, რამეთუ მზე მოეფინების და სათხოველი შენი ღმერთსა აქვს. ვითარცა კაცი, რომელი მივალს აგარაკსა თვისსა და იხილოს ნაყოფი თვისი კეთილად და მხიარულ იყოს გულსა შინა თვისსა, ეგრეთვე შენ იხმარებდე და მიეც

დიდება ღმერთსა, რამეთუ კეთილ არს ბედი შენი და ნუ შეძრ-
წუნდები, რომელ განგიზრახავს საქმედ.

ბოლო: ლ. ვხედავ, კაცო, საქმესა შენსა, რასაცა ესე იკით-
ხავ, ნუ რომელსა იგონებ. უკუეთუ კეთილ არს, დიდის კაცისაგან
პატივცემულ იქნები და სძლო მტერთა შენთა შეწევნითა მლთი-
სათა.

შენიშვნა: ხელნაწერის პირველი გვერდი ცარიელია. თავდაპირვე-
ლად განზრახული ყოფილა ქალაღდის გამოყენება ბარამიანის გადასაწერად. ამი-
ტომაც პირველ გვერდზე წერია: კარი პირველი ბარამისა და გულანდამისა სპარ-
სულისაგან ქართულ (მეტი არა).

47

სხვადასხვა ფურცლები

9 ფ.; სხვადასხვა ზომის; ქალაღდი; დაშლილი; XVII ს-ნისა (ხე-
ლის) მიხედვით; შემოსული 1924 წ. ურბნისის ეკლესიიდან.

1. იწყება: ...რნეს სასმელნი მორჩილებად მცნებათა მათ
უფლისათა ნეტარების მომცემელთა სანატრელონი და მსწრაფლ-
აღასრულენ.

წყდება: სული უფლისაჲ ჩემზედა, რომლისათჳსცა მცხო მე
მახარებელად გლახაკთა, შომავლინა მე განკურნებად შემუსრვი-
ლითა გულითა, ქადაგებად ტყუშთა განტევებისა... (43X25,5, ნუ-
სხურით).

2. იწყება: გამოქსნად მონათა შენთაჲ, რათა გიგალობდეთ
შენ ქრისტიანეთა კრებულისა...

წყდება: ქრისტე სიტყუაო ღთისაო, ამისთვის გვედრე-
ბით შენ და ვმონებთ ვნებათა შენთა... (27X18, ნუსხურით).

3. იწყება: წინაშე მდგომარენი უღირსნი ესე დიდების
მეტყულებასა შევსწირავთ გამოუთქმელსა მწყალობელსა შენსა.

წყდება: და მშუდობაჲ ყოველ ცხოვრებისათჳს ჩუშნისაჲ,
ვითარცა კაცთ მოყვარე ღმერთი ხარ ცხოვრების მომცემელსა აღ-
დგომისა... (19X12, ნუსხურით).

4) იწყება: გამოიჩინეს ა[რა] ამისათჳს ყოველთა ძლევაჲ
შემოსილად, გამოუჩნდა სასწაული დიდი წინაჲ საუკუნეთაგანსა.

წყდება: და მღდელი კეთილად შეწყნარებული გამორჩეუ-
ლი ღმერთისა და სიხარულითა ღაღადებად... (16X12, ნუსხურით).

5) იწყება: უამს ქვეყანასა ზედა გამოცხადებისა ე... ნეტა-
რისა ანტონისა, რომელთა იგი სიმდაბლე...

წყდება: ამას ყოველსა ზიარად ვიტყვ ჩემთვის...ნ თვსცაჲ რამეთუ მეცა სწორადელ ოქი... (17X13, ნუსხური).

6) იწყება: ვითარ ვიქმენ ფ... რინდი და განვისვენე... რა-
თამცა ვიხილენ იგინიცა...

წყდება: ბნელისა მისგან... არა ჯერ არსა... მათ და უნ-
დოთა მიმსგა... თქუენისათს (14X14, ნუსხური).

7) იწყება: ნუ დამნთქამნ მე მორვეი წყალთა; ნუცა შეი-
ყოფნ ჩემზედა ჯურღმული პირსა მისსა.

წყდება: და აღვაშენენ ქალაქნი ჰურიასტანი... და დაეშენ-
ნენ მუნ და დაიმკვდრ... (21X15, ნუსხური).

8) იწყება: ძმანო, ქრისტე აღდგა, დასასრული, მუჭლი
: კთ :

ბოლო: დასასრული მუჭლი :იშ: ვი(ტ)ყოდით.

ანუერძი: ღმერთო, შეიწყალე ამ წიგნის განმახლებელი მღვდელი სიმონ
გძელიშვილი (მრ).

მინაწერი: დაგადევით ცამეტი კოდი პური და ქერი, ცამეტი შაური, ლიტ-
რა ერბო, სამი ქათამი, მე მღვდელს [სე]იმონს დამიწერავს წიგზი, დაიწერა სეკ-
დებერს ოცდა[რ]ეკას ქორონიკონს უჟ (=1802 წ.), გაბლიშვილის მამულის გარ-
და. გიორგი.

48

შ ა მ ნ ი

261 ფ.; 10,2X8,2; ქალაღი; ტყავადაკრული ტვიფრული ხის
ყდა; თაბოლო ნაკლული (თავში რვა ფურცელი დაშლილია); ნუსხური
(სათაურები სინგურით); XV11 ს-ნისა (ხელის მიხედვით); შემოსულია
ურბნისის ეკლესიიდან 1924 წ.

იწყება: და მე მომიწოდე წარტყ(უ)შნასა მტრისაგან, ხო-
ლო განედო ლახურითა გუშრდი შენი განმაცხოველებელი...

ბოლო: რამეთუ არა არს კაცი, რომელი ცხონდეს და არა-
ცოდოს, რამეთუ შენ მხოლო ხარ უცხო ყოვლისაგან ცოდვისა და
სიმართლე შენი ჭეშმარიტი, რამეთუ შენ (ხარ) აღდგომა და ცხო-
რებაჲ და შენისა სახელითა, ქრისტე ღმერთო ჩუშნო და შენდა
დიდებასა აღვაკლენთ თანა დაუსაბამოთ მამით და ყოვლად წმი-
დით 1r—161v.

ანდერძი (ტექსტის ხელით): 1) რომელი შეიწირე მსხუ-
ცრალად უფლისად, ეგრეთვე შეწირულ იქმნენ წინაშე შენსა ნა-
მუშაკეენი ესე დღესა განსჯისა განსამართლებლად და მორწმუნე-
თა მეფეთა განსაძლიერებლად, მკითხველთა ჩემთა ხილვად და.

შშობელთა იოაკიმს დეკანოზს, ანას შესანდობელად და მღდელს დავითს კეთილად საჯსხენებლად, თქუშნცა მოგეგოს, ამინ (ფ. 67 r, ნუსხურით).

შენიშვნა: ეამნს ბოლოში დართული აქეს: ა. ერუსალიმის სახის ქორანიკონი (131 r—238v); ბ. აღდგომის საგალობლები (239r—242r), გ. აღდგომის სამოციქულო და სახარება (242 v—243 v); დ. აღდგომის მწუხრის წესი (243 v); ე. კურთხევა განჯსნასა გორცისასა (244 r); ვ. კურთხევა წყელისა და კუშრცხისა 244 r); ზ. ლოცვა შეგინებულისა მკამელსა ზედა (244v); თ. ქორანიკონის ნაწილი (245 r—246r); თ. სადილის ეამნობა (247 r—252 v) ი. სამოციქულო—სახარებათა საძიებელი რვა ხმათა მიხედვით (253 v—254 v); ია. შეიდუელი დღეების სახარება სამოციქულონი და წარდგომანი (255r—261r); იბ. შესვენებულთა ლოცვა „ღმერთო სულთაო“ (261 v).

მინაწერი: 1) შეიწყალე, ქრისტე, მღდელი დავით (83v, ნუსხურით).

2) დიდება, ღმერთსა სრულმყოფელსა კეთილისასა, მხსნელსა ჩვენსა, გაშობიებად წყალობა შენი, უფალო (ფ. 98 v ნუსხურით).

3) მონა ღმრთისა უღირსი მღვდულობისა ძე იოაკიმ დეკანოზისა, მომლოდე ქრისტეს ძალითა მორწმუნეთა მეფეთა განძლიერებად და მკუდართა ჩემთა [სალოცა]ვად და [ცოდებათა]გან წყევობა ჯა მონანებად. გვედრები, ღმერთო ძლიერო, აღსრულებად თხოვათა ჩემთა, დავით, რათა რომელთა ბრძანოთ ან თქუნცა მოგეგოს სასუფიველი, რომელი აღუთქუა მოყვარეთა სახლის... (ფ. 206 v, ნუსხურით).

4) ქრისტე, დეკანოზს, დავითს მღდელს მეოხ ექმენ იოაკიმი(ს) ძეს (ფ. 230 v, ნუსხურით).

5) ღმერთო, შეიწყალე მღდელი დავით; აღდგომისა (აღდგ) უფალო, იოანე (ფ. 230v, ნუსხურით, წითურად).

49

ქორინეზისათვის

23 ფ.; 21X16.6; ქალაღი; უცდო; ნუსხური (სათურები და ცალკე სიტყვები სინგურით); XVIII ს-ნისა (ხელის მიხედვით); შემოსული 1924 წ. გიგო იოს. კოლელიშვილისაგან (თელავი).

დასაწყისი: ხარისხნი ქორწინებისანი ამად, ვიდრემე იწოდებინ ხარისხად, რამეთუ ვითარ იგი კიბეთა ზედა აღვლენ ხარისხად და შთამოვლენ, ეგრეთვე არის ნათესაობაჲცა ხარისხად.

ბოლო: ცოლისა ჩემისა პირველისა ქმრისა ძმამან შეირთო ცოლი. ოდეს მოკუდეს კაცი იგი, ვერ შევირთავ მე ცოლსა მისსა, ხოლო შევირთავ დასა ცოლისა მისისასა. პეტრე, მარია, პავლე, თეოდორა, ირინა, იოვანე, მარია; თავი : ე : ჯერ არს,

შენიშვნა: ფ. 22 v და ფ. 23 ცარიელია.

ანდრია სალოსის ცხოვრება

146 ფ.; 21,4×17,3; ქაღალდი (ლურჯი); ტყავგადაკრული ყდა; მხედრული (თავი ასოები ასომთავრული, სათაურები სინგურით); შემოსული გივო კოლელიშვილისაგან 1924 წ. (თელავი).

ცხოვრება და მოქალაქეობა (!) წმიდისა და ნეტარისა ანდრია-სი, რომელი იქმნა სალოს ქრისტესთუს, გვაკურთხენ, მამაო.

დასაწყისი: ძმანო და მამანო ჩემნო, საყუარელნო უფლისანო, ისმინეთ ვედრებისა ჩემისა და გაუწყო თქუენ, ვითარმედ არს საქმე ესე კეთილ, ვითარცა თაფლი, და საყნოსელად სუნნელი და ამო, ხოლო განმზადენით გულნი თქვენნი სმენად, რათა მე უფროს განვძლიერდე.

ბოლო: კონდაკი. ნებსით სულელ ქმნილმან, სოფლისა ამის შტუბანი სრულიად მოიძულენ და ვორცთა ზრახუანი მოაკუდინენ მარხვითა და წყურვილითა და სიცხეთა და სიცივეთა მიერ და ყინულისა და წვიმისა და თოვლისა და სხვათა ჰაერთა სიმძიმედ არად შერაცხე და განწმინდე თავი თვისი, ვითარცა ოქრო ბრძმედსა შინა, ანდრია ნეტარო.

ანდრია: სრულ იქმნა ძალითა ღვთისათა თვესა იანვარსა 3, წელსა 1818, ცოდვილი ბიჭვაძე.

51

სასულიერო სწავლა-მომღვრებაანი

240 ფ.; 23,2×17,6; ქაღალდი; ტყავგადაკრული ყდა; მხედრული; შემოსული გივო კოლელიშვილისაგან 1924 წ. (თელავი), 1846 წ.

1) „მამაო ჩემნო“ რუსულად და ლათინურად (ორივე შემთხვევაში ქართული ასოებით, ფ. 1 v).

ანდრია: უფალნო ჩემნო, წიგნისა ამის მხედრულად დაწერისათვის ნუ მიიძულებთ ამისთვის, რომელ დედანს მაშურებდენ და არც გაწყობილი ქაღალდ-საწერ-კალამი მქონდა, ამა მიზეზითათს.

ქალაქს თელავს გადმოვსწერე თავადმა გიორგი ზაქარიასძემ სიღამონოვმა.

დედანს თავში ჰქონია ლექსი:

მეგონა გვამი უსულოდ სამარედ დაიდებოდა,
წესით განმყოფი თვის თვისად საფლავად შეიცვებოდა,

მიწა მიწადვე და ცეცხლი ჰაერად განიხდებოდა,
და წყალი ზე აღსლვით ქვე მქცევი კვამლებრივ გაიბნეოდა.
გარნა აწ ვხედავ სხვას უცხოდ ბუნებისაგან უმაღლესს,
ვინადგან რომე გვამი ვალს სულისა გარდა უაღრესს,
ვერეთვე ვითარ პირველად მოძრაობს, მქცეობს უახლეს
და ჰე ახალი აწ ქცევით ყოველთ აკვირვებს უაღრესს.
ნუთუ ესე აჩრდილი არს ანუ სიზმარს მონაჩვენი,
ოცნებითა ნაოცარი, გინა ფიქრით მონაცქერი.
ნიკოლოზ დეკანოზი მოსკოვს ვმყოფობ ლექს დამწერი,
და ცრუსა მუხთლის სოფლისაგან ნაღვლისაგან ვერ განვეერი.
საყვარელს გენებავს, უკეთუ ტრფიალებს ამის ცნობანი;
ეს ვინ ჰყო კადნიერება ფერება ალმწერლობანი.
არს ცოდვილ, არამედ ღმერთსა ნებავს ცოდვილთაც გებანი
და ესეც ინება საყოფლად მოსკოვის დამთხოვლობანი (ფ. 3 ვ).

2 [ლეთისმეტყველება], ფ. 4—163.

დასასწყისი: შესავალი ამის წიგნისა. სამნი არიან განყოფილებანი ღვთისმეტყველებისანი სათნოებანი ამას წერილსა შინა, რომელ არს სარწმუნოება, სასოება და სიყვარული.

პირველი არს სარწმუნოებისათვის ტაევი ათორმეტი, ესე არს, თუ ვითარ გვიღირს აღსარება საღმრთოსა განგებულებისა.

მეორე ნაწილი, სასოებისათვის საუფლოთა მათ ლოცვათა, რომელ თვით გვასწავა და ცხრათა მათ ნეტარებისათვის, რომელ წერილ არს წმიდასა შინა სახარებასა.

მესამე ნაწილი, სიყვარულისათვის ათთა მათ მცნებათა და კვალადცა საგმარნი რაჲმე ჩვენდა ძველისა და ახლისა საღმრთოსა წერილისანი.

დასასრული: მოვილოთ ჩვენ სიყვარული უსრულესი და დავიმკვიდროთ ზეცათა იგი დიდება საუკუნო ღმრთისა მიერ ჰე შმარიტისა ღთაებით განუყოფელისა სამგვამოვნობით. შეურევნელისაგან, რომელსა შევნი ყოველი დიდება, პატივი და თაყვანისცემა მამისა და ძისა და წმიდისა სულისა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე.

ანჯერძი: იესე. მხსნელო, ქრისტე იესო, შემიწყალე მწერალი ამისი თავადი გიორგი ზაქარიას-ძე სიღამონოვი, რომელმან ნამდვლიდამ გარდმოვიღე ქალაქს თელავსა შინა წიგნი ესე სარწმუნოებისა ენკენისთვის იე-სა წელთა 1846 ს. უკეთუ დავიმარხნეთ მცნებანი ესე, ჰეშმარიტად არს მიმყვანებელი ცხოვრებად სა-

უკუნოდ. გვედრები მზი ლველთა და მკითხველთა წერილობისა ამისა, მცირედცა შესენებასა ჰყოფდეთ ენკენისთჳს იე სა ქორნიკონს აქეთ (ფ 164 r.).

2) მიქაელ სენიკელისა იერუსალიმელისა მართლისა სარწმუნოებისა წართქმა და აღსარება (ფ. 165 r—170 v). მრწამს ერთი ღმერთი—მამა უშობელი და ერთი ძე შობილი და ერთი სული წმიდა, მამისა გამომავალი, სამნი თვითებანი, სრულნი, უხილავნი განყოფილნი რიცხვითა სახელთაჲთა და გვამოვნითა თვითებითა.

ბოლო: და რომელნი შეაჩვენნეს, შევაჩვენებთ და მე მართლისა სარწმუნოებისაგან შეურყეველ ვარ მადლითა მამისა და ძისა და წმიდისა სულისათა, რომელსა შვენის პატივი და თაყვანისცემა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

4) აღსარებაჲ და უწყებაჲ და სასწაული მართლისა სარწმუნოებისაჲ და წმიდათა კრებათათჳს, რომელთა დაამტკიცეს მართალი სარწმუნოებაჲ, რომელი ესე ჯერ არს ყოველთა ქრისტიანეთათჳს, რომელნი კეთილად და გამოწულილვით მეცნიერ იყვნენ (ფ. 172r—188r).

დასაწყისი: იესო ქრისტე, აღიდგ სულჲ გიორგისი წმიდისა მამისა, რომელმან თარგმნა წმიდა ესე წიგნჲ, საუკუნო იყავნ ქსენება მისი, ამინ.

ა. მრწამს ერთი ღმერთი, მამა ყოვლისა მპყრობელი, შემოქმედი ცაბთა და ქვეყანისა, ხილულთა ყოველთა და არა ხილულთა.

ბოლო: რომელთა ღირსმცა ვართ ყოველნი დაცვად დაუკლებელად და მიუდრეკელად და დაუსჯელად წარდგომად საშინელისა მას ქრისტეს ღმრთისა ჩვენისა საყდარსა, რომლისათანა მამასა ჰშვენის დიდება სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ანდრძი: მწერლისა ამის წიგნისა თავად გიორგი ზაქარიას ძის სიდამონოვისათჳს შენდობა ყავით, რომელმან ვიმუშაკე ქალაქს თულავს ნოემბრის იე სა დღესა წელსა ჩემგ-სა (ფ. 188 r).

5) სიტყვანი და სწავლანი სამეცნიერონი, ფრიად მარგებელნი, სულ სხეულობით ორკერძოვე ძველისა და ახლისა წმიდათა წერილთაგან რჩევით გამოკრებულნი კლემაქსისაგან, დიდისა ბასილისა და გრიგოლი ღმრთის მეტყველისა და იოანე ოქროპირისა და მამისა ეფრემისა და მაქსიმესი და ცხოვრებისაგან მამათასა და სხვათა წმიდათა მოვდელთ მოძღვართა, მამათა, მოციქულ-წინასწარმეტყველთა, სოლომონ და ზირაქისა და გარეშე წიგნთა: პლატონ, სოკრატი და მენიანდროს და სხვათა ფილოსოფოსთა მიერ თქმულნი (ფ. 189r—237r).

დასაწყისი: ყოველთა, რომელთა ენებოს და ეძიებდენ ღმერთსა, ებოების მათ; რამეთუ იგი არს ყოველთა ღმერთი და ყოველთა ცხოვრება ურწმუნოთა და მორწმუნეთა, მართალთა და ცოდვილთა.

ბოლო: ეც ნაწილ შეიდთა და მერმე რვათაცა, რამეთუ არა უწყი, თუ რად იყოს ბოროტ ქვეყანასა ზედა.—დასასრული ყოვლისა სიტყვისა ისმინე, ღმრთისა გეშინოდენ და მცნებანი მისნი დაიცვენ.

ანდერძი: აღიწერა წიგნი ესე სამეცნიერთ ჳელითა ღუბერნსკის სეკრეტარის თავად გიორგი ზაქარიას-ძის სიდამონოვისაჟა ქალაქს თელავს. მკითხველთა გვედრები—ჳსენებასა ჳყოფდეთ დეკემბრის ი-სა დღესა ჩემგ-ს წელსა (239 წ, ტექსტის ხელით).

მინაწერი: სამღთო ესე ფილოსოფიის წიგნი დავით მღვდლის ნიკოლაევისა არის. ვინც ჳელ ჳყოს პარვად ანუ მიმძლავრებად თვინიე(რ) მღვდლის დავითისა და მემკვიდრისა მისისა, გაუწყრეს მღ(ა)ების მადლი, ამინ (ფ. 239 წ. მხედრული ხელით).

შენიშვნა: ხელნაწერს ბოლოში აქვს მინაწერი რუსულად, რომ ეს ეკუთნოდა თელავის სასულიერო სამაზრო სასწავლებლის დაბალი განყოფილების მოწაფეს ეფთიჳე ნიკოლაევს.

პირველ გვერდზე მოყვანილია საეკლესიო-სლავური ანბანი ასოების აღნიშვნით ქართულად (აზ, ბუკი, ვედი და სხვა.).

52

სჯულდებანი რუსეთის საიმპერიოსანი

88 ფ.; 34,6×21,1; ქალაღი (ღურჯი); უყდო; თავ-ფურცელზე აქვს შემკულობა; მხედრული; XIX ს. (ხელის მიხედვით); გადამწერი დავით თუმანიშვილი; შემოსულია მიხ. ერისთავისაგან 1924 წ. (კარალეთი).

დასაწყისი: Указания российской империи, по высочайшему повелению переложенные на грузинский язык, сჯულდებანი რუსეთის საიმპერიოსანი, უმაღლესითა ბრძანებითა ქართულსა ენასა ჳედა გადმოთარგმნილი საქართველოსათჳს ჩყდ-სა წელსა.1) თავში სამ გვერდზე მოცემულია რუსული გამოცემის შინაარსი: Оглавление содержащимся здесь артикулам, указам и статьям, из разных законных книг извлеченным и переведенным на грузинский диалект.

Из морского устава.

ბოლო: Из устава благочиния или полицейского, статья 226-я и 271, 8-ое отделение. Пиреписаль (!) Князь Давид Туманов (I—III).

2. დასაწყისი: სარჩევი სია ანუ ზანდუკი საძიებელი სჯულდებათა ამათ, სხუათა და სხუათა სამართლის წიგნთაგან გამოკრებულთა და გადმოთარგმნილთა რუსულისაგან ქართულსა ენასა ზედა.—ზღვის სამსახურის ტიბიკონისა ახუ წესდებულებისა წიგნი შესამე, თავი მეათე. პარალრაფი ი: არა ქცევისათუხ სნეულთანა უმკაცრობითა და შეუტრაცხოფითა მკურნალთაგან.

ბოლო: შეპყრობისათვის და წარგზავნისა სასამართლოდ კაცისა მის, რომელიცა მიიღებდეს ანუ შეიწყნარებდეს ნივთსა ნაპარავსა, ფასად უმეტეს ორის თუმანისა ზედა ღირებულსა. მუხლი სოა, პარალრაფი მ: უკეთუ ვინმე მიიღოს ნივთი ნაპარევი, რომელიცა ღირდეს ფასად უმეტეს ორის თუმანისა, მაშინ ეგვეითარი შეპყრობილ იქნას და წარგზავნილ სასამართლოდ (1r—84r).

ანდერძი: უფლის კოლლეგის ასესორის და ექსპედიცია სუდა ი რასპრავის სოვტნიკის ვასილ მათევის ძის ჩილაევის ნანდვილის ნათარგმნიდამ თანასწორ გადმოვსწერე. დავით თუმანოვი.—ნანდვილის თარგმანისათა სწორე არს, სოვეტნიკი კოლეგისკი ასესორი თავადი დიმიტრი ზურაბ ორაელიანოვი (ეს სხვა ხელით).

შენიშვნა: ხელნაწერს აქვს [ფურცლების თავისი დროინდელი აღრიცხვა] პირველი სამი ფურცელი ამ აღრიცხვაში არ შედის, ფფ. 84 v და 85 r ცარიელია.

გამოკვეთილი საკითხავნი და ცხორებანი

229 ფ.; 15×10,2; ქალაღზე: ტყავ-გადაკრული ზის ყდა; ბოლო აკლია; ნუსხური (სათაურები სინგურიით); XVII ს-ნის (ხელის მიხედვით); შემოსულია 1924 წ. ისაია ფურცელაძისაგან (სოფ. მერეთი).

დასაწყისი: თუშსა კულად სეკდენბერსა მ საკითხავი, თქმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუშნისა თეოდორე აღმსარებლისა სტუდიელთა წინამძღვრისა. შობისათუხ ყოვლად წმიდისა დედოფლისა ჩუშნისა ღმრთის მშობელისა მარადის ქალწულისა მარიამისისაჲ. გვაკურობენ, მამაო. ბრწყინვალედ დღესასწაულებს დღე ესე დიდებული, რომელსა მოუტევს ახლად ცად ქალწული ყოვლად ქებული.

წყდება: თუშა სეკდემბერსა ა გვრგვნი წელიწადისა, დაწყება ინდექტიონისა და ვსენებაჲ წიდიისა ღმრთის მშობელი-საჲ მასინეს შინა.—წამებაჲ წმინდათაჲ: მ: დედათა მოწესეთა და მოწამეთაჲ, რომელნი იყვნეს ერთსა მონასტერსა შინა და იწამნეს და მათ თანა იწამნეს ამონაცა დიაკონი და აპალა, ხოლო იყვნეს ანდრიაპოლით მაკედონიისა ქუშყანასა და აღესრულნეს ლიკინიო-ზის-ზე მეფისა და ვავდოს მთაერისა.— და ვსენებაჲ წიდიისა მამი-სა ჩუშნისა სკმეონ მესუტისა.

შენიშვნა: ხელნაწერის წინა ყდაზე, თავისა და ბოლოს სამს ფურცელზე მოთავსებული რატივეის, ფურცელადის, მალაქის და სრესელის ოჯახების წევრთა დაბადება-მიცვალების (მე-**XIX** ს. დასაწყისის) თარიღები.

54

სჯულის კანონი

ფ. 146.; 153×10,3; ქალაღი, ტყავადაკრული ხის ყდა; ნუსხური (სათაურები სინგურით); გადაწერილია 1735 წ. კერძო—დიაკონის დავითისაგან; შემოსულია 1924 წ. ისაია ფურცელადისაგან (სოფ. მკრეთი); ფფ. 141—146 დაუწერელია.

დასაწყისი: რჩულის კანონი, ახლად თარგმნილი წმიდისა მამისა ჩუშნისა ეფთჳმისი: წესი და განგებაჲ და რჩულის კანონი მეექუსისა კრებისა ასსამეოცდა რვათა წმიდათა მამათა, რომელნი შეკრბეს კოსტანტინესპოვლესა ახალსა ჰრომსა კოსტანტინე ღმრთისმსახურისა მეფისაზე, ძის წულისა ძისა ჰერაკლე მეფისა...

დასასრული: და შემდგომად განჯნისა დასახავს მღდელი ჯუარსა მონანულსა და იტყვს: ღირს არს ჭეშმარიტად, დიდებაჲ, აწდაჲ და ჩამოილოცავს. და ვითარ ჯერ არს და უწყებულ არს რჯულის კანონისაგან ეგრეთვე დასდებს კანონსა.

ანდერძი: დაიწერა მას :კ: ჩლფ. ღმერთო, შემიწყალე ამის მჩხაბავი ცოდვილი დავით კერძო დიაკონი, შალულა (?) (ფ. 142r, ტექსტის ხელით).

შენიშვნა: თავში არის სამი ფურცელი, რომელიც პაგინაციაში არაა შეტანილი—ორი ცარიელია და ერთზე სწერია ტექსტის ხელით ნუსხურით: „ღმერთო, კეთილად წარმართე საქმე ესე ხელთა ჩემთა ძალითა ჯუარისათა. ქრისტე, განმაძლიერე დიდებაჲდ შენდა“.

55

რუსულ-ქართული ლექსიკონი

110 ფ.; 34×22; ქალაღი (ლურჯი); ყდიანი; მხედრული; გადაწერილი 1823 წ; შემოსულია ისაია ფურცელადისაგან 1924 წ. (ს. მკრეთი).

დასაწყისი: А, союз—ხოლო, არამედ, და
 Агнец—კრაი ანუ ტარიგი
 Агньчий—ტარიგებრი ანუ კრაისა
 Андаматовый—ანდამატისაგან
 Андаманть—ანდამატებრ, ანტამანტი, აღმასი
 Адмирал—ზღვის პასლარი (!)

ბოლო: феатральный—სატიატრო

феатр—თეატრონი

фимиам, фемиам—გუნდრუკი, თიმიანი

მინაწერია: 1) უკანა კანზე სწერია: сѣй лексикои принадлежат.. и сам написал 1823 год..

Свидетельствую, что сам утверждая от своего учителя принадлежат.. рый сам великам трудом принадлежаный переписал другаго таковаго, а по осму я честь имею прос(и)т, что для любви брата одолжит мне до переписуеъ таковыи же...

შენიშვნა: 1) ხელნაწერის უკანასკნელი 6 ფურცელი ცარიელია. ხელნაწერს აქვს უკანასკნელ გვერდზე და ყდის გვერდებზე უმნიშვნელო მინაწერები.

2) პირველ გვერდზე: ესე წიგნი ლექსიკონი ეკუთვნის ნიკოლოზ გარაყანიძეს, სიღნაღის სასულიერო სასწავლებლის მოწაფეს. Сѣй книга принадлежит Николаю Каравапидзе“.

56

კ რ ე ბ უ ლ ი

15 ფ; 22×17; ქაღალდი (ლურჯი); მხედრული; XIX ს-ნის პირველი ნახევარი (ბელის მიხედვით); შემოთულია ისაია ფურცელადისაგან (სოფ. მერეთი).

1) რუსული ლოცვები ქართული ასოებით (ფ. 2—4);

დასაწყისი: ამინ, ლოსპოდი პამილუი, ლოსპოდი პამილუი, ამინ.

დიდება მამასა. სლავა ოტცუ ი სინუ ი სვიატომუ დუხუ...

ბოლო: ბუდი იმია ლოსპოდნე ბლადოსლოვენო ოტ ნინე ი დო ვეკა...

2) ხილთა ქების ნაწყვეტი (ფ. 5—7).

იწყება: მარწყემან თქვა: მოვალ პირველად, მე ვერ მომასწრებს ხილია,

ორ ფრად მსგავსი ვარ ლალისა, მერმე საჰმელად ტბილია...

ბოლო: კვრინჩხი ეტყვის: შე რას ამბობ, შავი
ვარ და მარგებელი,
ჩემს ხეზედა ბულბული ზის, შენ მოგძებნის ყოვ-
ლი ძნელი,
ავადყოფსა მოუხდები და კაცი მკამს მერმე
მთელი
და სიმდაბლითა ნუ მიწუნებ, მე არა ვარ აგრე
ბნელი.

3) ლექსის ნაწყვეტი (ფ. 8 v):

იწყება: მიჯნურთათვის არა გშურს, წუთისოფელო,
ყოველთა მოლექსეთა დამღუმებელო...

ბოლო: ყაფლან შესულა რუსი(ს) ჯარშია,
ბარბარე იცემს ორხელს თავშია,
ძალსაც ხომ შეჭყარა თეთრი ქეცია,
ციკუას უკვდება მამა ბეცია.

შენიშვნა: ამ ლექსის შემცველი ფურცელი ჩაკერებულია თავ-უკუ-
მეორე გვერდზე ლექსის ტექსტთა შედარებით თავ-უკუ. მიწერილია ვინ-
მე ბეციას მიერ, თუ როგორ 10 ივლისს 1827 წ. მას შალიაშვილის კა-
რზე წაეჩხუბა ბასილ იოხიშვილი. იქვე მიწერილია:

„შენ, ავთანდილ კორინთელო,
ჭირვეულო, ავო კაცო.“

4) ნაწყვეტი (ფ. 9--10)

იწყება: სანამ გაძლება ეს გიჟი ქართველი, სანამ კი არას,
იტყვის. როცა გაძლება, ხელს გამოიღებს და სმას მოუმა-
ტებ(ს). ახლა აზარფეშაზედ დაუსხა თათომ, დალია და აზარფეშა.
ჯიბეში ქნა. ახლა მათარას უყურებს—შენი ქართველი ახალია და
ჭრელი. დაუსხა იმითი, ცრო მისცა, დალია ღვინო და მათარა-
ჯიბეში ქნა. შენი თაო წამოხტა—თუ რა ანბავია, უნდა მოვკვლა-
მაგ გიჟი ქართველი. მარო ეტაკა—შენითაო ამ გიჟი ქართველსა-
ამ გიჟმა თათოს თავში კობალი ქნა, თათოს თავში წითელი ოფ-
ლი გაჩნდა. თათო გული გაღო, კიდევ ეტაკა, მოიქნინა გიჟმა თა-
თო, ტალახში ქნა პირქვე...

ბოლო: ესრე, ჩემო ბატონებო, წამოვედით ისევ შინ ცარიე-
ლი. მას უკანაც ბევრჯერა ვნახეთ ამ ქალაქში, მაგრამ ხმაც ვე(რ)
გავეცით, კიდევაც გვეშინოდა.

მიმაწერო: შენ, ავთანდილ კორინთელო, ჭირვეულო, ავო კაცო,
შენ ვგ უფლება ვინ მოგცა, რომ ნეინა მოიტაცა.

5) რუსული ლოცვები ქართული ასოებით (ფ. 23—14);

დასაწყისი: ამინ, ლოსპოდი, ჰომილუი, ლოსპოდი პომი-
ლუი, ტებე ლოსპოდი, ამინ სლაფა ოტცუ...

ბოლო: ი პრისნო დევი მარია ნეპრელოჟნო ვოჩელოჟეჩივ-
სია, რასპიატალო ჟე ხრისტე ბოჟე სმერტიუ სმერტ...

შენიშვნა: ეს ორი ფურცელი ჩაკრებულა თაფუჟუ.

57

ლექსების კრებული

27 ფ.; 22×18; ქალაღი; უყდო; მხედრული; XIX ს-ნის II ნახ. (ხელის
მიხედვით); შემოსულია ისაია ფურცელადისაგან (სოფ. მერეთი).

1) [ილია ჭავჭავაძე]—რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით ანუ საქარ-
თელოს ისტორია XIX საუკუნისა (ფ. 7—2).

დასაწყისი: ერთხელ მე და პაპა ჩემი
ერთს ადგილს შევიყარენით...

ბოლო: პოჟოლუსტა დამეხსენი.

რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით?

მას ვშვრებოდით, რომ თქვენსავით

უსაქმით ვეხეტებოდით.

24 აგვისტოს 1871 წ.

ქ. დუშეთი.

2) [ილია ჭავჭავაძე];—გამოცანები (ფ. 13, 3r—5r)

იწყება: უღვაშ-სრული მელოტია

უთაური თავიანი;

ხელთა მლოკი, ქონდრის კაცი

დიდგულა და ბოხ-ხმიანი...

ბოლო: მინდა, რომ ვინც ჩვენის ქვეყნის

ჩვენში პირ-მომარიდეა,

ის თქვენ ფეხებზედ გეკიდოთ,

ვით მე ფეხებზედ მიკიდია.

3). [გრიგოლ ორბელიანი]—პასუხი (ფ. 5r—6r)

დასაწყისი: კოლო ბუზებო,

ლიბერალებო,

კჳუით გლახებო, პატრიოტებო...

ბოლო: აკაკიებო, ბაკაკიებო,
რიონელებო: გოგიტელებო.

4. [ილია ქვეკვაძე]—პასუხის პასუხი (ფ. 6v—8r)

დასაწყისი: ჩვენ უჩინონი,
ჩვენ უჩინონი
თქვენ ჩინიანთა ბუხად გგონივართ...

ბოლო: მაგრამ შოთამ სთქვა:
რაც კოკაში სდგას,
იგივე თურმე წარმოსდინდება,

5. [ნინო ორბელიანი].—პასუხის პასუხის პასუხი. (ფ. 8r—9v)

დასაწყისი: ნუ ჰკიცხავთ სხვათა,
მტერთა თუ ძმათა,
თორემ იქნებით თვით გაკიცხულნი...

ბოლო: მაშ რაღათ ჰყვირით;
ან რაღად სჩივით
იმა სენხედა, რაც არ მორჩება.

6. [აკაკი წერეთელი],—ხარაბუზა ლენერალს (ფ. 9v—11r)

დასაწყისი: იარანალო. ხარაბუზა,
სიტყვით სწორი საქმით კუზა
დაგიკარგავს შენი მუზა...

ბოლო: სიტყვით სწორო, საქმით კუზა,
დაიბრუნე შენი მუზა,
ბზუუ!.. ბზუუ!.. ბუზა, ბუზა;

7. აკაკი წერეთელი—ბედნიერი ხალხი, იტალიელი პოეტის
ქუსტის მიბაძვა (ფ. 11r—17v).

დასაწყისი: ჩვენისთანა ბედნიერი
განა არის სადმე ერი?...

ბოლო: უზრუნველი და მშვიერი,
ჩვენისთანა ბედნიერი
განა არის სადმე ერი?

8. მუხამბაზი (ფ. 12r—13v).

ფიქრები მაქვს, წინ
შენი სახე მოდის! გ. ორბელიანს.

დასაწყისი: ნახევარი ცხოვრების გზა გავლიე.
სიტკბოზედა მწარე მეტი დავლიე...

ბოლო: მაშინ მხოლოდ მე გულით გავიცინებ
მოსვენებით საფლავშიც დავიძინებ.
(აკაკი)

9. გორდის მთაზე გ. ქალადიდელისა.

დასაწყისი: მალლა ცაზე მშვიდ დარია
და კაშკაშებს ვარსკლავ მთვარე...

ბოლო: საქართველოს სანაცვლოთა
სისხლი სისხლზედ აადუნა (12 v)

10. გამოცანები.

ა. უღვაშ სრული მელოტია,
უთაური თავიანი... (13 r).

ბ. კობტად ღობე მძვრალია
პატარა და ჩამომხმარი... (13r).

გ. ბუნდა არის კისერ მოკლე
პირმრგვალი და ტანად სრული ... (13 r).

დ. ცხვირ დიდა და თვალ დიდრონი
მსუნაგი და ტრაბახია (13 r).

ე. თეთრ-წითელა ვაშლისავით
ხაშხაშ ლოყა, მსუქანია... (13 v)

ვ. პირ-ტიტველა და ქრელ თვალა
თავ-მდაბლად გამოწხედია... (13v).

ზ. ერთი ვინმე შავგრემანი
სუსტია და პირად ხმელი...

11. ჩიტი.

გალია ყველა ერთია
ოქროსი იყოს გინდა ხის... (13 r).

12. სატრფოვ, ხშირად ლალი ფიქრი
გაგიტაცებს სუბუქ ფრთითა...(14 v).

13. აგერ ცაში მზე ბრწყინვალეებს
და ჰფანტა ლამე ბნელი (14 v)
14. თავადის ქავჭავაძის ასულს ეკატერინას.
ხმით მშვენიერით,
ტკბილის სიმღერით,
ჰაეროვანო,
სულს ელხინები... (15 r).
15. ნადირობა (ვუძღვნი ჩემს ძაღლს)
კულ ქიცინით შავ-ყურა,
ჩემო ძაღლო, ჩემო მურა! (25 r—17r).
16. ასსა ლიტრასა რკინასა კბილს მოუჭი-
რებ, კნატს უზამო,
იქეთ მთას და აქეთსა ხელს მოუჭირებ,
რახტს უზამო... (17 av).
17. უღარღო ყაცი.
ყველასათვის კარგი მსურს,
ბოროტების მტერი ვარ... (17v—18 r)
18. ქავჭავაძემ დამხატიყა, ღვინო მასვა ტკბილი,
აშკავედზე წამოვედი, მომეკიდა ძილი... (17v).
19. სიმღერა ლექსი თ. ა. ქავჭავაძისა.
თავსა უფლად ნურვინ ჰგონებთ,
ერთგზის თქვენცა ტრფიალება
ჩემებრ მწარედ დაგამონებთ (18 v)
20. თ. დიმიტრი ბაგრატიონისა.
ვაქო პირად ბადრია, განა თუმცა აღრეა,
მაგრამ ველარ მოვითმენ, შევიქნები
შკიდრია (!) (18v—19v).
21. ალავერდი (მამია გურიელი).
მეგობრებო! ჯერ ვუსურვოთ,
ჩვენ სამშობლოს დღეგრძელობა... (20r).
22. ადამიანს (მამია გურიელი).
ვინც გინდა იყო ჩემი მსმენელი,
ქალი, ყაცი, გინდ გასათხოვარი... (10 v)

23. ქალი ვიყავ მოწითული.

გამიტაცა სურვილებმა... (21 v)

24. რომანსი (ცახელი)

ღამის ნიავი, წყნარად მფრინავი,
თავს დასტრიალებს მძინარ ქვეყანას.... (21 v)

25. სნეული ოჯახი (რაფიელ ერისთავი)

ობრავს გოგონა ნინუა,
ქმარიც ავით ყავს, შვილიცა... (22 r).

26. ზარხოში (რაფიელ ერისთავი).

დასაწყისი: ნურას უკაცრავათ, თქვენი ქირიმეთ! ცოტა
ქეიფიანად გახლავართ!... კვირაცხოველში გახლდით... გწყა-
ლობდესთ იმის შადღი!...

ბოლო: ახლა კი წავალ და ერთი კაი ძილს გამოვაცხოზ...
თორემ... ღამე მშვიდობისათ!... (22 rv)

27. უწმაწური შინაარსის ამოცანები, რიცხვით 33.

დასაწყისი: ორთა ბროლის და სხ.

ბოლო: რომელი არს ჩვენ შორის სამარადისოდ და ჩვენ
ვერა ვზედავთ და არცა ვის ყოველთა რწმენის და მისგან დაწესე-
ბულსა სწუნობენ (23 r—26 v).

58

ოსურ-ქართული საუბრის წიგნი

39 ფ.; 22×18; ქაღალდზე ყდიანი; თავ-ბოლო ნაკლული; XIX ს-
ნის პირველი ნახევარი (ხელის მიხედვით). შემოსულია ვახტანგ ფიცხელა-
ურისაგან (სოფ. იკოთა):

იწყება: ასკუტა—გაწყვიტა,
თოავ—მეჟავე.
ალჯინ—ტკბილი.
მასტჯინ—მწარე.

წყდება: დარღ—გძელი
ოზ ძობახ ძაუნან—მე კარგათ ვლაპარაკობ.

ვეფხისტყაოსანი

135 ფ.; 33,7×20,7; ქალაღზე; ყდიანი; მზღდრული; გაღაწერილია 1853 წელს; შემოსულია ნინო პეტრიაშვილისაგან 1924 წ. (სოფ. იკოთა); ტექსტი გაღმოწერილია მ. ბროსეს მიერ პეტერბურგში გამოშვებულ გამოცეშიღან.

ღასაწყისი: ამ ამბისა ღასაწყისი, პირველი ამოღ სასშენელად შშენიერი სწავლისათვის მოშაირეთასა ტარიელისა და ნესტან დარეჯანის ვეფხისტყაოსნობით უხმობენ.

რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერიითა...

ბოლო: შესრულდა ბეპეღა სტინთა ამას ქორონიკონს ფარკანთანსა.

დიღთა გინა მცირე ქართველთ სახეთ, პეტრებურღს მყოფთაგანსა,

მოატყვებღა გრძნობა გულით სიხარულსა შინაგანსა

ღა აქებღეს ღა ნატრიღიან შოთას, ბრძენთა წინამღღვარსა.

ღასასრული: ჩყნგ წელსა მაისის კ ღღესა.

ქორწინებისათვის და ღაღინეზიტი გრაგობა.

62 ფ.; 20,5×15; ქალღღი; ყდიანი; მზღდრული; XVIII სნის (ხელის მიხეღღი); შემოსულია ვღაღ. მიზ. ხეღაშვილისაგან (თეღავი).

ღასაწყისი: ქორწინებათათჳს მართლმადიღღებელთა პირთასა სხტა სარწმუნოებისათა თანა. განსჯა უწმინღღესა შინა მმართველსა სინოღღსა შეთხზული. ღაბეჭდიღ არს ბრძანებითა მეფობითის ღღღებულეზისა პეტრე პირველისა სრულიად როსიის იმპერატორისათა და კურთხევეითა მისივე უწმინღღესის მმართველის სინოღღისათა.—უწმინღღესი მმართველი სინოღღი სრულიად როსიისა მართლმადიღღებისა ეკლესიისა ტეთა გიხაროღენ უფლისა მიერ. აწინღღესა ჩღკა წელსა მაისის 3 ღღესა ჩვენ, მმართველსა სინოღღსა, მოგვერთტა ბერღ-კოღღელიით მოხსენება...

ღასასრული: გ. რომელინცა აღწერიღღთაგან რასკოღღნიკთა და შესაბამთაგან სარასკოღღნიკოთაღმი საქმეთა გამოსჩნღღებიან ღღოღღწასა შინა ღაშოთიღღი მათგან მოძრავი და უძრავი ქონება, აღიწერების მისის იმპერატორების ღღღებულეზისათჳს,

იგიცა ქონებად განისყიდოსა და შემდგომად მსგავსთა მათთა თანა, რომელნიცა გამოსჩნდნენ ვაჭართაგან ანუ შლახეტთაგანცა, თანასწორთავე სახით მოქცევაჲ ჰხამსა? (ფ. 1 r—35r).

2. **ჴორმა მღუდელთმთავრისაგან მისაცემელის ღრამატისა ახლად გელ-დასხმულისა მღვდელისადმი (ფ. 26—30r).**

დასაწყისი: წყალობითა ღმრთისათა (აქა დაიწერება ტიტული მღუდელთ-მთავრისა) მადლითა, ნიჭითა, ჴელმწიფებითა ყოვლად წმიდისა და ცხოველთა დასაბამისა სულისათა, მოცემულითა ჩვენდა თუთ დიდისა მღუდელთმთავრისა უფლისა ჩვენისა იესუ ქრისტესაგან...

ბოლო: მიეცა მას ჩვენი ესე მღუდელთმთავრული ღრამმატჲ გელითა ჩვენითა ქვემოწერილი და ბეჭდითა დამტკიცებული ღმრთივ დაცულსა ქალაქსა (სახელი მის ქალაქისა, ანუ სოფლისა, ანუ დაბისა) შექმნითგან სოფლისა გტკგ, ხოლო განხორციელებითგან სიტყვისა ღმრთისა ჩყივ-სა თჴსა, დღესა.

3. **ჴორმა მღუდელთმთავრისაგან მისაცემელისა ღრამატისა ახლად გელდასხმულისადმი დიაკონისა (ფ. 28r—30r).**

დასაწყისი: წყალობითა ღმრთისათა (აქა დაიწერება ტიტული მღუდელთმთავრისა), მადლითა, ნიჭითა და ჴელმწიფებითა ყოვლად წმიდისა და ცხოველ დასაბამისა სულდასათა, მოცემულითა ჩვენდა თავადისაგან მღუდელთმთავრისა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესა.

ბოლო: მიეცა უკვე ღრამმატა ესე ღმრთივ დაცულსა ქალაქსა (ანუ დაბასა) წელსა შექმნითგან სოფლისა გტიზ, განხორციელებითგან სიტყვსა ღუთისა ჩყო, თუჴსა, დღესა.

4. **ჴორმა მღუდელთმთავრისაგან მისაცემელისა ღრამატისა ხელდასმულობისადმი იპოდიაკონისა (ფ. 30v—31r).**

დასაწყისი: წყალობითა ღმრთისათა (ტიტული მღუდელთ-მთავრისა), მადლითა და ჴელმწიფებითა ყოვლად წმიდისა და ცხოველსმყოფელისა სულისათა, მოცემულითა ჩვენდა დიდისაგან მღუდელთმთავრისა, უფლისა და ღმრთისა ჩვენისა იესო ქრისტესა...

ბოლო: კჴულად იგი (სახელი ხელდასხმულისა) ჩვენ მიერ (ჴელდასხმითა ანუ სტიხრის მიცემითა) ჴემორე ხსენებულსა ჴელა, ეკლესიასა კურთხეულ არს. მიეცა მას ღრამმატა ესე გელითა ჩვე-

წითა ქვემოწერილი და ბეჭდითა დამტკიცებული ღმრთივ დაცულსა (ქალაქსა ანუ დაბასა სახელით) წელსა შექმნითაგან სოფლისა ტტკვ, ხოლო განხორციელებითაგან სიტყუსა ღმრთისა ჩვივ, თთშსა, დღესა.

5. განმარტება უცხოს ენის ლექსთა ამას რელლამენტსა შინა ზმარებულად (ფ. 31v—33v).

დასაწყისი: რელლამენტი—ლათინთ კანონისდება.

სენატი—ლათინ. უზენაესი სამსაჯულო, სადაცა პირველ მჯდომარებს თუთ ველმწიფე, ბერძნულად სინკლიტი.

ბოლო: ბოიარი ანუ ბოლარი არს სახელი ძჳშლთა აზნაურობის პატივის მექონეთა რუსეთისათა.

შლახეტი—ესეცა არს მექონი აზნაურობის პატივისა, უფროსი ერთი პოლშელთა აზნაურთა ეწოდების შლახეტი.

ანდერძი: სულ იქმნა, დიდება ღმერთსა სრულ მყოფელსა ყოველთასა, ამინ (ასომთავრული ხუცურით) პირისპირ დედნისა წაკითხულ და განმართულ იქმნა.

6. ქორწინებისა თავისკვს (ფ. 36—61r).

გადათარგმნილია ბერძნულიდან ქართულად ბერძენ იოანე შიხაილის-ძე პაპუწისშვილის ქსიკილინოსის და ხუცესას იოანე ოსესძის მიერ 1775 წ.

დასაწყისი: თავი სჳა მათესი. ხარისხნი ქორწინებისანი ამად ვიდრემე იწოდებიან ხარისხად, რამეთუ ვითარ იგი კიბეთა ზედა აღვლენ ხარისხად და შთამოვლენ, ეგრეთვე არს ნათესაობადცა ხარისხად. განიყოფების უკუშ ნათესაობა ხუთ წესად და აღრიცხვს ხუთ ნაწილად...

ბოლო: ცოლისა ჩემისა პირველისა ქმრისა ძმამან შეერთო ცოლი. ოდესცა მოკვდეს კაცი იგი, ვერ შევირთავ მე ცოლსა მისსა, ხოლო შევირთავ დასა ცოლისა მისისასა.

ცოლ-ქმარნი. სძალ-მაზლნი. ცოლ-ქმარნი. დანი. პეტრე, მარამ. პავლე. თეოდორა. ირინე. 2 ცოლქმარნი—იოანე მარიამ. თავი ე ჯერარს.

განსრულდა დიდება ღმრთისა.

ამ ნაწარმოებს აქვს ასეთი მიძღვნა (ფ. 36 r):

დასაწყისი: უნეტარესსა და უწმინდესსა პატრიარხსა ყოვლისა საქართულომასასა მეფისძეს ანტონის, ჩლენსა უწმიდესის სინოდისასა უუმონებრესი მოვსენება.

უწმიდესო მეუფეო,
ზე აღმავლობა აღისა მასწავებდინ
და მიმართება კენტროჯსადმი ნიეთთა.
შემომიკრებდინ ჳმათა რათმე მიზეზთა

ბოლო: უღირსი ხუცესი იოანე ოსესძე, ბერძენი იოანე მი-
ხაილის-ძე პაპუწისშვილი ქსიქილინოსი: ოკლომბერსა თთჳსსა
დღესა 17, წელსა 1785, ტფილისს.

ითარგმნა ესე წიგნი წინამდებარე
ოდენ ბერძულით ნათესავით ბერძნისაგან.
ამისთანავე შრომითა და თან ლტწითა
ნათხზად ქართულებერ ოსესძის მღვდლისაგან, ხოლო
ერთნი კიდურთა შეგასწაონ სახელნი (ფ. 38 r).

მიწაწერი: წიგნი ესე ქორწინებათათჳს ეკუთვნის თელავის სასულიერო სა-
სწავლებლის უჩიტელს მიხაილ ხელავეს. არავინ არ იკადროს მოპარვა ამისი-
ვინაფთჳნ მერვე მცნება იტყვს—არა იპარო. ჩყად, 23-სა : ზ : (ე. ი. 23 ივლისს).

61

ქაჯაული საისტორიო თხზულებათა

105 ფ; 22X16.3; ქაღალდი; ტყავ-გადაკრული ხის ყდა; მხედრული:
XVIII ს-ნის (ხელის მიხედვით); შემოსულია 1924 წ. ვლად. მიხ. ხელა-
შვილისაგან (თელავი).

1. ტყეობისათჳის დიდებულისა სამეფოჯსა ქალაქისა კოს-
ტანტინეპოლისა, რომელსა უწოდებენ ახლად ჰრომად, რომელიცა-
დაატყვევა მახომედ მეორეჲსან, სულთანმან თურქთამან მერვემან
შემდგომად ქრისტესა წელსა 1453 ჩუნგ (ფ. 1—41 r).

დასაწყისი: მახომედ სულთანმან თურქთამან, რომლისა
სახელი მეორე, შემდგომად სიკვდილისა მამისა თჳსისა ამურატის-
სა აზიას შინა სამთავროსა ბითენიისასა და ქალაქსა შინა ბურეს-
სა ღირსებისაებერ აღასრულა დაფლვაჲ მისი..

ბოლო: ჰქმნა უკუტჳ პირისა გამოსარღუნელი ჰაჲ, რომელი-
ცა მოიტანა მეფემან სამარიათ, რომელსა ზედა მჯღომარე იყო.
ქრისტე მეტყუელი სამარტელისა მიმართ და იპოვება დღეინდ-
ლად დღედმდე მუნ, რომელიცა დადგმულ არს ადგილსა ზედა-
მალალსა შინაგან ტაძრისა წმიდისა სოფიასა. ესოდენი და ესე
ვითარი ტაძარი ღმრთისა იქმნა მეჩითი ისმაიტელთა. შეძრწუნდი,
ქჳსყანაო, მხედელსო ესოდენისა სულგრძელებისა ღმრთისაო.

2. ისტორია დარღუძისათვის უკანასკნელ წმიდისა ქალაქისა ღეროსალიმისა ჰრომაელთა კეისრისა ტიტესგან, ძისა ვესპასიანუსა (ფ. 45—104 r).

დასაწყისი: ოდეს მიიღო პატივი და ღირსებაჲ კეისრობისა ვესპასიანემან და იქმნა დამტკიცებულ მბრძანებულად ყოვლისა სოფლისა, მყის პირველსავე წელსა მბრძანებლობისა თვისისა იწყო გამოძიებად დაშოპილთა მათ იუდიანთათვის.

ბოლო: თუთ უფლისა მიერ არს თქმული პირითა წინასწარ-შეტყველისათა, უკეთუ ისმინოთ ჩემი კეთილსა ქვეყნისასა, ჰსჯამდეთ თქვენ და უკეთუ არა ისმინოთ ჩემი, მახულმან შეგკამნეს თქვენ, რამეთუ პირი უფლისა იტყოდა ამას.

62

ცნობა ისტორიული და ლეოღრაჲიული

63 ფ.; 22,3×17,3; ქალაღი (ლურჯი და მოლურჯო); უყდო; მხედრული; XVIII ს-ნისა (ხელის მიხედვათ); შემოსულია ვლად. მიხ. ხელაშვილსაგან 1924 წ. (თელავი).

ცნობა ისტორიული და ლეოღრაჲიული. ზღაპარსიტყვაობა. შეკრება რაოდენთაჲე ძველთა ღმერთებთა ელღინთაგან ღმრთად აღსარებულთა, თარგმნილი რუსულსაგან ქართულსა ენასა ზედა საქართველოს მეფის-ძის და რუსეთის ღერანალ მაიორის დავითისაგან [1798—1799 წ. როდესაც დავითი იყო გენერალ-მაიორის ხარისხში].

დასაწყისი: წინასიტყუაობა. სიტყვერთა ცხოველთა ჯერ არს სიტყვერ ყოფად, გარნა სიტყვეერ ყოფაი გარდა ვმარებისა წერილისა არა ეგების და არცა რაიმე საქმე წარიმართების, რომელსა ზედაცა არს დამოკიდებული. ბედნიერება ცხოვრებასა შორის კაცისასა.

ბოლო: ხარედა ეწოდების კლდეთა მათ, რომელნი არიან ზღვასა შინა სიკილისასა და ტრინწიკოჲსასა და არს ადგილი იგი ძნელ... ამისი სახე იყო ვიდრე უპედმდე დედაკაცისა ქმნილ-კეთილისა და იმიერ და ამიერ მისა თავნი ძალღისანი ექვსნი. ხოლო სხუა გვამი მისი გველის სახეესე უწყალოდ და მგეცებრ განჰბძარვიდა წარმავალთა მისა ნაგებითა.

შენიშვნა: ბოლოში ჩატერებულია ორი ფურცელი. ერთზე ტექსტი-საგან განსხვავებულ ზღლით სწერია განმარტება პართიას შესახებ: პართი არს რომელიმე ნაწილი აწ წოდებულია ერაყად. ეკტომპილოს ეწოდებოდა მაშინ ყოვლად დიდებულსა ისპან ქალაქსა, რომელი არს სასაყდრო ქალაქი შაჰთა სპარსეთისათა...

მეორე ფურცელზე სოლომონ ლარაძის ხელით სწერია: დილანტნი იყუნენ კაცნი, საშინელია სიმაღლისა და ძლიერებისა მექანენი, რომელნიცა ჰსცხოვრებდენ საბერძნეთსა შინა, ესე იგი ჭესსალიასა და ჭრაკიას შორის...

ამ ფურცლის მეორე გვერდზე სწერია... მიტროპოლიტი ათანასე ლარაძე.

63

ევფუთის წიგნის ნაწყვეტი,

ფ. 2; 22,2×16,5; ქალაღი; უყდო; თავ-ბოლო ნაკულუი; მხედრული; XVIII ს-ნის (ხელის მიხედვით); შემოსულია ვლად. მიხ. ხელაშვილისაგან 1924 წ. (თელავი).

დასაწყისი: კითხვად, ვითარ გულისხმა იყოფების წერილი იგი წიგნსა მეფეთასა ულუფისა მისთჳს, რომელსა და მივიდა საულ კითხვად. უკეთუ ნამდვილვე სამოელისი სული მოიყვანა მან სიტყვჳს მიცემად მისა.

მიგება: (მაქსიმე) ჰსთქვეს ვიეთმე; თუ სამოელის სული მოვიდა...

ბოლო: და რომელსა მონათლე იგი სიტყვთ აღასრულებს მღჭდელი, საქმით დაამტკიცებს წყლისა მიერ, რამეთუ შთაყოფად იგი წყალსა და ვითარმედ და კუალად აღმოვდაჲ სახე არს ჯოჯოხეთს შთასლვისა და მიერ აღმოსვლისა, რომელ აღასრულა უფალმან და აღმოიყვანა ჯოჯოხეთით. ამისთჳს საფლავად უწოდდა პავლე ნათლისღებასა და თქვა: ვითარმედ თანა დავეფლენით მის ნათლის ღებითა მით სიკუდილს მისსა და ამის მიერ მერმესა მას აღდგომასა მკუდართასა ყოვლად უზესთაჲს არს აღვოცა ცოდვათა, ვითარცა ჰრქვა უფალმან ჰურიათა—რა უადვილეს არს თქმად, თუ მიგეტყვნენ ცოდვანნი შენნი ანუ თქმად...

64

ჟამნი და ლოცვანი

289 ფ.; 16,2×10,5; ქალაღი; ტყავ-გადაკრული ხის ყდა; ნუსხური (სათურები სინგურით); XVIII ს-ნის (ხელის მიხედვით); გადაწერილი სიონის დეკანოზისშვილი ნიკოლოზი (163 წ.); შემოსულია ვლად. მიხ. ხელაშვილისაგან 1924 წ. (თელავი).

1. ჟამნი ძილითა ღმრთისა ყოველი (ფ. 1—163 r)

დასაწყისი: რაოდენი აქუს ლოცვაჲ მსგავსად წესისა მის წმიდისა იერუსალიმისა და კეთილთა მონასტერთა, რა ჟამს აღს-

გე ძილისაგან. განუშორე სარეცელსაჲ და ბრძანეთ: ლოცვითა წმი-
დათა მამათა ჩუშნათა...
ბოლო: და არიან სხუანიცა მრავალ რომელ ქმნა იესუ,
რომელნი თუმცა დაიწერებოდეს თვითოეულად, არცაღა ვგონებ-
ვითარმცა სოფელმან ამან დაიტია აღწერილი წიგნები, ამინ.

2. სელა მთოვარისა სამარადისო (ფ. 163v—164v).

დასაწყისი: უკეთუ გენებოსთ, რათა ჰპო[ო]თ თუ რომელსა-
დღესა თქსსა განახლდების მთოვარე, ქვემოთ კიბეთა ამათ შინა...

შენიშნა: თან ახლავს მთვარის მიმოქცევის ცარილი და წელთა (163v—164v)

3. სამოციქულო და სახარება შეიდეულთა დღეთანი.

(ფ. 165r—170v)—კვირიაკესა: ფსალმუნი. იყავნ უფალო წყა-
ლობაჲ შენი ჩუშნ ზედა; დასდებელი; იხარებდინ მართალნი უფ-
ლისაჲ მიმართ.—რომაელთა მიმართ ეპისტოლე.—ძმანო, რომელთა-
ესე ნათელ იღეთ ქრისტე იესოს მიერ...

4. ლოცვანი.—ლოცვანი შუალამისნი, თქმული იოსებ გამო-
მეტყველისა მიერ:—ლოცვითა წმიდათა მამათა ჩუშნთა, უფალო.
იესუ ქრისტე, ღმერთო ჩუშნო, შეგვიწყალენ ჩუშნ. წმიდაო ღმერთო,
მამაო ჩუშნო; კირიელეისონი იბ, მოვედით. თაყვანის ვსცეთ გ—
უფალი ნათელ ჩემდა და მაცხოვარ ჩემდა ვისა მეშინოდის...
(184r—288r).

ან დერძი: 1) ქრისტე, შეიწყალე ამისი მხზაბავი სიონის დეკანოზისშვი-
ლი ნიკოლაოზ (ფ. 163 v ნუსხური, ტექსტის ხელით).

65

საზოგადო ისტორია ზრეპკოვისა

57 ფ; 21,3×16,6; ქაღალდი (ლურჯი); ყდაანი; მხედრული (სათა-
ურები ასომთავრულით); XV!!! ს-ნის ბოლო ან XIX ს-ნის დასაწყისი
(ხელის მიხედვით); შემოსულა ვლად. მიხ. ხელაშვილისაგან 1924 წ. (თე-
ლავი).

დასაწყისი: ნაწილგმეორე. ისტორია შობისა ქრისტესისა..

პერიოდი პირველი

იესო ქრისტეთგან თეოდოსადმდე და დიდად დაშენებადმდე
ერთა ანუ დაფუძნებითგან ქრისტეანობისა ეკლესიისა განაყოფამ-

დე რომის იმპერიისა დაცემადმდე მისსა დასავლეთის ქრესტიანთა შინა და დასაბამამდე ახალთა საჯელმწიფოთა.

ბოლო: და გვიანთა უკუშ დროთა შინა სცნეს, რომელ სწავლანი, ქელოვნებანი, მოპოვებანი, მომატუშბელნი ყოველთადმი სარგებლობისანი და თვსებანი, შემადგენელნი შტატის კაცსა ღირსებისანი, ნამდვლ არიან კეთილშობილურნივე უპირატესობანი და ღირსნი პატივისა და დიდებისანი.

66

სასულიერო თხრობათა და ლექსების კრებული

38 ფ.; 22,2×18; ქალღი; ყდიანი; მხედრული; 1862 წ. გადამწერი მღვდელი ძიხ. ხელავეი; შკოუსულია ვლად. მიხ. ხელაშვილისაგან 1924 წ. (თელავი).

1. განსჯა ტანჯუათათვს უფლისა ჩუშნისა იესო ქრისტესი (ფ. 1—7r).

დასაწყისი: საიდან იწყო წინად სიკუდილითნი ტანჯუანი უფლისა ჩუშნისა?

იერუსალიმს.

სად გათავდნენ ეს ტანჯვანი?

გოლგოთაზე.

დასასრული: მოდრიკე, უფალო, ჩემი ცოდვილი თავიცა ქრესტიანე ფერკთა ცხოველ მყოფელის ჯვარისათა შენისათა და განასპეტაკე სული ჩემი, მოწყალეო, დაღვრილის მას ზედა სისხლითა შენითა, ამინ.

შენიშვნა; თავში ამ თხრობას მიწერილი აქვს: *Перевод с русскаго* (18)62 r.; ბოლოში მიწერილია ტექსტის ხელით: მ. ხელავეი.

2. სასულიერო ლექსები (ფ. 8r—11r).

ა) ლოცუა კაბუკის შემოქმედისადმი.

დასაწყისი: შენდამი, უფალო და შემომქმედო, მოვივლტვი ჩემის გამოუცდელის სულითა...

ბოლო: შეამცირე და განაგდე ზვინი, უფალო, ღმერთო ძალთაო.

ბ) გალობა ღმრთის მშობელისა მიმართ ეამსა სათარველის გამოცხადებისა.

დასაწყისი: მოახლოდნენ ახლოს საბერძნეთისა მტერნი, ემუქრებიან მას წარსაწყმედად ჯარნი...

ბოლო: ღმრთის მშობელი ჩემო, კვლად გვერდი დამიფარე საფარველითა შენითა, რათა ვაქო მამა, ძე და სული წმინდა შეწვენითა შენითა.

გ). ლოცვისათჳს.

დასაწყისი: ლოცუა სულსა ზეტასთან შეაერთებს, იგი საუკუნოებისთჳს წინდია.

ბოლო: მომავალი გზა ლოცვით ჯერ არს შეკრებად და ვხილავთ კიდესა და დავიწვობით გალობად.

დ) ქრისტეს შობაზედ

დასაწყისი: წვეს შეხვეული სახვეველითა ქვაბსა შინა იგი, რომელმან სამყარო ზეცათა...

ბოლო:... რათამცა მასთან ნეტარებით დავსტკებოდეთ და კაცთა ზეცა მოუგო, გალობით უგალობდეთ.

ე) ძლევის გალობა ღმრთის მშობლისა მიმართ.

დასაწყისი: შენი ზესთამბრძოლისა.

შენ, ძლევათა-წინამძღვარსა...

ბოლო: და წმინდის გულით ღმობიერებასა

ვიკადრებთ ძლევისა გალობისა შეწირვასა.

ვ) გალობა ღმრთის მშობლისა.

დასაწყისი: ჭი დედაო უმაღლესო, მალალთა გონებათაო! მათ, საუკუნო დიდებო ქებათაო.

ბოლო: აჰა იგი ქუხილის გუნდით მოჴალსა და ჩუენ საუკუნო სასუფეველისადმი მიგვიწოდებს.

შენიშვნა: Перевел с рускаго языка ученик высшего отделения семинарии Мих. Хэлаев

3. წიხ. ხელაევის მიერ ქართულად გადათარგმნილი ქადაგებები და ლოცვები, გ. 11 v-36v.

ა) სარჩევი 17 ქადაგების, ლექსების და ლოცვებისა (რუსულად).

დასაწყისი: 1 Слово на день введения во храм пресвятыя богородицы.

ბოლო: Песнь о богородице. перевел уч(еник) бог(ослов) Мих. Хэлаев.

ბ) Глава VI. Указатель для изяснения иностранных слов и выражений в священном писании.

დასაწყისი: 1. Авгадон—евр. губитель, это имя усвояется ангелу бездны.

ბოლო: 77. Оружие света, оружие божие. Одобрение честной, непорочной совести и сил, ниспосылаемая верующим от духа святого. Рим. 13, 12—14, Еф. 6, 11—17; Писал Мих. Хелаев.

გ) 21 ноября. Введение во храм пресв. богородицы.
დასაწყისი: ყოველნი დიდებულნი დღესასწაულნი პატივისათჳს წმიდათა ბრწყინავენ...

ბოლო: თჳთ ღმერთმან მოსრულმან გვაცხოვნა ჩვენ. მას დიდება უკუნითი უკუნისამდე, ამინ. Согласно с подлинным.

დ) Слово 2-е на день Иоана Богослова.

დასაწყისი: რას შეუძლიან დაედაროს ამა ნეტარებასთან, რომელი იყოს შეყვარებული უფლისაგან!

ბოლო: ღირს გვეყოს საუკუნო ნეტარებასა მადლითა და აკეთ-მოყვარებითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რომლისა თანა მამასა და სულსა წმიდასა პატივი და დიდება აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ე) Слово 3-е на новый год

დასაწყისი: და ვითარ აღესრულნეს დღენი იგი რეანი წინადაცემისა მისისანი...

ბოლო: ვიდრემდის მივიწივნეთ ყოველნი ერთობასა სარწმუნოებისასა და მეცნიერებისასა მის ღმრთისასა მამაკაცად სრულად საზომად ჰასაკისა სავსებისა მის ქრისტესისა, ამინ.

ვ) Память в ноябре, 4-ое слово на день Иванны Златоуста.

დასაწყისი: მიყვარს მე ძველი წიგნი ზადიკი, მიყვარს მისთჳს...

ბოლო: ღმერთი, რომელი არა უხილავს, ვითარ ძალ უძს შეყვარება. მას მხოლოსა დიდება და სიმტკიცე უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ზ) Слово 6-е на день св. великомученика Георгия..

დასაწყისი: მოწამენი და ანგელოსნი განირჩევიან ურთიერთას მხოლოდ სახელითა...

ბოლო: დიდება მამასა ყოვლად წმიდით და ცხოველს მყოფელით სულითურთ უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ყ) Слово 7-е на день св. ап. Петра и Певла.

დასაწყისი: მსგავსად რომლისამე დიდის სხეულისა რომის ქალაქსა აქუნან ორი ნათელნი თვალნი—სხეულნი წმიდათა მოციქულთა პეტრესი და პავლესი...

ბოლო: მოგვანიქოს ჩვენ ესეყოველნი უფალმან იესუ ქრისტემან, რომელიც სცხოვრობს და მეფობს მამით და წმიდის სულითურთ უკუნისამდე, ამინ.

თ) 9. Благовещение пресвятыя богородицы.

დასაწყისი: და თჳსა მეექვსესა მოივლინა გაბრიელ ანგელოსი ღმრთისა მიერ ქალაქად გალილიასა...

ბოლო: კურთხეულ არს ღმერთი, რომელმან მოხედა ჩვენსა გლახაკობასა, მას მხოლოსა მადლობა, პატივი და დიდება უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ი) Воздвижение честного и животворящего креста-

დასაწყისი: თუმცა ყოველი საკვირველთ მოქმედება ქრისტესი უზომო, ღვთაებრივ და საკვირველ არს...

ბოლო: ზი, უკეთუ ჩვენც, რომელნი თაყვანის ვსცემთ ჯვარსა, მივიღებდეთ ნაწილსა ჯვარცმულ ქრისტესთან, ამინ. Михаил Хелаев.

სიტყვა ქრისტეს შობაზედ (ფ. 35—37)

დასაწყისი: განეხუნა ცაჲ, დიდებამან უფლისამან განაბრწყინვა ქრისტეანა...

ბოლო: მას მხოლოსა დიდება და პატივი დაუსაბამო მამით და ყოვლად წმიდის სახიერის და ცხოველს მყოფელის სულითურთ და უკუნითი უკუნისამდე, ამინ. М. Хелаев.

წმიდა წმიდათა (ქადაგება, შედგენილი მღვდელ მიხ. ხელაევის მიერ, ფ. 37 r—38v).

დასაწყისი: რაოდენისამე წამის წინათ გესმათ, ქრისტიანენო, ეს სიტყვები...

ბოლო: მრწამს, უფალო, და ვაღვიარებ, რამეთუ შენ ხარ კეშმარტად ქრისტე ძე ღმრთისა ცხოველისა, მოსრული სოფლად ცოდვილთა ცხოვრებად, ამინ. შღუდელი მიხაილ კელაევი.

შენიშვნა: ქადაგება წმიდა წმიდათა. დაწერილია სხვა ქალაქებში შემდეგში და ჩაკრებულთა ხელნაწერში.

67

კ რ ე ბ უ ლ ი

48 ფ.; 21,5×17,5; ქალაქი (ლურჯი); ყდიანი; მხედრული (თავასობები და მეორე სათაური ასომთავრულით); XIX ს-ნის დასაწყისი (ბელის მიხედვით): გადამწერი იაკობ გარსიევი; შემოსულია 1x24 წ. ვლადიმის ხელმედილისაგან (თელავი).

1. მიცუალემა ყოვლად წმიდისა ღმრთის მშობელისა, თქმული წმინდისა მამისა ჩვენისა ბასილი კესარიელისა, რა ჟამს იგი აღვიდოდა ქუშყანით ზეცად. გვაკურთხენ, მამაო (ფ. 1—25).

დასაწყისი: რა ჟამს სულისაგან წმიდისა ღმრთის მშობელსა მარიამს გულის ხმა ეყო ჟამი განსვლისა მისისა ამიერ სოფლით, მაშინ მხიარულ იქმნა...

ბოლო: ადიდეს წმიდა ღმრთის მშობელი, ეზიარნეს ჯორცსა და სისხლსა ქრისტესსა და ქალწულთა ნუგეშინის სცეს და განაწესეს ხსენება წმიდისა ღმრთის მშობელისა ესრეთ, რამეთუ არს ძალი და კაცთ მოყვარეობა მამისა და ძისა და წმიდისა სულისა აწ და მარადის...].

2. ცხოვრება და მოქალაქეობა წმიდისა ღმერთ შემოსილისა მამისა ჩვენისა დავით გარეჯელისა. მამაო, გვაკურთხენ (ფ. 16r—47v).

დასაწყისი: სახსენებელსა მართლისასა მომთხრობელთა და მოქალაქობასა წმიდათასა აღმწერელთა გონებისა სადამე თვალთა განწმენდილად ჯერ იყო ქონება...

ბოლო: შვენის დიდება, პატივი და თაყუანისცემა დაუსაბამოსა თანა ძისა და ყოვლად წმიდისა სულისა, აწ და მარადის და საუკუნეთა დაუსრულებელთა საუკუნე, ამინ.

მინაწერი (ფ. 48v): ეს წიგნი ეკუთვნის მღვდელს იაკობ გარსიევსა, რომელიც არის ნალუაწი მისგან წმიდის დავით გარეჯის მონასტერსა შინა.

68

ანბონ კათალიკოზის რიტორიკა

39 ფ.; 21 × 17,5; ქალაღი (ლურჯი); ყდიანი; მხედრული (სათურები ასომთავრულით); XVII ს-ნის უკანასკნელი მესამედი (ხელის მიხედვით); შემოსულია 1924 წ. ვლად. მიხ. ხელაშვილისაგან (თელავი).

დასაწყისი: თჳს რიტორებისა. § 1. რიტორება არის ეწლოვნება განკარგულად და საამოვნოდ განცხადებად ჰაზრთა თჳსთა.

ბოლო: თავი დ. შაირისათჳს...

მე მეკდიმების ყტმდრება, ამისთჳს ვიწჳ აღითა და ყტედრება გულსა დაჰბადავს, ვით გატყდეს შინა სალითა.

შენიშვნა: პირველ გვერდზე მოთავსებულია მინაწერები (ნაწილი ბეუულით) არა ტექსტის ხელით.

ფილოსოფიური წიგნი

10 ფ.; 34 x 50,5; ქალაღი (მოღურჯო); ყღიანი; ბოლო აკლია; მხედრული; XIX ს-ნის დასაწყისისა (ხელის მიხედვით); შემოსულია ვღად-მის. ხელაშვილისაგან (თელავი).

დასაწყისი: ფილოსოფია მიიღების განსასჯელად ორ გუბ-რითა ხატითა, ესე იგი ჰაზრსა შინა მოქმედისა და ჰაზრსა შინა ვნებულისასა. პირველსა შემთხუშვასა შინა არს ფილოსოფია შე-ჩუშულება ანუ ძალი ცნობად და განხილვად ჳმათა მიხეზთა და დასაბამთა ჳშმარიტებისათა...

წყდება: ვირგილიოს იტყვს სიღენისთვს 6-სა შინა ევლო-ლისა: „ქერქსა შემოახვევს დათა კადნიერი ჳაენტონტა და მურ-ყანთა დიდთა ჳტყყანასა ზედა აწარმოებს, ესე იგი მოსტჳამს გარდაცჳალებისათვს ჳაენტონტას დათასა მურყნებად.

სამათნი იოანე სინელისა

25 ფ.; 22 x 18; ქალაღი (ღურჯი); უყდო; ბოლო აკლია; მხედრუ-ლი (სტრიქონების დაშწყები ასოები ასომთავრულად); გამღქსავი იოვანე [პეტრიწი]; XVIII ს-ნე (ხელის მიხედვით); შემოსულია ვღად-მის. ხელაშვილისაგან (თელავი).

დასაწყისი: იოანესაგან სინელისა სამ-ათნი გვარნი კი-ბისანი, აღსავალთაებრ თჳმულნი. ვინცა აღსრულხარ, სისრულედ მიწევნულხარ, ესენი თითო თავისაგან ათ მუხლად მე, იოვანე, და-ვლექსენ პირის პირად.

გნებავს გამოხუალ, თუ ოდესცა ამას ჳყოფ, არსსა ვით ხედავ უმეცარი, არ მართალი, მარადის მხედი საუკუნოსა მეტრფი, უწყით მუნ აღვალს სულითა მამისა მიმართ. საზოგადოდ ვინ აჳა უფროს მოიგო ღმერთი...

წყდება: განეყო საჳმარი უფროსთა მრწემთა ზედა; ვტიროდით თვსთა, სხვასა ნუ ესჯით განკითხვით; ნუ სადა შწარედ მგლოვიარეთა გულითა; ნეტარწოდებით ნუგეშინის გვეცეს ღმერთმან.

კ ა რ ა ბ ა ღ ი ნ ი

21 ფ.; 17×11; ქალღი; უყდო; თაე-ბოლო ნაკლული; მხედრული; XIX ს-ნის პირველი ნახ. (ხელის მიხედვით); შემოსულია 1924 წ. ვლად. მიხ. ხელაშვილისაგან. (თელავი).

იწყება: და ბევრი პაქსიმატი სქამოს, ორსავე არგებს და უშველის. ფეტვის პური ხმელი და გრილი არის. კაცის სტომაქშიაც გვიან გვიან დადნება და კიდევ შეჭკრავს.

წყდება: ხმელი ყურძენი უნდა დანაყოთ, რძით მოხარშოთ, ნელთბილი პირში იგუბოთ, კბილები დაათეთროს და დაამაგროს...

ვახტანგ ბატონიშვილის სამარტლის წიგნი.

100 ფ.; 21,2×17,3; ქალღი; ყდიანი; მხედრული; XVIII ს-ნის პირველი ნახევარი (ხელის მიხედვით); ხელნაწერს აქვს თავისი პაგინაცია გვერდების მიხედვით (სულ 200 გვერდი, შემდეგ 29 ფურცელი ცარიელია); შემოსულია ვლად. მიხ. ხელაშვილისაგან.

დასაწყისი: სამართალი პირტული შესავალი ბატონიშვილის ვახტანგის ნაბრძანები.

მყოფისა უმყოფობისა, არსისა და უარსესისა, მქეები არა თუ ღირსად, არამედ შეძლებისა ჩემისამებრ მქებელი და მმონებელი, უღებად მქონე მპოვნელ ვიქმენ, ვითარცა მეფენი დღითი დღე მკრეფელი ჳელთა თვსთა მარგალიტთა შინა ჳპოვებენ მძივთა რათამე და უხილველობისათვს აღილებენ და შთასდებენ საუნჯესა პატიოსანთა...

ბოლო: 261. ვინც აიყვანოს ყმაწვილი ან იპოვნოს და გაზარდოს, იმისი ასრე იქმნების. იმ კაცზედ კილია, თუ უნდა, თავის შვილათ გაზარდის და თუ უნდა, თავის ყმად. სიკვდილის დღეს უნდა სიცოცხლეში აზატი უყოს და განათავისუფლოს, იმის მონათესავე კაცს ჳელი არა აქვს; თუ ყმობა დაარქვა, სამკვიდრო ყმა იქნება.

გვ. 176—196 მოთავსებულია სარჩევი. ბოლო: ჯ. ჯერ არს შესწავება ბჭეთაგან, თუ ვისი ჳხამს ხმალში გატანება და რასათვს.

მინაწერი: (ტექსტის ხელით, გვ. 197—198) 1. [ქორონიკონები]: მეფე ერეკლის (!) ქორონიკონი ტოზ (=1689 წ.).

თაობით რომ სუხავი მოვიდა, მკათათეს იე ქვს უგ (=1718 წ.).

ოსმალი რომ ქალაქში შემოვიდა, თიბათვის ი ქვს უია (1723 წ.).

იასე მეფე რომ მოვიდა, მარტის ხ₂ ქს უიე (=1727 წ.).
 მელიქი აშხარბეგ ურუმებმა მოჰკლეს ქს უკვ (1735 წ.).
 ხანჯალ ხანმა რომ ქალაქი დაიჭირა. ქს უკვ (1735 წ.).
 თამაზ ხან რომ ქალაქი შემოვიდა, ლეიონობისთვის ვ₂ ქს უკვ (=1735 წ.).
 არბაბობა რომ შოვიდა, თებერვლის ი₂ ქს ულვ (1747 წ.).
 აბდულაბეგ რომ მოვიდა, აპრილის ა₂ ქს ულვ (=1748 წ.).
 ჭარში რომ დამარცხდენ, თებერვლის ა-ს ქს ულთ (=1751).
 განჯას რომ დამარცხდენ, მარტის კ₂ ქს უმქ (1758).
 მეფე თეიმურაზ რომ რუსეთს წაბძანდა, აპრილს იგ₂ ქს უმქ (=1760 წ.).
 ახათხან რომ დამარცხდა, კათათვის კ₂ ქს ულთ (1751 წ.).
 ქალაქს რომ დიდი ჭირი იყო, ქს უნგ (=1770 წ.).
 ომან ხანმა რომ მადან(ი) აიღო, ენკენისთვის იგ₂ ქს უოგ (1785).
 მისი უწმინდესობა მეფის ირაკლის-ძე ანტონი წაბძანდა რუსეთს ნოებ-
 რის თ₂ ქს უუზ (1809 წ.).

2. მეორე მინაწერი ტექსტისავე ხელით (გვ. 198—199): [კვიმატიანი
 დღეები]: მარტის თ და კბ, აპრილის ე და კე, მაისის დ და კე, თიბათვის თ და კბ,
 მკათათს თ და კე, აგვისტოს თ და კთ, სექტემბრის ჯ და კბ, ოქტომბრის თვე კა-
 რგი არის. გიორგობის ე და კგ, დეკემბრის ე და კბ, თებერვლის თ და კბ არც
 მუშაობა, არც მგზავრობა არც ჭორწინება, არც ახალს სახლში შეაევა, არც
 საქმის დაწყობა, არც ლეინის ს₂ა, არც ძილი. ყმაწვილი (!) დაბადებაც ძნელია,
 თუ დაიბადა, თავად არ გაიხრდება და თუ გაიხარდა, უხერხო გამო(ვა). თუ
 ავად ვინმე გახდა, ძნელად მორჩება. ეს დღეები დიახ ავი და ძნელი დღეები
 არის. ყველა საქმეს უნდა ვრიდოს კაცი. თორემ ძნელია. ეგრეთვე უფალმან ღმე-
 როთჲან განუწესა ისრაელთ—ამ რიცხვებში გაბრთხილდითო.

73

მამსიმეს სწავლანი

45 ფ.; 22,7×18,4; ქალაღი (ლურჯი); უყდო; ბოლონაკლული;
 XVIII ს-ნე (ხელის მიხედვით; შემოსულია ვლად. მიხ. ხელაშვილისაგან
 1924 წ. (თელავი)).

დასაწყისი: წმიდისა მამისა ჩვენისა მამსიმეს თქმულთა-
 გან, რომელსა ჰკითხვიდა თალასი მღვდელ-მამასახლისი.

კითხვა: ნებანი ესე გულისთქმა, გულის წყრომა, მწუხარება
 და შიში მსგაესნი მათნი თავით თვისით არიან ბოროტ ანუ ვი-
 თარცა იგმარნეს?

მიგება: ნებანი ესა არა ღაბადებულ არიან...

წყდება: და საზომი ყოველთა კაცთა ცხოვრებისა ბრძანე-
 ბა ღმრთისა არს და წოდება მისი, ვითარ იგი პირუტლად
 ჰსთქმეს.—რი (=110). კ(ითხვა):... [მ]რავალნი ჰგონებენ ვითარ-
 მედ ვერ შესაძლებელ არს აღდგომა...

ლ ე ო ლ რ ა ჭ ი ა

8 ფ.; 22,2×18,2; ქალაღი (ღურჯი); უყდო; მხედრული (სათური და დასაწყისი ასოები ასომთავრულით); XVIII ს-ნის მეორე ნახვეარი (ხელის მიხედვით); შემოსულია ვლად. მიხ. ხელაშვილისაგან 1924 წ. (თელავი).

დასაწყისი: ლეოღრაჭია ესე იგი აღწერა ქუშყანისა ქუეყნიერისა თვს სფერაჲსა გინა ბურთისა.—მსოფლიო სჭერა, ანუ ბურთი შეიცავს თავსა ზედა თვსს 7200 მილსა, აღრაცხე ყოველსა მილსა შინა 3000 ნაბიჯი გეომეტრიული.

ბოლო: საცა ესე ორი მახული აჯდეს, სეკუნდია; ესე იგი ათი სეკუნდი. ესე არს მაჩუშნებელი სიმაღლისა და სივრცისა ქაღისა მზისაგან.

შენიშნა: ფ. 7 და 8 ცარიელია:

ქაბეული

146 ფ.; 14×10,7×2,7; ქალაღი; ყდინი; თავ-ბოლო ნაკლული; ნუსხური (სათურები და თავ-ასოები ასომთავრულით და სიხგურით); ფ. 82—85 ჩაწერიღია ფანჭრით (უახლოესი ხანის ხელით); XIV ს-ნე (ხელის მიხედვით); ცალკე ნაწილები დაწეზიღია სხვადასხვა დროს; შემოსულია 1924 წ. ვლად. ხელაშვილისაგან (თელავი).

1) წირვის განგება (ფ. 1r).

იწყება: ...ნსა შინა მოსსენებულ არიან და აღაჯორთა შვდეღოღ კვრიაკე ჳსნიღი არის ყოვლითურთ...

ბოლო: არამედ ყოვეღ დღესასწაულთა, რომელთაც კვრიაკე დაემთხუოდეს, პირვეღად აღდგომისა ითქუშის.

2) თქმულნი ფილოსოფოსთა (ფ. 2r—16r).

იწყება: ... კეთიღი, რომელი წარკიღა გ: ხუასტაგითა გაღდიგაღო. და ასესხო და ძნელად მოგცეს ე: შვეს შვიღი ჳირი-თაღ...

ბოლო: (ეპიფანე) თ: შეგრძნებულ ხარ, თავსა ეწიე. ი: ტყუის, არა იქს, რომელი თქუა. უკეთუ ბოლო დაიღოს, თავის-სა დაათულიღე.

3) სიზმრის ახსნა (ფ. 16—21r).

დასაწყისი: ესე არს გამოცღა სიზმართა.—უკეთუ ძიღ-

სა შინა წინასწარმეტყველთაგანი ვინმე იჯილო და გზრახვიდეს, ცოდვილი იყო, სინანულსა ეწიო.

ბოლო: უკეთუ ვინმე წყალად მიგიტრევედეს, დიდმან კაცმან მძლეობით რაემე წაგილოს.

4. კითხვა—ზიგება (ფ. 21v—23v).

დასაწყისი: ეგების ერისაგანისა ხუცისაგან მონაზონისა. კურთხევად ანუ დამოწაფებად კაცისა ანუ აღსარებისა მოსმენაჲ მიგებად: ერისგანისა ხუცისაგან მონაზონისა კურთხევად არასადაგუასმია...

ბოლო: გარნა ვითარ იგი ჯორცნი ქრისტესნი მიწასა შინა დაეფლნეს, ეგრეთვე მას ნაწილსა წმიდასა და ვპფლავთ შენახულსა ადგილსა, ესრეთ ჯერ არს ქმნა.

5. ალაჯორთა კვირიაკესთვის (ფ. 24r—25r).

დასაწყისი: შეილნო და მამანო, რომელ არს განყოფილებაჲ უსჯულოთა ნწვალებელთა და მორწმუნეთა, რამეთუ მორწმუნეთათს განაწესეს შეიდეული ესე ჯსნილად.

ბოლო: და დედაკაცი რაჲ თუშსა ჩადგეს, შორს ყოფა ჯამს, ვიდრე შემდგომად შობისა ორმოცამდის, თუ ვინმე მივიდეს, ორწელ განიკანონოს.

6. კანონი ეკლესიისა (ფ. 16r—27r).

იწყება: ...რებად ბზობად დიდსა ხუთშაბათსა სწირვედი, ყოველთა მცკრემლთა მარხვასა ლოცვასა და სიწმიდესა შეუთვალევი-

წყდება: უკეთუ ვინმე კრულ იყოს ებისკოპოსისაგან ანუ ქორაბისკოვისაგან, ეკლესიას ნუ შეუშუშებ და მის თანა ეამსა ნუ სწირავ, ნუცა მის თანა პურსა სჭამ; ნუ ეუბნები...

7. სიბრძნისაგან მრავალთა ფილოსოფოსთა ძეჲლნი (ფ. 29r—41r).

დასაწყისი: არისტოტელ თქუა—ვითარმედ ყორანთა სამლიქნელნი უბოროტეს არიან, რამეთუ ყორანნი მკუდართა, ხოლო მლიქნელნი ცოცხალთა შესჭამენ.

ბოლო: ისწავებდ წესიერად, ჰმოდღვრიდ სჯულიერად, უქმი ნუ სჭამ, დადაცათუ მდიდარ იყო, სახლისა ბოროტსა სახლსავე შინა ფარევიდ.

8) სწავლანი მრავალთა ფილოსოფოსთანი შუშნიერნი, გარნა უფროსნი სოლომონისნი არიან (ფ. 41r—53v).

დასაწყისი: სიბოროტე, რომელი იხილო სხუთთა თანა და ძვნად აგიჩნდეს, განეკრძაღე...

ბოლო: რომელნი დაუცხრომელად შკრიდეს ძირსა მათ ხე-
თასა და შთახედნა ჯურღმულსა მას შინა.

9. მოპოვნებანი კელოვნებათანი (ფ. 53v—69r).

დასაწყისი: ევლკლიდის ქუყნისა მზომელობაჲ...

ბოლო: ძებნე თავსა ტაზერისასა, ძებნე ღელესა მასისთა-
სა, ძებნე ზურგათ მასისთა, რომელ ეწოდების.

10. იამბიკო საუფლოთა მცნებათა სახარებისათაჲ (ფ. 70v—71r).

დასაწყისი: რისხვად სასჯელის რა კრებულთ განჯადი-
სა. თანამდებ მყოფს მე და ცოფ გაენისა.

ბოლო: რომელსა გიყოფდენ მასვე მიაგებდ სხუადთა:

11. გოდებაჲ დავითისი (ფ. 71r—74v).

დასაწყისი: ძნობდინ ისრაელ დაცემულთა შენთათჳს,
რომელნი იგი დაეცნეს წყალობითა [რ]აბამ ძლიერნი მძლენი
ბრძოლასა შინა.

ბოლო: სადაცა მესმას სახელი თქუენი ჩუენ და ნათესავსა
ჩუენსა, განგეშორო და არა ვავნო მონასა მას ღმრთისასა, სა-
ხელით.

12. კარაბადინთაგან (ფ. 74v—81v).

დასაწყისი: ლელჳსა სძე, რომელი ჯერეთ არა დამწიფულ
იყოს, ძაღლისა ნაკბენსა სცხო ღიდად ერგების.

წყდება: მუცელი რომელსა შეედვას, ეკალ ძუალისა ძირი-
შეგბე და სამსა დღესა უზმასა ასჳ. ვის მუცე...

13. კითხვა—მიგება (ფ. 87r—92v).

დასაწყისი: კითხვაჲ; ნელსაცხებელისა დამსხმელი დე-
დაკაცი ვინ იყო ანუ რისა იყო, ანუ ფასი მისი სით მოილო?

ბოლო: ვინ არა ზრახვიდა ცხრა თუშ და რვა დღე? მა-
რიამ, ოდეს შვა ქრისტე.

14. სიტყუანი სულისა სარგებელნი, სულ მკირედ შემოკრე-
ბილნი; მოციქულისა (ფ. 93r—109v).

დასაწყისი: ჟამთა გამოიფრდით, რამეთუ დღენი ბო-
როტნი არიან. ესე არს გამოფრდაჲ ჟამთა, რათა შიშითა უცნაუ-
რად სიკუდილისათა კაცმან ყოს დღითი დღე ღმრთის მსახურე-
ბაჲ.

ბოლო: და თჳსთჳს მას დაწერილსა გარეშემოხვდა კიქასა.
წყალი? პასუხი: შინაგან ჩაყარენ და მპარავისაზე გამოვიდეს, ესე
გამოცდილიაჲ.

15. თუ ვითარ ჯერ არს აღწერით შეჩუენებაჲ წმიდად-
ღმრთისა ეკლესიად მომავალთა მანიქეველთა წვალებისაგან
(ფ. 110v—113v).

დასაწყისი: შეჩუქნებულმცა არს მანინრულისაგან არიან შანიქველნი და ყოველნი წვალეზანი მისნი...

ბოლო: არამედ ჭეშმარიტებით აღსრულებულად ვითარცა შამისა თანა არსისა ღმრთაებითა და ჩუქნდა თანა არსისა კაცუბითა.

16. აღსარებად და უწყებად და სასწაული მართლისა სარწმუნოებისა (ფ. 113 რ—130 ვ).

დასაწყისი: მრწამს ერთი ღმერთი, მამა ყოვლისა მპყრობელი.

ბოლო: უნებლად და ვნებულად დაუბადებულად და დაბადებულად იგივე ერთბამად ღმერთი და კაცი.

17. ესე უკუშ კრებანი იქმნეს უწინარეს ნიკიისა კრებისა (ფ. 131 რ—146 ვ).

დასაწყისი: პირველი ანტიოქიას ჟამთა ავლირიანე პრომთ მეფისათა, რამეთუ პავლე სამუსიტელი ებისკოპოზი ანტიოქისი წინამძღვარ იქმნა.

წყდება: რომელმან მოსცა იგი მორწმუნეთა სასუმლად და საქმლად მოსატევებლად ცოდვათა, შევიწყნარებ ყოველთავე ეკლესიისა წესთა.

მინაწერი: 1) ფ. 28 რ. XV ს-ნის მხედრულით: ქ. ღმერთო, შეიწყალე ფრიად ცოდვილი და საწყალობელი ულუპია, ამინ. ვაი, მე ცოდვილსა და ვინცა ბრძანოთ მენდობა ჩემ ცოდვილისა და გლახაკისათვის, თქვენც შევაწყალნეს უხვად მომნიჭებელმან და შემწყალებელმან ყოველთა ღმერთმან, ამინ.

2) ფ. 37 რ XV ს-ნის მხედრულით. ღმერთო, გამიმარჯვე ყოველსა საქმე შიგან, საღმრთოსა და საკაცობოსა შიგან ორშიგანვე და წიგნი თუ მადლი.

შენიშვნა: ყდაზე შიგნით გვერდზე ხელნაწერს აქვს შემდეგი მინაწერი: ა, XIX ს-ნის პირველი ნახევრის მხედრული ხელით: წიგნი ესე ეკლესიის იერონიმე ალექსიევს.

ბ) ეს წიგნი ვაყიდე სოლომონა მეწვრიშალის დუქანში 26 ნოემბერს "სამშაბათს დღეს 1885 წ. იმ დროს ვაჩნაძიანი მღვდელი ლახარე აბრამოვიც იყო. მღვდელი მიხაილ ხელაევი.

შიგნით ხელნაწერში ამ მიხ. ხელაევს თავის შესახებ წაუწერია (ფ. 69 რ): თელავის საკრებულო ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი მიხეილ იოსებისძე ხელაშვილი.

ფილოსოფიური წიგნი

ფ. 147; 15,8×10,7; ქალაღი; ხის ყდა; მხედრული (სათაურები ასომთავრულით და სინგურით; საწყისი ადგილები სინგურით); XVII ს-ნის ნეორე ნახ. (ხელის მიხედვით); შემოსულია 1924 წ. ვლად. იელაშვილისაგან (თელავი);

1) დაწყება შორის დიალექტიკისა (ფ. 1r—60v).

დასაწყისი: საწმარ არს კითხვისათვის მცირისა რადსამე, თქმად, რომელსა განსაზღვრებს არისტოტელი ესრეთ. კითხვა არს ძიება მიგებისა. აწ უკუშ დაღაცათუ მრავალ არიან სახენი. კიანხსანი, გარნა აქა საწმარ არიან ჩუწნდა რად არსისა. და ვითარი არსისათვის...

ბოლო: ესრეთვე მყის თანად მყოფობაცა მყის თანად მყოფთა არს, მყის თანადობა და მყის თანად ყოფილნი მყის თანად ყოფითა არიან, მყის თანად დასასრული მარტივ მიღებისა. პირველისა ნაკუშთისა.

2) თხზვისათვის, რომელ არს ნაკუშთი ბ, თავი ა (ფ. 61r—79v).

დასაწყისი: თხზვა, ვიდრემე არს შეწმასნა მარტივთა. ვმათა აღმომკვმოზელ შინაგან მდებარისა სიტყვისა მით, რამეთუ მრჩობლ არიან სახენი სიტყუისანი...

ბოლო: მაშასადამე სოკრათი არს პირუტყუ. გარნა მდევარი არს კეშმარიტ მით, რამეთუ უკეთუ არს კარაულ არს სადამე, პირუტყუ.

3) სილოგიზმისათვის, რომელ არს ნაკუშთი მესამე (ფ. 80r—147r).

დასაწყისი: სილოგიზმო არს სიტყვა, რომელსა შინა რომელითმე ცნობილთა უცნაური იცნობების...

ბოლო: და მე აღვვსნი მაგას ამითა და მოგართმევ შენ წინა განმწყოდ ამა რადმესა დასარღშეველად მაგისა.

სამოძღვრებელი წიგნი

ფ. 16; 15,8 × 10,7; ქალაღი (ლურჯი); ყდიანი; მხედრული; XV^{III} ს-ნე (ხელის მიხედვით); შემოსულია 1924 წ. ვლად. ხელაშვილისაგან (თელავი).

დასაწყისი: სამოძღვრებელი წიგნი. მღვდელმან აილოს. აიაზმა, ოლარი, ჯვარი და კურთხევანი და შევიდეს სნეულთან დასთქვას...

წყდება: მღვდელთა და დიაკონთა და ყოველთა მოწესეთა არა ხელეწიფების დედათათ აბანოსა შესვლა, არც ერისკაცთა ქრისტიანეთა ჯერ არს ყოველსავე ამის საქმისა ქმნად. დიდ-დიდი საბრალობელი არის, რომელი ამას იქმოდეს მღვ(დელი)...

მხითარის რიტორიკა

ფ. 102; 17,6×11; ქალაღი (თეთრი და ლურჯი); ყდიანი; მხედრული (სათურები და ცალკე ასოები ასომთავრულით და სინგურით); გადაწერილია 1780 წ. იოსების მიერ; შემოსულია 1924 წ. ვლად. ხელაშვილისაგან (თელავი).

დასაწყისი: მიხითარ ყოვლად ბრძნისა მოძღურისა სომეხთასა სევასტიელისა ქმნილი წიგნი რიტორიკა სარგებელად ყრმათა სხოლას შინათა ქართულსა წმასა ზედა გარდამოცემით შრომილი ანტონის მიერ არხიეპისკოპოზისა ყოვლისა საქართუელომსა დავითიან ბაგრატიონისა დროსა უმაღლესისა მეფისა ირაკლი შეორისა ყოვლისა საქართუელომსასა, მამათმთავრობასა ან(ტ)ონისსა, წელსა დასაბამითგან სოფლისათ 7272, ჯორციელად შობითგან სიტყუსა ლეთისა 1764, თთქსა მეშვდესა რიცხუსა 10.

1) წინასიტყუაობა ეპისტოლე მიწერილი ანტონის მიერ არხიეპისკოპოზისა დავითიან ბაგრატიონისა ირაკლის მიმართ შეორისა ძმისა თვისსა მეფისა ყოვლისა საქართუშლოსა დავითიან ბაგრატიონისა (ფ 1v—5v).

დასაწყისი: ირაკლი დავითიან ბაგრატიონსა ყოვლად ბრწყინუალესა მეფესა ყოვლისა საქართუელომსასა.

მის მეფობის სიმაღლეს, ჩემს ყოვლად სატრფოს ძმას.

იცის საზოგადომან ჩქშულებამან თავთა თვსათათვს...

დასასრული: მიეც ყრმათა შენთა შენითა სიბრძნისადმი ტრფიალებითა შეკრებულთა, რომელნიცა შენთა მათ ოქროს ფერთა ბექთ საშუალთა და ფრთეთა სიმაღლეჲ სიბრძნისადმი აღმუტანთა ქტშე შეგიკრებიან. უბრძანე მოძღუართაცა და სხოლართა, რათა ლოცუასა ჰყოფდენ ჩემ გლახაკისათვს მრწემისა და ყოვლად უშესაბამომსა ძმისა შენისა. მაღლი უფლისა ჩქშნისა იესუ ქრისტესი შენთანა, ამინ.

2. თვს ჯელოვნებისა სარიტორომსა (ესე იგი სამკერმეთქვომსა (ფ. 6r—102r).

დასაწყისი: წიგნი ა. თვს საზღტშრისა სამკერმეთქვომსა და წტალეებისა ნაწილთა მისთასა. თავი ა მკვერმეთქტშობა, რომელიცა ითქმის რიტორებად, არს ჯელოვნება საკეთილმეთქო...

ბოლო: თვს მეხუთისა ნაწილისასა სამკერმეთქტშსა ესე იგი წარმოჩინებისა.

წიგნი ვ. 1 თავი მისთვს, ვითარმედ რაჲ არს წარმოჩინება და რაოდენ სარგებელ არს.

2. თვს ნაწილთა წარმოჩინებისათა.

ანდერძი (ფ. 102 რ): აღიწერა ჯელითა აღქატის იოსე-
ბისათა. ხოლო ვიწყე ნოემბერს კთ და აღვასრულე წერით დეკე-
მბერს ვ ქორონიკონს უპ.

79

სწავლა-მოქმედება

ფ. 6; 20,5×16,7; ქალაღი; უყდო; მხედრული; XVIII ს-ნე (ხელის
მიხედვით); გადამწერი რაფიელი (მე-6 ფურცელი დაწერილია სხვა ხე-
ლით); შემოსულია 1924 წ. ვლად. ხელაშვილისაგან.

დასაწყისი: ადამ. კითხვა: რადსაგან შექმნა იგი ღმერ-
თმან?

მიგება: მიწისაგან.

ბოლო: კითხვა: ვითარ თანამდებობა არს მშობელთა და
შვილთა?

მიგება: მშობელთა თანა აძსთ შვილთა თჳსთა აღზრდა შიშ-
სა შინა ღმრთისასა და სწავლად ჰსჯულისა სიჩხოთგანევე და
ჩვენდა შორს მოყვარებისადმი მაშენებლებისადმი და პატიოსანთა
კაცთა მმოქცევისა განმკაცრებად მათ და სხუათა თანა მეგობრო-
ბისა და უფროს.

80

პარაკლისი ნიკოლაოზისა

ფ. 12; 15,8×10,3; ქალაღი (ლურჯი); უყდო; მხედრული (სათა-
ურები და საწყისი ასოები ასომთავრულით და სინკურით); 1803 წ. (12რ);
გადამწერი—მღვდელი ნიკოლაოსი; შემოსულია 1924 წ. ვლად. მიხ. ხელა-
შვილისაგან (თელავი).

დასაწყისი: პარაკლისი სავედრებელი წმიდისა მღვდელთ
მთავრისა ნიკოლაოზისი მკრო ქალაქელისა საკვრველთ მოქმედისა
დიდისა.

უპირატესი ანუ მღვდელი იტყვს კურთხეულარსსა და ჩუჴნ
—წმიდაო ღმერთო, ყოვლად წმიდაო სამებაო.

ბოლო: რანეთუ სხუა შუამდგომელი არავინ გჳს ჩუჴნ, ცო-
დკლთა, გჳჩვენე ქირთა შინა ყოველთა ძალი შეწევნისა შენისა,
ღუდელთ მთავარო, მოხედვენ ვედრებასა ჩუჴნსა, და გჳხსნენ გან-
საცდელთა და სნეულებათაგან.

ანდერძი: იმისმა უბრწყინვალესობამ თავადმა ჩოლაცოვმა ნიკოლაოსმა
აღმაწერინა პარაკლისი ესე წმიდის ნიკოლაოსისა მე, ყოვლად უღარსს მღვდელს
ნიკოლაოსს, დეკანოზის გიორგის შვილს მიხეილოვს წელსა 1803 ნოემბერს 30-ს.
ხვეულად: ნიკოლაოს (12რ).

კურთხევის ნაშთი

ფ. 7; 23×17; ქალაქი (მოლურჯო); უყდო; ბოლო აკლია; მხედრული; XVIII—XIX სს. (ხელის მიხედვით); შემოსულია 1924 წ. ვლად. ხელაშვილისაგან.

1) წესი, რომელი იქმნების კურთხევასა ზედა წიგნის მკითხველისასა (ფ. 1r).

2) წესი, რომელი იქმნების ხელთ დასხმასა ზედა კერძო დიაკონისასა (ფ. 1r—2r).

3) წესი, რომელი იქმნების კურთხევასა ზედა დიაკონისასა (ფ. 2r—3r).

4) წესი, რომელი იქმნების კურთხევასა ზედა მღვდლისასა (ფ. 3r—4v).

5) წესი, რომელი იქმნების ხელთდასხმასა ზედა ეპისკოპოსისა (ფ. 4v—5v).

6) კურთხევა ახლად შექმნილისა ბარძიმისა და ფეშხუმისა (ფ. 6).

7) ათორმეტი განცხადებისა (ფ. 7).

დასაწყისი: წესი, რომელი იქმნების კურთხევასა ზედა წიგნის მკითხველისასა და მგალობელსა ზედა. მოიყვანენ წინაშე მღვდელთ მთავრისა ესრეთ. უკეთუ იყოს ერის ყაცი, თავისის სამოსლითა, თავმოსდით და უკეთუ სამონოზნო იყოს, მაზარითა.

ბოლო: და აწ ესე რა აღამალა თავი ჩემი ზედა მტერთა ჩემთა, გარე მოვადგე და შევსწირე კარავსა შინა მისსა მსხვერპლი ქებისა და ღალადებისა; ვაქებდე და უგალობდე უფალსა; ისმინე, უფალო, ჳმისა ჩემისა, როჲლითა ღალად ვჰყავ. მიწყალე მე და ისმინე ჩემი; შენ გრჰუა გულმან ჩემმან—უფალი მოვიძიო; გამოგიძია შენ პირმან ჩემმან.

6. ახვარდოვის ლექსი გენ. პატრე პაპკატიონის შესახებ

ფ. 2; 22×17,2; ქალაქი (ლურჯი); უყდო; თავი აკლია; მხედრული; XIX ს-ის ათიანი ან ოციანი წლები (ხელის მიხედვით); შემოსულია 1924 წ. ვლად. ხელაშვილისაგან (თელავი).

იწყება (ტაეპი მე-5):

ღუნაიისა მდინარის კიდეთ ზედა
განსაცვფრონი შემუსრნა სიმაგრენი
და ბნელ მყოფელმან მთოვარის ელუსამან

აღზეთვების აგარენთა თემის
გარდარეული იგი ამბარტაენება
დაამდაბლა რა მსწრაფლ, მიმდოვრებულ ჰყოცა.

ბოლო: და წარიკითხავს ტაძარსა ზედა ამას,
მყისვე შეიმოს დიდების მიმართ ფრთეთა.
და შეიქმნების თვთცა ნამდვლად გმირი.

ანდერძი: თქმელი ნიკოლას ახერდოვისაგან 1812-სა წელსა. ხელ-
ლო თარგმნილ არს რუსულითგან ქართულსა ენასა ზედა მისი ბრწყინ-
ვალეების თავადის ქავკავაძე ალექსანდრესაგან. თთჴსა იანუარსა რიც-
ხესა 16 წელსა 1813.

83

გნონის არისტოტელეზიტა კათილოკრიათა გარდამოცემისა ზრომითა ანთონი არხიეპისკოპოსისა ღაბითიანისათა

ფ. 14; 19×14,1; ქალაღი; უყდო; ბოლო-ნაკული; მზედრული
(სათაურები და თ-გ-ასოები ასოჴთავრულით და სინგურით); XVIII ს.
(ხელის მიხედვით); შემოსულია 1924 წ. ვლად. ხელაშვილისაგან (თელავი).

დასაწყისი: ვინაჴთგან სათანადო ვჴქენით ჩუჴნდა ვარ-
დამოცემანი არისტოტელეზიტა შესჴენათანი, უფროვე ჯეროვნად
ჴრაცხს დაჴმტებისა ამის (აწინდელისა) მიზეზისა განხილჴა, რა-
თა არისტოტელეზიტა ვიწყეთმცა დადებად წესნი თქმადთა განკარ-
გჴათანი...

წყდება: კ. 29 განწყალეზასა თვთ ეყვს განყოფითთა განყე-
ნებათ მოჴმედება, რომელიცა შეგჴამეცნებს, ვითარმედ სხუა არს
უნათესავესი და სხჴა...

84

მომხროზა ალექსი და მარკაბრიაზე

ფ. 16; 22×17,6; ქალაღი; უყდო; გადაწერილი 1834 წ. აბრამ კო-
ბიაშვილის ხელით; დაზიანებულია; შემოსულია 1924 წ. ვლად. ხელაშვი-
ლისაგან (თელავი).

იწყება: ქალაქსა კაცი იყო სტამბოლსა შინა ნეტარად
ხსენებული და ჳეტით მრავლის მჴონე და სახელაჴა ეწოდებოდა
ეფრემ და ცოლს ერჴვა ანანა...

ბოლო: ჯერ ხარ მამა, მერმე შეილი, ნათესავეი ხვეწნით
შემოსილი (!).. მოცუა ძელი კაბა. საბრალობით მოსილო, ნანი-

ნასი კაცი ვარო. კაცთა მხსნელო, ახლა მარტო ბოსელში ხარ უკაცურათ... ძველი მ(ო)ნა ვარ და საბრალო... ობოლთაო ქებულო, ამინ.

ანდერძი: წელსა ჩუღუ-სა მარტის კა დღესა დამიწვრია მე აბრამ კობია-შვილს, [კინც] მაპაროს (!) გაუწყრეს ბოდბლის მადლი.

85

ღვთისმშობლის მიქინების აპოკრიფი

ფ. 4; 22, X 16, 7; ქალაღი (მოღუჯო); უყდო; თავ-ბოლო ნაკლული; მხედრული; XVIII—XIX ს-ნეთა მიჯნა (ხელას-მახედვით); შემოსული 1924 წ. ვლად. ხელაშვილისაგან (თელავი).

იწყება: ხოლო მარიაჲ მოძღვარი მათი, აღმკულო პირად პირადითა სათნოებითა, წმიდათა უწმიდესი და განკაფული მარადის ლოცვითა და მღვიძარებითა, ესე არ განეშორებდა საფლავსა უფლისასა ყოვლადვე, ხოლო დღესა სამშაბათსა ჩვეულ-ბისაებრ მივიდა საკმეველისა კმევად...

წყდება: მეყვსეულად მოუვლინა უფალმან იოანე მახარებელი და ღმრთის-მეტყველი ღრუბლით უფესოდ სიონად წამსა შინა იწია და ჯმა ჰყო ჯმითა დიდითა. მშვიდობა შენდა, დედაო ღმრთისა მარლისაო დამსენელო წყევლისაო. და მომნიკებელო კურთხევისაო. მაშინ ჯმა ჰყო უბიწომან: აჰა ძე ქუხილისა...

86

კარავული ბაიოსისა

ფ. 74; 34 X 21, 5; ქალაღი; უყდო; თავ-ბოლო ნაკლული (თავისი პაგინაციით იწყება მე-63 გვერდიდან და თავდება მე-240 გვერდზე); მხედრული (სათაურები ასოთავრულით); 1789—1799 წწ.; შემოსული 1924 წ. ვლად. ხელაშვილისაგან (თელავი).

1) წიგნი სინანულისა (ძველი პაგინაციით გვ. 63—86).

იწყება: მოგავლენ შენ მე სახლისადმი უსროლისა განმამ-წარებელისადმი ჩემისა, რომელმანცა განმამწარა მე. თვით მათ და მამათა მათთა ჭარმეჭმს მე ვიდრე დღეისამდგ და არკჳ მათ —ესრეთ იტყვს აღონაჲ: უფალო, ნუ უკჳ ისპინონ და შეინინონ. გარნა არა უწყოდაა უფალმან, შემძლებელ არიანა ანუ ვერ შემძლებელ არიან იგინი მიაკცევად?

ბოლო: მაშა რაოდენ უფროს თანამდებ ვართ ჩჳსნ განგ-დად ფერხვთა სულისა ჩჳსნისათა ჯორციელთაგან საკრჳლთა და განჯსნად კჳალთა მსოფლიოთა კავშირთაგან.

ანდერძი: (გვ. 85): დასასრული მეორისა წიგნისა სინანულისათჳს. დიდება აღმერთსა სრულყოველსა ყოველთასა. სრულ ვჰყავთ წელსა 1789 იულის 21 კრემენჩუჳს. გაიოს.

2) წმიდისა მამისა ჩტმნისა ამბროსი მედიოლანის ეპისკოპოსისა მიცუალეებისათჳს ძქისა მისისა სატირისა, ორი წიგნი (გვ. 87—118).

დასაწყისი: წიგნი პირველი.—აწ უქტშ საყუარელნო ძმანო. განვამგზავრეთ ჩტმნ მსხტშრპლი, მსახტშრპლი უბიწო და სათნო უფლისა, უფალი და ძმა ჩემი სატირი.

ბოლო: აღნადკინები ძქისა საყუარელისა არა მარტივი არს; არცა უგუანი და ხტშდრ, ბუნებისა შეძკული კეთილმოქმედებითა. ძალმიძს ტჯრათჳ აძისი უკეთუ მსწოაფულ იძულებულ ვიქმნები მოქცევად თანანადებთა.

ანდერძი (გვ. 118): დიდება შენდა, მიძლებულ ყოველთათ, უფალი, სრულ ვჰყავ წელსა 1789 აგვისტოს 1. კრემენჩუჳს. გაიოსი.

3) წიგნი ბ სასოებისათჳს აღდგომისა (გვ. 119—210).

დასაწყისი: პირველსა შინა წიგნსა რაოდენმე შეუფევით ჩტმნ ვნებთა ჰაზრითა მით, რათა ფიცხელითა წამლითა ახალწყულელი არა დავაგესლოთ უფრო, ვიდრელა შევამსუბუქოთ სნეულება.

ბოლო: ვერ განგყო თქტმნ სხუაობამან კეთილმოქმედებისათამან, რამეთუ ერთითა სარწმუნოებითა იყტშნით მორწყული. ისარი ღრაციანესი არა უკუნ იქცა ცუდად.

ანდერძი (გვ. 119): სახელითა მამსათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ამინ. წელსა 1789 იულის 21 კრემენჩუჳს(1).

4) წმიდისა მამისა ჩტმნისა ამბროსი მედიოლანის ეპისკოპოსისა: სიტყუა მიცუალეებასა ზედა თეოდოსი დიდისა (გვ. 213—238).

დასაწყისი: ამისთჳს გტშქაღოდა ჩტმნ ფიცხელი იგი რყევა მიწისა და დაუცხრომელნი წვიმანი ესე უჩტშულობით ღრუბლანი ჰაერი წინაგვყოფდა ჩტმნ.

ბოლო: აწ მიჰყავთ იგი უპრავლესთა ანგელოსთა და გუნდნი წმიდათანი თანა ჰკუტშიან მას. ნეტარ არს ქალაქი იგი, რომელიცა წიალთა შინა თჳსთა მიიღებს წინდსა ზეციერისა მცხოვრებისასა. დასასრული.

ანდერძი—ა) გვ. 213: სახელითა მამისათა და ძისათა და სულსა წმიდისათა, ამინ. წელსა 1789 იულის 14 კრემენჩუჳს, გაიოს.

ბ) გვ. 238: სრულ ვჰყავ წელსა 1789 იულის 15 კრემენჩუჳსა გაიოსი.

5) სამღუდლო ისტორია (გვ. 239—240).

დასაწყისი: კ. 1. ღმერთმან შექმნა სოფელი ესე არ არაღ-
მესგან სიტყვთა თვისთა დიდებად სახელისა თვისისა და ცხად
ყოფა ქნილთა სახიერებისა თვისისათა ექუსსა შინა დღესა.

წყდება: ფიცარნი ესე დაცულ იუტნენ კიდობანასა შინა
მოოქროვილსა, რომელიცა იღვა კარავსა შინა საწამებელისასა
და [კა]რისა (!) საწამებელისა საკურთხეველი, რომელთაცა ზედა...

ანდერძი: (გვ. 239): ვიწყა წელსა 1799 თებერვალსა 28, გაიოს, მოზ-
დოკს, სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ამინ.

87

წმიდათა ცხოვრება

ფ. 73; 33,5×21,5; ქალაღი (ღურჯი); უყდო; მხედრული; 1819 წ.
შემოსულია 1924 წ. ვლად. ხელაშვილისაგან (თელავი).

1) თვესა იენისსა კე წამება წმიდისა (!) ფებრონიასი, გვა-
კურთხენ, მამაო (ფ. 1r—12r).

დასაწყისი: იყო დღეთა დეოკლიტიანე მეფისათა ანთი-
მოს მთავარი და იყო იგი უძლოურ ხორცითა და იღვა ცხედარსა
ზედა და მოუწოდა სელინოსს ძმასა თვისსა და რქვა მას: მე, ძმაო,
ვითარცა ერთი კაცთაგანი განვალ ცხოვრებისაგან ჩემისა და
ლესიმახოს, ძესა ჩემსა, შენ შეგვედრებ.

ბოლო: და მოუთხოვრდათ ლესიმახო ღირსებით სახელ-
განთქმული და ამან აღწერა ცხოვრება და მოქალაქეობა წმინდი-
სა ფებრონიასი საქებლად და სადიდებლად მოწამისა მისთვის და
საოხებლად მსმენელთათვის, რათა აღმოჰკითხველნი ღირს ვიქმ-
ნეთ სასუფეველსა ცათასა ქრისტე იესოს მიერ უკუნიითი უკუნი-
სამდე, ამინ.

2) თვესა იენისსა იზ წამება წმიდისა მოწამისა მარინასი
(ფ. 13 r—22r).

დასაწყისი: შემდგომად აღდგომისა უფლისა ჩვენისა იესო
ქრისტესა და დიდებით ამალღებისა მისისა მამისა ზეცად, ნეტა-
რთა მისთა მოციქულთა აღასრულეს ყოველი მცნება მოქალაქისა.
მათისა...

ბოლო: სოლო იწამა წმინდა ესე მოწამე მარინა თვესა
იელისსა ჩვიდმეტსა მეფობასა უსჯულოსა დეოკლიტიანესსა, ხო-

ჟლო ჩვენ ზედა მეუფებასა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესა, რომელსა შეენის დიდება უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

3) წამება ქეთევან დედოფლისა, ახლად თქმული თავადის დიმიტრი ბაგრატიონის მიერ (ფ. 22r—30v).

დასაწყისი: შენ, უწინარეს ყოველთა საუკუნეთა მყოფელ-
მა, თვისისა დასაბამისა თვით თავსა შორის მყოფელო.

ბოლო: უხამს დაჯდეს ღირსი ვინმე მისთა ღვაწლთა აღ-
საწერად.

მთაწმინდელი ან სინელი, პეტრიწი ჰყავს კალმის მჭე-
რად.

შოკლეს სიტყვით შეამკვეროს გრძელა ტანჯვა მრავალ
ფერად,

მათ მოგვიტხრან შესაზაროდ პროსასტიკონ გულსაგმერად,
დიმიტრი.

მის მაღალბრწყინვალეობას უმოწყალებს ხელმწიფეს თავადს
დიმიტრი გიორგიძეს ბაგრატიონს, სანკთაქეტერბურხით მოსკოვს.

შენიშვნა: თავში (ფ. 22r) ამ ნაწარმოებს წარმდგარებული აქვს
დიმიტრი ბაგრატიონის მიერ ქეთევან ბატონიშვილისადმი მიძღვნილი
შესამა, რომელიც იწყება ასე:

მეფის ასულთა, ქველო, კეთილ სულთა, ძვირფუასულთა, ქეთევან
რკმელთა.

4) გრიგოლ მუხრანბატონის შვილის მიერ დაწერილი შესხმა
ღექსით დიმიტრი ბაგრატიონისადმი (ფ. 31r—31v).

მაღალ ბრწყინვალე თავადს დიმიტრი ბაგრატო-
ვანსა,

ერთისა ძირით შთამოსრულს მკვრეტთ მრავლად
მაშერალოვანსა.

ბოლო: თქვენის მაღალ ბრწყინვალეობას მორჩილ მო-
ნად ვარ მდგომარე.

მუხრან ბატონ იოვანეს ძე გრიგოლ ერთგულ
მხმობარე.

გრიგოლ. წელსა ჩყით, ივლისის ა დღესა ს. 3.
ბურღს.

5) ეპისტოლე ავგაროსთ მთავრისა ქალაქსა ედისიისასა,
რომელი მიუწერა უფალსა ღმერთსა ჩვენსა იესო ქრისტესა
და წარსცა ანანიას მიერ მოციქულისა იერუსალიმს (ფ. 32r—35r).

დასაწყისი: ავეგაროსთ მთავარი ედესიისა ქალაქისა იესოს მაცხოვარსა სახიერსა გამოჩინებულსა ქალაქსა იერუსალიმისასა გახარება(!). მესმა შენთვის...

ბოლო: რასაცა მიბრძანებამ იესოს ქრისტესთვის, ის აღსრულებულ იქმნება. მშვიდობით იყავნ. აღიწყრა შეშვიდის საურის კრეფაში ძეორეს მთავარეს უმაღლესობისა შენისა.

6) თქმული წმინდისა ათანასი აღექსანდრიელ მთავარ ეფესკოპოზისა მელქისედეკისათვის მეთოკისა (ფ. 36r—38r).

დასაწყისი: მელქილს, ვითარცა ვსთქუთ, ესხნეს ორნი ძენი, ერთი მელქილ სახელისაებრ თვისისა და მეორესა მელქისედეკ.

ბოლო: რამეთუ იყვნეს სამასათვრამეტნი მამანი იგი წმინდანი კრებასა შინა (ნიკეას), რომელთა მეოხებითა შეგვიწყალენ და გვაცხოვნენ ჩვენ, ვითარცა სახიერ და კაცთ მოყვარე ღმერთი ხარ და შენდა დიდებასა აღჟავლენთ თანა მხოლოდ შობილისა ძისა შენისა და ყოვლად წმინდით და ცხოველს მყოფელით სულით შენით წმინდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

7) თვესა სექტემბერსა ოცდაათსა წამება წმინდისა გაიანესი და მოყვასთა მისთა (39r—50r).

დასაწყისი: და იყო მათ ჟამთა ოდენ ეძიებდა ცოლსა დეოკლიტიანე კეისარ და წარავლინა ყოველთა მიმართ საბრძანებელთა მისთა გამომხატველნი ქენმარიტებით ასაკისა ფიცართა ზედა...

ბოლო: ვითარ იდგნეს გვამნი მათნი. ვრცელსა მას გრიგოლის ცხოვრებასა წერილ არს, რამეთუ შტქნის დიდება, პატივი და თაყუანისცემა მამისა და ძისა და სულისა წმინდისა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

8) თვესა აგვისტოსა მეთათუმეტესა მიცვალება ყოვლადწმინდისა უხრწნელისა და უმეტეს კურთხეულისა დედოფლისა ჩვენისა ხთის მშობლისა და მარადის ქალწულისა მარიამისა, თქმული წმინდისა მამისა ჩვენისა ბასილ კესარიელ მთავარეფესკოპოსისა, გვაკურთხენ, მამაო (ფ. 50r—73r).

დასაწყისი: სამებამან წმინდამან ცხოველმან დიდებულმან ყოველთა დაბადებულთაგან, რომელ არს მამა, ძე და სული წმინდა...

ბოლო: და მრქვა მე. ანგელოზმან მან: ესე არს სახე დიაკონობისა, რომელმან არა დაიმარხა მცნება ზვთის და შეაგინა მუნ სახე მთავრობისა მათისა...

88

ეპიტაფია თქმული დიმიტრი მექანარეს მიერ

ფ. 6; 35,4X22; ქალაღი; უყდო; მხედრული; 1880; შემოსული 1924 წ. ვლად. ხელაშვილისაგან (თელავი);

დასაწყისი: ეპიტაფია კნენინა ბარბარე ანდრონიკოვისა თვისის შვილის მერებისადმი, მათებრ ლექსად თქმული მღუდლის დიმიტრი მექანარეს მიერ 1880-სა წელსა.

ეპიტაფია კნენინა ბარბარე ანდრონიკოვის შვილის მერებისადმი, საუკუნოდ იყოს სახსენებელი მისი.

„დაბნელდა მზე, შუქი არ მცა, დამეცა სევდის ზარია მოვიდა მკაცრად სიკვდილი, გული შემიქმნა ბზარია...

ბოლო: ადრევე არჩილ უძღვან ქება, ახლა მერებ უწყე ტყება,

მათ გვაროვნით ამაგობას უხამს ჩემსგნით პატივხლება; შურისაგან განრინება, სიყვარულის მონახლება, ღმერთო, მეც მაშინ დამიხსენ, როს მოვიდეს ალტყინება.

მღუდელი დიმიტრი მექანარე.
დასრულდა.

1880 წელსა.

18 Сентября.

89

ღარიგება ელექსირის წამებადებისათვის

ფ. 2; 36,3X22; ქალაღი (მოლურჯო); XIX ს-ნის დასაწყისი (ხელის მიხედვით); მხედრული; (თავი აკლია); შემოსულია 1924 წ. ვლად. ხელაშვილისაგან (თელავი).

შენიშვნა: გადმოწერილია 1805 წელს პეტერბურღს დაბეჭდილის ტექსტისაგან.

დასაწყისი: ცუდმადასა ხილთასა და ბუღსა, რომელთა-
ცა მიზეზიო არ მოიხარშვიან საკმელნი, წინათვე დაიტყამს სევ-
დისაგან, დაჰქოცს ჭათა, განჰკურნებს სხუასა და სხუასა შებულ-
სა, კუქსა და წელეებსა შინა წარმოდგომილსა...

ბოლო: სამარად დღეო საწმარად ცხრა წვეთი კატათვს
და შვიდი წუშთი დედაკატათვს, ოთხის სტოლის კოვზის ჩაით
(1r—2v).

ანდრძავეარი: ესე ნუსხა პოეზულ იქმნა შუშთიის დოზტურისა სხუათა და
სხუათა წერილთა შორის ერნესტა პერნესტასა, რომელიცა მოკვდა შობით თვისი-
თგან 104 წლსა გდჰ. ვაჟდენით და წიფენიაგან ცხენისა: ესე საიდუმლო წამა-
ლი დაცულ იყო შთამომავლობასა და სახლეულსა შინა მისსა რაოდენსაჲ ას
წელიწადს. ამა წამლისა გამო იკოცხლეს პაპამან მისჲან 130 წელიწადი, დედა-
მან მისჲან 107 წელიწადი, ხოლო მამან მისჲან 112 წელიწადი. ხპარობდნენ იგი-
ნი ელექტროსირსა ამას, რომელისაცა მიღება სათანადო არს რუია წუშთისა,
ანუ ცხრისა ყოველს დილსა და საღაშოს წითელის ღვინით, ჩაით, გინა წუშენით.
დაიბეჭდა სანკტ პეტრებურლისა ლებერცკის პრავლენიის სტამბასა შინა წელსა
1905.

90

ნუსხა წამლებისა ელექსირიანისი

ფ. 3; 21×16,8; ქალაღი; უყდო; მხედრული; XIX ს-ნის პირველი
ნახევარი (ხელის მიხედვით); შექმოსულია 1924 წ. ვლად. ხელაშვილისაგან
(თელავი).

დასაწყისი: ნუსხა წამლებისა I ელექსირიანისი, გრძლად
მაცოცხლებელისა და თვისებისა მისისა სახელნი წამალთა ლათი-
ნურად, რუსულად, ქართულად: ალოვსუკოტრიანი, ჩისტალო საბ-
რი, განწმენდილი საბრი.

ბოლო: 14. სამარადღეოსა სახმარად ცხრა წვეთი კატათ-
ვის და შვიდი წვეთი დედაკატისათვის ოთხის სტოლის კოვზის
ჩაითა.

91

ლექსები გვილია ალუდაურისა

ფ. 25; 18×11; ქალაღი; უყდო; მხედრული; ჩაწერილი 1920 წ.;
შემოსულია ვლად. ხელაშვილის მიერ 1924 წ. (თელავი).

ლექსები, ნათქვამი ბერიდია სამუქასძე ალუდაურისაგან სო-
ფელ ხახმატში (ზემო ხევსურეთი) 1902 წ. 4 მარიაშობისთვის.
დასაწყისი: (ფ. 3r) ხევსურთ არ უყვარს მოლექსე, ფინ-
თად იციან მტერობა,
მათ უყვარს დეკანოზობა, ხუცობა, ხევისბე-
რობა.

ბოლო: გადმოიშალა ყოველი, მის უკან შექმნეს ჯარობა,
მათ გულსა სევდას უქარვებს პატარა ზარის ელა-
რობა.

შენიშვნა: პირველ-ორ ფურცელზე პირუჯღმა მიკერებულია ლექსი
სათაური—ბერიდია სამუქასძე ალუდაურისაგან ნათქვამი ს. ხახმატში.

დასაწყისი: ალუდათაი მგელია საგუმარდოში თქვიანო,
აიქაც რაიმ ლეგდების სახელად მგელა ჰქვიანო.

ბოლო: მაჩვენეთ სულეთის ღმერთი, სიტყვა შესთვალა [ს]ა-
მია.

სულეთის ღმერთს თან მაჰყავის ამაყად სამი მოუბარია.
შესჩივლა სულეთის ღმერთსა.

92

ვეფხისტყაოსანი

ფ. 57; 21,5×17; ქ ლაღდი; ყდიანი; თავ-ბოლო ნაკლული; მხედრუ-
ლი; XIX ს-ნის პირველი ნახევარი (ეფლის მახედვით); შემოსულია 1924 წ.
დომიტ. დეკანოზიშვილისაგან (თელავი).

იწყება: სამი არის მოყვრისაგან მოყვრობისა გამოჩენა,
პირველ ნდომა სიახლოსა სიშორისა ვერ მოთმენა...

წყდება: ერთმანერთი მოიპაღლეს, მათ ერთსაცა არ აწყინა.

93

საქართველოს ისტორია თეიმურაზ ბატონიშვილისა

ფ. 98; 22,3×17,8; ქ ლაღდი; უყდო; მხედრული; 1862 წ.; შემოსუ-
ლია 19.4 წ. დომიტრი დეკანოზიშვილისაგან. (თელავი).

დასაწყისი: ისტორია დაწყებითგან ივერიისა, ესე იგი
გიორგიისა, რომელ არს სრულიად საქართველოსა, ქმნილი საქა-
რთველოს მეცამეტის მეფის გიორგის ძის თეიმურაზისაგან სანკტ-
პეტერბურღს სტამბასა შინა სამეცნიერო აკადემიისასა 1848 წე-
ლსა. მოთხრობანი დაწყებითგან ივერიისა ესე იგი გიორგიისა,
რომელ არს სრულიად საქართველოსა შინა სიტყვაობა. ვრცლად
და დაწვრილებით მოთხრობასა ისტორიისასა თანა აძს, რათა

არა დატევებულ იქმნეს არცა ერთი რაჲცა რაჲ იყოს აღწერილნი, გინა თქმულნი სხვათა და სხვათა მოთხრობათაგან ქუშყანისა, ანუ თემთა მათთვის, რომლისათვისცა რაჲცა და ვითარ თქმულ არიან.

ბოლო: ამა მეფესა თვიმურაზს მეორესა წარუვლინებიეს ტიმოტე მთავარეპისკოპოსი მრავლითა საფასითა შესაწირავად ქრისტესს საფლავისა და წმინდისა გოლგოთისა, ქართველთ ჯვარის მონასტრისა და სხვათა მონასტერთათვის და ამას ტიმოტეს მრავალნი წმინდანი ადგილი მოუვლია იერუსალიმს და ათონისა მათა და აღუწერიეს კეთილად. შემდგომად მეფესა ირაკლი მეორესა და ძესა მისსა გიორგი მეათცამეტესა მეფეთა ამათ ქართლისა, და სხვათა ჯელითა ანტონი ჯვარის-მამის თავადის დიასამიძისათა შესაწირავი წმინდისა იერუსალიმისა რაოდენ-გზისმე წარუვლენიესთ საუასენი არა მცირედნი.

ანდერძი: აღწერილ არს წიგნი ესე ქართლის ცხოვრება ხელითა კნენაკონია ერისთავისაგან, ამილახვარის ასულისაგან. ქართლის ცხოვრება ესე ვინც წარკითხოთ, შენდობა უბრძანეთ და, თუ რაიმე შეცდომა ნახათ, ნუ მწყევთ. ამისთვის რომ ვიყავ წლისა სამოცდა მესამისა და თვალთაც მკვლდა და ამისთვის მომიტევეთ წელსა ჩუგბ ხა ოკდომბრის კდ ხა დღესა ქვეშისა სოფელსა.

94

წმიდათა საგალობლები, კრებული

32 ფ.; 20,25,5 16,5; ქალაღდი; უყდო; თავნაკლული; ნუსხური (სათაურები და დასაწყისი ასოები სინგურით); XVIII ს. (ხელის მიხედვით); შემოსულია დიმატრი დეკანოზიშვილისაგან, თელავიდან 1924 წ.

1) ლუარსაბ მეფის საგალობელი (თავნაკლული).

იწყება: სტრატიოტებთა ზეცათა ერეგეთერებ მოთმინებითა მოამე იყოფებოდენ. ქუშნათა ზენა განსწავლებს სავანეთა, ყოფადთა მცნობი, ბრძენი და ახოვანი მეფე ლუარსაბ დღეს იღიდებოდენ.

ბოლო: არამედ მოვალს ჟამი, რათა ყოველმან, რომელმან მოგწყვდნეს თქუშნ, ჰგონებდეს ვითარმედ მსხუშრპლი შეწირა ღმერთსა. განიცადე: იხარებლით მართალნი (1r—4v).

2) ეფთჳში მთაწმინდელისა,

დასაწყისი: თუშსა მაისსა იგ წმიდისა მამისა ჩუშნისა ეფთჳში მთაწმინდელისაჲ.—უფალო ღაღად ყავსა, ჰოჲ სასწაული. მამაო წმიდაო ეფთჳში, აღილე შენ სიჩოთაგან ჯუარი შენი ბჯართა შენთა და შეუღდე ქრისტესა, ყოვლად ქებულო ღირსო...

ბოლო: ამინ გეტყვ თქუენ, სადაცა იქადაგოს სახარება ესე-
ყოველსა სოფელსა, ითქმოდის დედაკაცი ესე. განიცადე: იხარებ-
დით მართალნი... (4v—1v).

3) სვეტისა ცხოველისა.

დასაწყისი: საგალობელი წმიდისა და ცხოელს მყოფე-
ლისა სუტისა ცხოელისა, კუართისა საუფლოსა და კათოლიკე-
ეკლესიისა. ჳმად ა გი. ვიხაროდენნი—ვიხაროდენ სუტო ცხო-
ველო, რომელი წმიდა და წმიდაჲ მყოფელსაჲ მირონსა უწყაროებ-
სოფელსა მორწმუნეთასა...

ბოლო: და სხუანიცა ცხოვარნი მიდგანან, რომელნი არა
არიან ამის ეზოსაგანნი, იგინიცა ჯერ არიან მოყვანებად ჩემდა-
და ჳმისა ჩემისა ისმინონ და იყუნენ ერთ სამწყსო და ერთ მწყემს...
განიცადე: საჯსენებელად საუკუნოდ. (11v—16v).

4) გიორგი მთაწმინდელისა.

დასაწყისი: თუშსა იენისსა ლ წმიდისა მამისა ჩუშნისა
გიორგი მთაწმინდელისა.—უფალო დადადგეყავსა. რვათა მუხლთა
ზედა ჳმად დ მჯნევანი. ლ-თის მეტყუშლებისა წყაროდ იოანე დი-
დებუთი გქონდა შენტა შემწედ საიღუმლოთა მათ წმიდისა ლ-თის
მშობლისათა და ესრეთ შუშნიერად სთარგმნებდი მრავალთა წი-
გნთა...

ბოლო: და მირახვიდეთ ქადაგებით და იტყოდეთ, ვითარ-
მედ მოახლებულ არს სასუფეველი ცათა: უძღურთა განკურნებ-
დით, მკუდართა აღადგინებდით, კეთროვანთა განსწმენდით, ეშმა-
კთა განასხამდით, უსასყიდლოდ მიგიღებდის და უსასყიდლოდ
მისცემდით. განიცადე. საჯსენებელად საუკუნოდ (16v—21r).

5) ილარიონ ქართველისა.

დასაწყისი: თუშსა ნოენბერსა ით წმიდისა ლმერთმე-
მოსილისა ილარიონ ქართველისა.—უფალო დადადგეყავსი. ჳმად
დ მჯნევანი. აღვახუნეთ დღეს, მორწმუნენო, ბაგენი ჩუშნი გა-
ლობად ჳსენებისა წმიდისა და ნეტარისა მამისა ილარიონისა...

ბოლო: ჰრქუა მათ იესუ: მცირედ ჟამ ნათელი თქუშნთანა
არს, ვიდოდეთ ვიდრე ნათელი გაქუსდა, რათა არა გეწიოს.

თქვენ ბნელი, რამეთუ რომელნი ვლენ ბნელსა, არა უწყინ, ვიდრე ნათელი გაქუნდა, გრწმენინ ნათელი, რათა ძე ნათლისა იყუნეთ (11r—24v).

6) წმინდისა დედისა ნინო ქართველთ განმანათლებლისა.

დასაწყისი: თუშსა იანვარსა იდ წმიდისა დედისა ჩუშნისა ნინოსა—ჯჳად დ მენეჳანი. აღზრდილი უშვილოებით, მტკიცე სარწმუნოებით, მოძლუარი ქართლისა სანატრელი ნინო, მკვეალი ყოველთა მკსნელისა, როპელი კუალსა მისსა შეუღდა.

ბოლო: დიდისა ანდრიასნი შჯულის დებულნი. შჯულნი საღმრთონი განაახლენ შენ და მოძლუარებანი იგი მისნი საღმრთონი განაახლენ შენ და მოძლუარებანი იგი მისნი საღმრთონი განამტკიცენ და უსმენელთა იგივე უქადაგე, ნეტარო. სამეფოდ ქალაქად რად შეხუშდი, შეიძრნეს ყოველნი მკვიდრნი მისნი, ჰოდ დედოფალო და მაცხოვარო ჩუშნო, რამეთუ ვერ თავს იღებდეს ეშმაკნი დადგომად შენ წინაშე (25v—30v).

7) მოწამისა რაქდენისა.

დასაწყისი: თუშსა აგვისტოსა გ წმიდისა მოწამისა რაქდენისა,—ჯჳად. ჰოდ სასწაულისა კვ. ქრისტეს მორწმუნენო, მოვედით დღესასწაულსა ამას ღუაწლისა მძლისა რაქდენისა გალობითა ღთის ბრწყინვალესა ყოველნი ვაქებდეთ, რამეთუ ესე ქრისტესთვის იწამა...

ბოლო: მიეცნეს ნაწილნი შენნი მღუდლისა მიერ უწყები თა შენ მიერთა მეფესა მორწმუნესა და დედოფალსა ღთის მსახურსა სანატრელსა, რაქდენ, რომლითა აღვივსენით ყოველნი სიხარულითა და ღუაწლსა მას შენსა ყოველნი მორწმუნენი გალობით გადიდებთ (31r—33r).

სასოწარკვეთილება ლამარტინისა

ფ. 6; 35,3×22; ქალაღი; ჟულო; მხედრული; XIX ს-ნის (ხელის მიხედვით); შემოსულია 1924 წ. დიმ. დეკანოზ-შვილისაგან (თელავი).

დასაწყისი: სასოწარკვეთილება ლამარტინისა — კაცი ღლორდ ბაირონსა! ნამღვილი სახელი შენი, რომელიცა ქრესტანსა მას არა უთავნია, საიდუმლო ნიჭო, მომაკუდაო ანგელოზო, ანუ

შატურო ბაირონო, ვინმცა რა ხარ, კეთილი ანუ საუბედურო გენია, მასიამოვნებს მე შენთა მუსიკებათა მხეცთა მზგავსი ხმოვანება.

ბოლო: მოვედ კჳალად მიღებად ხარისხისა მის პირველის დიდ შეწიერებისა, ამო უმანკოთა ძეთა შორის დიდებისა და ნათლისა, რომელ ერთისა აღრჩეულისა შებერვითა ენება ღმერთსა ცხოველყოფა, რომელი ჰყო, რათა იმღერდეს, არწმუნებდეს და უყჳარდეს.

96

კ რ ე ბ უ ლ ი

ფ. 97; 11×8×2,5; ქაღალდი (მოლურჯო); ხის ყდიანი; თავი აკლია; მხედრული; 1811 წ; შემოსულია 1924 წ. დიშ. დეკანოზიშვილსაგან (თელავი).

1) დაუჯდომელი (ფ. 1--76r).

დასაწყისი: იბაკონი დიდისა ღმრთის მშობლისანი, რომელსა დაუჯდომელი ეწოდების.

ზესთა მბრძოლისა ჩემისათჳს...

ბოლო: მხიარულთა პირითა აღვიმსთოთ დიდების მეტყუელებად და მადლობისა შეწირვად ძისა და მღუთისა შენისა უფლისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესა, რომლისა არს დიდება უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

2) კალენდარული ცნობ ბი (ფ. 76v—97r).

დასაწყისი: აღდგომის უკან ორმოცდაცხრა დღე უკუ სთვალე, ყველიერის ღამე იქნება. იმისი უკანა სწორი გორცის აღების ღამე იქნება.

ბოლო: ქორონიკონს ფიზ. ზედნადები სამი, შობა უფლისა სამშაბათს... პეტრე-პავლობა შაბათს.

ანდერძი: აღიწერა ივნისის ი. წელთა ჩყია, გელითა თავადი(ს) სოლომონ ჭავჭავაძისათა. (97).

97

სოციალური განსჯანი (კათოლიკე ეკლესიისა)

123 ფ; 24×9; ქაღალდი; ყდაში; თავ-ბოლო ნაკლული; მხედრული (სათაურები სინგურით); XVII ს-ნის ბოლო (ხელის მიხედვით); შემოსულია 1924 წ. დიშ. დეკანოზიშვილსაგან (თელავი).

შენიშვნა: აქვს ძველი პაგინაცია და თავში აკლია 4 გვერდი.

იწყება: ახვა მტერობა და ბოლოს ყოველი რაღაც სტან-
ჯავს და ჯვარს აცვამს ჩვენ თავსა, როგორც ჰაერის ურიგობა,
სიგლახაკე, სარჯელი და ავთამყოფობა, გინა თუ სტანჯავს და
ჯვარს აცვამს ჩვენ(ს) სულსა, როგორც ცუდი გულის ტანჯვა და
სულის შეწუხება...

წყდება: მაგრამ გაეძლო შენსავეთ უძრავთ გოლგოთა-
ზედ, გავიტანჯო და არ დამაკლდეს სიყვარული სანეტარელი. მე
თუ ამ წყალობას მიზამ, მართლად ღირსი არა ვარ ამ წყალობისა,
მაგრამ იმოდენათ...

98

კრებული

101 ფ.; 16×10.7; ქალღი; ყდაში; მხედრული (სათაურები სინგურით);
შემოსული 1924 წ. დიშ. დეკანოზიშვილისაგან (თელავი).

1) ლოცვანი (ფ. 1—62v)

იწყება: [მარ]ჯვენით მაშისა, კვალად მომავალ არს დიდე-
ბით განსჯად ცხოველთა და მკვდართა, რომლისა სუფევისა არა
არს დასასრულ.

ბოლო: და გადიდებდე შენ მამასა და ძესა თანა სახიერით
და ცხოველს მყოფელით სულითურთ, აწ და მარადის და უკუნითი
უკუნისამდე, ამინ.

2) სწავლა თუ ვითარ მართებს მოძღვარსა სწავლება მოწაფე-
სა (ფ. 63r—100).

დასაწყისი: ე. მოწაფე ჰკითხავს და მოძღვარი ასწავ-
ლის. უწყოდეთ, რამეთუ მოწაფე ეტყვის მოწაფესა და მოძღვა-
რი ეტყვის მოძღვარსა.

მოწაფე: ვინ არს ღმერთი ან რა შეუძლია?

მოძღვარი: ღმერთი ძლიერი არის და ჯელმწიფე და დამბა-
დებელი ყოვლისა ხილულისა და უხილავისა.

ბოლო: და ნურც ურიათ ძველს სიბრძნეს ისმენდა და ნურც
სარკინოზთ ზღაპრობასა.

3) ათნი მცნებანი (ფ. 100—101r).

დასაწყისი: ათნი მცნებანი ღვთისანი. თავი სჯული — არა
ჰაეც ჰკლა...

დასასრული: არცა კარაულსა მისსა, არცა ყოველსა საც-
ხოვარსა მისსა, არცა რაოდენი რა არს მოყვასისა შენისა.

მინაწერი (ფ. 99ა მხედრულად): ქ. სჯულიერითა ქორწინებითა და პირველითა გრიგოლ და ნენემ იქორწინეს თვესა ნოემბერსა ექვსა, ქორონიკონს უთა (=1783 წ.).

ანდერძი: ღმერთო, შეიწყალე ფრიად ცოდვილი, რომელმან აღწერა ესე (101 რ).

99

სწავლა მოძღვრებანი გვიგზინი

61 ფ.; 16,3×10; ქალაღი (მოლურჯო); უყდო: თაე-ბოლო ნაკლუ-ლი; მხედრული (სათაურები სინგურით); XVIII ს.—ნისა (ხელის მიხედვით); შემოსულია 1924 წ. დიძ. დეკანოზიშვილისაგან.

იწყება: ელისასა და ვითარ გამოხვედ წმობასა ქათმისასა, გამოვედ მეცა უკანით შენსა და ვითარ მოხვედ ეკლესიასა წმინ-დასა იოანე ღმრთის მეტყუელისასა, გიზალე შენ სამ გზის თაყ-ვანის მცემელი და განგებუნეს შენ კარნი თვით და შეხუდ ეკლესიასა და შემდგომად გამოსლვისა შენისა, თვითვე დაიხშნეს...

წყდება: მის ღმრთისა და წარვედ ორშაბათსა და ეპოვე ნიშანი, რომელი იყო ჩემ მიერ და ვიბილე მუნ ცოლი მისი მჯდომარე და ვკითხავდი მას: დაო ჩემო, სადა არს კაცი იგი, რომელი იყოფის აქა, ხოლო მან მრქვა: ქმრისა ჩემისათვის იტყვი, უფა-ლო, და მე... (1r—61v).

100

რუსულ-ქართული ლექსიკონი

141 ფ.; 21,6×17; ქალაღი; ყდიანი; მხედრული; XIX ს.—ნის დასაწყისი (ხელის მიხედვით); შემოსულია 1924 წ. დიძ. დეკანოზიშვილისაგან.

1) დასაწყისი; А. союз—ხოლო, არამედ, და.

Агнец—ტარიგი.

Агничий—კრავისა.

ბოლო: Фнмиям, фемиям—გუნდრუკი, თიმიამი,

фита—წანწყალა.

феология—ლუთის მეტყველება, თეოლოღია
(1 r—138 v).

2) რუსულ-ქართული ცალკე გამოთქმანი.

დასაწყისი: Свидетельство—წამება, მოწმობა.

Свидетельствую შეესწამებ, ვუწამებ, გავსინჯავ, დავამოწმებ, განუცხადე.

ბოლო: Пре—ყოვლად.

Преславный—ყოვლად დიდებული

Преизбранно—ყოვლად რჩეულად (139r—141r).

შენიშვნა: ლექსიკონში რუსული *иуд* გ. დათარგმნილია—ფუთი, ხუთ-ლიტრიანი. აქ იგულისხმება ლიტრა თითქმის 800—მისხლ ანი. ლიტრა-ამ ზომისა იყო მე-18-ე ს-ნის მეორე ნახევარში. ლექსიკონიც შედგენილი უდა იყოს ამ ხანაში.

101

კ რ ე ბ უ ლ ი

158 ფ.; 33,5×22; ქაღალდი (ლურჯი); ყდიანი; შუაში აკლია; მხედრული (სათურები სინგურით); XVIII ს-ნის ბოლო (ხელის მიხედვით); შემოსულია 1924 წ. ალექსანდრე მაჩაბლისაგან (საფ. ქურთა).

1) სარჩევი ხელნაწერისა (ფ 5r—4r).

2) სარკე თქმულთა, თეიმურაზ II-ისა.

დასაწყისი: დღისა და ღამის გაბაასება, თქმული მეფის-ერეკლეს ძის მეფე თეიმურაზისაგან, რომელი იქმნა ცხებულ შემდგომად წელიწადისა ცხრისა თქმისა ამის. ამ წიგნსა იმას სწოდებიეს საგნე (სარკე) თქმულთა სიტყუათა ვერ სიბრძნის ღირს-მან სწავლობით, ვერ ღრმად გამომეტყუელი რიტორებრ ენა მრავლობით.

წყდება: ლეილ-მიჯნუნის ამბავიდან.

ჩვენ გვიბოძეთ ქალი პირზე ამა ყმისა შესაყრელად, და რა უამბეს მისცეს ქალი იყვნენ მადლის გარდამხდელად (5r—78v).

შენიშვნა: ხელნაწერში დატოვებულია ცარიელი ადგილები და ტექსტი სრულად არ არის ჩაწერილი.

3) დავით გურამიშვილის ნათქვამი „ეო, მეო“.

დასაწყისი: ეო, მეო, აქეთ მომვედეო,

რას მოგითხრობ სიყვარულსა, ყური მომიგდეო.

წყდება: რადგან მამა ვარ მეშვავესე, გულში დაიდეო, ღმრთის ძალსა განგებულებას სხვას ვერას მიხედეო

(79r—82v).

4) შავთელისა ქება დავით მეფისა.

იწყება: მცხინვარებითა მღვთაებისათა ფერი იცვალა
თაბორს დიდებით;

ბოლო: გვედრებ თქვენ სულად, ქებისა წილად
ჩემგან ღუმილი თვით მოითვალეთ (83r — 85r).

5) სხვაგვარნი ლექსნი დაიწყებინან, რომელ არს შაირნი.

დასაწყისი: ღმერთო, რომელი შენ ჰსუფევ ჰაერთა
თანა ცაშიგან.

შენ ხარ საესება ყოველთა, რაც არის ქვეყანაშიგან.

წყდება: უნდა, რომ კაცმა იგმაროს მისი ჭკუა და გონება,
ევა ურჩ ქმნილი ცთომითა ჯოჯოხეთის შინა მგონება
(85r — 86v).

6) ანბანთ ქება ანტონ კათალიკოსის თქმული, ქართველ
მეფის იესეს ძისა.

დასაწყისი: აჭვირვებს ადენს ალებსა აღმასრ აელვებული.

ბოლო: ჭოი მდაბალო, არ გულ მაღალო, გვედრი მას
ღღეს დრო მცე მძლეველი (87r — 88v).

7) ისტორია ალექსანდრე მეფისა მაკედონიისა.

დასაწყისი: ისტორია ალექსანდრე მეფისა მაკედონიისა და
ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა, ჩრდილოეთისა და
ყოვლისა სამჯრეთისა და თვთ მპყრობელისა მეფეთ მეფისა,
იტყვიან ძედ ყოფად მისა მაკედონიის მეფის ფილიპესად, არა-
მედ არა არს ესრეთ და ცრუ არს ესე ყოველივე. არს იგი ძე ეგვი-
პტისა მეფისა ნეფთალიმისა ფილიპეს ცოლისა და დედოფლისა
ალიმპიადეს შიერ შემოხვევითა მით ესე ვითარითა ვითარმედ—ყო
მეფე ეგვიპტეს ნეფთალიმ მისნობისა და ვარსკუთალავთ პრიცხუმ-
ლობისა ჯელოვნებითა გასწავლული ფრიად.

ბოლო: ხოლო როკსანამ სამოსელი თვისი გარდხია და
თმანი თავისა თვისისანი დაივლიჯა და ტირილითა და მწუხარე-
ბითა ალექსანდრეს ვითარცა ცოცხალსა ეტყოდა (89r — 153r).

8) ლექსი იონა მროველისა.

დასაწყისი: ყოვლად სამღვდელოს მროველ მიტროპოლი-
ტის იონას მიერ თქმული გედეონოვისა, ოდეს საქართველოდამ
წარვიდა და მოვლო საბერძნეთი და მოილოცა იეროსალიმი და
მოვიდა როსიად და მუნ მიიცვალა, მოსკოვსა მონასტერსა პოკ-
როვისასა დაესაფლავა, საუკუნო იყავნ წსენება მისი.

თიფლის აზიით და მოვლე პონტოია ზღვით.

წყდება: და მას ეგვიპტით, სურით, სინაიტითა,
კაირ აფრიკით ალექსანდრავანდითა (153v).

9) თეიმურაზის მიერ ქება სამეგობისა.

დასაწყისი: ქება და დიდება წმიდისა და ერთარსისა
სამეგობისა და მლუთაებისა ბუნებით განუყოფელისა, ხოლო გუამით
განყოფილისა, კრებათაგან დამტკიცებული, ლექსად თქმული მე-
ფეთ მეფის ლეთივ გვირგვინოსნის თეიმურაზისაგან, ნეტარად
იყოს სსენება მისი.

აღვალო პირი, სიბრძნე და მძოვრი ზესთა ძალისა
ჩემისა მბობად.

ბოლო: მაღლი შემოსონ, განმძარცონ ცოდვათა
ძონძი ფლასები
და თუ უნდათ, მალ მაცხოვრებენ მე მარტოს ბევრ
ათასები (154r—156r).

10) წმინდანთ ქება თეიმურაზ მეფის მიერ ანბანზედ თქმული.

დასაწყისი: იესეს ძირთაგან აღმოცენებულისა და დავი-
თის პრტოდ აღმოფურჩენილისა და სოლომონის ტომად სიბრძ-
ნით საჩინოსა და ლუთის მეტყველებისა მაღლსა ღირს ქმნილსა.

ლუთივ გვირგვინოსნისა მეფეთ მეფის და თვთ ჯელმწიფის
თეიმურაზის მიერ აღმოთქმული წმინდათ ქება, ანბანზედ ლექ-
სად თქმული.

აღამ ვახსენოთ პირველად, თვთ ღმერთმან შექმნა
რომელი.

წყდება: ქსენოფორე და პორფირი, პართენი ჯერა-
სიმეო (156r—157).

11) ანბანთ ქება, ცხრა ლექსად ნათქვამი ღარიბი.

დასაწყისი: ანო აღმოვთქვამ სიტყვასა, ცხელის ცრემლი-
თა მტირალი.

ბოლო: და პარო პირმზეს რა მოვშორდი, გავკმი მით
ვარ აღარ ნელლად (158r).

12) კვალად ანბანთ ქება სხეებრი.

დასაწყისი: ან ამას ვტირი ბან ბნელსა მჯდომი,
განგულთა მდულრად ღონ დადაგული.

წყდება: ანა ლაწვისა, ნეტარ ძაგს ვ(ი)სა,
ნელსაცხებელ ჰყოფს ცრემლსა დენითა,
ან ვლით სოფელსა უქმად მყოფელსა... (158v—159r).

102

რუსუდანიანი

437 უ; 29x21; ქალაღი; ყდინა; თაგ-ბოლო ნაკლული (თაგში პირველი ცხრა ფურცელი დაწეოილია XVIII ს-ნის ბოლოს სხვა ხელით ლურჯ ქალაღზე); მუდრული (სათურები წითურით); XVI—XVIII ს-ნის ბოლოს (ხელის მიხედვით); შემოსულია 1925 წ. ყოფ. ლახარვის ინსტიტუტიდან (მოსკოვი).

დასაწყისი: პირველი დასაწყისი რუსუდანიანთა ამბავი, ცხოვრება მისი, დაბადება, სიკუდილამდის, თუ ვითარ აღიზარდა ანუ ვითარსა ქირსა და განსაცდელსა შთავარდა, ანუ ვითარითა ზიტყვითა შეაქცევდნენ ნუგეშინის ცემითა მშობელნი ანუ ძმანი მისნი; რადენთა უცხოთა ქუწყანათა წასულთა და ანუ ბრძენთა მეცნიერთაგან ნასმენსა, ანუ ძმულთა წიგნთაგან კიახულთა გამოთარგმანებულთა ამბავთა უამბობდიან, ათხუთმეტს წელ მწარეთა სენთაგან მრავალ გვარად დამძიმებულსა ლოგინთა ზედა მდებარესა უამბობდიან, მისის სულის შერჩომისათვის ღონესა ეძიებდიან; მერმე ბრძანებითა ღმრთისათა კიდევ მისთა ქირთაგან მორჩენა და ძისა მისისა გამოხსნა, მისი განკურნება და ღმრთისა მაღლითა მიცემა მშობელთა და ძმათა მისთაგან დიდი სიხარული და განსტყნება.

მერმე დედისაგან მბობა, ვითა შენ, ახალო ველმწიფეო და ქვეყანისა. მაშტყნებელო, შენისა ფეალითა გინახამს მშობელთა ჩვენთა ქირი ჩემზედა და არცა თქმა უნდა, მაგრამ რაცა ძმათა ჩტყნთა უნახამს, შენთა დიდებულთაგან განიკითხე.

ბოლო: რუსუდანი, მისთვის გაქრილი და დღივ და ღამ სისხლისა ცრემლით მტირალი ამ სოფლით ასე დაიკარგა, ვითომ დღეთა შინა მისთა არას ყოფილიყოს. უყურე სოფლისა სიმუხთლესა, თუ რაძდენ ფერად იქცევის და რაძდენსა ქირსა და ლხინსა აჩვენებს კაცთა (აქედან მომატებულია მეფის სძალის ქეთევანის ხელით). მაგრამ დედათა მესისხლეობისაგან არა ოდესმე დასცხრების და არცა ვის ლხინსა აამებს, ქირსა და ლხინსა ორსავ სამსალად უჩტყნებს. მეფის სძალი ქეთევანი.

მინაწერები: 1. საქართველოსა და სხვათა მეფის გიორგის სძალი იმერთ სალთხუცის წერეთლის ზურაბის ასული ქეთევან ვარ, რომელ ამოდ სასმენელი ამბავი ესე თორმეტთა მეფეთა და ნათქვამი იბ ძმათა დისა თვისისა შესაქცევლად

ვანლაგარ (I), ვითარცა იმათ შუაქციეს და თვისი რუსუდან, ეგრეთ მე უგანათ-
ლებულესა ქეთევანს, ქორონიკონს უოე, რომელმაც ამაე წელს იქორწინა მეფის
ძეს იოანეხედ და მიეცათ ძეთა გრიგოლ ქორონიკონს უოჲ, წელსა ჩ'შ ი ა (I
ღმერთმა მრავალქამიერ ყოს (ფ. 181v სხვა ხელით).

2. წურეთლის ასულის მეფის რძლის ქეთევანის ვარ.

საქართველოს მეფის ძის იოანესძე გრიგოლ დაიბადა იანერის 24, წელსა (I)
პატარა გრიგოლ დაიბადა იანერის კდ, ქორონიკონს უოჲ, მეორე წელი-
წადი გაუხდა იანერის კდ, ქორონიკონს უჲ, ქრისტეს აქეთ ჩღებ.

ქ. ღმერთმან გადღერძელოს, ჩვენ(I) კელმწიფის რძალო, რომ ეს წიგნი
გვათხროვ. ღმერთმან თქვენი მოწყალება ნუ მოგვაკლოს და ჩვენი თავი თქვენი
ჭირის სანაცლო ქნას და ნურც თქვენი გული ამათხე განარისხოს და ესენიც
თქვენს სამსახურში დახოცოს ღმერთმან.

ქ. ღმერთო, აღღერძელე ბატონიშვილი იოვანე და მეუღლე მისი(ი) ქეთე-
ვან და ძე მათი გრიგოლ (ფ. 439—440, სხვა და სხვა ხელით).

103

საქართველოს გეოგრაფია და ისტორია ვახუშტისა (აზომგრაფი)

372 ფ., 42X17; ქალაღი; ყდიანი; მხედრული; 1745 წ.; შემოსულია 1925-
წ. ლენინგრადის სალტიკოვ-შიგდრინის სახელობის საჯარო წიგნთსაცავიდან.

ხელნაწერი წარმოადგენს ვახუშტი ბატონიშვილის ავტოგ-
რაფს. მისი შედგენილობა:

ა) სია ქართლ-კახეთის სოფლები (თავში, ნუმერაციის გა-
რეშე);

ბ) ქ. მკითხველთათჳს სიტყვა, რაჟსათჳს არს შრომა ესე,
(ფ. 1—4);

გ) ზნენი და ჩვეულებანი საქართველოსანი (ფ. 5—12);

დ) აღწერა სამეფოჟსა საქართველოჟსა (ფ. 13—120, წარ-
მოადგენს მთლიანი საქართველოს ისტორიას);

ე) შემდგომად განყოფისა სამეფოსა სამ სამეფოდ და ხუთ-
სამთაფროდ ცხორება და ქმნულება მეფეთა ქართლისათა (ფ. 121.
—293);

ვ) ქრონიკა (ფ. 295—308);

ზ) სხვა ქვეყნების ხელმწიფეთა და ქართველ მეფეთა შედარე-
ბითი ნუსხა (ფ. 315v—328r);

ც) მაჩვენებელი (ფ. 329—340).

თ) ქრონიკა (ფ. 341—351v).

ი) კინკლოსი (ფ. 353—372r).

მიანწერი: ხელნაწერის თავფურცელზე არის მიანწერი ფრანგულად მ.
ბროსეს ხელით:

De présent ouvrage en l'original autographe de l'histoire et de la description de la Géorgie par Wakhoucht, fils naturel du roi Wakh-tang VI, venu en Russie en 1724 (v. Bulletin scientifique IV, 329 et suiv., les preuves sur lesquelles se fonda l'opinion de son authenticité).

1^o Des mains de l'auteur il passa dans celles d'un de les parents, le prince Dimitri Bagration, mort je crois à Moscou trente ou quarante ans et dont le nom se trouve sur les gardes du commencement.

2^o Se fut ensuite cédé à la reine Anna d'Jmereth, morte en 1836, enterrée à Moscou dans l'église du Donskoi monastir.

3^o De tsarévitch Constantiú, fils de la précédente, encore vivant à Moscou, en hérita ensuite et le céda à l'Académie au mois décembre 1838.

Des copies en sont nombreuses et plus ou moins différentes les unes des autres non seulement pour l'orthographe, mais à cause des additions qui y ont été faites (v. la copie du Musée asiatique écrite par Simon Tabidzé). Mais il en est une, la plus authentique de toutes, faite par ordre de la reine Anna elle-même en... Cette copie, qui n'est pas tout à fait complète, se trouve également au Musée asiatique.

Enfin il n'existe qu'une copie authentique des cartes, faite à la même époque sur les originaux, qui fut acquité en 1838 par l'Académie le 22 février 1839. Brosset.

104

საქართველოს ისტორია, შემდგენილი ვახუშტი ბატონიშვილის მიერ

328 ფ.; 42x17; ლურჯი ქაღალდი; ყდიანი; მხედრული; თავსთები (ასომთავრულით და სინგურით); თავში ორგვეოდზე აქვს სუაოთენი შემკულობა; 1808 წ.; შემოსულია 1925 წ. ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკიდან.

სათაური (ასომთავრულით): ისტორია გეორგიისა ანუ ყოვლისა საქართველოსა.

დასაწყისი: ტომობა და შთამომავლობა ქართველთა ნოეს ძის იაფეთის თესლისაგან ვიდრე ქართლოსისა და ძმათა მისთამდე და განყოფილებანი მათნი და ძეთა მათთა.

აწ ვიწყით ძეშლიდამ ახლადმდე საქართველოსათა ზნეთა და ჩუქლებათა და წესთა მათთა პირველ განყოფილებისა და შემდგომად განყოფილებისა, რომელ წესი მთავრობათა საქართველოსათა არიან დასაწყისთგანვე, ვითარცა ვიუწყებთ.

ბოლო (გვ. 594): ამის შემდგომად მოიპარა მაქავარიანის ქალმან ციხე სვერისა, წარვიდა ლეონ, რათა მოიღოს მან, არამედ აუსწრა მფეფმან, მისცა მას, დაიპყრა აღექსანდრემ სვერი ქრისტეს 1744, ქართ. 432 და გამოიღო საგანძური ზურაბ აბაში-

ძისა. ხოლო ლეონ მოადგა შროვას(!)ციხეს ძესა ზურაბისას ზაალს, რათა არა იგიცა დაიპყრას იგიცა მეფემან. მცირეს ხანს-მისცეს ლეონს და დაიპყრა იგი ლეონ. განუტევა ზაალ და წარვიდა ქართლს ზურაბ მამისა თვისისა თანა და იყოფოდნენ ნუნისს.

ამას მიყვება ცარიელი ფურცლები, ხოლო 600—622 გვერდებზე—ვახუშტის ქრონიკა ვიდრე 1753 წლამდის. ქრონიკას მიმართულ აქვს სამი ცნობა: ანტონ კათალიკოზის გადაყენების და კათოლიკე პატრების განდევნისა 1755 წ.; ერეკლე II-ის სიკვდილისა 1798 წ.; გიორგი XII-ის გამეფებისა ქართლ-კახეთში და მისი სიკვდილის შესახებ 1800 წ.

შემდეგ (გვ. 623—642) მოთავსებულია სინქრონული სქემა უცხო (რომის, სპარსეთის, დას. ევროპის სახელმწიფოთა), საქართველოს და სხვათა მეფეებისა.

გვ. 644—656 მოთავსებულია ქართლ-კახეთის სოფლების სია-

ანდრძი (თავ-ფურცელზე მხედრულით, ტექსტის ხელით): ხოლო კელყოფილი წერად იტორია ეფე გიორგიისა, ანუ ყოვლია საქართუშლოისა, სამეფოსა ქალაქსა ტფილისსა შინა იანუშის ე დღესა წელსა ქრისტეს ჩჳშ; ხოლო ქორონიკონსა უჟჳ.

პირველ ფურცელზე სხვა ხელით: საქართველოს მეუას ძის თვიპურაზისა არის.

მიწაწერები: 1) ხაზართა ერნი არიან ღინოვისს აღწერასა შინა მოხსენებულნი, რომელნიცა მან აღწერა ღუნთათვის, წინაპარნი აწინდელთა ყიზღისთანნი და მუნ-გარემოთა, რომელნიცა ძრავალგურად, გინა მოსახელედ განიყოფიან. ვიხანტიელნი ისტორიკოსნი უწოდებენ მეჟეთა ამათთა ხაყანად ანუ ხალანად, ხოლო ახნაურთა პეხათ. ამათ შემწეობითა ბერძენთათა აღაშენეს ქალაქი, სარკელათ წოდებული, რომელიცა ნიშნავს ბერძნულითა ენითა ბელდოროდად (ესე იგი თეთრი ქალაქი); აწ წოდებულა ბედგრადად, ანუ ბელა გოროდად, რომელსაცა თათარნი სარი ყალად უწოდებენ. მეფის ძე დავით (მხედრულით, დავით ბატონიშვილის ხელით, გვ. 241)-

2) ხოლო შემდგომად დანთქვისა მეწამულისა ზღვასა შინა ამენოქისსა ფარაოსსა იქმნა ძეგ მისი უზუცესი სეზოსტრისს მეგობტელთა ზედა მეფედ, წელთა დასაბამითგან 2513, ხოლო შობადმდე ქრისტესსა 1491. ამან დაიპყრა ყოველი აღმოსავლეთი გიდრე ინდოეთადმდე და შემდგომად დაპყრობისა ინდოეთისა უკმოქციული მუნით მოვიდა მუნით ქვეყანასა ივერიელთასა. ამან შეიყვანა მფლობელობასა შინა თვისსა სრულიად ივერია და კოლნიდა და დაასახლნა მუნ რაოდენნიძე ერნი ევატისანი, და შემდგომად სიკვდილისა სეზოსტრისსა კვლად განთავისუფლდნენ ქართუშლნი მონებისაგან მეგობტელთასა, და შევიდნენ ფლობასა ქუშუშე მცხეთელ მამასახლისისასა მეფის ძე დავით (მხედრულით, იმავე დავით ბატონიშვილის ხელით გვ. 25).

3) შევიდა რა სემირამიდა მათა კავკასიისათა და მიიწია ადგილსა დაღისტანად წოდებულსა, რომელსაცა აჩენდა სიმაღლე ათშვიდმეტრი სტადიონს. ნუ ზუთიათას ხუთას რვა ფუტი, ბრძანა სემირამიდამან მრდგმად კლდესა მას.

ზედა კიბენი და მირკმად პალონი და ესეთითა სახითა აღგზავნა მას ზედა ხელო-
სანნი და გამოაკვეთინა მას ზედა სახედ თვისი გარემოცული დარაჯთაგან.

ხოლო ოდეს ნან მეფე ასურეთისა შეიპყრა ცოლმან მისმან სემირამიდა
და მუნ პერობილებასა შინა მოკუდა, იქმნა მეფედ ასურასტანელთა წელთა 2789
ზედა და განძლიერდა ესრეთ, რომელ დაიპყრა ამან ბაბილოვანი, ეთიოპია,
ეგვიპტე და სრულიად აზია ვიდრე ინდოეთამდე და ვგრეთვე სომხითი. ამან შეი-
ყვანა უდლისა ქვეშე მონებისა თვისისა სრულიად ივერია, ხოლო შემდგომად
სიკვიდილისა ამის, ვინათგან ძე მისი ნინია იყო კაცი მცონარე, მშუშპი და
მფუფუნებელი, ამად კვალად განთავისუფლდა ქართლ უდლისაგან ასურასტა-
ნელთასა. მეფის ძე დავით (შხედრულით, მისივე ხელით, გვ. 25).

4) წელთა დასაბამითგან 3369, ხოლო ქრისტეს მოსვლამდე 635 შემდგო-
მად სიკვიდილისა ფრაოტ მიდთა მეფისა იქმნა მიდელთა ზედა მეფედ ძე მისი
ციაკსარ. ესე იყო მხნე და ახოვანი. ჟამსა ამისსა გამოვიდეს სკვთნი ჭბით მეო-
ტის ტბით, რომელთაცა წინ უძლოდა მათ მეფე მათი ნადიეს. მოვიდნენ და
შთამოსახლდენ ყოველსა მცირესა აზიას შინა და მიდიასა, კოლხიდასა და
ივერიასა შინა. ხოლო ციაკსარ, ვინათგან ვერ წინა აღუდგა და იძლია მათგან,
მივიდა და განამაგრა ნინევი. და ეპყრათ ამთ აღგილი ესე ვიდრე 28 წლამდე.
ხოლო შეითქვენ ყოველნი ესე მოსახლენი, და თვთოეულთა მოსახლეთა დათვ-
რნეს მდგმურნი თვისნი და მოსწყვიდნეს და კვალად აღდგა მეფობა მიდთა. ხოლო
შემდგომად სიკვიდილისა ამის იქმნა ძე მისი ასტიახ წელთა დასაბამითგან
3409. ამას უწოდებენ დეოკს და არფაკსადს. ამან მისცა ასული თვისი კამბიზუსს,
სპარსთა მეფესა, რომლისაგან იშვა სახელოანი მეფე სპარსთა კიროს.

ხოლო წელსა 3410, ოდეს ახემენ, მამამან კამბიზისისამან, განაცხადა საგო
თვის სპარსთა მეფედ, ამად ხმობილი სპანდიერ ესე იგი დაბარებული მამისაგან
თვისსა გუპსტაბისა. უკუნ იქცა სპარსეთად, ხოლო სძლო რა მათ კამბიზუსს,
იგი იქმნა მეფედ სპარსთა (შხედრულად, დავით ბატონიშვილის შენიშვნა, გვ. 26).

5) კადუზიანნი აჰა სწერანი.

წელსა 3415, ქრისტესამდე 589.

ხოლო შემდგომად წარტყუმნისა ნაბუქოდონოსორისაგან იერუსალიმისა
და შეპყრობისა სედეკია მეფისა, რომელსაცა აღმოხადა თვალნი და მოსწყვიტა
ძენი მისნი წინაშე მისსა, და მოიქცა რა ბაბილოვანს, დაჰყო ოთხ წელ გან-
სვენებასა შინა, შემდგომად განმართა ტირიანელთა ზედან და დაიპყრა იგი და
და აღილო ქალაქი ტირი და მოიკალა რა მუნით და წარმოემართა ივერიასა
ზედან დაიპყრა და მოზარკე ჰყო ყოველი ივერია; ხოლო შემდგომად სიკვიდი-
ლისა მისისა, ვინათგან ძე მისი ევილ მეორადან იყო კაცი მფუფუნებელი
და მშეებელი და არა ხრუწვიდა სამეფოთათვის, ამად შემდგომად განთავისუფლდა
ქართლი უდლისაგან ბაბილოვნელთასა.

ხოლო წელსა დასაბამითგან სამი ათას ოთხას ოცდა შვიდსა იქმნა მეფედ
მიდთა ზედა არსეი ძეი არბიანისა არბაკისა შთამომავლობათაგან. ამას ჰყუა ვან-
მე სპარსთაგანი სახელით პარსოდ, რომელიცა განადიდა ფრიად, ხოლო ამა პა-
რსედს მტერ ექმნენ მოყვანნი თვისნი და შეასმინეს მეფესა არსეის. ხოლო პარსედ
განივლტო სამი ათასითა ქვეითითა და ათასითა ცხენოსანითა და მივიდა ქვეყა-
ნასა კადუზიანთასა, რომელსაცა ეწოდებენ ივერია. პარსედს ჰყუა დაა დათხოვილ
სახლსა შინა მუნებურთა ძლიერისა მამასახლისისათა. ამან მისრულმან განანბნო
ქართულნი სიტყვით, რათა განაგდონ უღელი მიდთა და ჰყუშესა ვგრეთ, რა-

მლისათვის დაიდგინეს თავისა თვისის სპასპეტალე იგი და შემოკრებენ მხნენი ქართ-
ლოსიანი ორასი ათასნი და მივიდნენ სახლუართა მიდიისათა. ჰსცნა რა ესე მე-
ფემან მიდთამან არსენი, შემოკრიბა რვა ასი ათასი მეზაძოლნი და ეკვეთნენ ქარ-
თველთა, გარნა სიმზნითა ქართუშელთათა იძლიენეს მიდნი და მოსწყვიტეს ბრძო-
ლასა შინა ორმოცდათი ათასნი მბრძოლნი გულგოვანნი მიდელთანი და მიეჩით-
გან განაგდეს უღელი მიდელთანი ქართლოსიანთანი ვიდრე კიროსადმდე.

წელსა 3600, ოდეს არტაკსერს მემნოს განუდგა ძმაი თვისი კვროს, და
მოიყვანა მათ ზედა ბერძენთა მხედრობად მაშინ განუდგნენ მას ქართუშელნი.
ხოლო არტაკსერს სძლო რა ძმასა თვისსა, მანლობელ ბაბილოვანისა და მოკლა
იგი. მაშინ წარმოემართა ივერიელთა ზედა და მოვიდა კახეთს. შეუშინდენ ამას
ქართუშელნი და აიყარნენ მათა შინა, ხოლო უკანასკნელ იძლია იგი შიმშილი-
თა, მით რამეთუ მცხოვრებთა მათ არა აქუნდათ ეგე ოდენი ზუნად, რომელნი-
ცა სცხოვრებდნენ უმეტეს ხილითა, გარნა ტერიბას ვინმე სახელდებულმან, უპირვე-
ლესმან მოძღვარმან არტაკსერქსისამან, მოიბირნა მამასახლისნი ქართლისა და
კახეთისანი, რომელთაცა ჰყუნდათ თვის-თვსად. და ქმნეს ზავი და მისცეს ხარკი,
და იყვენენ გონებასა შინა სპარსთასა, ვიდრე დარიოზ კოდომანდმდე, ხოლო
ოდეს სძლო ალექსანდრემან დარიოზს მანლობელ არაბიელ ქალაქისა, განთავი-
სუფლდნენ ქართუშელნი მონებისაგან სპარსთასა.

ესეცა მოუთხრობს ალექსანდრესთვის.

ხოლო ოქუს სძლო მესამედ ალექსანდრემან დარიოზს და მოკლა იგი
ლტოლვასა შინა ბესისამან ვინმე დიდებულმან მისმან, მუნით უკუმოქტეული
მოვიდა და დაიბანაკა მანლობლად დარუბანდისა, ადგილსა რაღად წოდებულსა,
რომელსაცა აწ არყებდა უწოდებენ. მუნ მოვიდა დედუფალი ამაზონისა თელის-
ტრა, რომელსაცა სწადდა, რათამცა ეშვა მას შვილი ალექსანდრეუკან. ხოლო მუნით
აღძრული ალექსანდრე მოადგა კიროსოლს, ესე იგი შამახისა და წინა დაუდუა მორ-
ჩილებად. გარნა ოდეს წინა აღუდგნენ იგინი, ბრძანა მიტეევა მხედართა, რომელ-
თაცა აღიღეს ქალაქი, მოსრნეს მცხოვრებნი, და იავარჰყვეს სრულიად და თვთ
ალექსანდრე დაიკოდა კისერსა ქვეთა მეციხოვნეთაგან. მან განადიდა ქალაქი დარუ-
ბანდისა და განაშუშნა და უწოდა ალექსანდრიად. მუნით შევიდა მათათა კავკასია-
თასა, მუნ უჩვენეს მას კლდე იგი, სადაცა პრომეტეოს იყო დასტვეალულ, მუნით წა-
რემართა ივერიელთა ზედა, ამან აღიღო ქალაქი ბაკურციხე, რუსთავი, მცხეთა,
ნასტაკისი, ციხე დიდი, უფლისციხე, სარკინეთი, სამეგილჯუ და ურბნისი, დაუ-
ტრევა მუნ აზონ, მცირედითა მხედრობითა, და გარდავლო მთაი იალბუხისა, რომ-
ელ არს ალბურზი და დარიელისა და წარემართა სკვთთა ზედა. ხოლო შემდ-
გომად განაყოფისა მხედართ მძღუანთაგან ალექსანდრესთა დაშთა ქართლი
აზონს, გარნა ესე იყო მფარველობასა ქქქშე სელევეკოსისასა, მეფისა ბაბილოვანი-
სასა. ხოლო შემდგომად სიკუდილისა სელევეკოსისა, ვინაითგან იქნა აღრულებდა ძე-
თა შორის, და ძისძეთა სელევეკოსისათა, და იქნა მრავალი ცვლილებად სირიასა ში-
ნა და ბაბილოვანსა, ამად განთავისუფლდა ქართლი მონებისაგან ბაბილოვანელთასა
ვიდრე ანტიოხოს დიდდმდე. წელთა დასაბამითგან 3784, ხოლო უწინარეს ქრის-
ტეს მოსვლისა 204 წელთა იქნა სირიელთა ზედა მეფედ ანტიოხოს დიდი. ამან
დაიბაზა ბაბილოვანი და ატროპატრონია (ადრბექანი) და მოვიდა საქართუშ-
ლოსა შინა. ყამსა ამას მეფობდა კახთა ზედა და მოაკანთა ვიდრე დარუბანდამ-
დე მეფე არტაბაზან. შეშინდა ესე და მივიდა ანტიოხოსისთანა მცხოვანებისა
გამო და ჰყო მისთანა ზავი. ამან დასდუა ხარკი სრულიად საქართუშლოსა. ხო-

ლო წელთა დასაბამითგან 3812 ქრისტეს მოსკლადის 192 წარემართა ესე საბერძნეთსა ზედა, რომელსაცა თანა ჰყუაჯა ქართველთაცა მხედრობა. გარნა იძლია რა ანტიოხოზ რომელთაგან, ამად განთავისუფლდა ქართლი უღლისაგან ასურასტანელთასა. მეფისძე დავით (დავით ბატონიშვილის შენიშენა, მხედროულით, გვ. 26—27 შუა ცალკე ფურცლებზე).

6) წელთა დასაბამითგან 3468 კვროს ძემან კამბიზესამან შემდგომად სიკვდილისა მამისა თვისსა დაიპყრა ყოველი სპარსეთი. ამან გარდაგლო ასტიახ პაპად თვისი ტახტით და იწოდაცა მიდელთა ზედა მეფედ, დაიპყრა ბაბილოვანი და სძლო მეფესა ლიდელთასა კრეზსს და შეიპყრა იგი და წელსა 3468 მოვიდა სომხითს და დაიმორჩილა სრულიად სომხითი და მეფეი მათი. მუნთ მოვიდა ივერიელთა ადგილთა შინა აღვანდს. ამან მოხარკე ჰყო ყოველი ივერია და აღაშენა ქალაქი აღვანდიასა შინა სახელსა ზედა თქსსა, რომელსაც უწოდა კიროპოლად, რომელიცა აწ იწოდების შამახიად. ხოლო შემდგომად სიკვდილისა ამის განთავისუფლდა ქართლი მონებისაგან სპარსთასა მით, რამეთუ ძე მისი კამბიზეს წარვიდა მეგობრელთა ზედა და მუნ ადგილთა აქვნდა ბრძოლად. ხოლო ჟამსა მას შინა იქმნა სპარსთა შორის აღრფულებად მით, რომელ სემირამიდის ვინმე მოგუშან აღადგინა შფოთი და იწოდა სპარსთა მეფედ. კამბის წარემართა რა მას ზედა, წარმოეღვარა ქარკაშით ჳრმალი, დაეცა ცერხთა ზედა და მოკვდა მით.

წელთა დასაბამითგან 3483 სცნეს რა დიდებულთა სპარსეთისათა, მცბიერებით მიღებად ტახტისა სპარსეთისა მოგვისაგან, შეკრბენ და წარკეშთეს მას თავი და გამოირჩიეს მეფედ თვისსა ზედა დაროოზ, ძეა ისტასპოვისა. ხოლო ამან დაიპყრა ყოველი აღმოსაგლეთი და მოხარკე ჰყო ყოველი ივერია. ხოლო ოდეს წარემართა სკვთთა ზედა და იძლია მათგან და შემდგომად ბერძენთაგან კვლად განთავისუფლდა ივერია მონებისაგან სპარსთასა და უმეტეს შამინ, ოდეს შემდომ სიკვდილისა ამის ძე ამისი ქსერკს წარემართა მილიონითა მხედრობითა საბერძნეთსა ზედა, რომელსაცა სძლო თერმოპილს ადგილსა წოდებულსა ლეონიძემან წინამძღვარმან ათინელთამან და თემისტოკლემან, ვიდრე არტაქსერკს შემონადმდე. მეფისძე დავით (დავით ბატონიშვილის შენიშენა მხედროულით, გვ. 27).

7) ნანია ანუ ნანიას არტემიზა. კერპი ესე ჰყვათ სპარსთა პირველსა პატივისცემასა. ამასვე უწოდებენ არტემიზას. დავით.

ხოლო დანიან ეწოდებთ დანაძს (დავით ბატონიშვილის შენიშენა მისივე ხელით მხედროულით. გვ. 29)

8) წელთა დასაბამითგან 3921, ოდეს მიტრიადდ ევპატორმან, მეფემან პონტოსამან, დაიპყრა მცირე აზიად და მოსწყვიდნა პონტოსასა და აზიასა შინა მხედარნი რომთანი და შეიპყრა მხედართმძლვანი მათი აკვილა და შთაასხა პირსა გამდნარი ოქროდ, რომელსაცა რქუა—ნუთუ აწცა ვერა განსძლეა, ამან დაიპყრა სრულიად ივერია ამიერ იმერეი და კოლხიდიად და დაუტევა კოლხიდას განმგედ ყოველთა ივერიელთა ზედა ძეა თუხი არიარატ. ხოლო ოდეს იძლია იგი რომელთა კონსტანსა სილასაგან, მაშინ ორგულ ეკმენ ამერ-იმერნი. მოვიდა კოლხიდას, შეიპყრა ძეა თუხი, რომელიცა ბრალეულ ჰყო შფოთისა ამისთჳს და მოკლა იგი. და დასაჯნა მეშფოთენი და კვალად შეიყვანა კვალად ივერია სრულიად მონებასა შინა თქსსა ვიდრე მოსვლადმდე პომპეე დიდისა

წელთა 3939, ხოლო ოდეს აღადგინა ბრძოლად კვალად მიტრიდატ პირისპირ რომელთა ზედა, მაშინ წარმოგზავნეს რომელთა პომპეე დიდი დასაპყრო-

ბელად ყოველთა პონტოხსა და აზიისა, მოვიდა და დაიპყრა სომხითა და შეიყვანა მეფე მათი ტილრან მონებასა ქუშმე რომაელთასა. ხოლო მუნით წარმოემართა მიტრიდატს ზედა, სადაცა ჰყოვა იგი საათაბაგოხსა მტკერისა კიდესა ზედა და სძლო მას. იხილეს რა ძლევამ მიტრიდატისა ერთა პონტოელთა პომპეისაგან, გარდაადდეს იგი ტახტით და ჰყვეს ნაცვლად მისა მეფედ თუსს ზედა ძეგ მისი ქარნაჲ. ხოლო მიტრიდატ შეივლტო რომელსამე ციხესა ცოლითურთ თუსით. და ვინათგან არღა სადა აქუნდა ნაფთსაყუდელი, მიიღო საწამლაჲ ცოლითურთ და მოკვდა. მუნით მძლეველი პომპეი წარმოემართა ივერიელთა ზედა. მაშინ მეფობდა არშაჲ ძე მირვანისა. ამას წარმოუჭაუნა პომპეიმ დესპანი ზავისათუს. ხოლო ამანცა ჰყო ზავი მცაიერებითა და წარუგზაუნა პომპეის ძლუნადსელი სრულიად ოქროხსა, ხოლო განემორა რა პომპეი და წარეპარათა ალვანდისსაჲ, მაშინ იყო ალვანდელთა ზედა განმცვდ ოროდა და შეითქვენ ამერ-იმერნი და ალვანელნი და ჰყვეს მხედართმძღვანად ძმა ალვანდთა მეფისა კოსის, რომელთაცა ჰყვით ორმოცი ათასნი მხედარნი. იყვენ კიდესა ზედა მტკერისასა, ჰყვეს ბრძოლად, იძლიენ ივერიელნი რომაელთაგან, რომელიცა თუთ პომპეიმ მოკლა ხელითა თვისითა მხედართმძღვანიცა მათი კოსის და შეივლტენ მათა და ქებათა შინა ყოველნი ივერიელნი. იხილა რა უძალოებამ თჳნი განმგემან ალვანდელთამან ორდა ანუ ორგებს, ჰყო პომპეისთანა ზავი, დაიხამორგს რომაელთა კიდესა ზედა მტკერისასა, ხოლო გაზაფხულს წარმოეპართნენ საქართველოსა ზედა.

დაიპყრა პომპეიმ სრულიად საქართველოდ, გარდავლო მთად ლიხეთისა და შთავიდა იმერეთს და დაიპყრა იმერეთი და კოლხიდა. შეიპყრა მეფე კოლხიდისა ოლტაჲ და შთავიდა, სადაცა შთავარდების მდინარე ქასიზის (ესე იგი ოიონისა) ზღვასა შინა. მუნ შთაჯდა ნავთა შინა ზღვათა პონტოისა და წარვიდა. ხოლო შემდგომად სიკვდილისა პომპეისა, რომელსაცა აქენდა ბრძოლად პირისპირ აგვისტოს კეისრისა, კვლად განთავისუფლდა ქართლი მონეპისაგან რომაელთასა.

მეფის-ძე დავით (დავით ბატონიშვილის შენიშენა, მხედრულით, გვ. 31).

9) ოდეს ოტტავი ავგუსტ და ანტონი მარკ იმენენ გამორჩეულ რომაელთაგან ტრიუმვირად, მაშინ ოტტავიანს ზედა წილად ევროპად, ხოლო ანტონის აზიად. წარვიდა ანტონი და დაიპყრა ეგვიპტე და შეიყვანა ულულსა ქუშმე რომაელთასა დედოფალი მათი კლეოპატრა, რომელსა ეტრფოცა და იყო მისგანა შუშბითა და განცზრომითა, ვინათგან კლეოპატარა იყო ფოხად შუშნიერ; ეამსა მას არტაბაზს მეფესა სომხეთასა, ძესა ტირანისასა, აქენდა ბრძოლად პირისპირ მილთა და პართთა და ოდეს ვერა წინა აღუდგა იგი მათ, ჰსთხოვა შეწყვენად ანტონის აძად. რომელ მაშინ სომხითი იპოებოდა საფარველსა ქუშმე რომაელთასა; და ამისათვის ანტონი წარმოემართა შველად სომეხთა მეფისა სამეცლიათსითა ქუშეთითა და ათი ათასითა ცხენოსანითა რომაელთა მხედრობითა. მოვიდა რა სომხითს, ამან მოუწოდა მეფესა ადერკს თვისთანა. და ოდეს ადერკ მეფემან არა ინება მოსკლა მისთანა, განრისხებულმან ანტონი წარგზაუნა ივერიას ზედა მხედრობანი რომთანი მხედართმძღვანლობითა მოადგილისა თუსისა კანდისათა. ჰსცნა რა მეფემან, მოიკრიბნა იმერ-ამერნი, რანელნი, მოვკანელნი და დარუბანდელნი. მოვიდნენ რომნიცა სომხითს და იკვეთენ წელსა დასაბამითგან 3971 ქრისტესადმდე 33 წლითა უწინარეს. იძლიენ ქართველნი და თუთ მეფე შეივლტო მათა კავკასიათა, ხოლო რომთა დაიპყრეს ყოველი ივერია და კავკასია ვიდრე დარუბანდამდე და მოზარკე ჰყვენს. გარნა ანტონი იძლია რა პართთაგან, ვინათგან იყო სიყმილი რომაელთა მხედრობათა მორისა და ნაცვლად სანოვა-

გისა შეხვდათ მდელით ესე გვარი, რომელმანცა მოჰსწყვიტნა მრავალნი მხედარნი რომთანი უმეტეს პირით საქმებითა და საკურგელიცა სამხედრო არა აქვნდათ. თვსთანა და დაეტევა ანტონის შორს და იგიცა მიუღეს პართთა და შეიპყრეს იარანალი რომაელთა უღელ და თვთ სომეხთა მეფეცა ოვგულ ექმნა და ამად იძულებულა ანტონი ჯავშმოიქცა პართით, რომელსაცა წარუწყმდა ოცი ათასი ქვევითი და ოთხი ათასი ტუნოსანი. მოვიდა რა არეზის მდინარესა, უკუნ აქციდა საკურგელი თვის სომეხთა ზედა. ჰსძლო მეფესა სომეხთასა, შეიპყრა და შებორკილა ჯაჭვითა ოქრომასათა და ესრეთ მოიყვანა ეგიპტუს კლეოპატრას თანა. ეპისა ამას წარმოიშვა ბრძოლა ანტონისა და ოკტავისა. იძლია რა ანტონი ოკტავისაგან, განიგმირა თავი თვთ მახვილითა და ამისათვის კვლად განთავისუფლდა ქართლი მონებისაგან რომაელთასა (გვ. 31—36).

10) ხოლო წელსა ქრისტესით ორმოცდაათობსა იქმნა იუდიანთა შორის ამბოხი პირისპირ რომაელთა, რომლისა გამო მეფესა აღრიპას. მცირესა ძესა აღრიპა დიდისასა და ძის ძის ძესა დიდისა აროდისასა, შთამოართვა მრავალი ადგილნი სამეფოსა შინა იუდიანთასა კეისარმან კლავდი და დაუშთენა კინდა საცხოვრებელნი, ხოლო ბერნიკაჲ, დაჲ უფროსი ამა აღრიპასისა, ჰყუა ცოლად ძმასა აღრიპა მციროსასა აროდის და არა დაუშთა მათ საცხოვრებელი. მაშინ მოვიდა ესე ბერნიკეი კლავდის თანა და ჰსთხოვა საცხოვრებელი და პატივ ჰსცა მან და მიანიჭა საცხოვრებელად კოლხიდა, სადაცა მეფობდა ბერნიკაი წელსა ქრისტესით ორმოცდათვრამეტსა. ხოლო ოდეს მოუვდა მას ქმარი თვისი არრდი, მაშინ ეტრფო იგი მეფესა კილიკიისასა პოლემონს და შეეუღლა იგი მას და დაუტევა კოლხიდაი (გვ. 33).

11) ატენის ცხოველს-მყოფელის ახალის ჯვარის მოთხრობა, რომელიცა ასუნია ხიდისთავს ქართლში გორს ვაღმა.

კოშორიძეები აქაურნი მემკვიდრე გლეხნი იმ ახალის ჯვარისა დევანოზები არიან და მღვდლები კოშორიძეები ისევ ძველი მოსახლენი არიან დავით აღმაშენებლის დროსნი.

ეს კოშორიძეები დავით აღმაშენებელის დროს დიდს თათრობაში მანამ დავით აღმაშენებელი გაჰყრიდა თათრებსა, საქართველოს ხალხნი თითო ოროლი აქაიქ ტყეში, მთებში და სიმაგრეებში ყოფილან დამალულნი. ესე თათარი ვაღმა მხარში და გამოღმა ყველგან ამით ეპირათ და აოხრებდნენ და სოფელი ხანდაკიც იმ ჟამში აეოხრებინათ. ატენელები სიმაგრეებში იყვნენ—ატენის ბოლოს ველზე სამი ძმა კოშორიძე და ოთხნი სხვანი ატენელები ხვნიდენ. მაგრამ ძალიან შიშში იყვნენ მტერთაგან და ყოველდღე უხდებოდნენ. ერთს დღის საღამოს, როდესაც ზენა გაათავეს, მისცეს ხარები ღამის მერხვებს წვრილს ბიჭებსა, როგორც განწყებდა არის საქართველოს მხენელთა. წაასხეს ამ ბიჭებმა ხარები და კამეჩები სამოვრადა და შოვიდნენ, საცა კარგი მოფარებულნი და მყუდრო ალაგი იყო ბალახიანი. იქ მიიყვანეს ეს საქონელი და აძოფეს კარგა შუალამედის. ეს დღე ექვსი მაისი ყოფილა, შვიდი მაისი თურმე თენდებოდა. (ამისთვის იმ ჯვარის დღეობას შვიდ მაისს დღესასწაულობენ), რომ იმ დღეს ჯვარის ცაზე გამოჩინების დღე არის. ერთი პატარა კოშორიძე თურმე იყო, სახელად გრივალ ერქო. იმან უთხრა სხვათ თავის ამხანაგებსა: ნართალია აქ კარგს ბალახში ჩაწავრეკეთ საქონელი, მაგრამ მტრები ძალიან ახლო არიან ჩვენზედა; მოდი, ძმებო, ერთი საქმე ექნათო, ერთი ჯვარი გავოლოთ, აქ დავარპოთ და შევეხვეწნეთ იმ ჯვარსაო და ის დაგვიფარავს მტრისაგანო. ცული

და ხანჯლები ჰქონდათ თანა, გათადეს ჯვარი და მიიტანეს, ჯერ საქონელს სულ გარს შემოატარეს და თქვეს: ახლო ჯვაროვო, შენ ლაგვიცეე ჩვენცა და ჩვენი საქონელიცაო. მიიტანეს ჯუარი და იმ საქონლის შუა მომალლოს ადგო და დაურქვეს და რა წაშს მიიტანეს დასარქმელად, თავის თავად ეს ჯვარი მიწაში მავრად დაესვა. დაუწოქეს, მუხლი მოუყარეს და შევედრნენ ცრემლით: ახლო ჯვაროვო (ახალი ჯუარი მათვე დაარქვეს), გამოიჩინე შენი სასწაული და დაგვიფარე მტრისაგანაო და თათრებისაგანაო და ეს საქონელი შენ მიიბარეო, რომ არა დაუშავდესთ რაო.

თითონ თათრების შიშით ველარ დადგნენ იქა, რადგანაც სრულიად ატენის ბოლოს ზიდის თავში ჩამიერებათ ეს საქონელი, რომ ზევით ბალახი ადაროყო. ამაში თათრის ჯარი მიდიოდა ქვევითადაც ზევითადაც ზუვიდაც ქვევითა, მაგრამ ვერც ეს საქონელი დაინახეს იმ ჯარმა, ვერც ამფელეთა და ვერც ჩამომვლელთა და თითონაც ვერაფრე იქავ ახლო იყვნენ. მეორეს დღესაც იქა ჰყვანდათ საქონელი, მოვიდოდა და უყვირდათ, რომ ჯარი აივლის, ჩაივლის და ამათ ვერა ხედვენ. სამი დღე იქა ჰყვანდათ, დაეძებდნენ პატრონები. ვგონათ— მტერმა წაიყვანა ესენიცაო და საქონელიცაო. თითონ ადგილსაც მივიდნენ, მაგრამ ვერც ეს ორი ჰიქები დაინახეს, ვერც საქონელი. ღმრთის განგებით მესაქედღეს მოვიდნენ ეს მეგრე ბიჭები, უნდოდათ, რომ საქონელი გამოერებათ, მაგრამ არ გაჰყვით საქონელი— იმ ჯვარს გარეშაო უწუნენ და არ აღგნენ. რა ბეგრს ეცადნენ და ვერ ააყენეს, მაშინ გრიგოლ კოშორიძე მიხედა, რომ ეს სასწაული არის ჯვარისაო. წავიდა საჩქაროთ, თავის მამას შეატყობინა. მოვიდა მისი მამა და სხვანი იმისი ამხანაგები და მრავალს ეცადნენ და ვერ ააყენეს ის საქონელი. იქიდან მერმე ღვდელს შეატყობინეს და მოიყვანეს. მოვიდნენ, შევედრნენ ამ ჯვარს, ღვდელი შეიმოსა, პარაკლისი იხადეს და ისე შემოსილმა დაფარნა შემოახვივა ამ ჯვარს და დაასვენეს. ჯვარი რომ დასვენეს, ეს საქონელიც მაშინვე აიშალა, როგორც წაასვენეს, თან წაჰყვა და დაასვენეს თავის ადგილს ატენში, საცა შეზინხულნი იყვნენ. როდისაც საქართველოს ერსა ღმერთმა მოხედა წმიდა დავით აღმაშენებელ მეფე ყოვლისა საქართველოსა დავითიან ბაგრატიონი განძლიერდა, მოვიდა მხედრობით და განსდევნა თურქმანი ყოვლის საქართველოს ადგილიდან, მაშინ ჩამოასვენეს ის ჯვარი და დაასვენეს მასვე ადგილს, საცა პირველად აღიმართა და მახედა ფიცრის საყდარი გააკეთეს (რომელიც ამახლოს ქამობადის იყო და რადგან ძალიან დამძველებული იყო, ქვიტკირისა გაუკეთეს საყდარი). მაშინ მოახსენეს წმიდას დავით აღმაშენებელსა, თითონ მობრძანდა, ილოცა, შეამკო ეს ჯვარი და შიგ სასწაულთმოქმედი ძელი ქეშმარიტი, რომელიც თითონ განუშორებლად ჰქონდა ყოველთვის, იმ ჯვარში ჩაასვენა, შეამკო, მრავალი შესწირა და დაასვენა მასვე მცირეს ფიცრის საყდარშივე. დიდება შენდა, ღმერთო ჩვენო, დიდება შენდა.

მრავალი სასწაულები ქმნა, მრავალნი სნულნი განჰქურნა იმ ცხოველს მყოფელმა ჯვარმა და დღევანდელს დღემდის მუთს აყენია და მრავალს სასწაულს შერება. და მფარველ ჩვენდა არს და ყოველთა მორწმუნეთა მისთა (დავით ბატონიშვილის ხელით, მხედრულით, 105—105 გვერდებს შორის ცალკე ორ ფურცელზე).

12) სომეხთ მეისტორიე ზაქარია მთავარწმიდის იოანეს მემონასტრე მსწერს ისტოიასა შინა სოხებთასა ამ ლუარსაბის ძეობასა თუთ ამ მეფის როსტომისას ესრეთ, რომელ როსტომ მეფე, რომელიც აღმსწერეო ნათესავთაგან ბაგრატიონთა. ხოლო შეკდეჲ დაცემიასა მეფობისა მათისა და შემუსკრისა ანისსა დანაშთნი ნათესავთაგანნი ბაგრატიონნი წარვიდნენ ქვეყანასა ქართლისასა და

შეუდგნენ მეფეთა მათთა, და იქნენ ზედამხედველ ყოველთა საქმეთა ზედა ქართლ-თლისათა. ხოლო ოდეს აღიზოცავე თავისუფლებიანი მეფობა ქართლისა, და შეგარდა ქტიშუ ხელთა სპარსთასა და იგინი მისცემიანი მეფობასა ბაგრატიონთ გუარათა და ფეოლობისათს ყოველთა საზღვართა ქართლისათა. ხოლო შთამოისირნენ ბაგრატიონნი შვილითა შვილად ვიდრე ამ მეფის როსტომადმდე, რომელმანცა ჰქუთა ძე ერთი ცოლისა თჳსისა ლეონ დადიანის ასულის მარიავისაგან, რომელსაცა ეწოდებოდა სახელად ლუარსაბ, რომელსაცა ჰსცუდა მეჳვიდრედ თჳსად. ხოლო დღესა ერთსა წარისყუანა ძე თჳსი მრავლთა სპითა სანადიროდადგილსა მას ყარაიაზად წოდებულსა (რომელ არს შავზაფხული) სდევნიდენ ნადირთა და ყოველნი ისწრაფდნენ კლუასა ნადირისასა და სიმრავლეთაგან თოფთა ცემისა მოჰსწყუეს ძე მეფისა ლუარსაბ და მოკუტადაცა. არამედ როსტომ შუშინებული თავის თჳსისაგან შეივლტოდა ქალაქად ტფილისად, და შემდგომად ჰყო გასოძიება მკუთლელთა ძისა თჳსისთა, გარნა ვერ უღოთ პოვნად, არამედ ბრალი დაჰსდებუს ორს კაცსა, ერთს ეწოდებოდა ბაადურს, სომეხი გუარათ მამიკონიანთ ნათესავთაგან (რომელთა უხმოებენ აწ თუმანიანთ) და სახელი მეოჳისა შიოშ, ქართულსა, გუარად ბარათაშვილი. ამათ ჰსდებდნენ ბრალსა—თქუენ იყავით ახლოს მის, ოდეს იგი მოკლესო, ანუ თქუენ უწყით მკულელი მისით, და ანუ თუთ თქვენ მოკალითო. ხოლო განძლიერდა რა ხმა ესე, სომეხნი იტყოდნენ—ქართულს მოუკლავსო, და ქართულნი იტყოდნენ—სომეხსაო. შემდგომად აღიძახეს—სამართალიო (ესე არს სამართალი ბრძოლა—ვინ იძიოს, მას მოუკლავს შვილი მეფისაო). ხოლო დავმტყიცა რა სიტყუა ესე მათ შორის, რა განვიდნენ-რონივე მხოლოდ შეკუტულნი საკუტრულსა და ამბორს უყუეს მუხლსა მეფისასა და განვიდნენ აღმოსავლეთით კერძოსა ქალაქისასა კიდესა მას მტკუროსასა, ხოლო კუშგამხედველთა გუარათა ქართულსათამან ცხადად ასწავეს ორთავე: ოდეს განსხდეთ ასპარეზად, ნუ შეიბძით, არამედ მიმოარბიეთ ცხენნი ამიერ და იმიერ, ნუ თუ შეეწყალოთ მეფესა და არა მივიშუათ საკუდავად ურთიერთისად. არამედ ბირება ესე კუშმარტი ეგონა ბაადურს. ხოლო ვითარცა არს ჩუშულება ქართულთა გუარათა, იდუმალ მისა განაძრავეს შიოშ—შენ არა ძალგიძს პირისპირ ბრძოლა მის, ამისთვის არა ხარ ტანითა ეგეოდენი და ძლიერი, აოამედ უღოსოო ხარ და ბაადურ არს მძლე ახოვანი ტანითა და ძლიერი; არამედ ოდეს ათამაშებდეს იგი ცხენსა, შენ ეცადე განგმერასა მისა შუბითა, ნუთუ დახცე იგი ქტიყანასა ზედა. შემდგომად ორივე ზოგად განვიდნენ ასპარეზსა და მეფემაც მათ წარატანა სამნი თათარნი და უბრძანა—რომელიცა მათგანი დაეცეს კვეყანასა, თქუენ დაიფარეთ იგი და ნუ მიუშვებთ საკუდავად. ხოლო ბაადურმა წარჩილტუნა რა ცხენი წინ შიოშისა და იგი შემდგომად მისსა, არამედ შიოშ ჩაეკრა უნაგირსა შიგა და შუბი მიიმარჯუა პირისპირ ბადურისა და აძგერა შუბი ჰიჰს ქუშით და განვლო რა შუბმან ხორცსა და ტყავს შუა, იმიერ გასჩარა. მაშინ ბაადურ გაფიცდა სიმწართო, წაართო შუბი ხელთაგან შიოშს. და დაადუა წინ უნაგირის თავსა და დაჰსცა ლახტი და შემუსრა ტარი შუბისა და გარდაავდო ქტიყანათ და დაშთა შუბი მუცელსა, და შიოშ ევლტოდა ბაადურს. ხოლო ბაადურმა ჰკრა მათრახი ცხენსა და მოსწყუდა მსწრაფლად და ჰსცა ლახტი კისერსა ზედა მისსა. და დამოეკიდა ცხენსა შიოშ. კვალად ლამიდა ბაადურ დაკუტრასა, რათგან ტარი ლახტისა შესრვოდა სისხლთაგან, წარსხლტა ხელთაგან და განვარდა, მოიკრა ხმალს ხელი. რათა ჰსცეს, რადგან იყო შიოშ გონება მიხილი ლახტისა და შიშისაგან დაეცა ქტიყანასა. ბაადურის მოქნეული ხრმალი მოხუდა ცხენსა უკანს გაზებენ, სრულად დაკუტმა. კვალად ჰლამოდა დაკუტრასა, ხოლო თათარნი იგინი გარდაეფარნენ შიოს და აღარ მიუშვეს მოსაკლავად ბაადურს, ამის შემდ-

ჯომად სომეხნი და თათარი შეკრებულნი მივიდნენ, აღამალღეს ბაადურ და მიიყუანეს მეფესთან, და უბრძანა მეფემან მკურნალთა, რათა განკურნონ იგი და შეიყუარა უმეტეს ზომისა და ბრძანა, რათა განთიად განიყუარონ უძღვბი შიოშ და წულღილად აკურწონ და მისცენ ძაღლთა. არამედ ჰყუანდა მას ძმა ერთი სახელით ქრისტეფორე, რომელი იყო მოძღვარი დედოფლისა (რომელიცა შემდგომად იქმნა კათალიკოსად). ესე შევიდა, შევედრა გამოხსნისათჳს ძმისა თჳსისა დედოფალსა და დედოფალი ევედრა ქმარსა თჳსა და არღარა მოჰკლეს იგი. გარნა რაჲცა აქუნდა შიოშს მსახურნი, მხვეალნი, სოფელი, ვენახნი, პირუტყუნი და სხუანი, ბრძანა, რათა ყოველივე მისცენ წერილით ბაადურს და აღმასრულებელთა ბრძანებისამებრ მისისა ჰყუეს და ამჟამად ქართუშლუბი მკარედ რადმე დამჯაბლდნენ ამყობისაგაი, რათა სომეხთა ლექსი გაელექსათ ენითა მათითა და მუხლთა დასასრულ იყო ესე: შიოშ გაიქე, ბაადურ მოდის). ოდეს იმღერდნენ ამას ყრბანი, მიმდგომრა მისთა ჰრსცხვენოდათ. ესმა ესე ხელმწიფესა ერანისასა სანიბას (რომელ არს მკირე შაჰაბაზ) უხმო ბაადურს, მისცა მას მთავრება დიდი ტფილისის ქალქისა. იქმნა რიცხუსა სომხურსა 1099, ხოლო ქრისტეს აქეთ, რომელიცა ისტორია ესე არს ერმიადინსა შინა და ყოველსა ევროპიასა სომხურსა ენასა ზედა დაბეჭდილი (გვ. 294—295).

13) სრულიად სიკრუე არის ესე წინათქჳული და წარწერა ეგნატე მდივნის შევილისგორგისაგან, დაწერილი ლამაზ ხელად არის. მაგრამ ამის მეისტორიანეს დაუწერია, მითომ ლუარსაბ ბატონისშვილი როსტომ მეფისა და მარიამ დედოფლის შვილი იყოს, მაგრამ ტყუილი არის. როსტომ მეფეს შვილი სრულიად არა ჰყოლია. ეს ლუარსაბ სვიმონ მეფის ძმისწული იყო, რომელიც რომ როსტომმა იშვილა, სპარსეთიდან მოიყვანა და ჰყვანდა მემკვიდრედ და ქართველებმა მოუკლეს თოფით ნადირობაშა (დავით ბატონისშვილის ხელით, გვ. 295).

14) ლეოზ მიუხუნა ამილახორობა ავთანდილს და მისცა ანდუყაფარს; ძესა გივისასა. ამან არა ინება უმახმედიანოდ, მიუყენა მოლაჲ და იქმნა მახმედიან და წინა დაიკვითა ტფილისს, რომელი არა ოდეს ქმნილ იყო ტფილისის თჳნიერ სპარსეთს. შემდგომად მეორისა დღისა წარვიდა სახლსა თჳსსა განცხრომად ყმათა თჳსთა თანა და მოგზაურჳნ მოინადირა ტყე, გამოუხლტა ყურდღელი, მიმართა სროლად ისრისა. ხოლო აზნაურჳმან მისმან, რომელი იყო ერთგული მისი, აძგერა ცხენი, მოსტემა კისერი და მოკუდა და კურდღელი იგი უჩინო იქმნა წინაშე თელთა. მაშინ იტყოდნენ აჰას სასჯალად და ყურდღელსა მას ეშმაკად, ვითარცა რომელი მოუტყვევლად მოკუდებოდნენ და დაეფლოდნენ. აქა იტყოდნენ ძაღლის ლეკუთა აღმომავალთა ყოველ ღამე საფლავთა მათთგან და ნწყავ-მწყავებელთა, ვითარცა თამარ სძადლი ქაიხოსრო ციციისშვილისა თჳხითა თუალითა და ფალგენისშვილი დავით თჳსისა მამისასა იტყოდნენ საშინელითა ფიცითა და სხუანი მრავალნი ნახულობასა (გვ. 319).

გეოგრაფიული ატლასი ვახუშტისა (ავტოგრაფი)

21 ფ.; 42x33; ქალაღი; ხდიანი; შემოსულია 1925 წ. ლენინგრადის სალტიკოვ-შნედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკიდან.

ატლასში არის წარმოდგენილი შემდეგი რუკები და ტაბულები: 1) კავკასიის რუკა თარგამოსის რეა შვილთა ხვედრი ქვე-

ყნების ჩვენებით; 2) ქართლოსის წილის ქვეყნისა; 3) მეფე ფარნაოზის დროინდელი ათი საერისთაოსი; 4) საქართველოს მეფეების გენეალოგიური ტაბულა ვიდრე 1744 წლამდის; 5) კავკასიის რუკა; 6) ქართლი (ზოგადი); 7) ქართლი მტკვრის ჩრდილოეთით; 8) შიდა-ქართლის სასარდლოები. 9) ქართლი (მცხეთოსის ხვედრი); 10) ძველი საერისთაოები ხუნანისა და სამშვილდესი (სომხით—საბარათიანო); 11) გაჩიანის და გარდაბანის ქვეყნები; 12) ქართლი მტკვრის სამხრეთით; 13) სომხით-საბარათიანო და საციციანო; 14) კახეთი, კუხეთი და ჰერეთი; 15) ოსეთი; 16) გენეალოგია ადამიდან ლეთისმშობელ მარიამამადის; 17) ბაგრატიონების გენეალოგია ვიდრე 1744 წლამდის; 18) სამცხე-საათაბაგო; 19) იმერეთი; 20) დასავლეთი საქართველო; 21) ოდიში, აფხაზეთი და ჯიქეთი.

106

საბა-სულხანის ლექსიკონი დამატებითურთ

268 ფ.; 33,7×21; ქალღი; ხის ყდიანი; ნუსხური; 1864 წ.; შე-
დოსულია 1925 წ. ყოფ. ლაზარევის ინსტიტუტიდან (მოსკოვი).

1. სახელნი ბალახთა, ხეთა და ცხოველთანი ენითა სამითა—
რუსული, ქართული და თათრული, საქართველოს ძის იონესაგან
პოენილნი და ქმნულნი (ეს დაწერილია მე-18 ს-ნის ბოლოს,
(ფ. 2—30v).

დასაწყისი:	რუსული.	ქართული.	თათრული.
	ალახიკა	—	ყარიონ
	არტიმოკი	ხაჭიჭორა ახალ	იენგინარი
		ბარონოლი	
ბოლო:	ცუკპარო	შაქართიხა	—
	ჩერგინა	ხეშავა	—

მინაწერი: და ვით ბატონი შვილის ხელით (ფ. 31 r): კერძო სწავლა.

იწყება: ქ. მათემატიკა

ქ. ფიზიკა

ბოლო: ქ. სულხანა მედიცინა—განსჯა და სამართალი საქიმო.

2. საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი (ფ. 32—239). შიგა და შიგ არის
დავით ბატონიშვილის მიერ ჩამატებული განმარტებანი, მაგალითად:

ააბი, აბმა უყავ

—ვერს პრივეხალ ანუ პოდვეხალ,

პედვევი.

ზაროს

ააბნიე, ზე შვაბნიე
(ჩამატებულია):

როლ. ლექსი არს ლათინური. ესე ეწოდების მოქმედებასა მას, რომელსა
კაცი საზოგადო ცხოვრებასა შინა მოქმედებს, ხოლო თეატრსა შინა იტყვიან—
ამ აკტორმა კარგა ითამაშაო ის როლი, რომელიც შეხვდაო.

ქუენტ სტერლინგ—ესე არს ინგლისური თეთრი, რომელსაც წონა არს მი-
ნალთუნი ოთხი და ნახევარი მანეთი.

ყლელმა, ბერძული—ნედლი. ანუ ხაშმიანი, ანუ ბალღამი.

ქრანკ—მანეთა არის სხვა და სხვა გვარი ექვსის შაურადამ ოთხ აბაზა-
მდის, საფრანგეთისა.

ანდერსი: (ფ. 239) საბასი ვნახე ნაღვაწი, ნამჭეური, შემოკრებული;

სიტყვათა შადა აესხა, ერთადცა არსად კლებული;

მზე, მთვარე, ვარსკვლავ ცთომილნი, ცისფერ ვითარ არს გებულთ-
და ყველა უკლებლად სწვრია, ვინ იწვრთნის, იქნას ქებული.

საბა სულხან ორბელის-ძე

სიბრძნით აღვიდა ორბების-ზე

ლექსიკონისა ამის გარდმოწერალი უნდო ნიკოლოზ გარსევანოვი გვედ-
რები მსურვალთა გულითა, უფალნო, უფალნო თქვენდა არა დასაკლის იყოს.
შენდობის წყალობას ვითხოვ. ხოლო აღიწერა ქალაქსა ყიხლარს ჩლდდ, მარტს კ-
იქვე მინაწერი სხვა ხელით: ქ. აპარლის ია ქორთონიკონს უფგ მიბოძეს სა-
მთაწუნლობა.

ქ. აპარის მ წელსა ჩლოვ, ამ წელს ეპისკოპოსად ხელდასმულ ვიქმენ-
უწმიდესისა პატრიარხის მეფის ძის მიერ ანტონის.

მინაწერი (დავით ბატონიშვილის ხელით, ფ. 35v): საყვარელნო წამკით-
ხველნო, თუმცაღა საბას ღვაწლი და მოსწრაფება არს ფრიად სატრფო და საშუ-
რველი, მაგრა ჟამთა ვითარებისა დაუდგრომლობისა ჟამს ხელუწყვია წიგნისა-
ამის ექლყოფად, რომლისაცა ჟამსა არღარა რაიმე ყოფილი, არღა დაშთომი-
ლი წიგნი და არცა ღა ფილოსოფია და თუმცა დაშთომილიყო, რა ვხედავ ღვაწ-
ლსა ამას, მეტრ კანონისა ლექსიკონისა ჯელჰყოფდა ჯაცი იგი. მე, მხილველმან
ლექსიკონისა რუსულისამან, რომელმანცა ვჰყიდე ყოფასა ჩემსა პეტერბურგს.
მოვაწერე განმარტებანი ცხოველთა და ბალახთანი, რომელიცა ამა ლექსიკონი-
სა მშრომელსა არა თუ ენახა, ვგონებ, რომელ არცაღა თუ სმენოდა და გთხოვთ
რომელ, უკეთუ ვერ ვჰყო სრულება, თქვენცა ჩემებრ შრომა ჰყავთ მსურველთა
ერთა მეცნიერებისათა და განმართეთ ღომატისაცა კანონსა.

საქართველოს მეფის-ძე და მეგვიდრე და რუსეთის ლენინგად-მაიორი
დავით, 1799 წ. სექტემბრის 30, ტფილისს.

3) იოანე ბატონიშვილის მიერ შედგენილი ლათინურ-ქართუ-
ლი ლექსიკონი ბალახთა, ხეთა და ცხოველთა სიტყვების (ფ. 240v
—245r).

დასაწყისი: Aconito აკონიტო—შხამიანი ძაღლის ყურ-
ძენი. Abrataio აბროტანო—ქაფურის ბალახი.

ბოლო: felice feminina ძელიჩე ქამინა—ეწერი, იფხლი.

ფ. 255—266 არის კიდევ დავით ბატონიშვილის ხელით დაწერილი ცალკეუ-
ლი სიტყვები.

107

ოთხთასი

192 ფ., 32,7:24; ეტრატზე; ხის ყდიანი (ყდის პირველი ნახევარი
დაზიანებულია); თავი აკლია; ასომთავრული (თავსაცხი შემაკულობით და
კიდევ სინგურით); IX—X ს. (ხელის მიხედვით); შემოსულია 1925 წ. ლენინ-
გრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკიდან.

იწყება: [სარწმუნოება]მან შენმან გაცხოვნა შენ, ვიდოდე მშუილობით. და ვითარ იგი ეტყოდა ოდენ, მოვინმევიდა შესაკრებელის მთავარი და ჰრქოვა მას (ლუკ. 8₄₉).

ბოლო: მრავალ, რომელნი ქმნა იესოჲ, რომელნი თჳმცა დაიწერებოდეს თითოეულად, არცალამცა ყოველმან. სოფელმან დაიტია დაწერილი წიგნები (იოანე 21₂₆).

მინაწერები: 1) გულნაზარ მიივალა იანვარს კჳ ქორონიკონს უკჳ (ფ. 1r).

2) ღმერთო, შეიწყალე ისაკ, ამინ, კირიელისონ.

ღმერთო, შეიწყალე ეკვანი, ამინ კირიელისონ (ფ. 96r და ფ. 87r).

3) სულსა პაქუნასა შეუდგნოს ღმერთმან.

მისა მეულასა მისტუნსა, ამინ.

სულსა ციცურისა შეუდგნენ ღმერთმან.

სულსა დავლათისა შეუდგნენ ღმერთმან.

... ურსა შეუნდგნენ ღმერთმან, ამინ. მისაილს შეუნდგნენ ღმერთმან, ამინ, კირიელისონ.

სულსა კრკუსასა შეუდგნენ ღმერთმან, ამინ.

სულსა ფბგისა შეუნდგნენ ღმერთმან, ამინ.

სულსა შუდურსა შეუნდგნენ ღმერთმან, ამინ.

სულსა გულსტანასა, ამინ, ამინ.

სულსა დიანბრბლასა შეუნდგნენ ღმერთმან, ამინ.

სულსა გულქანს შეუნდგნენ ღმერთმან, ამინ.

მკრადის შეუნდგნენ ღმერთმან, ამინ.

სულსა გულნარისასა შეუდგნენ ღმერთმან, ამინ.

სულსა ფარინნის შეუნდგნენ ღმერთმან, ამინ.

ღმერთო, შეიწყალე ელნი ამინ, კირიელისონ.

სულსა ხარითონასა შეუნდგნენ ღმერთმან, ამინ.

საულსა (სულსა) თბრლსა (თუხარელისა) შეუნდგნენ ღმერთმან.

გურქ ლოზა, ამინ, კირიელისონ.

ღმერთო, შეიწყალე ისაკ მღრდელი, ამინ, კირიელისონ(!).

მისა მეულაჲს (მეულესა) ეგგ(ე)ნის შეუნდგნენ ღმერთმან, ამინ, კს-ს.

ღმერთო, შეიწყალე თევდორაე (!), ამინ.

ღმერთო, შეიწყალე გულქან, ამინ.

ღმერთო, შეიწყალე აზიზ მელქიქ, ამინ, კირიელისონ.

ღმერთო, შეიწყალე ფიხან, ამინ, კირიელისონ.

ყველა ეს მინაწერები (ფ. 121—122) შესრულებულია ერთი ხელით ნუსხა ბუცურით, დაახლოვებით XVI ს-ნში და ეკუთვნის სახარების ფამსნელს ისაკ მღვდელს, რომელიც იხსენიება შემდგომ მინაწერში.

4) ესაე წმდა ოთხთავი დეხსენ მე ისაკ მღრდელმან მცხოვრის ხლდმან ამინ, კირიელისონ. წმიდაო ღმერთო, შეიწყალე ისაკ მღრდელ, ამინ. მისა მღლსა ეგგენის შეუნდგნენ ღმერთმან, ამინ, კირიელისონ, (სრულად: ესე წმიდა ოთხთავი დავიხსენ მე ისაკ მღრდელმან, მაცხოვრის ხელადმან, ამინ, კირიელისონ-წმიდაო, ღმერთო, შეიწყალე ისაკ მღდელი, ამინ. მისა მეულესა ეგგენის შეუნდოს ღმერთმან, ამინ, კირიელისონ; ფ. 122 v, ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ორი წერტილია).

5) ღმერთო, შეიწყალე ანახათუნ, ამინ (ფ. 122v, ნუსხურით, XVI ს-ნის ხელით).

თაღაიმახასალის წიგნი

50 ფ.; 25,5 × 18,7; ქალაღი; ყღიანი; ნუსზური; სათაურები და დასაწყისი სიტყვები სინგურით; 1719—1723 წ.; შემოსულია 1924 წ. აზიური მუზეუმიდან (ღენინგრაღი).

დასაწყისი: ეს თაღაიმახასალის წიგნი, მეფის ვახტანგის ბძანებით თარგმნილი სპარსთაგან. ამ ბძანების ქნის წესი რამთონი რიგი რამ არის, რომ ის უნდა კაცმა იცოდეს, რომ ბძანების ქნა სწორად მოვიდეს.

ბოლო: ზოგჯერ იქნების, ბევრს რაზედმე ცოტას დელილით კაცმა ბძანება ქნას. ის რომ უკითხავთ, ის გასინჯე. თუ თვეში საქნელი საქნეა, თვე თქვი; თუ წელიწადში სათქმელია, წელიწადი თქვი; თუ დღეში საქნელია და დღე თქვი.

მინაწერი: ღმერთო, ადიდე მეფე ვახტანგი, მყრობელი ყოღლისა საქართველოსა; გვედრები შენ, უფალო. (ტექსტის ხელით, გვ. 1).

თაღაიმახასალის წიგნი

158 ფ.; 21 × 15,7; ქალაღი; უყღო; თავი აკლია; მწედრული (სათაურები სინგურით); XVIII ს-ნის პირველი ნახევარი (ხელის მიხედვით). შემოსულია 1924 წ. საახიო მუზეუმიდან (ღენინგრაღი).

იწყება: აღმოსავლის პირველი სახლის ბძანებები და ის რიგები, რომელიც იმას აქუს, იმისის ცოდნისათვის აღმოსვლა და აღმოსვლის პატრონი და მთვარე ორთაგან ერთი დალილი არიან. საქმეების პირველ დასაწყისზედ, რომლისაც მოწმობა მეტია, ის დალილია...

ბოლო: ერთს ვარსკვლავზე რომ ოთხფერჯის ეტლში იყოს და შეენიერი იყოს, დელილია. იმ ოთხფერჯის სყიდვა კარგია. თუ არიას ოთხფერჯის ეტლში იყოს და აღმოსავლეთისა იყოს, მეტადრე მეთაე სახლში იყოს, იმ ოთხფერჯის მსყიდველი იმ ოთხფერჯთაგან სარგებელს ნახავს.

საპართველოს გეოგრაფია

96 გვ.; 22,3 × 18,7; ქალაღი (ღურჯი); ყღიანი; თავ-ბოლო ნაკლული; მხედრული; XIX ს-ნის დასაწყისი (ხელის მიხედვით); შემოსულია 1924 წ. აზიური მუზეუმიდან (ღენინგრაღი).

1) საქართველოს ფლორისა და ფაუნის აღწერა, გვ. 1—29.

იწყება: ხოლო კანაფი უმუშაკოდ მცენარეობს მრავალი იმერეთისა შინა, აკეთებენ მისგან ტილოთა. თამბაქოც მოჰყავსთ შრავალთა ადგილთა შინა საქართველომასათა...

ბოლო: ეგრეთვე სომეხნიცა იგი საქართველომასანი, რომელინიცა მკვიდრობენ შორის თათართა, მათ ყაზახისა და შამშადილისა ადგილთა და სხვათა, აქვსთ მათ საკუთარნი თხსნი დაბანი და სოფელნი. არცა იგინი დაუტყევებენ სოფელთა თხსთა ზაფხულით, არამედ მარადის მკვიდრ არიან იგინი ერთსა ადგილსა.

2) საქართველოს მეფეების შესახებ, გვ. 31—45.

დასაწყისი: ქვეყანად ესე ივერია, რომელ არს გიორგია, ესე იგი სრულიად საქართველო, არს უკუშ ერთი სამპყრობელო, რომელი არა მხოლოდ თუ ძველთა შინა დროთა, ახალთაცა შინა საუკუნეთა იყო ეგრეთვე ერთი სამპყრობელო.

ბოლო: ხოლო შემდგომად სიკვდილისა მეფისა ირაკლისა მიიღო საყდარი მისი სჯულიერმან მემკვიდრემან მისმან და პირ-წმომან ძემან გიორგი მეთათამეტემან და ჰულობდა იგი თავისუფლად ყოველსა სამფლობელოსა მამისა, პაპისა და წინაპართა თხსთასა ყოველთა დღეთა შინა ცხოვრებისა თხსისათა.

3) სამეფონი სამთავრონი და კერძონი ივერიისა ანუ გეორგისა, ესე იგი სრულიად საქართველოსანი, გვ. 59—96.

დასაწყისი: 1. სამეფო ქართლისა; 2. სამეფო კახეთისა ანუ ალვანისა; 3. სამეფო იმერეთისა. ესე სამნივე სამეფონი არიან ქრისტიანენი ბერძენთა სარწმუნოებისა და ზრახვენ ერნი ამა სამეფოთანი ენასა ქართულსა, რომელ არს ენა ივერიელთა ანუ გიორგიელთა.

წყდება: მინდორი ესე (ნაუტარისა) აღრიდგანვე მეფეთა შიერ აქვსთ მათ (ანწუხელთ) მიცემული და რომელიცა არს მამული სამეფოდ და წელითი წლად მოუღებენ მათ საბალახესა განწყესებისამებრ ცხოვართაგან სამწყსოსა მათისათა. ესენი ვაჭრობენ საქართველოსა შინა ნაბღებითა, ესე იგი ღართებითა წამოსასხამითა, რომელსაცა აკეთებენ იგინი.

111

მსოფლიო გეოგრაფია

171 გვ.; 22×16,5; ქალაქი (ლურჯი); ყდიანი; მხედრული (სათაურები და თავ-ასოები ასომთავოულით და სინგურიით; 1799 წ.; შემოსულია 1924 წ. აზიური მუზეუმიდან (დენინგრადი).

დასაწყისი: თვს საველმწიფოთა საკოროლეოთა. გერმანიასა აქვს ორასი მილი სიგრძე, ასი მილისიგანე, ხოლო სიმგურგვლე ექვსას ოთხმოცი. ჰაერი არს მუნ კეთილ და მრთელ.

ბოლო: ოდენ ვინაცა მივალს ჩრდილოეთის ზღვით სამკრეთის ზღვისადმი ლემერსკის ყურესა ზედა დალორნის მისსა ზედა—100 მილი, მალოვინსკით 470, წმიდის ანტონის მისით, რომელიცა არს მდინარესა ზედა პალატისასა 1010, ზომით პერსა შინა 2626, პარიჟით სიგრძე 306° 20', სიგანე სამკრეთისა 35° 50'.

დასასრული ამერიკისა.

დასასრული სრულიად ოთხთა ნაწილთა ქრესტიანისათა, ესე იგი ევროპისა, აზიისა, აფრიკისა და ამერიკისა. დიდება ღმერთსა.

ანდრძი: მებრძანა მე უმაღლესის მეთაქმეტის მეფის გიორგის ძის ბაგრატის მიერ თვსავე დიაკონსა სიმონს ლეოლრაჭიისა ამის გადმოწერა და გადმოვსწერე ესე თთუშსა აბრილსა კო, ქორთონიკონ უპზ, 1799.

მხზაბავი ლეოლრაფიისა ამის მკითხუშლთა გვედრებო, ნურავინ მწყევტცუდის მწერლობისათვს და ნუცა ნაკლებობისათვს (ნუხუხოთ); აღიწერა ქალაქსა თელავს (ეს მხედრულით).

მინაწერება: 1) დავითის მიერ დავითიან ბაგრატიანისა მეფის გიორგის ძისაგან თარგმნილი რუხულით ქართულსა ზედა (თავფურცელზე, დავითისავე ხელით).

2) მეფის ძის ბაგრატისა არის (გვ. 1).

112

მ ე ტ ა ფ ი ს ი კ ა

249 გვ.; 21,5×16,8; ქალაღი; ყდიანი; ნუსხური (სათაურები და და თავასუები ასომთავრულით); XVIII საუკუნის (ხელის მიხედვით); შემოსულია 1924 წ. ყოფილ ლაზარევის ინსტიტუტიდან (მოსკოვი).

1) სარჩევი (გვ. 01—03):

2) ზედ დადგენილებანი მეტაფისიკაჲსანი (გვ 1—113).

დასაწყისი: წინა სიტყუეობა გუნებისათვს და თვსებისა მეტაფისიკაჲსა.

§ 1. დაღათუ გულის მსიტყუშლობენ რომელნიმე, ვითარმედ ყრმათამი სხოღათა შინა ჰაზნაურთა ჰსწავღათა მესწავღეთა არ სათანადო არს გარდამოცემად მეტაფისიკაჲ მით, რამეთუ თავსა შინა თვსსა ურიცხუთა და ძნელთა წინადადებათა იპყრობს იგი.

§ 2. მეტაფისიკისა ნაწილი მეორე. კოზმოლოღია საზოგადო (გვ. 113—147).

დასაწყისი: § 139. საზოგადოდ კოზმოლოღიაჲ არს გნოსის საზოგადოდ სოფლისათვს. პირვეღად ვიდრემე ვოღდიოს ხატ

და შინა კსწავლისასა შეეუბნებულ ჰყო კსწავლად სოფლისათჳს და საზოგადონი ზედმიწეენილებანი...

დასაარული: დაღათუ ტაბლასა ზედა მრავალსა საქმელსა ვეკრძალვით კაცად კაცადი, მაგრა ვაქებდელა ყოველსა მას ტაბლასა, რომელსაცა არა შეიწყნარებს სტომაქი ჩენნი, არა მიუღებს იგი ღირსებასა საქმელთა მათ საწადთა.

3) მეტაფისიკა ნაწილი მესამე პაევემატოლოლიისა, კსიხოლოლიისა და ბუნებითისა ღმრთის მეტყუტვლებისა გარეშემეტყუტლი:

დასაწყისი: § 175. საზოგადოდ ვიდრემე სულისა ძლით არა რამმესა ვიგულისხმებთ სხუასა, გარნა არსებასა მარტივსა, ესე იგი უნივთოსა გულისხმის ყოფითა და ნებითა ნიჭებულსა.

ბოლო: მაშასადამე, ვერ შესაძლებელ არს მათდა შერაცხუად თავისუფლებად, გარნა ვინაჲთგან უსიტყენი მოქმედებისა მიმართ თვთ თავთა თჳსთა განსაზღურენ; მაშასადამე სამართლად ითქმის მათთჳს, ვითარმედ იქმონენ იგინი თვითნებებით.

4) მეტაფისიკისა ნაწილი მეოთხე ღმრთის მეტყუტვლება ბუნებითი.

დასაწყისი: § 280. რაივესაცა ღმრთისათჳს და თჳსებათა მისთა მეცნავ ვართ გულისხმის ყოფისა მიერ, იგი ვიდრემე ფილოსოფოსთა შესაბამითა წესითა განჰკარგავს.

ბოლო: ღმერთი არს უფალი ნივთთა ყოველთა მით, რამეთუ უკეთუ ყოველივე ქჴშვეერდომილი არს ღმრთისა, რომელსაცა აქჴს ყოფად (§- 287 დადებ. 6) და თვთ არა ვისგანმე განიგების. მაშასადამე ნებისა მიმართ მისისა ესთა შეერდომილ აჩიან ჩივთნი ყოველნი, კვლად არა ვისგან შეერულ არს მიგებად პაღუხისა.

მინაწერი (ბოლოში ტექსტის ხელით):

იგავი: ნეტარ არს კაცი, რომელმან ჰპოვა სიბრძნედ და მოკუდავმან, რომელმან იხილა გონიერებად; ესე უმჯობეს არს მოსაგებულად, ვიდრე ოქროდ და ვეცხლი საუნჯისა, უპატოსნეს ძვირფასისა ანთრაქისა.

დასაწყისი: 1) კვირიაკესა ჟამსა ბ ღღისასა დეკემბერსა კე-
შობა ქრისტესი. დღესა საწმებათსა, ჟამსა ზ ღღისასა, იანვარსა
უ ნათლის ღება იყო. (ამას მიყვება ცალკე თავები:)

2) უკეთუ გინდეს, თუ რაოდენი ნათესავნი არიან ქვეყანასა.
ზედა ცნობად (ფ. 15v—16r).

3) სახელები შვილთა ცათა (ფ. 16v—33r).

4) სიტყვა დაბადებისა ამისთვის და სამოთხისა შვენიერე-
ბისათვის (ფ. 23r—29v).

5) შესაქმისა ცისა და ქვეყანისა წიგნსა. ეფერატსა სწვრია
(ფ. 30r—30v).

6) ცად მოხილვასა შიგან სწვრია დაბადება ანგელოზთა (ფ.
31r—44v).

7) სწავლა წმინდისა მამისა ჩვენისა მაქსიმე აღმსარებლისა.
(ფ. 45r—81v).

8) სწავლანი წმინდისა იოვანე ოქროპილისა (!) ფიცისათვის
(ფ. 81v—83v).

9) სება სწავლა წმინდისა იოვანე ოქროპილისა (!) მოწყალები-
სათვის (ფ. 84r—114v).

10) თქმული წმინდისა მამისა ჩვენისა გრიგოლი ნოსელისა.
(ფ. 115 r—116r).

11) თქმული წმინდისა მამისა ჩვენისასა (!) იოვანე ვოქრო-
პილისა, გეაკურთხენ, მამავო (ფ. 117r—123v).

12) მცნება წმინდისა ბასილისა მღვდელთა მიმართ, თარგ-
მნილი არსენისა (ფ. 123v—126v).

13) სწავლა წმინდისა იოვანე ვოქროპილისა და სხვათა ფი-
ლოსოფოსთა მეორედ მოსვლისათვის (ფ. 126v—224v).

14) კითხვა-მიგება გრიგოლი ღვთისმეტყველისა ანგელოსი-
სა მიერ (ფ. 224v—229v).

15) ათანასე ალექსანდრიელისა თქმული (გვ. 230r—291v).

16) კითხვა-მიგება წმინდათა მამათა (გვ. 292r—306v).

17) სიტყვანი, გამოკრებულნი სახარებათანი წმინდათა მა-
მათა მიერ (ფ. 306r—379v).

18) ანტესთვის (!) თქმული სხვა განმარტება (ფ. 370v—398)-

19) სიტყვის გება ბერისა ეფეთიმე გრძელისა სოსოფენის
მიერ სომეხთა მოძღვრისა (ფ. 398v—429r).

20) სოლომონის კითხვა-მიგება (428v—434r).

21) უწყება პეტროზ მკაწვრელისათვის და ალაჯასათვის (!)
და ალაჯორთა მარხვისა (ფ. 434v—441v).

22) უწყება საბულის ძისა სუბსარქისათვის (ფ. 441v—450r)-

23) თარგმანება სომეხთა წვალებათათვის და თუ რომლითა პირითა შეიჩვენებინ სომეხნი (ფ. 450v—461v).

ანდერძი (ფ. 463): ღირს ყო უფალმან მდივანი ამა წიგნისა საღმრთოსა ძალისა ცნობად და ძალითა საღმრთოთა დაიცევ, უფალო, ყუველნი წელნი ცხოვრებისა მისისანი ბრვეალ ქაჰიერ (!) უაუნისაჲდ, ამინ, ჩ ყ მ ჯ წელსა, იენისის იზ დღესა.

საყვარელნო ძმანო, წიგნისა ამის სახელის ცნობა თუმც გნებავს, ამისთვის ერთი სახელის წოდება არა აქვს ამას, ვინადგან მრავალნი კეთილნი წერილნი ერთად შეკრულ არს და თუმცა გნებავს ცნობის, ვადავს იხილავ, თვით კითხვასა შინა სცნობ, თუ რომელნი სახელნი ეწოდებიან. გარნა პირველი ერთი სახელი ესე არს მარგალიტი და უკეთუ ხარ მსურველი, რათა სცნა ყოველნი კეთილნი საქმენი, სულგ ძელ იქმენ ამა წიგნისა კითხვასა და ყუველივე გაუწყოს თქვენ. ღმერთო, აცხოვნე ამის მდივანი სპირიტონ იესესძე მჩხიკვაძე.

მანაწერი: (ფ. 464r): ჩ ყ ნ ა ს ა წელსა იელისის იე-სა დღესა ორშაბათსა იქმნა მზისა დაბნელება. იწყო შუადღიდან და მიაწია მეექვსე საათის შესრულებაზედ და იქმნა სუული დაღამება ოთხ მინუტს. ამბავი ასე მოხდა დიდის ხელმწიფის იმპერატორის ნიკოლოზის ხელშიდ.

114

მოთხრობათა ქრებული

257 გვ.; 20,7×16 მ; ქალაღი; ყდაიანი; მხედრული; 1734 წ.; გადამწერი ანდრია ტურ-გრიგოროვი; შემავალია ყოფ. ლახარევის ინსტიტუტიდან (ნოსკოვი).

1) ცხოვრება ალექსი კაცი-მღვთისა (გვ. 1—34);

დასაწყისი: კაცი იყო ვინმე სტანბოლსა შინა შემევიდრე დიად მდიდარ, რომელი ეწოდებოდა სახელათ ეფრემ.

ბოლო: მასუკან დედ-მამაც რვა წელიწადი იცოცხლეს და ისინიც მიცვალნენ, შვილთან დაიშარხნენ, ამინ.

2) ქება ღვთის მშობლისა (გვ. 29—35).

დასაწყისი: ვფიქროფ, ზრახვაში, გულის აღთქმაში
სიტყვას ვეძიებ შიგ საუხჯაში...

ბოლო: ჰი შენის მეტი, დედაო მღვთისაო,
სულგრძელო დედავ, თითონ სულგძელო.
მეც დამიბარე, გიორგი ბერო,
რომ გაგანათლო, საწყალო ბნელო,
და გაგაახლო, ჰურჰელო ძველო...

3) სპილენძის ქალაქის მოთხრობა, რომელი არს მაგალითი ქვეყანას (გვ. 35—96).

დასაწყისი: იყო ბაღდადის ქალაქში ერთი ხემწიფე, რომელს ერქვა აბუმელიქი. ერთ დღეს შეჭყარა მედანიში...

ბოლო: ამ რიგათ გამოიცვალნენ ამ ტყვილისა და უქირს

ქვეყანისაგან და მიწივნეს საუკუნო ცხოვრებაში ქრისტეს იესოს უფლისა მიერ, რომელიც არს კურთხეულ (უკუნ)ისამდე, ამინ.

4) სწავლა და მეცნიერება, თქმული ხიკარ ბრძენისაგან, რომელითა გასწავლდებიან ძენი კაცისანი და გულად იღებენ მეცნიერებასა (გვ. 97—122).

დასაწყისი: მე, ხიკარ ვეზირი, ვიყავ ქურუმ ხემწიფემა (1) აბსორესტანისა და მყავდა სამოცი ცოლი და გავაკეთებინე სამოცი სახლი და მე, ხიკარ, ვიყავ სამოცის წლისა და არა მყვანდა შვილი.

ბოლო: მივეცი ჩემი სახელი იმას და სახურნი ჩემნი, საქონელი და სარჩო და შეძლება ჩემი და გავხადე ვეზირი. ზენაქრივ ხემწიფესთან და იმან დაივიწყა სწრაფად ჩემი სწავლება და დაიწყო ბოროტის-მოქმედება ჩემთანა, ამინ.

5) ხარება იოკიმესი და ანნასი, ოდეს ანგელოზმა ახარა შობა წმინდისა ღვთის მშობელისა მარიამ(ი)სა (გვ. 123—139).

დასაწყისი: იოკიმემ და ანნა დაბერებულ იყვნენ და შვილი არა ჰყვანდათ. ერთს დღესა ტაძრის დღეობა მოვიდა. აიყვანა იოკიმემ სამღრთო ცხვარი და წავიდა.

ბოლო: თაყვანი სცა მარიამსა და უთხრა: მალე წადი შენს დეიდას ქალთან ელისაბედთან. იქნა ხმა შენის შვილის საკურგვ-ლობის და ნურავის ეტყვი ამ საქმესა, სანამ თითონ არ განცხადდეს. წავიდა ანგელოზი.

6) ხარება და დაბადება იოვანე ნათლისმცემლისა (გვ. 139—229).

დასაწყისი: მშობელნი დაბერებულ იყვნენ. ელისაბედ დეიდა შვილი იყო წმინდის ღვთის მშობლისა; მამა ხუცების უფროსი იყო ზაქარია. წელიწადში ერთხელ შევიდოდა საკურთხეველში...

ბოლო: საფლავი იგი დაეფარა ლოდითა, ხოლო გული მარიამისა დაეფარა ნისლითა მწუხარებითა, რომლისა წმიდითა მეოხებითა ღირს გვყოს ჩვენ ყოველნი ხილვისა თვისისა მხოლოდ შობილმან ძემან, რომელი ცხოველი არს და სუფევს მამისა თანა სულისა წმინდისა თანა, ამინ.

7) მოთხრობა ქალისა და ვაჟისა (გვ. 230—251).

დასაწყისი: კაცი იყო ვინმე დიახ მდიდარე, ჰქონდა მობელობა დიდისა ქალაქისა, უანგარიშო ხაზინა, ოქრო და ვერცხლი, თვალი და მარგალიტის პატრონი იყვნენ.

ბოლო: როგორც დედას პატივს მისცემდა, ისე იმ დედაბერმა პატივი მისცა და როცა ხემწიფე გარდაიცვალა, იმის სახელმწიფო იმას დარჩა. ესე ქალ-ვაჟიანი დასრულდა.

ანდრეძი: დამიწერია ძე ანდრია ტერგრიგორივს 18 $\frac{7}{1}$ 34-სა წელსა მარიამობისა დღეს (ტექსტის ხელნაწი, გვ.229).

ვახტანგის საგარტალი

72 ფ.; 22,2×17; ქალაღი (ღურჯი); უყდო; მხედრული; შემოსულია 1925 წ. ყოფილ ლაზარევის ინსტიტუტიდან (მოსკოვი).

დასაწყისი: შესავალი პირველი ბატონიშვილის ვახტანგისა. მყოფსა უმყოფისა არსისა და უარსისა დამაარსისა მქები არა თუ ღირსად და შეძლებისა ჩემისაებრ მქებელი და მგონე-ბელი უდებად მქონე...

ბოლო: წესად ასე იყო. ან თუ ბატონი ვისმე გლესხ უბო-ძებდა, ან წაართმევდა, ან ასაყრელი იყო და აპყრიდნენ, ეშიკალასი და იასაულნი იმავე გლესხ ხარსა და მარჩილს გამოართმევდნენ, სამდიენოსა და საიასაულოსაც გლესხ გამოართმევდნენ. ეს დიად დიდი უსამართლო იყო. ახლა ჩვენ ასრე გვიარიგება (გაგვირიგე-ბია). ვისაც გლესხ მიეცეს, იმან მისცეს.

ღვთისმშობლის ძეგა კირილე აღმესანდრილისა

100 ფ.; 20×12,3; ქალაღი; ყდიანი; ნუსხური (თავ-ასოები სინგურით); XIX ს-ნის მეორე ნახევარი (ხელის მიხედვით); შემოსულია ყოფილ ლაზარევის ინსტიტუტიდან (მოსკოვი).

დასაწყისი: თქმული წმიდისა მამისა ჩვენისა კირილე აღმესანდრიელ მთავარეპისკოპოსისა სადიდებლად ყოვლად წმიდისა ღვთისმშობლისა.

იხარებდ უკვე შენსა, იხარებდ, მარიამ ღვთისმშობელო, ქალწულო, ყოვლად საგალობელო ბარძიმო, წმიდაო სიწმიდისაო ყოვლად უბიწოო.

ბოლო: რომელი გესავეს შენ ყოვლითა სულითა და გონებითა და შენ ოდენ მხოლო მრუგევე სასოებად ცხოვრებისა და მიზეზად სიხარულისა მხმობელთა; აღილუია სამეზის და კვალადზედა, ამინ.

შენიშვნა: იმავე ყდაში თავში აკინძულია „მსახურება და აკათის-ტო“ (დაუჯდომელი), დაბეჭდილი 1890 წ. თბილისს ე. ხელაძის სტამბაში.

ვამა ცოდვილისა

66 გგ.; 20×12,3; ქალაღი; ყდიანი; მხედრული; შემოსული 1925 წ. ყოფილი ლაზარევის ინსტიტუტიდან.

დასაწყისი: ვამა ცოდვილისა ღმრთისადმი მლაღადებელი-სა. სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ამინ.

ბოვედინ, სულო, მოვზლუდოთ გონება.. მოვიგოთ ღმრთი-სა გულსა შიშის ქონება...

ბოლო: ბუნებით თვალთა, ადრითჟე გარდამჭდელთა,

ესრეთჲ კჳალად კჳტჳყანას ზედა მჰსლჳშლთა,
ნუ უკჳშ აწცა ჩემზედა ძვრის მცჳშლთა,
გთხოვ, ნუ უარჳყოფთ ქმნად საქმეთ საქებელთა
და მომიტევეთ, ვის რა გცოდეთ ყოველთა.

118

სამთვარო და სახტლო

40 გვ; 21,2×16,8; ქალაღი (ლუჳჯი); ყდიანი; მხედრული (სათა-
ურღბი და თავასოები სინგურით); 1804 წ.; შემოსულია 1925 წ. ყოფ.
ლახარევის ინსტიტუტიდან (მოსკოვი).

დასაწყისი: დაწყება წელთა აღსარიცხტჳლი, ანუ მოკჳევა
წელიწადთა, ვითარ მდგომარეობს ბურჯნი თვეთა ათორმეტთანი
ანუ შეიდნი ცთომილნი და ვითარ მოასწავებენ ცულილებასა წე-
ლთასა. წელთა 1797, 1825, 1853, 1881 მარტის 21 რიცხვში,
ოდეს მზე შევალს ბურჯსა ვერძისასა და წლისა, მმართველი იქმ-
ნების მუშთარიმ ნიშნისა ქვეშე ლომისასა, რომელ არს სავანე
მზისა და იქმნების დაწყება წლისა.

ბოლო: კვალად აწროდიტი გამოჩნდების და მოასწავებს
სიკვდილსა ერთისა დიდისა დედოფლისასა. მთოვარე გამოჩნდე-
ბის ბურჯსა თევზისასა და მოასწავებს მრავალთა ჩინებულთა კაც-
თა სიკვდილსა და აოხრებასა მტერთაგან მრავალსა ხალხისასა
18 $\frac{9}{3}$ 04.

ანდერძი: 1) მე კნიაზ ბართოვმა ხალ მაიორმა აღვსწერე წიგნი ესე, რო-
მელიცა ვახლდი მოსკოვსა შიგან მათს უგანათლებულესობას მეფისძეს ბაგრატს
ავვისტოს 3, წელსა 1804 (ტექსტის ხელით, გვ. 40).

2). ითარგმნა წიგნი ესე ეფემრტი სომხურისაგან ქართულად მის უგანა-
თლებულესობის მეფის გიორგის 13 ძის ბაგრაჲისაგან სამეფოსა ქალაქსა მოს-
კოვს წელსა 1804, ავისტოს 3, ქორონიკონს უკბ სახელმწიფოსა სასახლესა ში-
გან, რომელსა სახელს სდებდნენ ლაქერთოვცკად.

119

სიმებნე ღრამმატიკისა.

85 გვ; 21,2×16,8; ქალაღი; ყდიანი; მხედრული (სათაურები და
თავ-ასოები ასომთავრულით და ხინგურით); 1852 წ.; შემოსულია 1925 წ.
ყოფ. ლახარევის ინსტიტუტიდან (მოსკოვი).

დასაწყისი: კითხვა-გებანი ღრამატიკისათჳს და ნაწილ-
თა მისთა, რომელთა ზეპირ უკმსყე გამოხატვა გონებათა შინა
ჰსწავლის შინათა ქვემო ამისსა.

ღრამატიკისა ნაწილთათჳს, თავი პირველი.

კითხუა. რაა არს ღრამმატიკა?

ბოლო: საკუთართა და საძიებელთა პირად პირადთა სიტყუათა აღმოცნობად, რომელთათჳს სავესებით გარდაიდუას თანმოქმედებითა ხერუფიშთა უწმიდესისა მარიამისათა. ესე უკუჲ ეკმაოდენ კითხუათ-მიგებასა ღრამმატიკისასა.

დამოდვრება სწავლელისა (გვ. 84—85).

დასაწყისი: ხოლო მსწავლელმან შემდგომად სწავლისა მოწაფეთასა ესე ვითართა იწყოს მცირედ-მცირედ მიცემაჲ აღჰქსნათა შეწყობილ წერილთა აღწერილთასა ადვილ გასაგონად.

ბოლო: და ესთავე უმაღლესაცა სიბრძნესა შეღაფიდენ ღირსებით შეწყენითა მიმადლებულისა მარიამ ღმრთის მშობელისათა, მადლითა ყოვლად წმიდისა სულისათა, რომლისა დიდება უკუნიითი უკუნისამდე, ამინ.

ანდერძი: 1) აღიწერა წიგნი ესი სიმეტრე ღრამმატიკისა დიდსა სატახტოსა ჰალასა ს. პეტერბურლსა შინა ხელთა უღირსის გურულისა სვიმონ ტაბიძისათა. გთხოვთ სულ ყოველთადმი შენდობასა, ვითარცა ბრძანებცა სანატრელი სამღრთო წერილთაგანი მუხლი. მიუტუვბდეთ კაცთა შეცოდებასა, თქვენცა მომტყებულ გეჰმენების მუფუ იგი ღმერთი; წელსა 1852, იანვრის 7 დღესა (გვ. 85).

2) ღრამმატიკა არს სიბრძნის საფუძვლად ჯმობილ, ჯელოვნად მიმდვენ, მცირ-მცირედ საზღუარს შინა, მართლ-წერ-უბნობად, გონიერ მკვრცხლ სწორ მკობად, ღრმა წერილთ აღმქსნელ, შესაბამე მწმასნელ ჰაზრთა. წესებულ კანონთ, ჯელმძღუან რიტორებრ ხატუად. წელსა 1852, იანვრის 13-სა, ს. ტაბიძე (თაფეთურცლის წინა გვერდზე).

მინაწერი: (გვ. 8)

ჩოლოყაშვილსა გარსევენსა, უთქუამს რამე—რაეზია;
კიტრი ზილად რაღას ვარგა, ვაშლი მოვა რაეზია;
ესევე სჯობს, რაც მასშია, მისგან მონახუნებია,
გული კუდება სარგიხთათეს, თვალნი გაუშტერებია:

ქართულისაგან თარგმნილი რუსულად:

Чолакаев Гарсеван, сказал много о многом;
Огурец, как паол, не годится, когда присвет яблоку;
Из всех трудов ценю, что мне слышано, памятью от него;
Увлеченное нарцисом сердце в взор, им плененный, тронутый.

სათაურ: ცხოვრებად წმიდისა იოანე მოწყალესა, ალექსანდრიის პატრიარხისა, როსისი ენით ქართულსა ზედა თარგმნილი თავადისა გიორგი ავალოვისა მიერ ჩყმა წელსა, მოსკოვს.

დასაწყისი: მისლგული (!) ალექსანდრიას თაყუანის ცემად ნაწილთა წმიდათა მოწამეთა კიროს და იოანესა (მოუთხრობს ლეონტი ეპისკოპოსი ქალაქისა ნეაპოლისა, რომელიცა არს კიპრსა შინა, შემადგენელი ცხოვრებისა ამისა აღწერისა) და მადილობელი მრავალთა კეთილ მსახურთა კაცთა თანა ვზრახვიდი მე მათ თანა...

ბოლო: რათა ჩქმნცა ყოველნი ღირს ვიქმნნეთ კეთილთა ზამთ მადლითა და მოწყალეებითა უფლისა ჩუშნისა იესო ქრისტესითა, რომლისადა მამისა და წმიდისა სულისთანა არს დიდება, პატივი და ძალი აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

121

3 3 0 6 3 3 0 6 0

481 გვ.; 20,5x12,8; ქაღალდი (ლუჯი); ყდაინი; მხედრული (თავასოები ასომთავრული; სათაურები და თავასოები სინგურით); 1815 წ.; შემოსულია 1925 წ. ყოფ. ლაზარევის ინსტიტუტიდან (მოსკოვი).

დასაწყისი: ღვთივ შევნიერნი თხრობანი სულისა ფრიად მარგებელ არს, რომელსა ეწოდების გვირგვინი. თავი ა: მღვდელმოქმედებისათვს და საიდუმლოისა გამოცხადებისა. — თხრობა ა: გამოცხადებისათვს წმიდისა საიდუმლოესა და სიყვარულისათვს. ღმერთი, რომელი საყვარული არს ნადვილვე, რომელა გიგალობს საყვარულსა ზედა, ღმერთი მის თანა ჰგიეს.

ბოლო: და ესე ბრწყინვალეხს სულსა აღმსარებელთა თვსათა, რომელსა ჰქონათ თვის შორის საენი ხუთნი მსგავსად ხუთთა საგრძნობელთა ჩვენთა, რომელნი იპოვიან თავსა შორის ჩვენსა. ხოლო სრულთა თხრობათა რიცხვი არს ასი მეგრ იგავისა, რომელსა ედგა ასი ცხოვარი და მოსურნეთა ნაყოფიერ ჰყოფს ოცდაათეულად სამოცეულად და ასეულად, ამინ.

ესე არიან ზანდუქნი წერილის ამის ღვთივ სულიერთა თხრობათანი.

თავი ა. ა) საღმრთოსა წირვისათვს.

ბ) გამოცხადებისათვის წმიდისა საიდუმლოსა.

გ) გამოცხადებისათვის საიდუმლოთა.

დ) გამოცხადებისათვის ძალი საიდუმლოესა.

ე) რათა არა განვიკითხვიდეთ მღჭდელთა.

- ვ) რათა არა შევიწყნარებდეთ განკითხვასა მღვდლისასა.
- ზ) თუ ვითარ კრძალულება უხმს მწირველსა.
- ც) თუ ვითარ ეკრძალებიან ანგელოსნი მწირველთა.
- თ) ტყვეთა წსნისათვის წირვისა მიერ.
- ი) უღირსისა მღვდელობისათვის.
- ია) თუ ვითარი ჯელმწიფება აქვს ეპისკოპოზთა.
- იბ) თუ ვითარი ძალი აქვთ წმინდათა კაცთა (და სხ.).

თავი ბ. სასწაულთათვის.

ეპისკოპოსისა მიერ სასწაული.

ბერმან რა ეშმაკი შეკ'ა ლოცვითა (და სხ.).

თავი გ. მოწყალებისათვის.

ა) თუ ვითარ გლახაკთა მიმცემი ქრისტესა მისცემს.

ბ) თუ ვითარ მოწყალების ძალით მკვდარი აღსდგა (და სხ.).

თავი დ. სინანულისათვის.

ა) მღვდლისაოვის დაცემულისა.

ბ) დიაკონისაოვის შეცოდებულისა (და სხ.).

თავი ე. მიცვალებულისათვის.

ა) ეპისკოპოსისათვის განშორებულისათვის. (ბ) თუ ვითარ პატივს სცემს ღმერთი წმიდათა მისთა (და სხ.).

ბ) ღირსთა და პატიოსანთა დედათა.

გ) ქალწულისათვის განშორებულისა.

დ) სხვათა სულისა ზრუნვისათვის.

ე) მოხუცებულისათვის დედისა.

ვ) მიცვალებულისათვის დედისა.

ზ) სანატრელი და ღმობიერი.

ც) დედაძითურთ განშორებულისა.

თ) წმიდათა სამთა დედათა.

ანდერძი (გვ. 476): სრულ იქმნა ძალითა ღვთისაათა სულისა გარგვინი (1) სადიდებლად ძისა ღვთისაჲ ცხოველისა, ამინ. წელსა 1815 აპრილის 3 კელითა სეუისძის ბაგრატიისათა ს. პეტერბურსს.

მინაწერი: ესე წმიდაჲ სულისა გარგვინი აღწერილი არს გაბრიელის მიერ. მღვდელ-მონაზონისა, რომელიცა იყო მოწესე წმიდისა იოანე ნათლისმცემელის მრავალწონის მონასტრისა, რომელმანცა გამოკრიბნა მრავალთაგან საღმთთათა მამათა წერილებთაგან წმიდანი ესე სწავლანი და შეაწყო ერთად სარგებლად ცოდვილთა სინანულისათვის. ხოლო ესე ნეტარი გაბრიელ იყო მცხოვრები ტფი-

ლისით მოქალაქეთაგანი და ხელოვნებითა მკერვალი, რომელმანცა დაუტევა ღვთისა ზიჯვარულისათვის სახლი, დედა და ძახნი და მეგობარნი თვისნი და ყოველი მონაგები და წარვიდა მონასტრისა ზემოთხსენებულსა და აღიკვეცა და იქმნა მონაზონ და ისწავლნა სამღთო წერილნი შეწვენათა და ნიჭითა სულისა წმიდისათა და იყო ფრიად ღვაწლსა და მარხვასა შინა, რომლისაცა სათნოებანი არცლათუ რიცხვთა შესაძლებელ არს აღწერად. ხოლო კეთილისა მოძულემან ეშმაკმან იხილა რა სათნოება ამა წმიდისა მამისა მაღალნი, ვერა დაძთმენი ისწრაფდა ფრიად ვნებასა და დაბრკოლებასა მისსა ესე ვითართა კეთილთაგან, გარნა უქმ იქმნა სივერაგე მისი, და ამისა ძლითა აღძრა გული მთავარდიაკონისა იოვანე ჩუბინისძისა (კარის საყდრის მღვდლის დავითისძე; ამა დავით მღვდელს ეწოდა ზედ შესრული სახელი სიმშვიდის გამო და სათნოებისა ბაკაკა), რომელიცა მას უამსა შთაარულიყო ტფილისით მონასტრისა მას შინა, რათა განატაროს მოღვაწეობითა დღენი წმიდათა დიდთა მარხვათანი. გარნა აღძრა იგი დიაკონი ყოვლად ბოროტპან ეშმაკმან და მარადის აგონებდის ცოლსა და შვილთა და მიქცევად საზიდ, რომელმანცა ვერდარა უძლო მონასტრისა მას შინა ყოფა და აიძულა წმიდასა ამას ღვთისასა გაბრიელს რეცა მოგზაურობად მისთანა ტფილისამდის და ამისთვის დასდგა სული თვისი მეგობრისათვის მსგავსად მორჩილპან წმიდისა საზარებისამან. ხოლო წარმოსრულთა მუნით მივიდნენ მრავალ-წყაროსა ხეცსა შინა და მუნ დახედენ ლეკთა მხედრობანი. ხოლო ესე წმიდა მამა გაბრიელ მათ მიერ მოიკლა და შეირაცბა იგი რიცხვსა წმიდა მღვდელ მოწამეთასა და მავანი სხვანიცა სამღრთო წერილნი აღწერნა სულისა სარგებელნი და დავკიტევა ჩვენ. ვინცა ამა წიგნისა აღწერასა მიემთხვიენეთ, ამა წმიდისა გაბრიელის ცხოვრებაც აღწერეთ, რომელიცა აღწერე მე.—წმიდაო მამაო გაბრიელ, მეოზ მეყავე ქრისტესთანა და მფარველ მყოფსა მწირობასა შინა ჩემსა რომისა აღმწერსა ამა გდრგანისასა საქარველს მეფის გიორგისძის ბაგრატს მეუღლით, ძით და ასულეპითურთ. მი მკითხველნო, ცოდვილის სულისა ჩვენისა შენდობა უბრძანეთ წიგნის ძეს ბაგრატს საკთვეტერბურს. 18 $\frac{4}{4}$ 15.

რუსულ-ქართული ლექსიკონი

692 გვ.; 24×17; ქალაღი (ლურჯ-ნარევი); მხედრული; XVIII ს-ნის ბოლო (ხელის მიხედვით); შემოსული 1925 წ. ყოფ. ლახარავის ინსტიტუტიდან (მოსკოვი).

დასაწყისი: სოლნცე მზე, შამას.
 ლუნა მთოვარე, ყამარ.
 ვენერა აფროდიტი, ასპიროზ, ზორაკ.
 მარს არია, მარის.

ბოლო:

დოლენი იესმი თანაგუაც
 პრებივაიეთ გიეს

სოვერშენა
იზლონიაიეტ
მუკუ

სრულმან
განდვენის
ტანჯვა

სრულ არს.

მანაწერი: 1) ივანე ბატონისშვილის ნათარგმნი ლექსიკონი და მის მიერვე
ბოძებული ძმისა თვისისა მეფისძის თემურაზისა (გვ. 1, სხვა ხელით).

2) მეფის ძის იოანესაგან ნათარგმნი რუსულ-სლავენურის ენაბაგან თვით
მის მიერვე აღწერალნი ქართულის ასოებითა, რუსულიცა წაიკითხების; სანკტ-
პეტერბურლსა შინა, წელსა ჩყით. 1819 (თავეურცლის მეორე გვერდზე სხვა
ხელით).

123

ისტორია ალექსანდრე მაკედონელისა

225 გვ.; 22×17; ქალაღი (ღურჯუ); ბოლონაკლული; მხედრული
(სათაურები სინგურით); XVIII ს-ნის ბოლო (ხელის მახედვით); შემოსუ-
ლია 1925 წ ყოფ. ლაზარევის ინსტიტუტიდან (მოსკოვი).

დასაწყისი: ისტორია ალექსანდრეს მეფისა მაკედონისა
და ყოვლისა აღმოსავლეთისა, ჩრდილოეთისა და ყოვლისა საქს-
რეთისა და თვითმპყრობელისა მეფეთ მეფისა: იტყვიან ძედ ყო-
ფად მის მაკედონისა მეფისა ფილიპესად, არამედ არა არს ესრედ
და ცრუ არს ესე ყოველივე. არს იგი ძე მეგვიპტისა მეფისა ნეე-
თანაფის (!) ფილიპეს ცოლისა დედოფლისა ოლიმპიადისა მის შემ-
თხვევითა მით ესეთითა, ვითარმედ იყო მეფე ეგვიპტისა ნეთანაფ,
მისნობისა და ვარსკვლავთ მრიცხველობისა ხელოვნებითა განს-
წავლული.

ბოლო: და სტიროდენ დედა მისი აღიბიადე დედოფალი,
როკსანი დედოფალი და ყოველნი დიდებულნი და მხედრობანი
ქვეყნისანი და ცოლნი და შვილნი მათნი. ხოლო როკსანა სამოსე-
ლი თვისი გარდაიხია და თმანი თავისა თვისისანი დაიგლიჯა და
ტირილითა და მწუხარებითა ალექსანდრეს, ვითარცა ცოცხალსა,
ეტყოდა...

124

ანდრია ხალოსის ცხოვრება

158 გვ.; 20×16; ქალაღი; ყდიანი (დაშლილი); მხედრული; გადა-
წერილია XVIII—XIX ს-ნეთა მიჯნაზე; შემოსულია ყოფ. ლაზარევის
ინსტიტუტიდან (მოსკოვი).

დასაწყისი: ძმანო ჩემო საყვარელო და მონანო ღმთი-
სანო, ისმინეთ ვედრებისა ჩემისა და გაუწყოთ, რამეთუ არს საქმე
ესე ტკბილი, ვითარცა თაფლი, და საყნოსელად სუნნელი და

ამო. განმზადებით გულნი თქვენნი სმენად, რათა მე უფროსლა განვძლიერდე...

ბოლო: ხოლო მე ნიკიფორე ხუცესმან დიდსა ეკლესიასა მე. თვალთა ვიხილე და რომელი მომითხრა ნეტარმან ეპიტანე უტყველითა პირითა, [ალეწერე] სადიდებლად ღმრთისა ჩვენისა-
იესო ქრისტესა, რომელსა ჰშვენის პატივი და თაყვანისცემა თანა მამით და სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუ-
ნისამდე, ამინ.

ამას წიგნსა ეწოდების ბერძულად აპოკროფა, რომელ არს მოძღვართა, ხოლო კითხვად და არა ყოვლისა ერთისა სააჯმნო-
ყოფად უცებთა და უმეცართა, არამედ მეცნიერთა, ვითარცა პსჯულის კანონი. უწყის უფალმან, თუ მიხვდეს კაცი ბრძენი გუ-
ლისხმიერი, დედა არს ყოვლისა მეცნიერებისა, ამინ.

ანდრძი (გვ. 158): საიდამაც ეს წიგნი გარდმოვწერე, ის დედანი იყო უცოდინაოს კაცის ნაწერი, ვითარცა ასო ნაკლებები, ვგრეთვე ტყუილების ლე-
ქაებით სავსე და ძნელი აღმოსაცნობი. რაც შემეძლო, ვასწორედი ჩემის ჰაზრი-
თა, გარნა ვუწყი, რომელ აქუს ბევრი ნაკლებულემა და აღმოკითხვულთა გთხოვთ
ნუ მწყევთ, არამედ მილოცვდით ამა წიგნისა აღმწერელსა მღუდელსა პეტრე
ტაბლიანიძეს.

მიწერი: 1) ძველი ასლი ამ წიგნის ეტრატზე XIV საუკ დატულია შიო-
მღვიმის მონასტერს. თ. უორდანია (158 გვერდის შემდეგ).

2) ეს წიგნი ეკუთვნის მათ ბრწყინვალეებას კენინა ვეფხია ჯორჯაძისას.

125

ოქროს ანაქსნი სამოელ რაბინ იუდიანისა

129 გვ. 20,5X16,5; ყდიანი; მხედრული (თავსოები ასომთავრუ-
ლით, თავსოები და სათაურები სინგურით); 1817 წ; დიმიტრი ბაგრატიონ-
ნის მიერ თარგმნილი რუსულიდან 1726 წელს; შემოსულია 1925 წ. ყოფ.
ლაზარევის ინსტიტუტიდან (მოსკოვი).

სათაური: ოქროს ანაქსნი სამოელ რაბინ იუდიანისა, მეორედ გამოღებული საკთვეტერბურლსა შინა. შნორინის ნების-
სტანბასა შინა დაიბეჭდა 1782 წელსა.

(რუსული გამოცემის მიძღვნა ქართულ თარგმანში): უწმინ-
დესის სინოდისა მართებელისა წევრსა დიდსა უფალსა მაღალ-
ყოვლად უსამღვდელოს გაბრიელს არხიეპისკოპოსს დიდისა ნეო-
ლოროდისა, სანკთვეტერბურლისასა და წმიდისა სამებისა ალექსან-
დრე ნევესკის მონასტრის არხიმანდრიტსა მას ყოვლად სამღუდე-
ლოებას უმოწყალებს (!) მწყემს მთავარსა.

მაღალ ყოვლად სამღუდელო მეუფეო, უმოწყალებსო მწყემს-
მთავარო, მივიღე უსახმარესი ქამი გამოცხადებად თქტცნის მა-

ლალ ყოვლად სამღვდელთა უქვეყნისად შევერდომისა გავებდავ
განვაშვენო სახელითა თქუშნითა თარგმნილი ჩემ მიერი სამოელ
რაბბინის სათნო უყოფელად ქრისტესთვს განჰსჯა... მღუდელ-მონა-
ზონი ვარლამ (გვ. 2—5).

მთარგმნელის დიმიტრი ბაგრატიანის მიერ დაწერილი შესავა-
ლი (გვ. 6—7):

მკითხუშლთათვს: ჩემგან ამ წიგნის თარგმანი შეუძლებელ
იყო საღმრთო წერილის ენის გამოუცდელობით, მაგრამე მამის
დის ჩუკის მეფის ქაიხოსროს ასულს ანნას ეთხოვა, ბრძანებას ვერ
ურჩ ვექმენ, ვინაჲდგან დიდი სურვილი ჰქონდა რუსულისაგან ქა-
რთულად გადმოღებისა და ამისთვის აღბაძველმან სხვათა ქრის-
ტიანეთა მთარგმნელთამან არლარა ვრიდე სიტყვისა გაუწყობ-
რობის ყვედრებას, რათა იდიდოს აღრითგანვე მორწმუნეთა ჩემ-
თა ერთ ქვეყნიელთაგან ყოვლად დიდებული სახელი ღმერთ მა-
მა კაცისა ფფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი აწდა უკუნისამდე.

აზრი წერილისა სრულიად გარდმომიღია და თუ ვინმე ინე-
ბებთ უმშვენივრესად გაწყობასა მშრომელის სახელი(ს) ზღუხო-
ცუშლად, მმადლობელ ვექმნები. თავადი დიმიტრი ბაგრატიანი,
1786 წელსა, მოსკოვს.

რუსული გამოცემის შესავლის თარგმანი (გვ. 7—9):

დასაწყისი: აღნიშვნა. წიგნი ესე ამტკიცებს თვს შორის
სათნო უყოფელსა ქრისტესათვს განჰსჯას წინასწარმეტყუშლთა
თქმულთაებრ.

ბოლო: ხოლო რუსულსა ენასა ზედა გამოიღების აწ მეო-
რეს ბეჭდითა თვინიერ სჯულის წინააღმდეგის სახით გარდაბეჭ-
დილთა მით მოსკოვსა შინა ქრტწ წოდებულთა შეკრება სასარგებ-
ლოთა ყვავილთა.

ტექსტის დასაწყისი: სამოელ რაბბინ მორაკანელისა უპი-
რველესის სინალოლისაგან სჯულის შესაკრებელის მოძღურის ისაკ
რაბბინისა მიმართ, რომელ არს მორაკანის ქალაქსა შინა.

ღმერთმან დაგიცუას შენ, საყუარელო ძმაო. განავრძოჰსცა
საუკუნო შენი ვიდრე დასასრულადმდე ტყვეობისა ჩვენისად (გვ. 10).

ბოლო: ნანდვილ თვით მაჰმად, რომელმან სახელ ჰსდტა
თავსა თვსსა წინასწარმეტყველად და იწოდა მოციქულად ღვთი-
სად, მრავალი წინააღმდეგი ასწავა ღვთისა დაწერილისა მისისა, ვი-
თარცა კაცმან ყოველითურთ გარდაქცულმან. და უმეცარმან.

იოანე სინელის კლავასი

გვ. 91; 26,5×22,6; ყდიაი; მხედრული (თავ-ასოები ასომთავრულით, 1906 წ.; გადაწერილი ალექსი ბაქრაძის მიერ 1826 წლის ხელნაწერიდან; შენესულია 1925 წ. ყ. ა. ლახარევის ინსტიტუტიდან (მოსკოვი).

დასაწყისი: აკროსტიხები ოცდაათ აღსავალთათეს იოანესაგან სინელისა სამათნი გვარნი კიბისა აღსავალთაებრ თქმულნი.

ვინცა აღსრულ ხარ სისრულედ მიწეგნილ ხარ;

ესენი თითო თავისაგან ათ მუხლად;

მე იოანე დავლექსენ პირის პირად.

ბოლო: შეეწყალა შემქმედსა თავის ხელით კაცად ქმნილი
...ჯოჯოხეთში ჩადგებული;

გაბრიელს ებრძანების, ადამ ვისსა ქვესკნელს კრული;

და ადამს ზეცას დავაყენებ, ესე იყო ღვთისგას ქმნული.

ბოლოში დართული აქვს თარგმანებაი სახელთა წმიდათა მოციქულთასა.

დასაწყისი: პეტრე—განმხსნელად ანუ მცნობელად ანუ მსმენელად ეწოდა ქრისტესგან პეტრეს კეფა, რომელ არს კლდე.

ბოლო: სტეფანე—გვირგვინიანად; აბრაამ—მამად ნათესავთა;

ისაკ—მხიარულებად; იაკობ—შეძინებად;

ანდერძი: წიგნი ესე იონესგან სინელისა სამ-ათნი. 18⁶ წელსა სვედემბრის 2, ოდესაც სვანეთადამ მიწოდებულ ვიქმენ ქ. თბილისში საზოგადოებისგან ქრისტეანობის აღმადკინებელისა კავასიაში მოსაზნადებლად იკონსტანსისა, ერთის პატროსანიის ბიბლიოთეკარის ავეტიქენფიანჯიანცის წიგნთსაცავიადამ გადამოვიწერე ესე ჯლემაქსი, ლექსად გარდამოღებული მამისა იოანე ფილოსოფოსისა პეტრიწისა ჭირკიძელისა, წყობ.ლ-სიტყვაობასა შინა მოხსენებულისა. უნდო მღვდელი ალექსი იოსების ძე ბაქრაძე.

ესე წიგნი გადმომაწერიან ბატონი ალექსანდრე ხაზანაშვილისთვის მამამან მაკარი, როგორც იყო ალექსი მღვდლის გადმოღებული, 1906 წ.

წმიდა გიორგის წამება

გვ. 39; 21×17,5; უყდო; მხედრული; 1848 წ.; შემოსული 1925 წ. ყოფ. ლახარევის ინსტიტუტიდან (მოსკოვი).

დასაწყისი: კარი პირველი. წამება წმიდისა და მთავარმოწამისა გიორგისა, რომელმან თავით თუისით ინება ურმის თუალსა ზედან შესვლა.

ღმერთო, ცისა და ქვეყანისა, ზღუათა და კმელთა მფლო-
შელო, შუიღ კამართა ცისათა გუნბათსა ზედა მკდომელო მამავ,
ძევ, სულო ცხოველო, ერთ არსო, ყოვლისა მპყრობელო და რი-
ტორთა მრავალმეტყველთა თუით ქება მიუთხრობელო. ქება ვის
ძალუც სათქმელად ანგელოსთავან.

ბოლო: ცხონდა და მონაზონ იქმნა წმიდათა შესასწორთა.
აწ აღიდა წმიდა გიორგი, მადლისა შეიქმნა ქვეყანისა და დას-
რულდა ესე ამბავი უტყუარი და სწორეა. დასასრული.

მზეებრ ბრწყინვალეს, ფრთოვან ფრინველეს, გიორგის ვე-
სავ ქრისტეს მხედერსა;
ახოვან მხნესა, კერბთ მსახურ მძლესა, ქრისტიანეთა საიმე-
ღარსა;

ღვაწლი შეამკო, კერპნი დაამხნო, თვისთა მოსავთა მოჰფენს
მზე დარსა;

და წამებით სრული, გვირგვინ მოსრული, ქრისტეს წინაშე
ჩვენდა მზედ არსა.

ანდერძი: დამიწერია მე პრიჩეტნიკსა ბართლომე ბიბლიურთვისა წელსა ჩემს-სა
პარილს მ-სა დღესა შესრულდა.

128

ქ ა რ ა ბ ა ღ ი ნ ი

30 ფ.; 21. 6×178; უყდო; თაებოლო ნაკულუი; მხედრული (თაე-
სიტყვები სინგურით); XVIII ს-ნისა (ხელის მიხედვით); შემოსულია 1925
წელს ყოფ. ლაზარევის ინსტიტუტიდან (მოსკოვი).

იწყება: კარგი ხილების დროს ყურძენი და ლეღვი შემგრო
არის. ესე უნდა. თუ კაცს საქმელი არ უნდოდეს, არ ჭამოს, რო-
დესაც კარგად მოიხედოს, მაშინ შექამოს.

წყდება: პურის ფქვილის ფაფა უერბოთ და უხეთოთ აჭა-
მე, ხორცს ნუ აკმევთ, ვერ მოინელებს. დილა საღამოს ვირის
რძე ასვით თითო ფიალა. აგრევე ახალი მოწველილი თხის რძე
ასვით, თბილი უნდა და თხა თეთრი უნდა იყოს, ცივი საქმელი
არ არგ...

129

წმიდათა ცხოვრებანი

58.; 32.8×20,5; ქალაღი; ყდიანი; მხედრული (სათაურები სინგუ-
რით); XVIII ს-ნის (ხელის მიხედვით); გადმოწერილია დეფექტიანი და-
ღნიდან; შემოსულია 1925 წ. ყოფ. ლაზარევის ინსტიტუტიდან (მოსკოვი).

1. საეკლესიო საკითხავები. ფ. 1r—9.

დასაწყისი: უფალო ღმერთო ცხოვრებისა ჩემისაო, იესო ქრისტე, ძეო ღმრთისაო, მხოლოდ შობილო, თანასწორო, ბუნებით დაუსაბამოსა მამისა და ყოვლად წმიდისა სულისაო, მიუწთომელო, მოჟთხრობელო და გამოუთქმელო კაცობრივისა ენისაო.

ბოლო: არა რაჲ ესრეთ საძულველ და საძაგელ არს წინაშე ღმრთისა. ვითარ ძვირის მოხსენე კაცი გულმანკიერი, ეკლესიასა შინა მოცინარი და სხუათაცა დამაბრკოლებელი.

2. (წამება) წმიდისა დიდებულისა მთავარმოწამისა და ძლევა შემოსილისა დიდისა საკვირველთ მოქმედისა გიორგისა (და სასწაულები მისი, ფ. 9 r—27r).

დასაწყისი: ესე იყო წელსა დასაბამითგან ხუთი ათას შვიდას ოთხმეოცდათექვსმეტსა მეფობასა უსჯულოსა მის მძლავრისა დიოკლიტიანესსა. იყო ქვეყანისაგან კაბადოკიისა მართლმადიდებელთა ქრისტიანეთა მშობელთა ძე მხოლოდ შობილი.

ბოლო: ესე ყოველი რა სრულ ყო დიდებულმან მკედარმან მეფის ძემან, წარმოვიდა დიოკლიტიანეს მეფისა და განემზადებოდა წამებად მადიდებელი ერთარსისა ყოვლად წმიდისა სამებისა—მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, რომელსა შვენის ყოველი დიდება საუკუნეთა საუკუნეთასა, ამინ.

3. წამება წმიდისა და ყოვლად ქებულისა დიდისა მოწამისა დიმიტრისა მირონთა აღმომაცუნებელისა (ფ. 27 r—30v).

დასაწყისი: ჟამსა მას უსჯულოსა მის მეფისა მაქსიმიანესსა იყო განმრავლებულ კერპთმსახურება ყოველსა შინა სამეფოსა მისსა და იღვენებოდეს ქრისტეს ღმრთისა ჩვენისა აღსარებისათვის ქრისტიანენი.

ბოლო: და არს მუნ მდებარედ აქამომდე და მრავალსა სასწაულსა და საკვირველებასა აღასრულეს წმიდით საფლავით მისით გამო სადიდებლად ყოვლად წმიდისა სამებისა—მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, რომლისა არს დიდება საუკუნეთა საუკუნეთასა ამინ.

4. თთულსა სეკედნებრსა ოცსა წმიდისა დიდისა მოწამისა ეესტათისი და სახლეულთა მისთა (ფ. 30v—39r). ამან მრავალი შოთმინება აჩვენა პირად პირადთა განსაცდელთა სახედ იობისა და უკანასკნელ იწამა სახლეულებითურთ თჳსით.

ჟამთა მათ ტრაიანე ჰრომთა მეფისათა განმრავლებულ იყო ყოველსა ქუწყანასა მსახურება. და სიყვარული კერპთა ცუდთა ამოთა და ცრუთა.

ბოლო: და მიერ დღითგან მრავალთა უძლურთა, სნეულ-

თა და ეშმაკეულთა ჰკურნებენ წმიდანი ნაწილნი მათნი სადიდე-
ბელად ყოვლად წმიდისა სახელისა ღმრთისა, მამისა და ძისა და
წმიდისა სულისა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

5. თთვესა აებერვალსა ათშვიდმეტსა წმიდისა დიდისა მო-
ლებასა და მოგვანიჭე მშვიდობით და მყუდროებით სიცოცხლე,
ამინ.

6. ქეთევანის წამება დიმიტრი ბაგრატიონის მიერ თქმული-
(ფ. 25—36r).

დასაწყისი: შენ მოინებე ყოველთა, ცხოველთა მოყვანებანი;
მხეცთა, პირუტყვთა, ფრინველთა, ჭევზთ

ზღვათა დავანებანი;

მათ და უალრეს პატივით, კაცთა ქვეყა-
ნად ქებანი;

მადლობის შემამწირველმან რა გკადრო მე გლახ ქე-
ბანი.

ბოლო: უხავს დაჯდეს ღირსი ვინმე მისთა ღვაწ-
ლთა აღსაწერად:

მთაწმინდელი ან სინელი, პეტრიწი ჰყვეს კალმის
მჭერად;

მოკლეს სიტყვით შემამჭევროს, გრძელი ტანჯვა-
მრავალფერად;

მით მოგიახრონ შესაზაროდ არ სასტიკოს გულ-
საგმერად.

7. თავადის დიმიტრი გიორგის-ძის ბაგრატიონისადმი (ფ.
36v—38r).

დასაწყისი: მაღალ ბრწყინვალეს თავადსა დიმიტრი
ბაგრატოვანსა:

ერთისა ძირით შთამოსრულს, გჳკვრეტთ მრავლად
მაშვრალოვანსა.

დიდის ქეთევანისათვის ბრძნულეზ რიტორეზ ხმო-
ვანსა,

მსმენნი ესოდეს ძვირფასთ ლექსთ გაქებდეთ დიდ-
გვაროვანსა.

ბოლო: ნიშნად თქვენდა მაღლობისა და მემამულეთ მოყვარე;
შეთქმნა მიზეზ ჩემ მშობელი, მყო მცირ შრომის მიმღებარე;
თქვენის მაღალ ბრწყინვალეზის მორჩილს მონად ვარ მდგომარე;
მუხრან ბატონ იოვანეს მე გრიგოლ ერთგულ ვმოზარე.

168

საოჯახო იოანესი

24 ფ.; 16X11; ქალაღი (მოღურჯო); უყდო; თავბოლო ნაკლული;
მხედრული; XV III ს-ნის ბოლოსი (ხელის მიხედვით); შემოსულია 1925
წ. ყოფ. ლაზარევის ინსტიტუტიდან (მოსკოვი).

დასაწყისი: ლოცვად და კითხვად წიგნთა საღმრთოთა,
რათა გულის ჳმა ვჳყო სოფლისა ამის ამაოებად და განვეშორო
საქმეთა მისთა.

ბოლო: საყვარელო შვილო იოანე, რად ესე მიყავნ ჩვენ,
რად არა გამოგვიცხადე თავი შენი უბადრუკთა ამათ მაშინვე,
ოდეს იგი მოიწიე აჳა, რათამცა აჳამომდე განგვეხარა ხილვითა
და სიყვარულითა შენითა. და აღუტევობდეს ხმათა მათთა სალ-
მობიერად ესრეთ—ჳი.

169

აგავი დიუნის ქალაქისა (ფრიკალიანი)

12 ფ.; 21X16,5; ქალაღი; უყდო; მხედრული (სათაურები სინგუ-
რით); XV VIII ს-ნისა (ხელის მიხედვით); შემოსულია 1925 წ. ყოფ. ლა-
ზარევის ინსტიტუტიდან (მოსკოვი).

სათაურნი: ამბავი დიფნის ქალაქისა, მორკმისა და ცხოვრებისა და მოქალაქობისა მისისა და მას შინა მყოფისა ფირმან ხელმწიფისა და შვილისა მისისა ასულისათვისა.

დასაწყისი: იყო დიფნის ქალაქი მორკმული და ფრიადსიმდიდრე გარდამეტებული.

ბოლო: გახელმწიფდა დიფნისა აბულ ისაყ ხელმწიფის-შვილი რვა და გაიყვეს დიფნისი და მეცხრე ინდოსტანს დაჯდა ხელმწიფედ. დაიწერა ქორონიკონსა.

მინაწერი: ამგროსი მთქმელი, ცუდად მშრომელი.

დიფნის ქალაქი მორთული, ბახჩა ბალით წარკოტითა;

ნარინჯ თურინჯ კვიპარითა, ალვის ხითა მადნარითა;

ველთა, ტყეთა შვენებითა, ნარგიზ ყვავილ ცენებითა

და ნიავ წელითა სუნთ ბერვითა ყნოსა ფშვითა სიამითა (ფ. 12v).

წილკნელობა ებოძა იკორთის არხიმანდრიტს ამგროსის ქორონიკონს უმჯ, წელსა 1778. თვესა აპრილს თ და კურთხევიო მოხსენებულს ლეონ ბატონის შვილს, არაგვის მპყრობელს, შობისა მისისა მენენიკი მიულოცა, ფებერვალს ახუთ შაირად.

იგნის კვ, ვახტანგ ბატონიშვილის დაბადების დღეს ამანვე ამგროსი წილკნელმა დღეობა მიულოცა ხუთშაირად, ჩაზრჩიხაული.

ვახტანგის ქება, ძვილ შეკადრება, მისი მსგავსება ვის ედარება;

სოკრატ პლატონის, დიმიტრატონის. მათნი შესზმანი არ ევმება;

ხესთ ბარწყინჯალესა, თვით მჭარეგლისა წმიდა სამება მას ევმარება;

ძალი მალისა ჰებავს მადლისა, ბიწი არ ოდეს მიეკარება.

ვახტანგ მზიანო, მტერთ მაზიანო, სახელოვანო ანაგვებითა;

მხედ სახოვანო, თვით ახოვანო, ძალ უძლველო ბანაკებითა;

იესიანო, დავითიანო, სოლომონითა გვარტომებითა;

არაგვიანო, წყრომა გვიანო, პატრონო ჩვენო წაზნაგვებითა.

ვახტანგ სვიანო, ნათელ დლიანო, შაშვრა იანო სუნნელებითა;

დღეს ბილვა შენი, არაგვთ მაშენი, მკურეტელთ აშენი, სუნნელობითა...

შენიშვნა: ამ ნაკლულ ლექსში სახელი „ვახტანგ“ წაშლილია დახედი ტექსტის ხელითავე აწერია: ლეონის, ლევან, ლეონ (პირველ, მეორე და მესამე ტაქში).

მ ე ტ ა უ რ ა ნ ი

70 ფ.; 20×16; ქალაღი (ლურჯი); ყდიანი; მხედრული (სათაურები წითურად, თავასოები ასომთავრულით); 1815 წ.; შემოსულია ყოფ. ლაზარევის ინსტიტუტიდან (მოსკოვი).

1. თვესა აგვისტოსა იე მიცვალემა ყოვლად წმიდისა ღვთის მშობელის, თქმული წმიდისა მამისა ჩუწნისა ვასილისა, გვაკურთხენ, მამაო (ფ. 1—60v).

დასაწყისი: რა ჟამს იგი სულისაგან წმიდისა ღმრთის მშობელისა მარიამისა ჟამი განსვლისა თვისისა ამიერ სოფლით გულის ჯმა ეყო, მაშინ მხიარულ იქმნა სიბრძნითა სამღთოთა და ღმობიერად აღივსო სიყვარულითა.

ბოლო: დღესა კვირიაკესა აღასრულეს ჟამის წირვაჲ, აღიდეს წმიდა ღმრთის მშობელი, ეზიარნეს ჯორცსა და სისხლსა ქრისტესსა და ქალწულთა ნუგეშ ჰსცეს და ესრეთ განაწესეს ხსენება წმიდისა ღმრთის მშობლისა, რათა ვადიდებდეთ მამასა და ძესა და სულსა წმიდასა აწდა მარადის და უკუნითი უკუნინამდე, ამინ.

2. ცხოვრება და მოქალაქობა ეფემიანესი და ძისა მისისა ალექსი კაცისა ღმრთისა. გვაკურთხენ, მამაო (ფ. 61 v—70v).

დასაწყისი: იყო ვინმე ჰრომს ქალაქსა შინა კაცი მორწმუნე და მართალი და მდიდარი ფრიად და სახელი მისი ეფემიანე.

ბოლო: ბრძანა მეფემან და შეამკვეს ლუსკუმა იგი ოქროთა და მარგარიტითა და თვალითა პატიოსნითა და შთადვეს პატიოსანი იგი გჳამი მისი მას შინა და მუნთქვესვე აღმოხდა სუნი სნეულებისა ადგილისა მისგან. ხოლო აღესრულა ნეტარი ესე თთჳსა მარტსა იზ და მივიდა იგი წინაშე უფლისა სადიდებელად მამისა და ძისა და სულისა წმიდისა, რომელსა ჰშვენის ყოველი დიდება, პატივი და თაყვანისცემა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე.

ანდერძი: დედაო ღმრთისაო, მეოხ მეყავ ცოდვილს მეფის გიორგის ძეს ბაგრატოს, აღმწუხსა ამა ნეტაფრასისასა. დედანი წმინდა ხელი იყო, საქმის გაკირებით გარდაესწერე. უკეთუ შეცდომა რაიმე იხილოთ მკითხველთა. ნუ მწყევთ, არამედ ლოცვასა ჰყოფდეთ ჩემ ცოდვილისათვის. სრულ იქმნა ძალითა ღვთისათა თვესა სექტემბერსა 30, წელს 1814, სკთ-პეტერბურსს (ფ. 60v—61, ტექსტის ხელით).

მიწაწერი: ალექსი, კაცო მღვთისაო, მეოხ მეყავ მეფის ძეს ბაგრატს, მჩხაპავსა ამისასა. წელსა 1814 თვეს ოქტომბერს 2 სრულ იქმნა.

171

დასითნი

2 ფ. 20,7X13,2; ეტრათი; უყდრ; თავ-ბოლო ნაკლული; ასომთავრული (სათაური სინგურიით); XII ს-ნის (ხელის მიხედვით); შემოსულია 1925 წ. ყოფ. ლაზარევის ინსტიტუტიდან (მოსკოვი).

იწყება: უწინარეს იყო საუკუნეთა... რამეთუ არა იყო მათდა ნაცვალ, არცა ეშინოდა. მიყო ჴელი მისი, რათამცა მიაგო მათ.

წყდება: ღმერთო ჩემო, უბიწო არიან გზან(ი) შენნი და
ჭიტყუანი უფლისანი, რომელნი...

172

საგალობლები ძველი ნოტების ნიშნებით

2 ფ.; 14,4×10,5; ეტრატი; უყდო; თავბოლო ნაკლული; ნუსხური (თავასოები და ანდერძი ასომთავრულით და სინგურით); IX ს-ზე ან X ს-ის დასაწყისი (ხელის მიხედვით); შემოსულია 1925 წ. ყოფ. ლაზარევის ინსტიტუტიდან (მოსკოვი).

იწყება: ... რომითა მიხილესა ზ...ილა შჯუ....

წყდება: შინა მეშჯულთაჲ...

173

აკოკრივი მცნებანი ქრისტესნი

1. ფ.; 49×15; ეტრატი; უყდო; თავბოლო ნაკლული; ნუსხური (სათაური სინგურით); XIV ს-ის (ხელს მიხედვით); შემოსულია 1926 წ. ყოფ. ლაზარევის ინსტიტუტიდან (მოსკოვი).

იწყება: მცნებანი უფლისა ჩუწნისა იეს(უ) ქრისტესნი, რომელი მოიწია ქალაქსა ჰრომისას(ა). ხოლო ანგელოზმან, ზეცით მოსრულმან, ჰქუა ბაპასა ჰრომისსა: აღდეგ, ბერო.

წყდება: ...სხდეს ცოცხალსა ამას შინა... ვინ არიან ესენ(ი), ან...

შინაწერი: სულსა ხუბღეს შ-ე ღ-ნ; სულსა... მთავარ დიაკონსა გიორგი... სა შ-ე ღ-ნ; მის დედა მამასა შ-ე... ლო ვინცა შენდობით მოგვაგ... აქუწნცა შეგინდუნეს (!) ღმერთმან, ამინ, უფალო (ტექსტისავე ხელით, ტექსტის დასაწყისის წინ).

174

ცხოვრება მელანია რომაელისა

26 ფ.; 21×17; ქალაღი; უყდო; მხედრული (სათაური წითურით); 1902 წ.; შემოსულია 1925 წ. ყოფ. ლაზარევის ინსტიტუტიდან (მოსკოვი).

სათაური: თთვესა დეკემბერსა ლა ცხოვრება და მოქალაქეობა ღირსისა მელანია რომაელისა.

დასაწყისი: იყო სამე და ესეცა საქმე საკუთარ დიდისა მის და პირველითგან ქალაქთა შორის წარჩინებულისა რომისადა, რათა არა ხოლო სიკეთითა განშვენებულ იყოს, არცა ნაშენებითა ყოველთა მძღე ეყოს.

ბოლო: წმიდა სული მისი დაემკვიდრა საეანესა უფლისა თვისისასა, რომელი შეიყვარა და რომლისა გულსმოდგინედ შერებოდა ყოველთა დღეთა ცხოვრებისა მისისათა. მისა დიდება ყოველთა წმიდათა თანა, ჩვენ ცოდცილთათვის მუნ მვედრებელთა მამისა და ძისა და წმიდისა სულისა ერთაარსისა სამეებისა ღვთისა, მისა დიდება უკუნისამდე, ამინ.

ანდერძი: აღმოწერილ იქმნა ივერიის მონასტრის ძველის ხელნაწერიდამ ქართველთ ათონის ძმობის საეანესა შინა ნებითა წინამძღვრის მღვდელ-მონაზონის იონასითა 1902 წელსა, ივნისის 5, ხელითა მღვდლის ალექსი ბაქრაძისაგან.

175

წიგნი იოსებ არიმათიელისა

7 ფ.; 34X21; ქალაღი; უყდო; მხედრული (სათაური წითურით); 1902 წ.; შემოსულია 1925 წ. ყოფ. ლაზარევის ინსტიტუტიდან (მოსკოვი).

სათაური: წიგნი, რომელი დაწერა იოსებ არიმათიელმან, მოწაფემან უფლისა ჩეწნისა იესო ქროსტე(სა)მან, და უწყებამა აღდგომისათვის უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესა და აღშენებისათვის ეკლესიისა, რომელ იგი პირველ აღაშენა ლუდს შინა ქალაქსა წმიდისა დედოფლისა მარადის ქალწულისა მარიამისსა, გვაკურთხენ, მამო.

დასაწყისი: მეათცხრამეტესა წელსა მეფობასა ტიბერიის კეისრისა პრომთა მეფობისასა, და კვალად მეათცხრამეტესა წელსა მეფობასა ჰეროდესსა, ძისა ეროდესა, გალილეველთა მეფისა.

ბოლო: მრავალ გონებისა მქონებულნი გამოუძიებლად ვჰმადლობდეთ და ვადიდებდეთ ყოველად წმინდასა(!) სახელსა მისსა, რომელ მისი არს ძალა და სიმტკიცე და სუფევეამ მამასა თანა და წმინდისა სულისა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

მინაწერი: ნამდვილისა თანასწორია, მღვდელი ალექსი ბაქრაძე.

ანდერძი: ეს წმიდად მოთხრობა წმიდისა იოსებ არიმათიელისა მიერ უწყებული, გადმოაწერიე მე, მაკარმან, ივერის მონასტრის სქემა-მონაზონმან, ანავე მონასტრის დედა წიგნისაგან ღირსისა გიორგი მთაწმიდელისა, თარგმნილისა 1902-სა წ., აგვისტოს თესა მე-14-სა დღესა; დიდება ღმერთსა უკუნისამდე, ამინ.

უკალო იესო ქრისტე, შეიწყალე ამ წიგნის გადმომწერელი მღვდელ-მონაზონი პიმენ ასათიანი ლეჩხუმ(ე)ლი.

176

მოკლვკება, თქმული ანდკია კრიხელისა

8 ფ.; 29X23; ქალაღი; უყდო; მხედრული (სათაური ნუსხურით და წითურით); 1905 წ.; შემოსულია 1925 წ. ყოფ. ლაზარევის ინსტიტუტიდან (მოსკოვი).

ს ა თ ა უ რ ი: თქმული ნეტარისა მამისა ჩუწნისა ანდრია კრიტელ შთავარებისკოპოსისადა ამოებისათუც კაცობრივთა საქმეთადასა და შესუსნებულთათუც, გვაკურთხენ, მამაო. იგი ბუნებად ღმრთაებისადა ვადიდოთ ერთითა ხმითა, ზოგად ვჰმადლობდეთ და ვთქვათ: კურთხეულ ხარ, მხოლოო უკვდავო, კურთხეულ ხარ, მხოლოო საუკუნეო ღმერთო, ნათელსა მას შინა თვალთ შეუღდამსა მკვიდრო, რომელი არავინ იხილა კაცთაგან მან, ვერცა ხილვად შემძლებელ არს, რამეთუ შენი არს დიდება და პატივი და თაყვანისცემამა: აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

იესუ ქრისტე, ადიდე მამად გიორგი თარგმანი.

დასაწყისი: ჭეშმარიტად არა რაა არს კაცობრივთა საქმეთაგან მტკიცე და შეურყეველი, რათა ყოველივე დიდებად და ცხოვრება კაცთადა მსგავსად აჩრდილისა მიმწუხრისასა და თივასა დაჰნობადსა.

ბოლო: ამისთვის უკუშ მოდით ყოველნი, რათა ყოველთა მოგიწოდ მორწმუნეთა წმინდად სანატრელი.

ანდრძი: დაიწერა მთასა ათონისასა ივერის მონასტრის წმინდა (1) ილია წინასწარმეტყულის გვუტერსა შინა, საყოფელსა ქართველთასა კურთხევითა მამისა მაკარისითა, ხელითა ცოდვილისა და გლახაკისა ილია მონაზონისითა თთუშსა აგვისტოსა ვ(ნ) დასაბამითგან ჭუიგ, ქრისტეს აქეთ ჩ'შე (1905) წ. შემინდევით მე ცოდვილს ვსრეთ უშუროთ ჩხრევისათვის და შეცთომათათვის. უფალა იესო ქრისტე. შეიწყალე სასუფეველსა შენსა ძამა მაკარი მოწაფით მლიათურთ, ამინ, ამინ, ამინ.

ქვემო წარწერა ესე თვითან შეუღდენია ჩემს ბერს მსგავსად ძეგოთა ხელნაწერების ქორონიკონებთა. რომელსაცა ამტკიცებ წარწერა ესე მისგან ახალი ქორონიკონსა.

კანონიკური კრებული

33 ფ.; 20,7×13; ქალაღი; უყდო; მხედრული (სათურები და თავასოები წითურით); გადაწერილია 1902 წ.; შემოსულია ყოფ. ლაზარევის ინსტიტუტიდან (მოსკოვი).

1. საეკლესიო წესები (ფ. 1—2r).

დასაწყისი: ოდიკსა თუ ფესვი მოსწყედეს, ანუ განიხვრიტოს, ანუ თავგმან უქბინოს, თუ ეპისკოპოსს არა ჰკითხო, ჟამსა ნუ სწირავ.

ბოლო: უკეთუ დედაკაცმან ვაჟი მკლავსა ზედა მიწოლითა ანუ დაწყევოს, ეპისკოპოზსა თანა (აქ დედანს ერთი ფურცელი კლებია).

2. კანონი უზიარებლობისა (ფ. 2—3r).

დასაწყისი: მღრღელო, უკეთუ სინანული მოწაფისა იცოდნე, ზედას ზედა მისლვა ჯერ არს და ნახვა.

ბოლო: ყველიერთაგან ვიდრე ამაღლებამდე გვირგვინთანუ უკურთხევე, ნუცა იქმთ.

3. კანონი ნათელღებულთა (ფ. 3—4v).

დასაწყისი: გამცნებ, ♀ მღრღელო, რა ჟამს ჩვილი იშვეს, უკეთუ არ მოკვდეს: სამ დღეს მიუშვი და მერმე ყოველთა დღეთა აწვევი მონათვლასა მათ.

ბოლო: უკეთუ არ იმარხო ეგე, გარეწარად გაქვდეს ნიქი ესე მიცემული შენდა, მაშინ სირცხვილეული წარბვიდე მონათა უხმართა სატანჯველთა საუკუნეთა და სიტყვა მისცენ მათცა, რომელთა შენ გეწამოს და ჩვენ უბადლონი ვიყვნეთ წინაშე მეუფისა, რომელი კურთხეულ არს უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

4. სწავლა წმიდისა იოანე ოქროპირისა, რათა არა უღირსად ვეზიარებოდეთ ქრისტეს საიდუმლოთა (ფ. 4v—5r).

დასაწყისი: გამცნებ, ♀ კაცო, ვისსა წინაშე მახლობელად ვიდგეთ ჟამსა წმიდისა ზიარებისა ანგელოსთასა.

ბოლო: ანგელოსი დაჰბეჭდავს საღთოთა ბეჭედითა პირსა მისსა, მარადის სცავს და შეეწევის ყოველსა კეთილსა.

ანდრძი: ეს სჯულის კანონი სამსახვან გამაჯრებილი არის. ამის ფასი ასი ბეჭდიანი არის, ძმანო; დიდი ჭირი მინახავს.

5. თქმული წმიდისა მამისა ჩვენისა ეფთვიმი მთაწმიდელისა, რომელი იყო ნათესავით ქართველი, რომელმან იგი მრავალნი წიგნნი საღმრთონი თარგმნნა ბერძნულისაგან ენისა ქართველთა ენასა, რამეთუ გამოიტყოდა იგი ენათა მადლითა სულითა წმიდისათა. და ესე მცირელი კითხვა-მიგება მისცა თეოდორეს, ხუცესსა საბაწმიდელსა, რამეთუ იყო იგიცა ქართველი კეთილი მღვდელი (ფ. 5r—10v).

დასაწყისი: კითხვა. გვედრები შენ, ღმერთ-შემოსილო. მამაო, მაუწყე, თუ რომელნი წიგნნი არიან; რომელთა იგი წმიდა კათოლიკე ეკლესია არა შეიწყნარებს.

ბოლო: ნეტარ არს კაცისა მის, რომელმან სიცოცხლესავე თვისსა წარიმძღვანოს წინაშე მისსა მრავალი ჟამისწირვა და შესვენებულთათვის ეგრეთვე კეთილ არს.

6. წესი შევნიერი და პატიოსანი, განწესებული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა ეფთვიმი ქართველისა, თუ ვითარ ჯერ არს ცხოვრება დაყუდებულისა, გინა მარტოდ მყოფისა, რომელი ესე დაუწერა ნეტარმან ბერსა ვისმე სულიერსა მოწაფესა თვის-

მა, ხოლო ჩვენ გელთა მისთა წმიდათა ნუსხისაგან ბერძულისა
შარდაშოვწერეთ ქართულად, რამეთუ ბერძნისადა დაწერა წმი-
დასა ამას (ფ. 10v—14v).

დასაწყისი: სახელითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი-
თა, ვინაჲდგან დაუღებისა წესითა გსურის ცხოვრება, აჰა ესე
რა მიგიბრძობ.

ბოლო: კოველი პირი და სახე, სხვათა მათ პირველთა
მამათა მიერ აღწერილი სჯულის ანონი: აქა შემოკრებულ არს,
კეთილად განმართლებულ არს.

ანდერძი: აწ უკვე ვივლიდრები ყოველთა, რომელნიცა ამა წიგნსა მიემთ-
ვინეთ, მომისგნეთ: ლოცვასა გლახაკი ესე სულითა და ტვირთმძიმე მე, ცოდვი-
თა უღირსი ვფიქვებ, რათა მომეკვს უფლიანაგამ მოტევება ცოდვათა და დიდე
წყალობა, რომელიცა ესე ფრიად დაგშვერ სიყვამით ჩემიოგან ვიდრე სიბერედმდე
სიყვარულისათვის ნათესავისა და ქვეყანისა ჩვენისა ქართველისა, რათამცა აღვა-
სე ნაკულეგანება წიგნსა ღვთივ სულიერთა სარგებელად და გასანათლებელად.
ერისა შორწმუნისა და მომადლა ღმერთმან, რაზომი ეგებოდა, დღე და ღამე
ფრიადითა გულსმოღგინებითა თარგმანებაჲ საკსენებლად და სალოცავად მამი-
სა იოანესსა და ჩემ გლახაკისათვის ლოცვა ჰყავთ ქრისტეს სიყვარულისათვის
ამინ.

7. განგება მათ ზედა, რომელნი მოვიდოდნიან მონაზონებად
გინა ენკრატისებად (ფ. 14v—32r).

დასაწყისი: დაპრეკონ ეამსა მსთვადრე, შეკრბენ ეკლე-
სიად და კონ კუტრექსი და ლოცვაჲ და წართქუან ფსალმუნნი.

ბოლო: ლოცვა სქემისა ქალწულთა ზედა: მეუფეო და
უფალო ყოვლისა მპყრობელო, მამაო უჟულისა ჩვენისა იესო ქრის-
ტესო და ღმერთო ცხოვრებთა ჩვენისაო, აკურთხე მხევალი ესე
შენი, რომელსა მოუტრეკია თავი მისი, მარჯვენითა შენითა დაი-
ცევ ესე გზასა სიმარჯლისასა და სიწმიდისა.

ანდერძი: ამისა მწე რალსა გიორგის ჯვარამტვირთლის შვილსა და დე-
და მამათა მსთა მუნდას ღმერთმან. ვინცა შეადობა ბრძანთო, თქვენცა შეგნ-
დოს ღმერთმან, ამინ.

მინაწერი: 1920 წელსა სეკდემბრის თვეშიდ წმიდა ათონის მთასა შინა
ახალი ქრთველთ წმიდაჲა მოციქულისა მარკოპელის და ღვთის-მეტყველის
იოანეს საკაიუსა გარდაშოვწერილ იქნა ესე წიგნაკი ძველი ხუცულის ხელით ნა-
წერიის პატარა წიგნადამ მუნ მყოფიან მღვდლის აღმკჳი ბაქრაძისაგან.

წამება მოციქულთა პეტრე და პავლესი

19 ფ.; 16.5x21; ქაღალდი; უყდო; მხედრული (სათურები წით-
რით); შემოსულია 1925 წ. ყოფ. ლახარევის ინსტიტუტიდან (მოსკოვი).

სათაური: თევზსა დეკემბერსა კმ ხსენება წმიდათა მოციქულთა პეტრე და პავლესი რომს შინა უწინარეს რვისა დღისა ვარდობისა.

დასაწყისი: ხოლო ნეტარი პეტრე რომს შინა იხარებდა ღმრთისა მიმართ ძმათა თანა და მადლობდა ღმერთსა დღე და ღამე ერასა მისთვის მორწმუნისა.

ბოლო: აღესრულა ცხოვრება წმიდათა მოციქულთა პეტრე და პავლესი ივნისს 29, ხოლო სამთა მათ მხედართა თუშსა ივლისსა 2 და პერიპეტოვასი და პონტიტიანოსა თუშსა ივლისსა 2 მადლითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა თანა მამით და სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

შენიშვნა: ტექსტი გადაწერილი უნდა იყოს ათონის ქართული მონასტრის ხელნაწერიდან.

ლექსთა კრებული

36 ფ.; 22,2x17,8; ალაღდი; უყდო; მხედრული; XIX ს-ნის მეორე ნახ. (ხელის მიხედვით), შემოსულია 1925 წ. ყოფ. ლახარევის ინსტიტუტიდან (მოსკოვი).

დასაწყისი: ტარიელა და ქვრივი ვეზირთა საქმე შენა გაარიგებინე.

ბოლო: ობოლა(ძ)ეს საცერულსა
ხოშო ის შორს საგინაო;
გჯერა თუ ამბავს თვისი ლურჯაი
ყეხს უცემს, არა გაგწირაო;
არ დაგაჯერებ გლენს კაცსა, აზნაურს შემოგწირაო.

აკათისტო ნათლისმცემლისა

6 ფ.; 26,5x21,2; ქალაღდი; უყდო; მხედრული (სათაური და თავსაოგბი წითურით); XX ს-ნის დასაწყისი (ხელის მიხედვით); შემოსულია 1925 წ. ყოფ. ლახარევის ინსტიტუტიდან (მოსკოვი).

დასაწყისი: აკათისტო წმიდისა იოანე ნათლისმცემლისა. ზესთა ყოველთა წმიდათა უდიდესო, მე, ყოველთა ცოდვილთა უმეტეს უსჯულოესი, სავედრებელსა გალობასა შევსწირავ შენდა, იოანე, რამეთუ ვითარცა გაქვს კადნიერება უფლისა მიმართ.

ყოლისა შიშისაგან მიხსენ მე, რათა გიგალობდე შენ. გიხაროდენ, მქადაგებელო მადლისაო.

ბოლო: ზ უფლისა წინასწარმეტყველო, ხმამაღლად მქადაგებელო, მათ ყოველთა წმიდათა შორის, მიიღე აწ მცირე მოართმეული.

181

ათონის მონასტრის ერთ-ერთი ხელნაწერის აღწერა

5 ფ.: 16,7×21,8; ქალაღი; უყდო; მხედრული (სათაური სინგურით); XX ს-ნის დასაწყისი (ხელის მიხედვით); ნარკვევი გადაწერილი უნდა იყოს ათონის ივერიის მონასტრის ერთ-ერთი ხელნაწერიდან, შემოსულია 1925 წ. ყოველ ლაზარევის ინსტიტუტიდან (მოსკოვი).

1. სძლის პირნი და ღეთის მშობლისანი პერგამენტზე. ფ. 1რ. დასაწყისი: ა რვეულს აკლია ნ ფურცელი.

ბოლო: კგ რვეულის მეორე ფურცელზე აწერია: ქრისტე აღიდე ბევრის ბევრეულთა წელთა ჯოჯიკ ერისთავთა ერისთავი, უკფრომს ყოველთა ნაშობთა ქვეყანისათა იყავნ.—ამ რვეულს 1 ფურცელი აკლია.

2. № 69. სამოთხე. ფ. 2რ—3ვ.

დასაწყისი: ქ. ამ წიგნს სახელი ეწოდების სამოთხე თორნიკის შემოწირული; მე ფრიად უღირსი მთავარებისკობოს ყოფილი ტიმოთე მოვიწიე წმიდასა ამას მონასტერსა 1756.

ბოლო: სალოცველად სულისა ბაგრატ მაგისტროსისა და მშობელთა ჩემთა ჩორდვანელისა და მირია (!) მისა და ძმათა ჩემთა ბაგრატისა, არშუშაფსა და აბუჰარბის და მამის ძმათა... [წუენდენეს...].

3. წიგნი, რომელი მამამან ეფთჳმი მიუწერა მთაწმიდით, თეოდორეს ხუცესსა მრეკალსა პასუხად. ფ. 4რ—5რ.

დასაწყისი: ღმერთ შემოსილო და სულიერო ძმაო თეორე, ამათ პირთათვის რომელ გეკითხოს ჩემისა უღირსებისადა...

ბოლო: კულა მოციქულთა და მოწამეთა მას დაწყეულსა ივლიინეს განზრახვით გაურყენიან, რათამცა ყოველი ნაცილად შეპრაცხეს.

182

კითხვა-პიკება ხატოვნილასისა, იოვანეს თქმული

26 ფ.: 18×22; ქალაღი; უყდო; მხედრული (სათაურები წითურით); XIX ს-ნის ბოლოს; შემოსულია 1925 წ. ყოფ. ლაზარევის ინსტიტუტიდან (მოსკოვი).

დასაწყისი: კითხვა მიგება ხარტოფილაკისა იოვანეს თქმული. კითხვა. უკეთუ ჯერ არს წმიდათა ნათლულთასა ქმნა ლაკანთა შინა კარდალთათა, ანუ ქურქელთასა, გინა სხვათა ესგე ეთართათა ნათლევასა ყრმათასა, გინა შეშისა ვარცლთა.

ბოლო: უკეთუ ქალი უფროსი იყოს კაცისა, იგი არა ჯერ არს და არცა სჯული და კანონი მისცემს ამ გვარსა მეუღლის შენდობასა.

ანდერძი: ღმერთო, მშვიდობაში მოახმარე, ეს სჯულის კანონი თომასია. ღმერთო, შეიწყალე ამ წიგნის მწერალი თომა. ქორონიკონს უნა, თოქასი ვარ. დაიწერა იენისსა იგ გასულსა.

183

ცხოვრება რომანოზისა

14 ფ.; 16,6×12,2; ქალღი; XIX ს-ნის ბოლო (ხელის მიხედვით); შემოსულია 1925 წ. ყოფ. ლაზარევის ინსტიტუტიდან (მოსკოვი).

იწყება: წინაშე ქრისტესა მართლმსაჯულისასა, ამის სქემისა ანგელოსთა მობაძევისა. მეფემან გულს იდგინა განქარებულ და წინაჲს წარმცნობელმან არა მიუშვა.

ბოლო: ქალაქსა მათსა ახალი ესე მოწამე განთქმული და დიდებული. აღესრულა წამება წმიდისა მოწამისა რომანოზისი პირველსა თთვესა მისსა დღესა ორშაბათსა, ჟამსა მეცხრესა სადიდებლად მამისა და ძისა და წმიდისა სულისა აწდა მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

184

კ რ ე ბ უ ლ ი

6 ფ.; 34, 5×23; ქალღი; უცდო; მხედრული; XIX ს-ნის პირველი ნახევარი (ხელის მიხედვით); შემოსულია 1925 წ. ყოფ. ლაზარევის ინსტიტუტიდან (მოსკოვი).

1. შესხმა იმერთა მეფე სოლომონ პირველისა დავითიან ბატონისადაში, თქმული ბესარიონ ზაქარიასძის გაბაონისაგან, რომელიცა მიართვა მან მეფესა თვით ხელითა თვისითა დღესა ქრისტეს აღდგომისასა და მიულოცა მით აღდგომა ქრისტესი და ძლევა ძლიერი აფხაზთა, ჯიქთა და ალანელთა ზედა, პროზად და შაირად შეთხზული.

დასაწყისი: დღეს იხარებს დავით სულიერსა ჩანგსა თანა სულითა მლაღადებელი მეფე და იტყვის: აწ აღმისრულნა აღ-

შთქმელმან კეთილობამან, კვალად ერთ გზის ვეფუტეო წმილასა ზემსა დავითს.

ბოლო: გაესმოდისთ, გაესმოდისთ, დაისმოდის და ისმოდის; შიდ მოხლტოდის, მიმოსროლდის და იქმოდის და ითქმოდის; შეაყენნის, შეაქშენნის, დაითხოდის, დაითმოდის და კვლავ არეედის, მოარბენდის, მაიყმოდის, მაიხლმოდის.

2. შემოკლებულად მოთხრობა ძველის საათაბაგოსათვის ვახუშტის ისტორიიდან (ფ. 6).

დასაწყისი: ახლანდელი უეზდი ახალციხისა არს ნაწილი საათაბაგოსი, რომელსაც ეწოდება ჯავახეთიცა.

ბოლო: 6. წურწყაბელის სამწყსო, ხურსის ძირს(!) სახლისულა, ბოცოს-ხევი ხერთვისს ქვეით მისია;

7. წყაროსთუღელის (!) სამწყსო ზევითი და სხვანიცა.

185

პეტრე ლარაძისა საუფლოჲე თამული

5 ფ.; 35×21,5; ქაღალდი; უყდო; მხედრული; XVIII ს-ნის ბოლოსი (ხელის მიხედვით); შემოსულია 1925 წ. ყოფ. ლაზარევის ინსტიტუტიდან (მოსკოვი).

დასაწყისი: თორმეტ საუფლოს ზედა თქმული პეტრეს მიერ ყარიბის ლარაძისა ლექსნი, ტკბილ ჳმადსა თქმულნი.

ანგელოსი მალლით მოსწრაფებულად.

იქმნა ნაზარეთად მოვლინებულად;

ტაძარს ქალწული გყო განკვირვებულად.

ბოლო: შენ, სიტყვაო ღმრთისა, მხოლოდ შობილო, თანა მამის და სულისა ცნობილო.

186

თამარიანი

7 ფ.; 33,6×21,4; ქაღალდი; უყდო; მხედრული (სათაური სინგურით); 1835 წ.; გადამწერი ნიკოლოზ ბალინოვი (7V); შემოსულია ყოფ. ლაზარევის ინსტიტუტიდან (მოსკოვი).

დასაწყისი: დიდისა თამარ მეფას, გიორგი მეფის ასულისა, დავითიან ბაგრატიონისა და მეუღლისა მისისა ბაგრატიონისავე დავით მეფისა, სრულიად მპყრობელისა სამთა სამეფოთა ქართლისა, კახეთისა, იმერეთისა და ხუთთა სამთავროთა—სათაბაგოსა, ოდიშისა, გურიისა და აფხაზეთისა, სვანეთისა და სხვათა და სხვათა მპყრობელისა შესხმა, აბღულმესია შავთე-

აბდულმესია შავთლისაგან (ესე მონა ქრისტესი) თქმული, რომელი იყო ადგილიდან საათაბაგოსათა. ამან მოართვა გელათი დამ მეფასა თამარს, რომელი იყო მდივანი მეფა თამარისა და შემდგომად იქმნა მონაზონ და უწოდეს სახელად იოანე, რომელმან მოიგო ცხოვრება თვისი გელათისა მონასტერსა შინა ეკლესიასა (რომლისათვის იტყვის რუსთაველი შოთა, ვეფხვის—ტყაოსნის აღმწერელი, კაცი ბრძენი, ღმრთის მეტყველი და ფილოსოფოსი და მრავალთა ენათა ზედმიწევნილი: აბდულ მესია შავთელსა, ლექსი მას უქეს რომელსა).

სამეზით ღმერთმან, არსებით ერთმან, მომცეს მე სწავლა თქვენ-
და შემეკობად.

გიძღვის(!) ქებანი, მქადსა ქებანი და ვით ის დავით ვჰსჯდე
მუსიკობად.

ბოლო: განმართედ ცუდნი სიტყუანი, მრუდნი კეთილად
ჰსცუალედ და განმართლეთ
გვედრებ თქვენ სულად—ქებითა წილად ჩემგან დუმილი თვთ
მიითვალეთ.

დასასრული

ანდერძი (გადამწერლის): ხოლო ჯამი ლექსთა ამით უკუშ თამარ მეფასი და მეუღლისა სოსლან დავით მეფისათა აბდულ მესია შავთელისაგან თქმული-სათა იქმნა ას რვა რიცხვისა. 108. რძ.

საქუთრად ჩემთვის აღმოვესწერე მე ტიტულარნის სოვეტნიკმან ნიკოლოზ მოსენ ძემან ბალინგმან სეკტემბრის კზ ჩყლე წელსა, ქართულსა ქრონიკონსა ქ-ს ფკგ.

187

თამარიანი

31 გვ.; 33,5×21,4; ქალაღი; უყდო; მხედრული (სათაური და თავ-ასოები წითურით); 1835 წ.; შემოსულია 1925 წ. ყოფ. ლაზარევის ინსტიტუტიდან (მოსკოვი).

დასაწყისი: სრულიად საქართველოს ქართლ. კახეთ იმერეთისა და ხუთთა სამთავროთა და სხვათა და სხვათა მპყრობელის ბაგრატიონის მეფის გიორგის ასულის თამარ მეფასი და მეუღლისა მისისა მეფისა სოსლან დავითისა შესხმა ჩახრუხასძისაგან, რომელი იყო ადგილთაგან არაგვისათა თემით მოხვევე. ესე მან დალექსა ოც მარცვლოვანად თითოსა ტაეპსა შინა წყობილად და მის გამო უწოდენ ქართველნი ჩახრუხაულს, თვარა ესე გვარი წყობილი ჩახრუხაული არაბულიდამ არს ქართულს ენასა ზედა გარდმოღებული.

მო, ფილოსოფონო, სიტყვითა არსნო, თამარს ვაქებდეთ
გულის ხმეირსა;
დიონოსისაგან ვით ენოსისაგან სრულნი ქებანი ა მძლედ
ძლიერსა.

ბოლო: ა ეს თინათინ, ნუ ის თინათინ, არაბეთს იყო სუ-
ლადიანი,
ჯერეთ ყმაწვილი, წმიდათ ნაწილი, სამოთხის ვარდი, პირად
მზიანი.

ანდერძი (კადამწერლისა, ტექსტის ხელით): ხოლო ჯამი ლექსთა ამათ
უკვე თამარ მეფასი და მეუღლისა მისისა სოსლან დავით მეფისათა, ჩაბრუნას
ძის თქმულისათა, იქმნა ასაოხრთმეტი.

საკუთრად ჩემთვის აღმოვსწერე მე ტიტულარნის სოვეტნიკმან ნიკოლოზ
მოსეს ძემან ბალინოვმან სეკტეპობრის კმ, ჩყლე წელსა, ქართულსა ქრონიკო-
სა ფკგ.

188

მესტიის სახარებიდან გადმოცხადილი განმარტება-მინაწიკები

3 ფ.; 23,5×18 5; ქალაღი: უყდო; ფურცლებად დაშლილი; ნაკ-
ლელი; მხედრული; XIX საუკ. დასაწყისი (ხელის მიხედვით); ჩამოტა-
ნილია ყოფ. ლაზარევის ინსტიტუტიდან.

იწყებ ა: ...რომლისათვისცა მე საწყალობელმა და ყოველ-
თა შორის მკვიდრთა სოფლისათა ნაკლულევანმან და უნანელმან
გლაზაკმან ილარიონ, ძემან მასორისმან ...ნელ ეპისკოპოსმან, მო-
ვივე წმიდა ესე ოთხთავი და აღვაწერიე ყოვლითა სრულებითა...

ბოლო: რამეთუ არა მოუხსენებთან აღრიცხვასა ამას შინა
მეფენი სამნი და ეამნი მათნი, რომლისა მიზეზი მან მხოლომან
მგზვერემან ხოლო იცის და მსგავსება მისთა: დაღაცათუ მრავალ-
ნი დაშერეს და აღწერეს.

189

იოვანე მახარებლის განსვენება

2 ფ.; 22,2×18; ქალაღი: უყდო; მხედრული; 1885 წ.; შემოსულია
ყოფ. ლაზარევის ინსტიტუტიდან (მოსკოვი).

თვესა აპრილსა კთ განსვენება წმიდისა იოანესი მოციქული-
სა და მახარებლისა.

დასაწყისი: იყო ნეტარი იოანე ეფესოს შინა და იხარებ-
და იგი უფლისა მიერ ხვალისაგან, რომელ არს კვირიაკე.

ბოლო: ესე არს განსვენება იოანეს მოციქულისა და მახა-
რებლისა, რომელი ვიხილეთ და რომელი ჰყო მონამან ღმრთისა-

შან, რომელ ვერავის ხელმწიფების კაცთაგან მოთხოვრებლად საკვირ-
ველებათა მათ, რაოდენნი ქმნნა სახელითა მამისათა და ძისათა
და სულისა წმიდისათა. ესე არს იოანე, რომელმან ჰსწამა სხვა-
თა მათ მახარებელთა და რომელმან დასწერა წიგნი იგი, რომელ
მისა შვენის და უკუნიითი უკუნისამდე, ამინ.

მინაწერა (ტიქტის ხელით): ყოვლად პატიოსანო მამაო თედორე! ქამთა
ვითარებისაგან ლენგ-თემირის (!) შეიდგზის ქარაველთა ზედა დაცემისა, გკლე-
სიებთა ოზრებისა, დაწვისა, ვგრეთვე უკეთურის შაჰაბაზის მიერ შედგომში
საუბედუროდ ჩვენდა წიგნები დაიწუნენ მათ მიერ და დანაშთნი გაიზინენ პი-
რთა ზედა ქვეყანისათა მათ უკეთურთა ქრისტეს მტერთაგან და აღმოსავლეთის
მისიონერთაგანცა, როგორცა მოიხსენებს განსვენებული კათოლიკოსი ანტონი
მწუხარებით. ამისათვის სასოებისათვის იოანე მახარებელისა ერთს ძველს მივარ-
დნილს ეკკლესიაში ვიპოვე ძველათ ძველი წიგნი, პერლამენტზედ წარწერილი,
და იქიდან უმეტნაკლებად აღძვსწერე ესე მიცვალება წმიდის იოანე მახარე-
ბელისა. უმეველია ივერიის მონასტრის ბიბლიოთეკაში იქნება მიცვალების წიგ-
ნი იოანე მახარებელისა და იქადაგ უნდა გასწორდეს. ჰვერი რამ შეცდომა
უნდა იყოს ამაში, მამაო! შვენიერი ლოცვებია, აღსაოება და ბოლოს ლოცვა სა-
კვირველი და კაცთა სასოების აღშებქდველ გულთა შინა, მხოლოდ და სამწუ-
ხაროდ მწერლებისაგან რაოდენიმე გამოტოებული და შემატებული და შეც-
ლილია.

თქვენი ღირსების მსასობელი ყოვლად უღირსი და ცოდვილი მამა ალექ-
სი ბაქრაძე, 18 აპრილს 1885 წ.

190

ეფრემ ასურის — ქრისტეს მეორედ მოსვლისათვის

17 ფ.; 26X19; ქ:ლალდი; უყდო; მხედრული (სათაური წითურით);
1902 წ.; შემოსულია 1925 წ. ყოფ. ლახარევის ინსტიტუტიდან (მოსკოვი).

კვირიაკესა ხორცთ-აღებისასა, თქმული წმიდისა მამისა ჩვე-
ნისა ეფრემ ასურისა, მეორედ მოსვლისათვის უფლისა ჩვენისა
იესო ქრისტესა.

დასაწყისი: საყვარლნო, ნუ რა რას პატივს ვსცემთ
უფროს შეუორგულებელისა სიყვარულისა, რათა ფრიად ვსცდებით.
დღითი დღე, ყოველსავე ქამსა ლამისა და დღისასა.

ბოლო: რომლისა მიერ და რომლისთანა მამას და ძეს და
სულსა წმიდასა, დიდება და პატივი და დიდად შვენიერება აწ
და მარადის და წარუვალთა და დაუსრულებლათ საუკუნეთა უკუ-
ნისამდე, ამინ.

მინაწერა (ტიქტის ხელით): 1902 წ. ნოემბრის 25 აღმოწერილ არს მღვდ-
ლის ალექსი ბაქრაძის მეტაფრასის წიგნიდამ. ვითხოვ სიმდაბლით, სიჩქარით
წერისათვის შემინდოთ, რადგანაც დღე და ღამე დრო არ მქონდა ბერძნის ბე-

რებთავან, წმიდა მაკარი მეგვიპტელის ღვთისმეტყველების და ასკეტიკურის პერ-
ლამენტის წიგნის წერისაგან. მლ. ა. ბაქრაძე.

ბატონის აღექვანდრე პრაფესორისათვის (!) და ფილოსოფოსისა გადამაწე-
რია მამა მაკარმა მღვდელს აღექვი ბაქრაძეს.

191

წმ. თეოდორეს და რომანოზის ცხოვრება

39 ფ.; 26,5×20,5; ქალღი; ბოლო ნაკლული; უყდო (დაშლილი); მხედრული სათაფრები წითურით; გადაწერილია 1920 წ. მღვდლის აღექ-
სი ბაქრაძის მიერ ათონზე (ხელის მიხედვით); შემოსულია 1925 წ. ყოფ.
ლაზარევის ინსტიტუტიდან (მოსკოვი).

1. მარხვათა პირველსა კვირიაკესა დღესა შაბათსა სახსენ-
ბელი წმიდისა და ღვაწლით შემოსილისა თეოდორესი ეგვიპტელ-
ახლად სტრატოტად მყვანებლისა ცხოვრება და სიმხნე (ფ. 1—28).

დასაწყისი: მათ ეამთა, ოდეს მოიწია წმიდა მოციქული
ანდრია ამასიად და წმიდისა ფედიმოსს დაასხნა ხელნი ეპისკო-
პოსად და დაუტევა მან ნაცვლად თვისა და შთაეიდა სინოპედ.

ბოლო: ეყაენ მარადის ზეგარდმომცემელისაგან მეოხებითა
წმიდათა მოწამეთაჲთა, ეყაენ მას ვითარცა ზრძანოს ქველის მოქ-
მედმან ღმერთმან, რომელსა ჰშვენის პატივი და დიდებაჲ აწ და
მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

2. თვესა მათისა ა წამებაჲ წმიდისა რომანოზ ახლისა მოწა-
მისაჲ, რომელი იწამა მეფობასა ეშმაკთ-მსახურისა(!) მეფისა
მალდისსა (!), რომელ აღწერა ნეტარმან სტეფანე დამასკელმან,
რომელი იყო ერთი მამათაგანი ლავრესა წმიდისა მამისა ჩვენისა
საბაჲსსა (ფ. 29—29).

დასაწყისი: წელთა კოსტანტინე მეფისა უშჯულოდსათა-
რომელ იგი აღძრვითა ეშმაკისაჲთა აღადგინა ბრძოლაჲ და შეუ-
რაცხებაჲ ხატთა ზელა წმიდათა.

ბოლო: მაშინ არა მიჰხედნა მას წმიდამან იოვანე ნათლის-
მცემელმან, არამედ ჰრქვა მას: „ირწმუნე ჩემი, მ პატრე აქ, რა-
მეთუ არა არს შენდა შენდობა ვიდრემდის დავდგეთ ჩვენ საშჯე-
ლისა წინაშე.

192

კაკაბადინის ერთი ფურცელი

1 ფ.; 35×22; ქალღი; უყდო; მხედრული; XIX ს-ნის მეორე ნა-
ხევარი (ხელის მიხედვით); შემოსულია 1925 წ. ყოფ. ლაზარევის ინსტი-
ტუტიდან (მოსკოვი).

დასაწყისი: ვისაც სისხლის გამოშვება უნდოდეს, ამ რიცხვების ნახოს და შეიტყობს, რომელ მთვარესა ჯობს სისხლის გამოშვება.

მთვარის პირველსა ვინც გამოუშვას, სიკვდილისათვის არ ვარგა.

ბოლო: იმ სახლში ვი(სა)ც არა სჭირს, იმ წამალში ორიე ნეკი უნდა შავლოს, გაიშროს და აღარ შეეყრება.

193

ლექსების კრებული

2 ფ.; 22, 31×18; ქალაღი: უყდო (დაშლიღი); მხედრული; XIX ს-ნის მეორე ნახევარი (ხელის მიხედვით); შემოსული : 1925 წ. ყოფ. ლაზარევის ინსტიტუტიდან (მოსკოვი).

1. ანბანზედ ლექსად თქმული (ფ. 1—5).

დასაწყისი: აღახუშნ ჩემნი ბაგენი, ღმერთო, სამებით ქებულო.

2. გ. დენიძის ლექსები (ფ. 6—17):

ა. კნიაჟნა თამარ რევაზ ერისთავის ასულს.

ბ. პასუხი აღექსანდრე ორბელიანს ქართველთ საზოგადოებაზედ.

გ. ქალო;

დ. კაკასი:ს შთა;

ე. ზმები;

ვ. სოფლელნი და მდინარე;

ზ. კრიჟინა და ქიანქველა;

წ. ვირი და ბულბული;

თ. სისხამი დილა;

ი. გამოსაღმება თვისის ყმებისაგან კნ. თაფლო ერისთავისადმი. როდესაც წავიდა კორინთიდან სოფელს ქალას.

3. აღ. ჭავჭავაძის და მოურავის ძის დიმიტრი ციციანოვის ლექსები სამ ფურცელზე (ფ. 18—21).

4. გრიგოლ ორბელიანის და სხვისი ლექსების ნაწყვეტი (ფ. 31—27).

194.

ლოცვები

2. ფ.; 23×16,7; ქალაღი: უყდო: მხედრული; XVIII ს-ნის ან XIX ს-ნის დასაწყისის (ხელის მიხედვით); შემოსულია 1925 წ. ყოფ. ლაზარევის ინსტიტუტიდან (მოსკოვი).

დასაწყისი; ამ ევლოიტოს ო თეოს კვროს ტე ვიის ტო-
კირი.

ბოლო: მაკარი იაკონტეს ტონ ლოლონ ტუ თეუ კეში ლა-
სონტეს ავტონ.

შენიშვნა: მასალა ალ. ხაზანაშვილს თან მოჰყოლია ათონის ივერიის მო-
ნასტრიდან. მასალას გაკეთებული აქვს შემდეგი შენიშვნა XX ს-ნის დასაწყისის
ხელით:

დროსა „ჰყონია“ ფაშის შესვლისასა ლაშქრით ივერიის მონასტერში, ვი-
ნადგან მისის შიშისა გამო სხვა არვინ მოწესე მღვდელ-მონაზონი ბერძენთაგანი
ალარ იპოებოდა, მამა ვენედიქტე ამით ასრულებდა ლოცვას ბერძნულს ენაზედ
ხოლო საიდუმლოს და ყოველს წესს ღვთის მსახურებისა ეკლესიაში ქარ-
თულს ენაზედ.

195

საგალობელი მოწამეთა დავით და ტარიზანის

2 ფ.; 24,7×20,4; ქალაღი; უყდო: მხედრული (თავ-ასოები წითუ-
რით); 1902 წ.; შემოსულია 1925 წ. ყოფ. ლაზარევის ინსტიტუტიდან
(მოსკოვი).

დასაწყისი: თვესა მაისსა 18 წმიდათა მოწამეთა დავით
და ტირიციანისა... 62 და მხნეონი. სომხითისა სანახებსა ხენი ყო-
ვლად შევნიერნი აღმოსცენდეს ვარდან და თავინე ღირსნი.

ბოლო: წმიდათა თანა იხარებენ მარადის და ითხოვენ შენ-
დობას ქრისტეს მიერ, რომელნი ღღეს სახსენებელსა მათსა ქე-
ბით პატივსცემენ.

შინაწერი: აღმოწერილ არს მაისის თვეის ივერიის მონასტრის ბიბლიო-
თეკიდან 1902 წ. მღვდლის ალექსი ბაქრაძისაგან.

196

პრეპუული წმიდანების ცხოვრებათა

15 ფ.; 26×20,5; ქალაღი; მხედრული; 1902 წ.; შემოსულია 1925 წ.
ყოფ. ლაზარევის ინსტიტუტიდან (მოსკოვი).

ხელნაწერი წარმოადგენს ალ. ხაზანაშვილისათვის ათონის-
ივერიის მონასტრის მასალებიდან გადაწერილს (როგორც სჩანს,
1902 წ.) წმიდანების ცხოვრებას. ხელნაწერში მოთავსებულია
შემდეგი ნაწარმოებნი: წამება ყრმათა წმიდათა რიცხვით ცხრათა;
წამება წმიდათა მოწამეთა; ჩვენებისათვის კოსტანტინე მეფისა;
აღსრულება წმიდისა საჰაკისა; წამება წმიდისა შფუანიკისა (მოკ-
ლე რედაქცია); წამება წმიდისა იზიდ-ბოზიდისა; წამება წმიდათა
მღვდელთ-მოძღვართა სომხითისათა არისტაკესი, ორფანესი, ოსი-

კისი, გრიგორისი, დანიელისი; წამება წმიდისა საგდუხტისი; სიტყვანი წამებისათვის წმიდისა უსიკისი; წამება წმიდისა ნერსე მთავარეპისკოპოსისა სომხითისა და ხადისი ეპისკოპოსისა მოწათვისა მისისა; წამება წმიდისა ვარდანისი; წმიდათა ყრმათა ორთა ძმათა დავით და ტირიქანისი.

197

კ რ ი ბ უ ლ ი

272 ფ.; 35,5×22; ქალაღი; უყდო (დაშლილი); რუსული და ქართული ტექსტი; 1900 წ. და XX ს-ნის დასაწყისი; შემოსულია 1925 წ. ყოფ. ლაზარევის ინსტიტუტიდან (მოსკოვი).

1. Тетрадь для записи разных легенд воспитанника к(утаисской) у(чительской) семинарии Симеона Н. Кварацхелия за 1900 г. (ფ. 1—7).

2. თიმსარიანი, გადმოწერილი ალ. ხახანაშვილის ხელით წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების № 1538 ხელნაწერიდან (ფ. 8—17).

3. Труды А. Хаханова (სია, ფ. 18—21).

4. Отчет о состоянии специальных классов Лазаревского института восточных языков за 1897—1898 акад. год, ფ. 22—23);

5. Поездка в Сванетию (А. Хаханова, ფ. 24—32);

6. Отчет о состоянии специальных классов Лазаревского института восточных языков за 1898—99 и 1899—1900 акад. годы (ფ. 33—37);

7) Тетрадь для записи разных приключений воспитанника кут. учительской семинарии Симеона Н. Кварацхелия № 1 за 1900 г. (ფ. 38—63);

8. იგივე № 2 (ფ. 64—87);

9. სხვა და სხვა მასალები და წერილები (ფ. 88—154);

10. მარიამ დედოფლის ქართლის ცხოვრების პირი, გადაწერილი ილ. ოქრომჭედლიშვილისათვის (ნაწილი, ფ. 155—272).

11. ბოლოში მოთავსებულია ალ. ხახანაშვილის ნაწერები.

198

ზღაპრები, ზელოცვაები და გამოცანები.

10 ფ.; 22×17,5; ქალაღი; უყდო რვეული; სრული; მხედრული; XX ს.; ავტოგრაფი; ამოღებულია ა. ხახანაშვილის კოლექციიდან. ჩაწერილია ალექსანდრე იაშვილის მიერ.

1. ორი ძმა (ზღაპარი, ფ. 1r—6r).

დასაწყისი: იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ხელმწიფე. იმას ჰყვანდა ცოლი და უშვილონი იყვნენ...

ბოლო: ეს ძმები წავიდნენ თავის დედ-მამასთან. პატარა ძმამ ცოლი წაიყვანა. გაიარეს, ის ქალიც წაიყვანეს. დიდმა ძმამ დაიწერა ჯვარი იმ ქალზედ და იცხოვრეს ერთად და მშვიდობით.

2. შელოცვები (ფ. 6r—7r).

ა. მგლის პირის შეკვრა.—ეკენია ბეკენია, ეკე ხატი ასენია, მგელი მოდის ველითა, ცეცხლი მოაქვს პირითა, ერთო ღმერთო, ჩამოაგდე ცხრაკლიტული რკინითა...

ბ. საკეკი ქარის ლოცვა.—საკეკი შემოჩვეულა ჩვენი ვენახის ბოლოსა; ისე სკამდა რკინასა, როგორც ხარი თივასა.

გ. თვალის ლოცვა.—შეგილოცავ თვალისასა, პირველ ჩემის თავისასა, შინაურისასა, გარეულისასა, ავთვალისასა...

დ. შეშინებულის ლოცვა.—დაჰსწვები, დაგეძინება, პიჯვარი დაგეწერება, ცხრა ხატი, ცხრა ანგელოზი სულ თავით დაგესვენება.

3. სახალხო ლექსი (ფ. 7).

ჯეილი რო დაბერდება, მიუჯდება კერასა;
ვინც იმას არასა ჰკითხამს, ატაკტაკებს ენასა.

4. ცრუმორწმუნეობა (ფ. 7v—8r).

დასაწყისი: ქუხილი იქიდგან არის, რომ ბებერი კიდობანში ზის, დადის და არახრახებსო.

ბოლო: ახალწლის დღეს იციან: ჭურჭელი თუ დაიმტვრა, წლამდინ ისე გაივლისო.

5. გამოცანები (ფ. 8r, 10v).

ა. ერთსა აღსნასა გიამბობ, გამოცანას სიბრძნე აქვს...

ბ. აზნი უზნი კარენი, კაცნი ჩიბუხ ტარენი...

გ. სახლი უდგას ელვარია, შიგ არი ჩვენი სახისა...

დ. დილის ვარდი მოფრინავდა საღამოზე ბინდისასა...

ე. შორიღამა ვხედავ შავია, ახლო მივალ მკვდარია...

ვ. ჩავდე ორპის ტოლა მიწაშია, ამოვიღე კოკების ტოლა...

ზ. დავდგი ტაფა, ჩავდე ღუმა, დადნა ტაფა, არა ღუმა...

6. მწვანე ცხენი (ზღაპარი, 8v—10r).

დასაწყისი: იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ხელმწიფე. იმ ხელმწიფესა ჰყვანდა სამი ქალი...

ბოლო: ელასქ მელასა, ჭიქა გვეკიდა ყელასა; მთქმელსა და გამგონესა, ძილი გაამოთ ყველასა.

ზღაპრები და გამოცანები

14 ფ; 21,9×17,5; ქაღალდი; უყდო რვეული; სრული; მხედრული; XX ს.; ავტოგრაფი; ამოღებულია ა. ხაბანაშვილის კოლექციიდან. ჩაწერილია მიხეილ ტანიშვილის მიერ.

1. ბაყაყი (1 r 4v).

დასაწყისი: იყო ერთი კაცი, ჰყავდა სამი ვაჟი, სამნივე შამძლე ვაჟაკნი იყვნენ. მაგრამ პატარა ყველას სჯობდათ.

ბოლო: ახუნდომ შესრულა თავის სამსახური და დაბრუნდა შინ. ამის შემდეგ ავად ხმის გაცემა (არვის შეეძლო) და სცხოვრობდა ბედნიერად.

2. ხელმწიფის შვილი და იმის ძმობილი სოვდაგარის შვილი: (5r—12r).

დასაწყისი: იყო ერთი უშვილო ხელმწიფე, შვილი არ უჩნდებოდა და დიდს მწუხარებაში იყო.

ბოლო: ამ ნაირათ დასაჯა თავის მოღალატე ბებერი. კირი იქა, ლხინი აქა, ქატო იქა, ფქვილი აქა.

3. ხელმწიფის შვილი (12r—14r).

დასაწყისი: იყო ერთი ხელმწიფე, ჰყავდა ერთი ვაჟი, მოკვდა ხელმწიფე. შვილმა მიიღო დიდი სიმდიდრე, სულ ლოთობაში შექამა.

ბოლო: მამა ჩემი იყო დიდი სოვდაგარი. ეს კაცი მოკლეს, ჯერაც არ ვიცი, ვინ, იყო. წავედი ვნახე, ცალ ძუძუში დანა ჰქონდა და ცალ ძუძუში—ხანჯალი. თუ [ეს]ეთ[ი] დანა შენია, მამა ჩემიც შენი მოკლული იქნებაო. ხელმწიფე გაშრა და ხმის ამოღება ვეღარ შეეძლო.

შენიშვნა: ბოლო ფურცელზე (14r) დართული აქვს ოთხი გამოცანა და სამთვარიო დარიგება.

200

გამოკრებილ სამოციქულოს ნაწყვები

2 ფ; 17,6×12,6; გრძელი; უყდო; ნაწყვეტი; ნუსხურად (სათაურები სინგურით დასაწყისი ასოები ასომთავრულით); XI ს. (ხელის მიხედვით); შემოსულია პროფ. ა. ხაბანაშვილის კოლექციიდან.

იწყება: ...თა მომავალი იგი მოვიდეს და არა ყოვნოს, ნოლო მართალი სარწმუნოებთა ცხონდეს...

წყდება: წარდგომად, კმა და გვერდი, ყოველი ქუჩყანად
თაყუანის გცემდეს შენ. შუკლი. ღმერთო, დიდებითა რომელსა
ყოველი ქუჩყანად...

მინაწერი (XIX ხელით მხედრულით): „ექვთიმეს-ჯელის“.

201

ლექსთა კრებული

127 ფ.; 22,4 × 17,2; ქალაღი (მოლოტრჯო); ყდიანი; მხედრული (სა-
თაურები და თავ-ასობი სინგურით); XIX ს-წის დასაწყისი (ხელის მიხე-
დვით); შემოსულია 1925 წ. პოლ. კარბელაშვილისაგან (გურჯაანი).

1. თეიმურაზ I-ის „ღლისა და ღამის გაბაასება“ (ფ. 5—49v).
2. „ანბანთ ქებანი“ თეიმურაზ I-ის, დავით მეფის, ნიკოლოზ რუსთველის, ონოფრე ბოდბელის, თეიმურაზ II-ის, თეიმურაზ I-ის, თეიმურაზ II-ის, არჩილ მეფის (49r—61).
4. სამების ქება თეიმურაზ II-ის (ფ. 61r—66r).
5. ანბანთ ქება, ახლად თქმული, ბაბათაშვილის ტფილელის იოსების მიერ თქმული (ფ. 71r—73).
6. ანბანთ ქება ვახტანგ ბატონიშვილისა (ფ. 73—75).
8. „აქა სხვა და სხვა ანბანთ-ქებანი იწყებიან“ (ფ. 72—80);
8. ანბანთ-ქება დოსითეოს ჩერქეზიშვილისა (ფ. 80).
9. „პირველის მეფეს თეიმურაზისაგან თქმული გლოვა დე-
დოფლისათვის“ (ფ. 80—81).
10. „ეს ვახტანგ ბატონიშვილისაგან თქმულია“ (ფ. 81v—82).
11. გრემის სასახლის ქება თეიმურაზ I-ისა (ფ. 82 r).
12. ტფილელის ნათქვამი; შემოქმედელის ნათქვამი (ფ. 82).
13. „ეშყიხონია“ (ფ. 83r—86).
14. მიჯნურთ ბადე (ფ. 86v—96r).
15. დავით მღვდლის „გიობა ზაქარია მოძღვარზე და პასუხი
(ფ. 96r—99r).
16. „ანზე ვისი ყმა ხარ, ლექსად თქმული“ (ფ. 99r—100).
17. შვეთელის მიერ შესხმა (ფ. 101r—106r).
18. „სხვაგვარ შაირ ლექსნი“ (ფ. 106r—108v).
19. ერეკლე ბატონიშვილის შვილის სიკვდილის გამო თქმულნი
(ფ. 108v—109r).
20. დავით გურამისშვილის ლექსები (ფ. 109r—110v).
21. „კატა-თავგვიანი“ (ფ. 111 r—113r).
22. მანანას ნათქვამი (ფ. 113r—117v).
23. წილქნელის ამბროსო მიქაძის ლექსები (ფ. 118r—127r).
ამათში შემდეგს ტექსტს აქვს ავტობიოგრაფიული მნიშვნელობა.

ამებმა გაიაროს და ახლა ეს დავეწეროთ.

ოდეს მწყემსობით ცხოვრებდა არაგვზე წილკნელი ამვროსი მიქაძე, სიონის დეკანოზის ძე, ჟამსა სანატრელის ლეონ მეფის ძისასა, მისის შობის დღე მიულოცა ესე ვითარისა შესხმითა უფე, აპრილს თ.

(ამას მიყვება ლეონ ბატონიშვილის შესხმა).

ნაკერი ჯელსაჯოცი მიულოცა და შაირად მოახსენა:

იესეანს, დავითიანს, ბაგრატიონს მეფის ძესა,

ლეონს სახელ საქმე მაღალს, არაგვთ ბატონსა მპყრობელსა,

მე, მონას, მისსა მლოცველსა, ვის ამვროსი სახელ მძესა.

და მიულოცავ ჯელსაჯოცსა, ჩემს სატრფოსა სწუმენდსა ჯელსა.

მეორეს დღეს ანანურს წაბძანდა ეს საწყალი ბერი, დიდად უყვარდა, ანანურს აწირვინა, ქადაგება იწყო: „შენიერ სიკეთითა უფროს ძეთა კაცთასა“. წირვას დიად კარგი ცხენი უბოძა და დუშეთს გამოისტუმრა და თვითონ მღეითეს წაბძანდა.

შემდგომად რაოდენსამე წელს გაგვიწყრა ღმერთი, ლეონ სანატრელი ქისიყს გარდაიცვალა.

(ამას მიყვება ვახტანგ ბატონიშვილის შესხმა 4 ტაეხად).

შემდგომად რაოდენთამე წელთა გარდაიცვალა სანატრელი უწმიდესი იესე მეფის ძე ანტონი და რუსეთილამ მობრძანდა მეფის ირაკლის ძე ანტონი საქართველოს უწმიდესად და ყოველნი მივეგებებით ჩიზამდე. წამობძანდა, მთიულეთი გამოიარა და წილკანს მეწვია. მერმე კიდევ დუშეთს წაბრძანდა, იწვია ვინმე და უბრძანა წილკნელს ხლება და ვერ იახლა. იქილამ რომ გამობრუნდა, სამღურავი უბრძანა. წილკნელმა მიიწვია და შაირად მოახსენა და ამბათაც მიზეზები.

კათალიკოსი მობძანდა, წილკნელი მიეგებაო;

უბძანა—რად არ წამოხველ, არა გაქვს სიტყვის გებაო;

მაგრამ შენდობის ღირსი ხარ, არ მინდა შენზედ კრებაო

და ახლა დაჯექ და თქვი რამე, რაც ცეცხლი შენ გედებაო.

ახლოდ იახლა წილკნელი, სიტყვა რამ მოასმენინა;

დიდი ცოდნაა კაცისა, ვინც გულსა მოათმენინა,

მაგრამ სადამდის დაეფარო, ვინც ეს საქმე მაქნევინა

და არაგვი დამაგდებინა, აქ ვილსაც მათრევინა.

მოგახსენებ, ჯელმწიფეო, სად ყოფნით გდებით ბერია;

გებრძანა და ვერ გიახელ, ტკივილი ბევრი მერა;

აქ მყოფთ ბოროტთა ურჩთაგან გონება გადამერია.

და ეს სხვა ქირი და საწუხი, საგურამო ლექს სჭერია.

ქადაგების გარდაგდება, ლექსთა თქმა რა სახელია;
წლამდის უწირავად დგომა ეპისკოპოსთ რა ხელია;
და სხვა ცოდნა ტიბიკონი, გალობა გარდამელია;
და დღესასწაულთა გარდაჯდას თვალთ აღარ მნახველია.
ღმერთმან იცის, ბატონები კარგნი გვეყანან და მარგები;
მშვიდნი, წყნარნი და მდაბალნი, გულითაც უცხოდ ვარგები;
მაგრა ზოგნი შინა ყმანი მტყუანნი, ცრუ, არ ვარგები;
და ამყრელნი, სახლის დამქცევენი, ჩემნი იქმნენ დამკარგები.
რა დავაშავე არაგვზე, წიგნი წერა და გალობა;
ჩემგან ღვწა და მსახურება, იმათგან ზრდა და წყალობა;
ვიეთგან გველიქრელობა, მათებრი ხატაველობა,
და აყრა დაყრა და ძალობა, აქ ჴენა, ღეწვა და კალობა.

შემდგომად უწმიდესი ქალაქს წაბძანდა და შექცევით ეს
წერილი წარიღო და მრავალთაც მიუთხრა ზებირ დასწავლით
დღესცა:

ამისა შემდგომად ქორონიკონს უბ, ფებერვალს ივ, უმაღ-
ლესის მეფის ირაკლის ოქმი ებოძა აქავ წილკანსვე ამავე წილკნელ-
სა, უცხოდ მოწყალეებიანი, დღესაც შესანახავი, ებძანა—ციცკრის
აღილო ქართლსა და კახეთში აღარავის ახსოვსო, ქალაქს ჩამო-
დი და გვასწავლე და იშოვნი რასმეო. მერმე ამან შესაბამი არზი
მიართვა და შემდგომი ესეც ასე მოახსენა, რომ დღესცა ზებირ
აქციან შთამოთა ბატონთა:

რა თქვენი ოქმი მებოძა, აღარ მივეც თავი ძილსა;
უდაბნოში წინამძღვარსა გამომაჯვეს სიტყვა ტკბილსა;
იქ იკორთა დაუტევე, ვერც იქ ვენდე ლეკის კბილსა,
და წილკანს უარესი მიყვეს, ვერც აქ უძლებ გნუთის
თხრილსა.

ჯერ წილკანი ხომ არ იყო, თქვენცა უწყით, უშენ იყო;
მოველ, ვაშენე რაც იყო, ნაღვაწი არაგვით იყო;
ვერ ვიტყვი, ვინც ეს მე მიყო, პირი მე იქით დამიყო;
და რომელმაც ეს საქმე მიყო, მამულები სულ დამიყო.

უდაბნოში ღოღო დამრჩა, იკორთაში წინამძღვრობა;
ქალაქს გახლდი, მგალობლობა, მწერლობა და მწიგნობრობა,
წილკანს გუთნის ვერ გაწყობა, ვერც საგურამოს ლაშქრობა;
და წერილთ წყობა, კასმათობა, დამავიწყეს ძველი თხრობა.

ყური მომიპყარ, ჴელმწიფევე, მე, რაც ძალმიძს, ჴებას მოგცემ;
გებძანათ—იშოვი რასმე, ქალაქს მოდი, შეებას მოგცემ;
გვამცნებს ბძანება უფლისა, მერწმუნეთო—მცნებას მოგცემ;
და მამცემ რასმე, ჴელს მოგიშვერ; არას მომცემ, ნებას მოგცემ-

ის ჩემი არზი და ეს რომ იოანე მღვდლის გალატოზის შვილის-
ველით მიერთებოდა ქალაქს, მერმე ებძანა—შენს მადლს, დაისწავლე,
ეს ასე მისწერეო ბატონის ნათქვამი:

შენ ეგ ალილო გვასწავლე, მე ვიცი, რაც რომ გარგეო;
ეგ ენა პირი და გული, ალაღე ჩვენთვის ბაგეო;
ოფოფას მალ გამოგაცლი, მისი გული დადაგეო;
და ერთი კიდევ სხვა მოგვწერე და მერმე აიბარგეო.

ეს ბძანებაც რომ მოუვიდა და იოანე მღვდელსაც ესეც-
გამოგე ზავნა და თავისიც მიეწერა, მაშინვე აიბარგა, ეგოდენი-
ოქაური ნაღვაწი და გარჯილობა მოქცეულის გუმბათისა, რუსე-
თიღამ მოტანილის დიდის ზედ-ჯვარისა და ისე წილკნელის სანა-
წილისა და სხვა ეგოდენის შენობისა, ყოველი დაუტევა და ქა-
ლაქს ბატონს სალხინოში მრავალნი ახლდენ, იახლა, თაყუანისცა-
და ეს მოახსენა:

კვალად ისმინე: ჯემწიფევე, აღარ ვსდგები წილკანს მერო:
ვერც უშენოდ გავსძლებ საღმე, თუ გინდ კარში გამაგდეო;
ჩემი გაძლება ჩემს გლახაკს ჩემს სახლს ახლო მიმაგდეო;
და საოსტატოს არასა გთხოვ, მანდ წენს მლოცვლად დამა-
გდეო.

შემდგომად იმავე ღამეს ცხრა საათს გასულს ებძანა იმის-
მა მზემა. იახლა და ხუთჯერ ბძანა თვითან და მერმე მეთოდი—
უცხო მგალობელი, მაგრამ იმერეთში არ იციანო და გიორგი ვე-
ლაშვილი დეკანოზი იქ ახლდენ და იმათ უბძანა—მე ვერ მოვიც-
ლი და თქვენ დაისწავლეთო და იმათ ათს დღეზე დაისწავლეს.
ბატონი თურმე ხშირად ათქმევიენებ(დ)ა. მერმე მიბძანა—შენის
მმის დაწერილს ლოცვებში ანდრიის საგ(ა)ლობელი ზოგი დამე-
წვაო და იმის ველზე შენ უკეთ გამოსწერო. გარჯითაც გამოეს-
წერე. და მეტიც მიბოძა საწერი და შეკრებულებაში ასე ბძანა.
იმისმა მზემა: კურთხეული მამა ამასი ჩვენს სამსახურში ახსრულ-
დაო, სანატრელი დედა ჩემი დედოფალიო ღმრთის კაცს უძაბ-
დაო, მოიყვანდისო და მაკურთხებინებდისო. მერმე მანგლელობა
მიბოძა და მერმე ნეკრესლობა. ქორონიკონს უპბ, დეკემბერს ბ,
შილდას რომ მიმიყვანეს, რაც არაგვსა და წილკანს გარჯა მქონ-
და, ჩემა სულმა, რომ აქ უმეტესად გავისარჯე სულიერის (ს)წავ-
ლითა, თუ ჯორციელის შენობითა და ეკლესიაზე გარჯითა. თვი-
თანც უნდა მხედველნი იყვნენ.

შემდგომად ვითარცა წილკანს წმიდის ისესი ირიკოები
დავწერე, ეგრევე აქა წმიდას აბიბოსს ირიკოთი შესხმას შეე-
წირავ.

(შემდეგ მოთავსებულია წმ. აბიბოს ნეკრესელის შესხმა, ქება კათალიკოზ ანტონ II-ისა და სხვადასხვა სასულიერო ლექსები).

202

ბ ა რ ა მ ი ა ნ ი

102 ფ.; 20,4×17,2; ქალაღი (ღურჯი); ყდიანი; დანიანბული; XIX ს-ნის დასაწყისი (ხელის მიხედვით); შემოსულია 1925 წ. პოლ. კარბელაშვილისაგან (გურჯანი).

დასაწყისი: ამბავი დასაწყისი მაშრიყის ხელმწიფისა. იყო ერთი ქელმწიფე ჩინეთისა ხოსრომას, დიად ძლიერი და მაღალი. უშვილობისათვის ასეთ მწუხარებაში იყო მიცემული, რომ ყოველი თავისი სახელმწიფო და საბრძანებელი ჩალად მიაჩნდა.

ბოლო: წელიწადში ერთხელ ერთმანეთს ნახამდნენ. იყვნენ დიდს შექცევაში და განცხრომაში. დასრულდა მათი ამბავი

შენიშვნა: უკანასკნელ გვერდზე სხვა ხელთ მიწერილია ცნობა კვიმატი დღეების შესახებ.

203

ცხოვრება თეოდორისი

7 ფ.; 22×16,5; ქალაღი; უცდო; XIX ს. (ხელის მიხედვით); შემოსულია 1925 წ. პოლ. კარბელაშვილისაგან (გურჯანი).

დასაწყისი: მესამესა კვირიაკესა დიდმარხვისა, ჯვართა აღპყრობისა თავყანისცემისასა იხილნა მან სულელმან მრავალნი სულნი შემავალნი თავყანისცემისა ჯვარისა მაცხოვრისასა.

ბოლო: წლის შემდგომად გააღეს საფლავი მისი, აღმოიღეს და ნაწილად დახსნეს და მადლი და ლოცვა და კურთხევა ამა წმინდისა(!) ყოველთა მართლმადიდებელთა ზედა საუკუნოდ-გან უკუნისამდე, ამინ.

204

მინერალთა თვისებაანი და მკურნალობანი მათ გამომ

38 ფ.; 16,4×11,7; ქალაღი; ყდიანი; თავბოლო ნაკლული, შუაშიც აკლია; მხედრული (თავ-სიტყვები სინგურით); XVII ს-ნის დასაწყისი (ხელის მიხედვით); შემოსულია 1925 წ. პოლ. კარბელაშვილისაგან (გურჯანი).

იწყება: ...ხიან, რომე ფერიც წაუვა და კიდეცა დაბერდგ-ზის, ამად რომე წყლისა და მიწისაგას არის ადამის ტომიცა, მის-

გან არის დაბადებული და რა დრო მოუვა, დაბერდების და ფერი მოაკლდების.

წყდება: და იგი დიდვაქარი თანა წაიტანეს და მიმართეს მას თემსა და კუნძულსა, სადა იგი ობოლი ქალი იყო და განგებითა ღმრთისათა.

205

წიგნი კატილორიაჲ სიმეტნეჲ

148 ფ.; 17,8×11; ქალაღი (ნაწილი მონღურჯოა); ყდიანი (ხისა ტყავ-ვადაკრული); მხედრული (სათურები ასომთავრულით, სათურები და თავ-ასოები წითურით); 1794 წ.; შემოსულია 1925 წ. პოლ. კარბელა. შვილისაგან (გურჯაანი).

სათური: სადიდებლად ცხოველმყოფელისა თანაარსისა და განუყოფელისა სამებისა ანტონისაგან, არხიეპისკოპოსისა ყოვლისა ზემოხსა საქართქმლოხსა დავითიან ბაგრატოვანისა, ქმნილი ანუ თქმული წიგნი კატილორიაჲ სიმეტნეჲ, დაჰსჯილი მისგან ვმასა ზედა არისტოტელისა შედგომითა ლემისითა, მაგრა სხუათაცა სხოლასტიკოსთა და ახალთა ფილასოფოსთა განსაზღურებათაგან და გარდამოცემათა მოღებული, ხოლო წინადადებულ თვსთა სხოლისა მოწაფეთა, დროსა ყოვლად ბრწყინვალისა, უკეთილმსახურესისა და უმაღლესისა ირაკლი მეორისა მეფისა ყოვლისა ზემოხსა საქართქმლოხსასა, ხოლო მამათმთავრობისა თვისისა, წელსა დასაზამითგან სოფლისა 7275, ჯორციელეთგან შობით სიტყვისა ღვთისა 1767, თთქსა მერტქსა რიცხუთა 9, დაიწერა ახალსა გნოსისსა შინა სამეფოსა მისისა მეფობის უმაღლესობისასა.

დასაწყისი: წინასიტყვაობა წინამდებარისა წიგნისა ხუთ-ტაეპოვანთა სიტყუათა ანუ დასდებელთა ზედა ცხრა რიცხუთა, ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა დავითიანისა.

არ სილაღითმან, კადრმან გუათანადა ჩვენ უხილად გელყოფად ქუშთქმულენი ძულნი, რომელ ესე ძულთა სხოლასტიკოსთა და ჩვენთაცა ჰქმნეს მრავალთა ვმანი ჩვენდა, მაგრა თვისათვდს შრომაჲ სარაცხ ტკბილად.

ბოლო: განყოფითნი ხუთათვს ვმათა მისაწთომნი გუარნი, მაგრა ესე კმა ზიარებისათვს და განთვისებისათვს თქმულთასა სიტყუსაებრ პორჭიროისსა.

ქება, კურთხევა, მადლობა და თაყუანისაცემა შენდამი ღვთისა ჩემისა ცხოველმყოფელისა სულისა, რომელიცა სამობითსა რიცხუთა თანაარსთა შენთა გუამთასა, ერთ ღვთაებითსა შინა არ-

სებასა აღავსებ მით, რამეთუ შენ მიერ არს ყოველთავე ნიქთა შენ მიერ და ჩუჲნ შორისებულთა მოქმედებისა წარმართებაჲ. ამას მიყვება ფ. 126—148r პინაქს-ს იტყუაობაჲ.

ბოლო: ღისიკებრისა ყოვლადისა წარმოდგომა 676.

ანდერძი: (ტექსტის ხელით ფ. 148 v): სრული იქმნა 17 $\frac{2}{20}$ 94, იყავნ

სადიდებულად ემმანუილისა და უბიწოდ მშობელისა მისისა. აღიწერა იოანეს მიერ იალუხიძისა.

მე-20 ს-ნის ხელით: ეს კატიდორია ეკუთნის სიმონ ციხელს.

ხელნაწერის ბოლოში იმავე ციხელის მიერ მიწერილია ილია ჭავჭავაძის ქებითი დახასიათება.

206

საღვთო სჯულის კითხვა-მიგება

114 ფ; 17,8×11; ჰალადი; უცდო; თავ-ბოლო ნაკლული; მხედრული; XIX ს-ნის შუა წლებისა (ხელის მიხედვით); შემოსულია 1925 წ. პოლ. კარბელაშვილისაგან (გურჯაანი).

იწყება: კითხვა: რაოდენი წელი დაყვეს ისრაელთა ეგვიპტეს? მიგება: ოთხას ოცდაათი.

ბოლო: ხოლო უკედუ მათნი წიგნი და აღწერილნი წარაკითხეს, ძალნი განხორციელებისათვის ქრისტესისა და სახარებისა და უმიდათა შობათათვის აღუწერიან ვითარ ურიათა და სარკინოხთა და...

207

პროკლე დიადოხოსისა, პლატონურისა ფილოსოფოსისა, კავშირნი ღვთის-მეტაფიზიკითნი

264 ფ; 17,2×11; ჰალადი; ხის ყდაში; მხედრული; XVI ს-ნის მეორე ნახევარი (ხელის მიხედვით); შემოსულია 1925 წ. პოლ. კარბელაშვილისაგან (გურჯაანი).

დასაწყისი (ფ. 12 r): პროკლესი დიადოხოსისა, პლატონურისა ფილოსოფოსისა, კავშირნი ღმრთისმეტყულებითნი; ნაკუჭთნი 211.—ყოველი სიმრავლე ეზიარების ერთსა, ხოლო უკეთეს არა ეზიარების, არა ყოველი ერთ იქმნების და არცა თითოეული რომელთაგან არს სიმრავლე.

ბოლო: ცხად არს, ვითარმედ რა უამს ბუნებისაებრ საცნაურისა ძალისა მოქმედებს, არს უმწვერვალისა საცნაურისა ღმრთისადმი, რომლისადმი ღირს არს საცნაურთა ყოფა, რომელსა შევნის დიდება უკუნიითი უკუნისამდე, ამინ.

ველოგნეზისათვის რიტორიკის, ანუ იგი მამარმთაჭლოგნისა

131 ფ.: 21,5×16,4; ქალაღი; ყდიანი; მხედრული (სათაურები და თაგ-ასოები ასომთავრულით); 1770 წლის ახლოს; შემოსულია 1925 წ. პოლ. კარბელაშვილისაგან (გურჯაანი).

სათაური: მიხითარ ყოვლად ბრძნისა მოძღურისა სომეხთასა სევასტიელისა ქმნილი, წიგნი რიტორიკა სარგებლად ყრმათა სხოლის შინათა ქართულსა ჳმასა ზედა გარდამოღებით, შრომილი ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა ყოვლისა საქართუშლოგნსა დღვითან ბაგრატოვანისა, დროსა უკეთილმსახურესისა ყოვლად უბრწყინვალესისა და უმაღლესისა მეფისა ირაკლი მეორისა, მპყრობელისა ყოვლისა საქართუშლოგნსა, მამათმთავრობასა ანტონისასა, წელსა დასაბამითგან სოფლისა 7272 ჳორციელად შობითგან სიტყუსა ღვთისა 1764 თთუშსა მესუთესა.

ამას მიყვება (ფ. 2v—8r): წინასიტყუობა ეპისტოლე მიწერილი ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა ყოვლისა საქართუშლოგნსა დავითიან ბაგრატოვანისა ირაკლის მიმართ მეორისა, ძმისა, თვისისა მეფისა ყოვლისა საქართუშლოგნსა.

დასაწყისი: ფ. 8r.) წიგნი ა. თვს საზღურისა სამკვერ მეტქვოგნსა და წუალეზისა ნაწილთა მისთასა.—თავი ა. მკვერმეთქუშობა, რომელიცა ითქმის რიტორებად, არს ხელოვნება საკეთილმეთქვო, რომლითა ეზიარების სხუათა ყოველთა ჳელოვნებათა.

ბოლო: ხოლო მცირენი ესე სიმოკლისა მიერ დაქსულნი, კმა არიან სამკვერმეთქვოგნსათვის ჳელოვნებისა, სადიდებლად ღმერთ მამაკაცისა იესოგნსა, და პატივად მშობელისა მისისა ყოვლად ჳურთხელისა ქალწულისა ღუთისმშობლისა მარიამისა. დასასრული უკანასკნელისა ნაწილისა სამკვერმეთქვოგნსა.

მინაწერი: 1) კათოლიკოსი მიქსიმესი ვარ (ფ. 2r სხვა ხელით).

2) ჳყონდელს.

ქ. 2 დასტა ქალაღი ვაბაზი.

ქ. 1 აბაზი ლაქი. 10 აბაზი მივე, დანა და მაკრატელი იყო შიდ.

ქ. ბურნუთის კოლოფი ვიყიდე 6 აბაზათ (დაწყველიღმა დალაქიშვილმა გამიტეზა და წაიღო).

ქ. ბურნუთი 3 აბაზათ, კიქები ჩაწყობილი 8 აბაზათ.

ქ. დანა ერთი კიდე, სამმარჩილათ ცხენი ვიქირავე.

ქ. ერთი კოლოფი, რომელც ვიყიდე სამამანეთად.

ქ. მარანი ერთი ნაყიდი იყო ხუთ მანეთად.

ქ. ჳორგა ერთი, რომელიც ვიყიდე სამ მანეთათ.

ამაში მივიღე ექუსი ოქრო ბაჯალლისა საჩუქრათ ლუკამ წაიღო.

შენიშვნა: ეს მინაწერი, სხვა ხელით შესრულებული (ფ. 1r) უნდა ეკუთვნოდეს 1770—1775 წლებს და უნდა წარმოადგენდეს იოსებ კათალიკოზის მიერ ტყონდიდელისთვის მიცემულ საჩუქრის სიას. იოსებ კათალიკოსის შემდეგ ხელნაწერი, როგორც ჩანს, გადასულა იოსებ (იესე) გაბაშვილის ხელში. ის სწავლობდა რუსულს და ამიტომ რუსულად არის მიწერილი:

ქ. адва бунет три ол (ფ. 1r).

иосиф Габашев (ფ. 2r).

иосиф Габашев (ფ. 7r).

209

გახტანვის სამართალი

202 ფ.; 17×11; ქალაქი (ნაწილი ლურჯი); ხის ყდიანი; მხედრული (სათურები წითურით); XVIII ს-ნის მეორე ნახევარი (ხელის მიხედვით); შემოსულია 1925 წ. პოლ. კარბლაშვილისაგან (გურჯაანი).

1. ფ 1—4 სარჩევი.

2. პეტრესაგან თქმული, იოანესაგან თხზული (ფ. 5r).

ქ. ალვაბუტკი გულსა დალად ერხევე ვარდად ზრო
შელვანობით.

თან ისარე, კავ ლოყ მაშვენ, ნარგიზ ოლპირ ჟუჟუ-
ნობით,
რეა სარეტან, უბეთა ფშვი, ქარლაწუ ყელ შუქჩა-
რობით.

ციმციმ, ძუძუთ, წამწამთ ქჭრეტა ხალს ფშავს ჯაჯით
ჰასად ჭობით.

3. საძიებელი ანბანზე 9—15r).

4. ბერძნული სამართალი (ფ. 17—132).

დასაწყისი: ქ. ლევან ბრძნისა და კოსტანტინესი და სხვათა ჯელმწიფეთა მიერ თქმული, და განწესება სჯულისა კანონი მეფეთა და სიმართლისა მოსამართლეთათვის, რა რაოდენიცა ეწეროს წიგნსა ამას შინა, მცირედიცა არა განვაგდოთ, არამედ ყოველივე ვისმინოთ და ვჰყოთცა.

ქ. რომ მოხდეს და დადგეს მსაჯულად კაცი ვინმე სასამართლოდ კაცსა ზედა, უკეთუ ენებოს კაცსა მას მსაჯულად სახელისწოდება ამა წესთა და რიგთა...

ბოლო: ქ. უკეთუ ვინმე სხვის მიწის სიახლის ალაგისათვის ქირა მისცეს და რუ გაიღონ, რადგან ქირას მისცემს, მისი მასალა იმ მიწაში უნდა დაჰყაროს, რუს გასაკეთებად ვერ დაუშლის მიწის პატრონი.

5. სამართალი პირველი შესავალი ა. ბატონისშვილის ვახტანგის ნაბრძანები. (ფ. 1—53).

დასაწყისი: მყოფისა, უმყოფისა არსისა და უარისისა მქე-

ში, არა თუ ღირსად და შეძლებისა ჩემისაებრ მექებელი და მშობნელი, უღებად მქონე მპოვნელი ვიქმენ მეფენი დღითი დღე მრეველნი, ხელთა მარგარიტთა შინა და პპოებენ შძიკთა რათამე.

ბოლო: წესად ასე იყო: ან თუ ბატონი უბოძებდა ვისმე გლესსა, ან წაართმევდა ან ასაყრელი იყო და აპყრიდნენ, ეშვიკა-ლასი და იასაულნი იმავე გლესს ჯარსა და მარჩილს გამოართმევდენ. სამღივნოსა და საიასაულოსაც გლესს გამოართმევდენ; ეს, დიად, დიდი უსამართლო იყო; ახლა ჩვენ ასე გაგვირიგებია; ვისაც გლესი მიეცეს; იმან მისცეს.

შენიშვნა: ფ. 55v—63 მოთავსებულია XIX ს-ნის ხელით ამონაწერები საეპიმო წიგნიდან.

210

ა ვ ვ ა რ ო ზ ი

54 ფ.; 11,9×8,5; ქალღი; ყდიანი; მხედრული; XIX ს-ნის დასაწყისი (ხელის მიხედვით); შემოახულია 1929 წ. პოლ. კარბელაშვილისაგან (გურჯაანი).

დასაწყისი: სახარება იოანესი, თავი პირველი. პირველი-თვან იყო სიტყვა, და სიტყვა იგი იყო ღმრთისა თანა, და ღმერთი იყო სიტყვა იგი.

ბოლო: თირკმელთა, თეძოთა, ბარკალთა; მუხლთა, წვივთა, კოჭთა, ფერხთა, სამას სამოცდახუთისა ასოსა კაციისასა, რადცა კირი ხართ, განეშორენით მონასა ამას ღთისასა.

წმიდაო გიორგი ჩხარისაო, წმიდა გიორგი საღვირისაო, წმიდა გიორგი ხონისაო, წმიდაო გიორგი ილორისაო, (წმიდაო გიორგის აღარ ვიმეორებთ) სუჯუნისაო, ზღვის პირისაო, გვარამეთისაო, ხუცუბნისაო, ამაღლებისაო, ჯიბანჯურისაო, ლეხაურისაო, ავისაო, გამოჩინებულისაო, ქონქათისაო, გურიამთისაო, გოგორეთისაო, მეღეჭელურისაო, ექადისაო, ქაბუჯჯურისაო, ღუაბზუნისაო, წითელმთისაო, ზენდრისაო, ბოქორისაო, გონებისაო, ძლევისაო, ძეგორისაო, კიტოზეთისაო, ვაკიჯვრისაო, ციხისაო, მთისპირისაო, ფამფალეთისაო, მეწისაო, სანავარდოისაო, ქველობნისაო, ახალშენისაო, გორმალლისაო, მრავალ-ძალისაო, შუშანეთისაო, ჩუამაეთისაო, ორკისაო, როკეთისაო, ფერსათისაო, ლანჩხუთისაო, ხუარასანთა ტყვეთამხსნელო და პირვეულთ მკურნალო, იხსენ მონა ესე შენი ამ ავგაროზის პატრონი.

შინაწერი: (ფ. 53—54 სხვა ხელით) ეს სამკურნალო ავგაროზი შევიძინე ჩუყვ წალსა უდაბურ წყალწმინდის მმართველმან სიმონ ქორიძემ. ღმერთო, მოგვიხსნე თავდადებულნი ძმანი, იოსებ და სიმონ წყალწმინდელნი—ქორიძე და ლუყავა. უდაბურ წყალწმინდას დაბრუნდა წისკვილი ჩუყვ წლიდამ ჩუყვ წალაღვ.

წამოკლებული კანონი მონაზონებითისა ცხოვრებისაჲ

35 ფ.; 16X10,2; ქალაღი; ყდინი; მხედრული (სათაურები და თავ-ასოები ასომთავრულით და წითურით); 1859 წ.; შემოსული 1925 წელს პოლ. კარბელაშვილისაგან (გურჯანი).

დასაწყისი: რამე არიან უპირტყლესნი თანამდებობანი. მონაზონებისანი?

სიყურული ღვთისა ყოვლითა გულითა, ვითარცა მამისა და მოშიშება, ვითარცა უფლისა. სძლისპირნი ყოველთა საუფლოთა ღღეთანი, ღირს არსისა წილ (ფ. 9v).

დასაწყისი: ქრისტეს შობისა: აღიდგე სულო ჩემო, უბატონისნისი მალლისა მხედრობათა ქალწული ღმრთის მშობელი ყოვლად წმიდა.

ბოლო: ჰშტყნის იოანეს სუნნელება, ჰშტყნის ნათლის მცემელსა ქებათა შუწყნიერება, რამეთუ დასაბამი ცხოვრებისა გვიქადაგა, რომელმან აღიმღერნა საშოსა შინა და ჯმობდა უდაბნოს, ვითარმედ შეინანეთ, მეუფისა მხედარი და წინამსრბოლი, რომელი მარადის ევედრების ღმერთსა სულთა ჩვენთათვის.

მინაწერები: (ტექსტის ხელით). ქებათხვევის მონასტრის ბერს ნიკონს (ფ. 1) 1859 წ. სულერი მამა შენი არხიმანდრიტი ტარასი (ფ. 10r).

ეს რვეული ქებათხვევის მონასტრის ბერს ნიკონს ეკუთვნის უცილობლად არხიმანდრიტი ტარასი (ფ. 11r).

212

ს ა ხ ა რ ე ბ ა

334 ფ.; 15X10 ქალაღი; ტყავადაკრული ხის ყდა; ნუსხური (სათაურები და თავ-ასოები წითურით); XVI ს-ნის (ხელის მიხედვით); შემოსულია 1925 წ. პოლ-კარბელაშვილისაგან (გურჯანი).

დასაწყისი: სარჩევი მათეს სახარებისა; ტექსტი: წიგნი შობისა იესუ ქრისტესი, ძისა ღვთისისი, ძისა აბრამისი, აბრამშვა ისაკ...

ბოლო: სახარების საკითხავი, მაჩვენებელი ღღეთა მიხედვით.

ანდერძი: (ფ. 332v—335: დაიწერა მთაწმინდას დაწერილის ოთხთავის სახარებითგან ღღელსა (!) მე, ფრიად ცოდვილმან ხუცეს ყოფილმან ბერმან, გრიგოლ შუბალიძემან წმიდად ესე სახარებაჲ ფთიადითა რუღუნებითა და შრომითა და ვინცა და რომელმან თქუდა შენდობაჲ ჩემთვის და ღღედა-მამათა ჩუწყნათავს, და გამღელ მასწავლებელთა, სულიერთა მოძღუართა. ჩუწყნთა გერ-

მანეს შეგვმოწმებია სიმართლისათვის და, ვინცა შეგზნო ცოდვანი ზუღსნი, ღმერთმან თქუშნცა შეგინდოს სასუფეველსა მისსა. ამინ. უცებად ჩხრეკვისათვის ნუ დამწყევთ, ძმანო და მამანო ცოდვილსა გრიგოლს. მეუღლესა ჩუშნსა თეთრუს ცოდვანი ღმერთმან შეუღდოს.

ესე საცნაურ იყავნ ყოველთა, რამეთუ ესე წმიდაჲ ოთხთავი ფრიად თარგმნილა ძმათა ვიეთმე სულიერთა, და ბერძულთა სახარებათა გვთარგმანია ფრიადითა გამოწველივლითა, და ვინცა ვინ დასწერდეთ აქა პოეთ, ვგრე დაწერეთ, თუ ამისგან ჯერ მიყოთ, ღმრთისათვის სიტყვასა ნუ სცვალებთ, პირველთგან წმიდად თარგმნილია. და ღმრთისა თქუშნისათვის ერთმანეთს ნუ გაუარევთ, ნუცა ფილასოფოსობ ამ ჩუშნსა ნაშრომზე, ნუცა ბრძნობთ და რომელმან ნაშრომი ჩუშნი წმიდაჲ სახარებაჲ ზეპირით იძულოს, გინა ქუშ დაიდვას რყუნად და ქუშ ქცევად დაუწყოს ან ერთმანეთ გაუთიოს, ანუ ანდერძი ზე აღმოკუშთოს, ან უპატიოდ და ორგულად იხმარონ, დაუწყონ ხმარებად ნაშრომსა ჩუშნსა ზედა. მოვიყიდე უსასყიდლ მარგალიტი წმიდაჲ ოთხთავი სახარებაჲ, სულთა გამანათლებელად მკითხველთა და მს(მ)ენელთა განმამბრძნობელად, ვინცა ესე სრულებით დაიმარხოს და ანუ დასწეროს ჯვარი აქუს და კურთხეულმცა არის ცოცხალი და მკუდარი სიტყვთა ღმრთისაჲთა ცათა შინა და ქუშყანასა ზედა. მყრნელი სიტყვსა და უპატიოდ მხმარე ამისა (აქ რვა სიტყვა წაშლილია) [გამო]ახვას ჩუშნის ცოდვის მაგიერად მოსვლად და განსჯად იესუსა დღესა მას დიდსა განკითხვისასა დაისაჯოს ჩუშნისა მაგიერ (მრ) და იუდას გამცემელთა დაემკდროს სული მისი. დამამტკიცებელი ამისი ღმერთმან აკურთხოს აქა და მას საუკუნესაცა მწერალი და შემომწირავი ამისი.

მიწერი: (ფ. 304 ტექსტის ხელით): აწ ესე საცნაურ ყავ ყოველთათვის, რამეთუ ესე წმიდაჲ ოთხთავი არა თუ ახლად თარგმანილია, არამედ ფრიადითა სრულებითა ძმასა ვიეთმე სულიერთა ბერძულთა სახარებათა შეგვმოწმებია ფრიადითა გამოწველივლითა და ვინცა ვინ დასწერდეთ, ვითარ აქა პოეთ, ვგრე დაწერეთ თუ მისგან ჯერა გინდეს დაწერეთ ღმრთისათვის სიტყვას ნუ სცვლით და ნუცა ამტყუნებთ, ვგრე დაწერეთ და თუ არა რამე გაჰუნდე რუმნი ესე სახარებანი სახარებანი პირველითგან წმიდად თარგმანილია და კეთილად ხანმეტნიცა და საბაჲწმინდურნიცა, მუხით დაწერეთ და ღმრთისაჲთა ერთმანეთს ნუ გავრევთ. კურთხეულმცა ცოცხალი და მკუდარი აქა და საუკუნესა სღრვილით და პატივით მხმარე. ამ სახარებისა დედოსა აგრე ეწერა ძმანო, და შეიღდოს უცებურად დამიწერია მე ცოდვილსა გრიგოლს, მემინდევით ღმრთისაჲთა.

შ ა მ ნ ი

179 ფ.; 16×10.6; ქალაღი: ხის ყდიანი; ნუსხური (სათურები და თავ-ასოები სინგურით); XVI ს. (ნელის მიხედვით); შემოსულია 1925 წ-პოლ. კარბელაშვილისაგან (გურჯაანი).

დასაწყისი: ეამნი. ძალითა ღმრთისათა, ყოველი, რაოდენი აქუს ლოცვა მსგავსად წესისა მის წმიდისა იმრუსალიმისა და კეთილ-თა მონასტერთა. რაჟამს აღსდგე ძილისაგან, განეშორე სარეცელსა და და ბრძანეთ; ლოცვითა წმინდათა მამათა ჩუწნთა უფალო იესუ ქრისტე ღმერთო ჩუწნო, შეგვწყალენ ჩუწნ, ამინ.

ბოლო: ქრისტეს აქეთ ჩყიდ... წმპასქა მარტს კთ, ამალღე-ბა მაისს ზ, სულის წმიდის მოსვლა მაისს იზ, ყოველთა წმინდათა კვირაიკე მაისს კდ, მოციქულთ მარხუად დღე ლე, წსენება მათი ბ-

მიანერი (179, მხედრულით); ღვთის მოწყალეობით იოვანე დივანბეგის ასული ანნა იშვა ქორონიკონს უბთ, წელსა 1801 ივნისის ია, მოინათლა მეფის ძის დავითისაგან, მეფის ძის ვახტანგისაგან, ლენერალ ლაზარევისა და ლენერალ ივან პეტრიჩისა. ღვთის მოწყალეობით ჩოლაყაშვილის იოვანე დივანბეგისძე მი-ზაილ იშვა ქორონიკონს უფ წელსა 1802 ივნისის ივ დღესა, ირშაბათსა ზე ტფილის, მოინათლა დედოფლის დარეჯანისაგან, ღრაფ მუსინ-პუშკინისა, მეფის სძლის ჭეოვანის და ვახტანგის ორბელიანის.

ღვთის მოწყალეობით ჩოლაყაშვილის იოვანე დივანბეგის ასული მარიამ იშვა წელსა ქორონიკონს უბთ (-1804), ტფილის მოინათლა ლენერალ მაიორის პორტნეგინისაგან, სიმონ ანდრიჩისაგან და ტარასოვის ცოლისაგან. ანნა ზარე-ვნასაგან; იშვა დღესა სამშაბათსა დეკემბრის კზ. მოინათლა ფებერვალს ა.

ქ. ღვთის მოწყალეობით იოანეს ასული ევეგნია იშვა ქორონიკონს უფე-აპრილსა დიდ ოთშაბათს. მოინათლა ამავე თვის შ, პოლკოვნიკის გრიგოლ ვასილიჩისა და ელისაბედ რაფაელის მეუღლისაგან მატანს.

ღვთის მოწყალეობით იოანეს ქალი ეკატერინა იშვა ქორონიკონს უფთ, თი-ბათვის შ. მოინათლა სტეფანე იაგორიჩისა ნათალევისაგან, ჩემმა დამ კნეინამ ნატალია უწოდა.

მარიამის ჯვრის წერა მოხდა მეთოთხმეტეს წელს მდგომში იანვარს კვი წელსა ფზ (1819 წ).

იოვანეს გარდაცვალების შემდეგ უბედურებაში დაიბადა ანნა აგვისტოს, ქორონიკონს(ს) ფ(=1812 წ); მოურავი მიიცვალა, მეშვიდეს თვესა დაიბადა, არეუ-ლობა იყო, ბატონიშვილი აღუქსანდრე მოვიდა, მონათლა სტეფ(ან) ტიხონოვი ცვიმ (?) შეფმა:

პორფირის შემყანილობა

282.; 19×14.2; ქალაღი: ყდიანი; ბოლო ნაკლული; მხედრული (სათურები და თავ-ასოები ასომთავრულით); შემოსულია 1925 წ. პოლ-კარბელაშვილისაგან (გურჯაანი).

დასაწყისი: ნამდვილი საპირო ხურისაორივ და არისტო-ტელისა მიერთსა შინა კატილორიათა მნებავი მასწავლელობათა ცნობად რამ ნათესავი, რამ განყოფილებამ, რამ სახე.

ბოლო: სიცივე ვიდრემე უკუშ თოვლისა და სიმჭურვალე ცეცხლისა ითქუმის, ვნებულეებითი ვითარება არავნებისაგან შექმნილი შორის, არამედ ვითარცა ვნებისა შემქმნელი, რამეთუ არცა ქცეულობამ რამემ იქმნა ქუშმდე...

215

შეგვანილება პორფირისა

281 ფ.; 19×14,2; ქალაღი;ყდიანი; ბოლონაკლული, მხედრული (სათურები სინგურიით); XVIII ს-ნის მეორე ნახევარი (ხელის მიხედვით); შემოსულია 1925 წ. პოლ. კარბელაშვილისაგან (გურჯაანი).

დასაწყისი: ნამდვილ საპირო ხურისაორივ და არისტო-ტელისა მიერთსა შინა კატილორიათა მნებავი მასწავლელობათა ცნობად რამ ნათესავი რამ განყოფილებამ, რამ სახე, რამ აუსი და რამ შემთხვევითი განსაზღვრებამა გარდაცემისადმი.

წყდება: სიცივე ვიდრემე უკუშ თოვლისა და სიმჭურვალე ცეცხლისა ითქუმის ვნებულეებითი ვითარება არა ვნებისაგან შექმნილი შორის არამედ ვითარცა ვნებისა შემქმნელი, რამეთუ არცა ქცეულობამ რამემ იქმნა ქუშმდე...

მინაწერები: 1) სიმონა ციხელი, იგივე ქორიძე (ფ. 281v XX ს-ნის დასაწყისის ხელით, ღნდა იყოს ზელნაწერის პატრონი).

2. 1900 წელს მოკლეს უბედური დავით გიორგისძე გურიელი წყალწმინდის ტყეში.

1917 წელს მოკლეს იმავე ადგილას შვილი მისი ვანო გურიელი.

1917 წელს წყალწმინდის იემს წისკვილში ქურდულად ხუთიეკარტეიით თოფი მესროლა ზიზლიანმა ბესარიონა გუჯაბიძემ და სასიკვდილოდ დამკრა მაისში თავში, ყელში და ორივე მხრებში, რის ყოფით ძლივ გადავჩი დაბრკოლებული ს. ქორიძე.

216

ს კ ლ ი ს პ ი რ ი ს ი

195 ფ.; 14,5×11; ეტრატი; უყდო თავ-ბოლო ნაკლული; ნუსხური (სათურები და თავ-ასოები სინგურიით); XV ს-ნის (ხელის მიხედვით) შემოსულია 1925 წ. პოლ. კაბერაშვილისაგან (გურჯაანი).

იწყება: უბრძანა ღმერთმან ვეშაპსა მას შთანთქმამ მისი; და განგდებამ კმელადემ, რამეთუ ღმრთის მშობელად გზადით და ქალწულად გკჳდაგებთ.

წყდება: კაცთ მოყუარეო ქრისტე ღმერთო სახიერო. პირველ ჯმობადმდე საყვრისა შუა ღამე აღდგოთ, მოიწია სიძე და მივეგებოდეთ; გაწმიდე გული და გო[ნებაჲ ჩემი].

მინაწერი: (ფ. 42, მხედრულით და სინგურით); ქ. ლოცვასა მომხსენეთ მე უღირსი მჩხაბავი ნათანაელ, რათა თქუნცა შეიწყალნეთ.

გამოცემილი საღმრთო სახალხოგლევი

240 ფ.: 21,7X17,8; ქალაღი (ღურჯი); ყღანი; მხედრული (სათურები და თავასოები წითურით); 1806 წ.; შემოსულია 1925 წ. პოღ კარბელაშვილისაგან (გურჯაანი).

1. დასდებღნი აღდგომისანი (ფ. 2—37).

დასაწყისი: შაბათს მამწუხრად დღისა მწუხრსა ზედა დასდებღი ა: სამწუხრონი ლოცუანი ჩუშნი, შეიწიოენ წმინდაო, და მოგუმადღე ჩვენ მოტევება ცოდვათა, რამეთუ შენ მხოლო ხარ, რომელმან უჩტწენ სოფელსა აღდგომა.

2. დასდებღნი წლისანი 1სექტემბრიდან 31 აგვისტომღის (ფ. 38—125).

დასაწყისი: დაწყება ინდიქტიონისა, და ღირსისა მამისა ჩუშნისა სჯემონ მესუტისა. დასდებღი ინდიქტიონისა წმა. ა. შენ სიტყუა თავადისა ქრისტეს ღმრთისა მოძღურებისა მიერ ლოცვა გვსწავიეს ჩტწენ ყოველთა დღეთა ესრეთ

3. საგაღობღნი მარხუათანი (ფ. 127—133r).

4. გაღობანი აღრიასნი (ფ. 133v—152r).

5). გაღობანი დაუჯდომღისანი (ფ. 152r—155v).

6. გაღობანი მარხუათანი (ფ. 155v—198v).

7. გაღობანი აღდგომის კვირიაკისა, ამალღებისა და სხვათა (ფ. 201—235r).

ანღრძი: (ტექსტის ხეღით, ფ. 236r). „შეწვეღითა ყოვღად კურთხეღლისა ღვბისა სიტყვსა მტვრთუღლისა ქაღწუღლისა მარიამისათა და ძღდ მისაწოდებუღლისა ქაღწუღლისა მახარებღლისა და ღვთის მქადაგებღლისა იოანესითა და მეოხებითა უღაბნოთა მნათობთა მპათობისა ღირსისა მამისა დავით გარესჯეღლისათა, მე ყოვღად უღირსისმან, იეროდიაკონმან, გერონტი აღღსწერე წიღნი ესე საგაღობლო ძასვე უღაბნოსა შინა მრავაღმთის დავით გარესჯისასა, რომელთა მხოღფულთაგან ცთომისა შენღობასა ვმოქენოებ, რათა იღიდებოღღს მამაძე და სუღი წმიდა. აწ და უკუნითი უკუნისამღე, ამინ. აღიწერა თთღსა ღკ

ღომბრ ' 13 18. ⁸/₁₈ 06

სამოთხის ყვავილი

170 ფ.; 16,5×11; ქალაღი; უყდო; ბოლონაკლული; მზედრული (სათაურები სინგურით; XVIII ს. (ხელის მიხედვით); შემოსულია 1925 წ. პოლ. კარბელაშვილისაგან (გურჯანი).

დასაწყისი: ღვთივ განათლებულნი თბრობანი სულისა ნაყოფიერ მყოფელნი, რომელსა ეწოდების სამოთხის ყვავილი—თავი ა. სიმდაბლისათჳს და სიმშჳდისათჳს მსგავსისა. თბრობა სულღერი ა. სიმდაბლით განათლებულისათჳს.—ღმრთივ სულღერნო შვიღნო ეკლესიისანო, ღმერთმან ჰსთქჳა, იქმენინ ნათელი და იქმნა ნათელი.

წყდება: თუ ვითარ თჳალთ შეუღგამი იგი ნათელი ღვთაებნისა განაბრწყინებჳს ხერუჳმთა და სერაფიმთა ანგეღოსთა და მთავარ ანგეღოსთა და იგინი სამ წმიდა არსობით უგაღობენ ღმერთსა და ძალნი ცათანი აღღიღუიას შესწირვენ ჳმითა ყოვღად საწადღღითა და თუ ვითარ ღვთივ ბრწყი...

219

მ ა რ გ ა ლ ი ბ ი

202 ფ.: 21,2×16,2; ქალაღი, ხის ყღინი; ნუსხური (სათაურები სინგურით); 1760 წ.; შემოსულია 1925 წ. პოლ. კარბელაშვილისაგან (გურჯანი).

დასაწყისი: ამას წიგნსა ეწოდების მარგაღღტი, რომელ არს მრავაღთაგან თქმულთა ოქროპირისათა.

თქმული წმიღისა და ნეტარისა მამისა ჩუღნისა იოანე ოქროპირისათა თავი ა. გუაკურთხენ უფაღო.

ბოლო: მოვეღით უკუღ, ძმანო, ყოვეღნივე შეუვრღეთ ღმობიერაღ და ცრემღითა მჳტურვაღითა ვევეღრღბოღით მამასა მას სახიერსა, ძესა მოწყაღესა, სულსა წმიღისა ნუჳეღინისმცემღესა, სამგავამოვანსა მას ერთარსებასა წმიღასა სამეღასა ღირსყოღად ჩუღნდა კეთიღთა მათ, რომელნი განუზანდა მოყვარეთა მისთა ქრისტეს ღვთისა (ღჳს) მიერ უფღისა ჩუღნისა, რომღისა არს ღიღებზაღ და სემტკიცე, პატივი და თაყვანისცემა მამისა და ძისა და წმიღისა სულისა აწ და მარაღის და უკუღნითი უკუღნისა მღე, ამინ.

ანდერძი (ფ. 102 ვ. ტექსტის ხელით): სრულ იქმნა სადი-
დებლად ღვთისაჲ, ამინ. ქრისტეს აქეთ ჩლდ (1760 წ.) თვესა ნოე-
ნბერსა ვ, ქრისტე, შეიწყალე ცოდვილი მიქელ, ამინ.

მინაწერი: (ფ. 166. ვ მხედრულით): ჩუპწ წ. მე სიმონ ციხელი, ვიყავ წამო-
სული ქ. თბილისისადაჲ გურიაში ანდრია მოციქულის მონასტრის დასაარსებელ
ადგილების ასარჩევად და სასყიდლად და მოგზაურობაში მძიმე საღმრთოებრად
ვიქმენ და შეგვნიხნე იოანე ნათლისმცემლის მონასტერში იოსებ ბერის სადგურს
და იქ ცხოვრობდა ღირსი და პატროსანი ბერი მამა სიმეონ მფარელიშვილი. ვრ-
თხელ ვესტუმრე სენაკსა თვისსა წყვეტბრის კბ დღესა, დავინანე სამი ხელნაწერი
წიგნები, სახელწოდებულნი; სჯულის კანონი, მარგალიტი და სვინაქსარი და
შევსთხოვე, რათა მოესყიდა საფასით და მან მაჩუქა ეს მარგალიტი და სვინაქსა-
რი და სჯულის კანონისა სთქვა—ჯერ ვერ მოვშორდებო და ანდრიაჲ მონას-
ტერს, რომ დაარსებთ, მაშეინ ამასაც მოგართმევთო. საუკუნო იყოს სახელი
მისი, ამინ.

დაანლოვებით ამავე შინაარსის მინაწერი, იმავე ხელით, არის უკანა
ჩდის შიდა გვერდზე.

220

გამოკრებილი წარდგომა-სამოციქულო-სახარებანი

139 ფ.; 21,3×11; ქალღღ; ხის ყდაში; თავბოლო ნაკლული; ფურ-
ცლების გვერდითი ნაწილი მოკმულია თავგის მიერ; ნუსხური (სათაურე-
ბი სინგურით); V^{XIII} ს-ნის (ხელის მიხედვით); შემოსულია 1925 წ. პოლ.
კარბელაშვილისაგან (გურჯანი).

იწყებთა: რამეთუ დიდ არიან საქმენი შენნი, უფალო, და
ყოველივე სიბრძნით ჰქმენ. აკურთხევს სული ჩემი უფალსა, უფა-
ლო ღმერთო ჩემო, განსდიდე ფრიად. პარასკევსა მწუხრი.

წყდებთა: და წარვიდა, იყო მუნ... სხუჲ იგი მარიამ დასხ-
დეს წინაშე ს... (სათაური:) სა...ფისა ცისკრად...

221

საგალობელი მთელი წლისა

366 ფ.; 10,7×8; ქალღღ; ყდიანი; ბოლონაკლული; ნუსხური (სა-
თაურები სინგურით); 1726 წ.; შემოსულია 1925 წ. პოლ. კარბელაშვი-
ლისაგან (გურჯანი).

1. ლოცვები (ფ. 1 ა—3 ა).

დასაწყისი: უფალო ღალადყავისი, ჳმა ა. უფალო, ღალად
ყავ შენდამი.

ბოლო: ესე ვითარად იჰინ (!) ისრაელიი უფალსა დაუთ-
მოს, რამეთუ შენ მიერ არს ღხინება.

2. ძლის პირნი და ღმრთის მშობელისანი (ფ. 1—293).

დასაწყისი: სულმან საღმრთომან დაჰბერა მეწამულისა ღელვათა და შერისხვით განაწმნა სიღრმენი მისნი:

წყდება: რომელმან უწუმა უდაბნოსა მანანა ერსა და კაცებასა მიიღებს, რომელმან ჳელითა შექმნა კაცი, აქებენ ანგელოზნი. მწყემსთა თანა ღმრთისაჲ ზეცასა აღმავალნი და ესრეთ მლაღადებენი.

3. სამფსალმუნნი დიდისა ორშაბათისანი, რომელთა თავნი იტყვიან ბერძნულად ორშაბათისა, ვგალობ. გალობაჲ, ა, ჳამაჲ ბ. უგალობაჲ (ფ. 295—351).

დასაწყისი: რომელმან განაწმო სლვად უჩუტველისა და მღელვარისა ზღვსა საღმრთოთა ბრძანებითა თვისითა.

ბოლო: და შენ მიერვე სძლევს მტერთა ჳეშთა ექმნების განსაცდელთა მბძოლათა გარე მიაქციევს და ჳმართებს განსაგებელთა თვსთა.

4. გალობაჲ ყოველთა წმიდათანი, რომელნი მოიტყვიან რიცხუსა. ყოველთა წმიდათასა წესისაებრ ტუბიკონისა (ფ. 352—366).

დასაწყისი: თუესა სეკდენბერსა აქუს დღე ლ, დღეთა აქუს ჟამი. იბ; და ღამეთა აქუს ჟამი. იბ.

წყდება: ლ (აგვისტო) ალექსანდრე და იოანე. ლა სარტყელი ყოვლად წმიდისა მფარველისა ჩუენთა...

მინაწერი; 1) ფ. 33v (ფრიად ლამაზი ასოთაერული ხვეულით); უსასოთა-სასოთ, ქალწული მარიაჲ, შეიწყალე სულით ალექსი, ქორთონიკონს უიდ.

2) ფ. 303r. (ტექსტის ხელით) ნუსხურით. „ღმერთო, შემიწყალე მწერალი ამისი ალექსი“.

3) „ღმერთო შეიწყალე ცოდვილი ამისი მჩხაბავი 29v“.

222

დაუჯდომელი ჳგარისა

26 ფ.; 8,2×5; ქალაღი; ყდიანი; ნუსხური (სათაურები და თავ-ასოები სინგურით); XVIII ს-ნე (ხელის მიხედვით); შემოსულია 1925 წ. პოლ. კარბელაშვილისაგან. (გურჯაანი).

დასაწყისი: დაუჯდომელი ჳუარისა. ჳეშთა მბრძოლისა და მოღვაწისა ჩუენისა უძლეველისა ჳუარისა შენისა, ქრისტე-ღმერთო, მორწმუნეთა მონათა შენტა და ძლევა მომმადლე მათ მბრძოლთა მიმართ, რომელთა თანა შემწყედ აქუს შენი საჭურველი მშვიდობისა უძლეველად ჳუარი შენი.

ბოლო: და მოგუმადლე მშვიდობით აღსრულებად დღენი-ჩუენნი სათნოდ შენდა ვინა ყოველ ამას ჳუარის დაუჯდომელსა

იკითხვიდეს ამ სოფელს დღენგრძელ იყოს და წარწყმედისაგან
იქსნას, ამინ, ამინ, კირიელეისონ!

ანდერძი: უფალო ღმერთო, ნუწაღთენ მარიაჲს გიორგი აბაშიძის ქალს,
იესუ ქრისტე, ყოველნო წმიდანო ღმრთისანო.

223

ლოცვანი

29 ფ, 9,2X7; ქაღალდი; ყდიანი (დაშლილი); თავ-ბოლონაკლული;
მზედრული; XIX ს. (ხელის მიხედვით); შემოსულია 1925 წ. პოლ. კარბე-
ლაშვილისაგან (გურჯაანი).

დასაწყისი: მათ დღეთა შინა აღსდგა მარიამ და წარ-
ვიდა სახლსა ზაქარიასსა.

ბოლო: მადლითა და კაცთმოყვარებითა შენითჲ, რომელი
კურთხეულ ხარ თანა მამით და სულთ წმიდითურთ აწ და მარა-
დის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

224

ლოცვანი

78 ფ; 10,2X7,5; ქაღალდი; ყდიანი; ბოლო-ნაკლული; მზედრული
და ნუსხური (სათაურები სინგურით); 1767 წ.; შემოსულია 1925 წ. პოლ.
კარბელაშვილისაგან (გურჯაანი).

იწყება: ესე ლოცვა ყოველთა დღეთა უნდა შემდგომად
შწუხბრისა გამოლოცვისა. კურთხეულ ხარ, მეუფსო ღმერთო ყოვე-
ლისა მპყრობელო, რომელმან განანათლე დღე ნათლითა მზისათა.

ბოლო: ღმობიერად შეუერდეთ და ცრემლით ვევედრნეთ,
რამეთუ ძალუც მსწრაფლ ქსნა ჩვენი და განთავისუფლება ყოველ-
თა განსაცდელთაგან.

ამას მიყვება წელიწადების ნუსხა აღდგომის დღეების აღნი-
შენით, იწყება 1758 წლიდან და წყდება 1795 წელზე.

ხელნაწერი დაწერილია თანრიგობით—ერთი გვერდი ნუსხუ-
რით და მეორე—მზედრულით.

ანდერძი: (ფ. 76v): მამანო წმიდანო, მვედრული და ხუტური ამისათვის
აღეწარე, რომელ რუსულგბ შეკრული იყო და აღარ დაემაღე ამისათვის ორსა-
ვე გვერდსა ხუტურათ არ დაიწერებოდა, მცირედ მწერლობაც ვიმუშავე,
ჩაბა, 1767.

წერასა ამისსა ვიქენ წლისა მზ, დეკანოზი სიონისა ნიკოლოზ ვწერ.

მინაწერები ტექსტის ხელით: 1) იესუ, შეიწყალე უღირსი დეკანოზი ნი-
კოლოზ, 1767 (ფ. 9-).

2) ყოვლად წმიდაო დედოფალო, შეიწყალე ნწერალი უღირსი მღუდელი
დეკანოზი სიონისა ნიკოლოზ (ფ. 56r).

იოანე ოქროპირის სწავლა

2 ფ.; 21,6+16,4; ქალაღი; უყდო; მნდრული ნაწყვეტი; (სათაურები სინგურით); XVIII ს (ხელის მიხედვით). შემოსულია 1925 წ. პოლ. კარბელაშვილისაგან (გურჯანი).

იწყება: არა შვიდნი შვილნი შეიწირა და ეგოდენსა მას ღვაწლსა ნაშობთა მისთასა არა იძლია მისი გონება, არცა მოღრა ახონებისაგან.

წყდება: სული უძღურ და ქირვეულ იქმნების გამომცავინ იყვნენ სული შვებასა და განცხრომასა შინა ყოფილი და გვიჩვენა და იხილმცა იგი უშვერებასა შინა.

აპოკრიფული წიგნის ნაშთი

6 ფ.; 20×16,5; ქალაღი; უყდო; თავ-ბოლო ნაკლული; მნდრულია (სათაურები წითურით); XIX ს-ნის პირველი ნახევარი; შემოსულია 1925 წ. პოლ. კარბელაშვილისაგან (გურჯანი).

1. პორფირის და სტავროფორეს კითხვა-პასუხი.

2. წიგნი ფუბლიო პონტოელ მთავრისა ტიბერიოს იმპერატორის მიმართ იესო ნაზარეტელის შესახებ.

3. ეპისტოლე ავგაროზთმთავრისა ქალაქისა ედესიისასა.

დასაწყისი: ღირსებით და სიწმიდით ღმრთის მსახურმან, პატრიოსანმან იერო დიაკონმან პორფირი ჰკითხა ღმრთივ სულიერსა მამასა თვისსა მღვდელმონაზონს სტავრო ფორეს მეტყველმან: ჯვარშემოსილო მამაო, პატრიოსანო, ქეშმარტისა და უზადოჯსა მართლისა სარწმუნოებისა შემდგომად, რომელი უპყრიეს აღმოსავლეთისა ეკლესიასა და რაჲ სათანადო არს ცნობად ქვეყნისა.

ბოლო: წმიდისა აღმოსავლეთისა ეკლესიასა ჰქონან შვიდნი საიდუმლონი მაცხოვრად ჩვენ სიტვეიერთასა, რომელნიცა ქრისტეს მიერ მოქმედებულნი შვიდთა მსოფლიოთა.

4. პირი წიგნისა წარვლინებულისა იერუსალიმით ტიბერიოს იმპერატორის მიმართ ფუბლიო პუნტუელ ჰურიასტანისა მთავრისაგან მოკლედ ამბავნი იესო ნაზარეტელისანი... ხოლო ეპისტოლე ესე დაიმარხვის რომს ბატონთა კესარიელთა მონასტერსა შინა. წიგნისა ცავთა, ხოლო ლათინურთაგან ენისა გარდმოღებულ ფილიპეს ვისმე ლათინითა ხუცისა.

დასაწყისი: სათნო ყოფად საძიებელისა თქვენისა მოვახსენებ, კეისარო, ვითარმედ არს დროსა ამას მთავრობისა ჩქმნისასა სამთავროსა ჩემსა კაცი ვინმე...

ბოლო: აღიწერა მეშვიდისასაურის კრებაში მეორეს მთვა-
რის უმაღლესობისა შენისა.

5. ეპისტოლე ავგაროზთ მთავრისა ქალაქსა ედესიისასა, რო-
შელი მიუწერა უფალსა ღმერთსა ჩუენსა იესო ქრისტესა და წარს-
ცა ანანიას მიერ მოციქულისა იერუსალიმს.

ავგაროს მთავარი ედესიისა ქალაქისა იესოს მაცხოვარსა
სახიერსა...

ბოლო: და ნათელსცა მას ყოველთურთ სახლელთითურთ
თვისით სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა
და მეყსეულად განწმიდა იგი კეთროვნებისა მისგან და მხიარუ-
ლებით აღიღებდა და აკურთხევდეს ღმერთსა, ამინ.

227

პ ა რ ა კ ლ ი ს ი

6 ფ; 21,2×16; ქალღი (მოლღრჯო); უყდო; ნუსხური (სათაჯრე-
ბი წითურით) XIX ს.: პირველი ნახევარი (ხელის მიხედვით); შემოსულია
1925 წ. პოლ. კარბელაშვილისაგან (გურჯაანი).

დასაწყისი: პარაკლისი სავედრებელი ცხოველსყოფელისა
ჯუარისა. მღვდელმან: კურთხეულ არს და ჩუენ დიდება შენდა,
ღმერთო...

ბოლო: დაგვიფარენ ყოველთა განსაცდელთა და სნეულე-
ზათაგან თაყუანისმცემელნი და გამომსახველნი ჯუარისა შენისა-
ნი, რომელი კურთხეულ ხარ უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

228

წმ. მარინეს ცხოვრება

10 ფ.: 23×18; ქალღი; უყდო; მხედრული; XIX ს. შუა (ხელის
მიხედვით); შემოსულია 1925 წ. პოლ. კარბელაშვილისაგან (გურჯაანი).

დასაწყისი: წიგნი ესე არს წმიდის მარინას წამება და
ცხოვრება, რომელიცა ეკუთვნის აღნიაშვილის ასულს ნინას. სა-
ხარება მარინა წმიდისა ქმლწულ—მოწამისა: ლუკასაგან წმიდისა
სახარებისა საკითხავი. მას ჟამსა შინა ევედრებოდა ვინმე იესოს
ფარისეველთაგანი, რათა ჰსკამონ პური მისთანა...

ბოლო: ჩი წმიდავ მოწამეო, დიდებულო, საშინელო, ვეშაპი
მოკალ, რომელმან და ლომბროზ, მძლეოთა მძლეო სატანათა, შენ-
ახოციე...

შენიშვნა: ბოლოში (ფ. 9v—10) მოწერილია სხვა ხელთ ლოცვები. ეს
ლორი ფურცელი დაწერილია სხვა ცუდი ხელით.

ათი მცნების განმარტება

3. ფ.; 23×18; ქალღი; უყდო; ნაწყვეტი; მხედრულ-რუსული. ორ სვეტად; XIX ს. დასაწყისი (ხელის მიხედვით); დამწერ-განმარტებელი პეტრე იმნაძე.

დასაწყისი: პატივ ეც მამასა შენსა და დედასა, რათა კეთილი გეყოს შენ და დღეგრძელ იყო ქუეყანასა ზედა.—პატივი გიცია დედ-მამისა, მოხუცე[ბულთა] და დადგინებულის მთავარისათვის?

Бог за. — чти отца твоего и мат. — почитали родители и начальников...

ბოლო: პატიოსნებით კეთილად იცხოვრებ, მაშინ ბედნიერ და სანატრელ იქმნები საუკუნოდ სასუფეველსა შინა.

Есть ли добродетельно и честно проживешь, то блажен будешь в вечном царстве.

230

ა ბ ბ ა ნ თ ძ ე ბ ა

3 ფ.; 21,8×7; ქალღი (ლურჯი); უყდო; თავ-ბოლო ნაკლული; მხედრული XIX ს-ნის დასაწყისი (ხელის მიხედვით); შემოსულია 1925 წ. პოლ. კარბელაშვილისაგან, გურჯაანი.

იწყება: ჯიგურისა მშვილდმა ისარმა ძეძვსა უყოს დგინება. ჯღარბსა აკრას ძველი ძარღვი დაწყვეტათ მაშინდა მართებს წყინება.

წყდება: სიბრძნემან თავისა თვისისა სახლი იშენა გებულა. მას შვიდნი სვეტნი შეუდგნა შვიდნივე წმიდა გებული.

231

მოთხრობათა კრებული

8 ფ.; 23×18; ქალღი (მოლურჯო); უყდო; თავ-ნაკლული; მხედრული; XIX ს-ნის დასაწყისის (ხელის მიხედვით); შემოსულია 1925 წ. პოლ. კარბელაშვილისაგან, (გურჯაანი).

1. მოთხრობებს აქვს ნუმერაცია. მოწვენილ ნაწილში მოთავსებულია მე-307 მოთხრობის ბოლო.

იწყება: ...მოწამეთა, მოკლულ იქნა უმიზეზოთ და ფრიად უსამართლოდ ცოდვითათვის კაცთა ნათესავისა, ხოლო თქუენ მიიღებთ სამართლიანად და ღირსებით ყოველსავე წას. ცოდვითა თქუენათავს.

2. დასაწყისი: ღმრთის მოყუარემეპისკოპოსმა იანვარამან, რომელსაცა პატივად აღტყეს ნეპოლსა შინა ეკკლესიაცა, თქუა ახალსა წელსა ქადაგება ესრეთ (ფ. 1—2რ).

3. შოტლანდიის ლიტონი სალდათი.

დასაწყისი: ღლასკავსა შინა სალდათი სახელად რიჩარდ მე-

დილტონ დღესა კვირიაკისასა მივიდა ეკლესიასა და მიიტანა თანა ნაცულად ლოცვანისა ერთი ხელი სათამაშო ქალღი (ფ. 2r—4v).

4. დასაწყისი: ლეომეტრიკოზ ორდანიმან აიყუნა ერთი საწყალი ობოლი ჭერამენ (ფ. 3v—4r).

5. დასაწყისი: ჟამსა უდიდესი სიყმილისასა ჩქედ-სა წელსა პარიჟსა შინა ზაფხულისა დღესა დროსა მიმწუხრისასა უფალი საღვო დასეირნობდა (ფ. 4r—5r).

6. დასაწყისი: ჟამსა ქრისტიანეთ დევნისასა ქალსა ვისმე ქრისტიანეს უბიწოსა და ფრიად შვენიერსა ალექსანდრიას შინა გაუჩინა ურწმუნომან მსაჯულმან სიძვა სოდომური (ფ. 5r—5r).

7. დასაწყისი: ოდესმე პორტულაღიის ჯარი მივიდოდა ზღვით აღმოსავლეთის ინდოეთს და შეემთხუა გზასა ხომალდისა დანთქმად. ნაწილი მისი მიდგა კაჭრასთან (ფ. 6r—6v).

8. დასაწყისი: ქურდი ვინმე პარიჟსა შინა მავიდა მიმწუხრსა ვაქრისადმი დუქანსა (ფ. 6v—7v).

9. დასაწყისი: ლუდვილ მეათობმეტესა მეფესა ჭრანციისასა მოახსენა ერთმა მისმა ვეზირმა (ფ. 7).

10. ცალთული დენაძლევა ორთვალსა, რომელ მე შენზედ მეტსა ვხედაო და მოუხოცა ამისთვის რომელ ცალთული ხედავს შინა ამას ორსა თვალსა და იგი ცალთვალში მხოლოდ ერს თუალსა (ფ. 7v).

11. დასაწყისი: კონრად მესამე, აღმორჩეული კეისარი, 1138-სა წელსა შემოადგა ქალაქსა ვეისპერალს (ფ. 7v—8r).

12. დასაწყისი: ეპისკოპოსი შეურაცხყოფდა ერთსა ლიტონ სანახავსა და ლარიბსა ხუცესსა (ფ. 8).

232

მირის ზღაპარი

4 ფ.; 21,8×16,8; ქაღალდი; უყდო; თავ-ბოლო ნაკლული; შემოსულია 1925 წ. პოლ. კარბელაშვილისაგან (გურჯაანი).

იწყება: თავს იმარალებდა, რასაც ამბობდა, არ ესმოდათ. მერმე ხემწიფემ თავისის სასურველის შვილის სიკუდილი რომ შეიტყო, გვირგვინი გასტყორცნა.

წყდება: აქა მისირის ქვეყანას მირის გისყიდვა და გახემწიფება ნასიბის ქვეყნიდამ. რომლისამე საქმისათვის ნიქასტარის ხელშეკრული სამართალში მიეყვანა და მათგან ერთმანეთის ცნობა და მრავალი სიხარული...

233

სამწუხრო და საცინსკრო საგალობლები

8 ფ.; 22,8×17,3; ქაღალდი (მოლურჯო); უყდო; თავ-ბოლო ნაკლული; მხედრული (სათურები წითურით); XVIII ს. (ხელის მიხედვით); შემოსულია 1925 წ. პოლ. კარბელაშვილისაგან (გურჯაანი),

იწყება: სიმრავლისა და დიდი წყალობა, რომელნი დღესასწაულობენ წადიერად კსენებასა მისსა.

წყდება: წინაშე ღვთისა საუკუნოდაც ცხოველ არს და კდნიერება აქვს არსისა მრერ და მისცემს კურნებასა, რომელნი საჩწმუნობით ითხოვენ მისგან და ევედრების ქრისტესა, რათა მიანიქოს შენდობა ცოდუათა სიმრავლისა.

234

ღაზითნი

12 ფ.; 14,5×10; ქალღი; უყლო; ნაწყვეტი; ნუსხური (სათურები და დასაწყისი ასოები სინგურით); XIII ს. (ხელის მიხედვით).

იწყება: [რომლისაგან არა აღი]ესო კელი თვისი მომკალმან და არცა წიალი, რომელი შეკრებნ მქელეულეზსა მისსა (ფს. 128,7).

წყდება: მოიკსენენ, უფალო, ძენი ედომისნი და დღე იგი იერუსალიმისა, რომელნი იტყოდეს: დაარღვიეთ, დაარღვიეთ [მისათუძელადმდე მისა] (ფს. 136,8).

235

სუგეზინის ცაჰის წიგნი

4 ფ.; 21,5×17,5; ქალღი; უყლო; თავბოლო ნაკულღი; მხედრული; XIX ს-ნის შუა (ხელის მიხედვით); შემოსულია 1925 წ. პოლ. კარბელაშვილისაგან.

იწყება: უკეთუ რომელთამე უბედურებათა შინა საჭირო არს კაცთათვის ნუგეზინისცემა, ვგონებ მომატებულად უსაჭიროეს იყოს ნუგეზინისცემა უბედურებათა შინა.

ბოლო: ეკლესიასა შინა მისვე ზეციურისა მეუფისასა აღრე თუ გვიან გნახავენ შენ ყოველნი, რომელნიცა აქ შენ ესრეთ გიყვარდნენ და რომელთაცა შენ უყვარხარ, ამინ.

შემდეგ მოყვება შვიდტაეპოვანი ლექსი; დასაწყისი: ნათესავთა და ნაცნობთა და ყოველთ ჩემთ მეგობართა მყ ნინიკო მოგახსენებთ უკანასკნელ საუბართა: თქმა ვითართა საუბართა, თუმცა სრულეზ არ მემართა, მაგრამ რას ვიქმ, ვამოფ(!) მისთვის, რადგან ამ დროს ეს ემართა.

ბოლო: თხოვაჲ ჩემი ეს არის, რომ მომიგონოთ მაშინა, ოდეს ლოცვათ აღავლენდეთ ღვთისადმი ზეცათა შინა.

ჰსთქვას: ღმერთმა გაცხონოს, ნიკო, გამყოფოს სამოთხეს შინა და დაგიმკვიდროს სუფევა აბრამის წიაღთა შინა.

მლუღელი ილია ქიტიევი.

იესო ქრისტის ზოგინ ნაბლოხლავის ნაწახავი

8 ფ.; 22,2×27; ქალაღი (ღურჯი); უყღო; თაბოლო ნაკლული; (სათურები წითური, თავასობი ასომთავრულით); XVIII ს-ნის მეორე ნახ. (ხელის მიხედვით); შემოსულია 1925 წ. პოლ. კარბელაშვილისაგან.

სათაური: თქუა დეკემბრისა კე. ხორციელი ზობა უფლისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი.

ჟამსა ღლისასა ვრეკთ ზართა და შევკრბებით ეკლესიად და იწყების მწუხრი ჩვეულებისაებრ და იტყვის ღწაკოხი—გვაკურთხენ, მეუფეო.

იწყება: მოგვდიოერნო მორწმუნენო, და ვიხარებდეთ უფლისა მიმართ ყოველნი და მადლობით მიუთხრობდეთ მოწვეწულისა წმისთვის საიღუმლოსა.

წყდება: და შემდგომად რეკისბ სრულ ყოფისა დაიტყვევბის საკითხავი და იწყებს შეფსალმუნე—ამინ, დიდება.

იოანე წინამორბადის ზოგა, ნაწახავი

6 ფ.; 21,7×17; ქალაღი (მოღურჯო); უყღო; თაბოლო ნაკლული; მხედრული (თავასობი ასომთავრულით, სათაურები წითური); XVIII ს. მეორე ნახ. (ხელის მიხედვით); შემოსულია 1925 წ. პ. კარბელაშვილისაგან.

იწყება: და მესმა ლაღადებისა, რომელმან ქაღაგოს იგი ღმრთივ ბრწყინვალედ ყოველსა სოფელსა. კურთხეულ ხარ შენ ზორის დეღათა და ყოველთა ტომთა და ნათესავთა.

წყდება: აჰა ესერა წარვაელინო მე ანგელოსი ჩვენი წინაშე პირსა შენსა, რომელმან განმზადნეს გზანი შენნი საღმრთონი წინაშე შენსა, რამეთუ ესე ზეცათა მის მეუფისა მწედარი ქეშმარტად წარუღღუა წინაშე ღმრთისა ჩვენისა და წრფელ ყუნი.

წიგნი ქაზისა ანუ ფსალმუნი

8 ფ.; 36×22,2; ქალაღი (მოღურჯო); უყღო; მხედრული; XIX ს-ნის პიოველი ნახ. (ხელის მიხედვით); შემოსულია 1925 წ. პოლ. კარბელაშვილისაგან.

ღასაწყისი: 1. ნეტარ არს კაცი, რომელ არა ვალს რჩევასა შინა უკეთესთასა და არცა სღვას გზასა ზეღა ცოდვილთასა და არცა ჰზის კრებასა შინა გარყენაღთასა.

ბოლო: 24. ვინაიღან უკეთური იქაღის, სურვილითა სული-სა თვისისათა აქეზებს.

საეკლესიო წყობისაგან

105 ფ.; 35,5x72; ქალაქი, უყლო; მხედრული; 1897 წ.; შემოსუ-
ლია 1924 წ. პოლ. კარბელაშვილისაგან (გურჯანი).

ხელნაწერი წარმოადგენს პოლ. კარბელაშვილის მიერ გადა-
წერილ ტექსტს სხვადასხვა საკითხავეებისას, ამოღებულს ძველი ხელ-
ნაწერებიდან: ა) იოანე კოსტანტინეპოლელ მთავარეპისკოპო-
სისა—შობისათვის უფლისა იესო ქრისტესი; 2) აღმართება პა-
ტიოსნისა ჯვარისა მცხეთას; 3) კირილე მთავარეპისკოპოსისა—
აღდგომისათვის; 4) ვფრემისა—სიკვდილისათვის; 5) ნინოს ქადაგე-
ბანი; 6) იოანე ბოლნელის თქმული; 7) წმ. ნინოს თქმული; 8) იო-
ანე კოსტანტინეპოლელ მთავარეპისკოპოსისა—კვირიაკესთვის; 9) თა-
რგმანება სახარებათა; 10) მისივე სხვა ქადაგებანი; 11) აბოს წა-
შება.

საქართველოს ისტორია ვახუშტისა

251 ფ.; 32,1x21; ქალაქი; ხის ყდიანი; მხედრული (სათაურები
და თავ-სიტყვები სინგურით); 1778 წ.; შემოსულია 1925 წ. პოლ. კარბელა-
შვილისაგან.

ტექსტი მოყვანილია 1677 წლამდის, შემდგომი კი კლებია
თვით დედანს.

დასაწყისი: ტომობა და ჩამომავლობა ქართველთა და
ცხოვრება მათი; რომელსა ეწოდების წიგნსა ამას ცხოვრება ქარ-
თლისა ნოეს ძის იფეთის თესლისაგან ვიდრე ქართლოსისა და
ქმათა მისთამდე და განყოფილებანი მათნი და ძეთა მათთა.

ბოლო: მოშენებულ იყო კახეთი და მთავრობდენ მთავარნი
და არა ნებისაებრ მისისა მსახურობდნენ. იხილა სიამაყე კახთა
ხანმან, იწყო მოწამლვით და რომელთამე ცხადად სიკუდილი.
ამისათვის კახთაცა იწყეს კრძალვა.

ხოლო გამოვიდა ჟამთა ამათ შინა სახელოვნობით განთქმუ-
ლი, ძლიერებით განდიდებული, ჭმა აღმატებით განსმენილი, ყო-
ველთა მტერთა თვისთა ძლიერებით შემმუსრველი, დიდის ხელმ-
წიფის ირაკლის მეფისა ნაზარალიხანად წოდებულისა ძე ცხებით
გვირგვინოსანი მეფეთ მეფე და ხელმწიფე თეიმურაზ.

ანდერძი (ფ. 251r): აღიწერა და სრულ იქმნა მდაბლის
მდღლის იესესითა, აპრილს კდ ქორონიკონს უჴ (1778).

გულანი

160 ფ.; 42×28; ქალაღი; ხის ყღიანი; თანეკლული; ნუსხური (სათურები და თავასოები სინგურით); XVII ს-ნის (ხელის მიხედვით); შექოსულია 1925 წ. პოლ. კარბელაშვილისაგან (გურჯაანი).

იწყება: წმიდა[სა] სახსენებელსა შენსა და ვითხოვთ ლოცვთა შენითა, ნეტარო, ქრისტეს ღმრთისაგან დიდს წყალობასა; უგალობა და გიხაროდენი.

ბოლო: გინა ძმანი, ანუ დანი, ანუ მამა, ანუ დედა, ანუ დედა, ანუ ცოლი, ანუ შვილი, ანუ აგარაკი სახელისა ჩემისათჳს, ასი წილი მოიღოს და ცხორებად საუკუნოდ დაიმკვიდრო, ხოლო მრავალნი იყავნ პირველნი უკანა და უკანანი წინა.

მინაწერი (ფ. 160v, XVIII ს-ნის ბოლოს ხელით, მხედრულად): ქ. მეოს ეყავ, ყოვლად წმიდაო ღვთის მშობელო, ვახტანგს ბატონიშვილს.

მინაწერი (წინა ყდაზე): 1867 წელს იანერის 1 დღეს შემოსწირა გულანი ესე თავადი პოლკოვნიკის ზაქარია ერისთავის ქვრივმა კეჩილა ელენე ლუარსაბ ორბელიანის ასულმა მოსახსენებელად მისდა და გარდაცვალებულთა მათათვის. ტფილისის ქაშეთის წმიდის გიორგის ეკლესიის დეკანოზი გრიგოლ ჭრელაშვილი.

გულანი

276 ფ.; 40,5×27,5; ქალაღი; ხის ყღაში; ნუსხური (სათურები და თავასოები სინგურით), სხვადასხვა პირთა მიერ; 1706 წ.; შემოსულია 1925 წ. პოლ. კარბელაშვილისაგან (გურჯაანი); ხელნაწერი შეიცავს თვენს სექტემბრიდან თებერვლამდის თანჩათვლით.

დასაწყისი: თუშსა სეკდენბერსა ა გვრგვნი წელიწადისა და დაწყებად ინდიკტიონისა და ვსენებად წმიდისა სუმეონისა. უფალო ღალადეყავ, დასდებელი ინდიკტიონისანი და წმიდისა სუმეონისნი.

ბოლო: რომელმან შენგან შობილმან ღმერთმან ხრწნილებად მათი უხრწნელ ყო, იშვა რად ორითა ბუნებითა ღმერთისრული და კაცი სრული და კულად მაგნა მუნვე სამოთხედ, ალილუია, ალილუია, ალილუია, დიდებად შენდა, ღმერთო ჩუშნო.

ანდერძი 1 (ტექსტის ხელით): ცოდვილმან და გლახკმან ფიტარეთის წინამძღუარმან იობ აღწერე წმიდად ესე წიგნი. უფალმან უწყის, რადუნ ძალმდევა, სიმართლეს ვეცადე და წინწილსა, (!) გარნა არავინ არს სრული, თვინიერ ღმერთი. ნუ ვინ მწყევთ, თუ შენდობად არ მიბრძანოთ, უფალნო ჩემნო და მ.მ.ნო.

ანდერძი 2 (სხვა ხელით ნუსხურით): ჩუშნ სუქართველოსა განმგემან ბატონიშვილმან პატრონმან ვახტანგ დავაწყრინეთ გულანი ესე სრული და უკლებელი, რათა მეუღლით, ძით და ასულით წერილმან ამათ შინა წმიდათამან გოზოს, ოდეს დაჯდეს ძე ღმრთისაა განსჯად ადამიანთა და მიაგებდეს კაცად კაცდასა ქმნილთა თვსთავებრ, მაშინ რათა არა მოგუაფოს ბოროტთა ჩუშნთა.

ქმნილებათა ნაცვალი, არამედ ღირს გვეუწეს ხილვასა ნათლისა მისისა, ამინ.
დაიწერა განმკობასა ჩუშნსა ინდიკტიონსა წელსა მეორესა, თუშსა ივლისსა,
ქორონიკონსა ტედ ქრისტეს აჩეთ ჩ ღ ვ.

მინაწერები: (ოქტომბრის თვის ბოლოს, ტექსტის ხელით, ნუსხურით);
ღმერთო ყოვლად დიდებულო, ცხოვრებისა ცხოვრებათ და სიკვდილისა სიკვდი-
ლო, ქრისტე. შენ მიერითა შეწვევითა აღიწერა სვედნებერი და ოდონებერი
ბრძანებითა ზეშთა ამალღებულისა ძირთაგან იესესთა აღმორჩებულისა და შენ
მიერითვე თვსტომობით წოდებულისა სრულიად ერანისა მდივანბეგის დიდის
ლეონის ძისა, საქართველოს ტახტ გვრგვანთა და სკიპტრა მეფობის მპყრობელის
პატრონისა ბატონიშვილის ვახტანგისთა. მრავალმცა არიან წელნი ცხოვრებისა
მისისანი თანა მემცხედროით და ძეგბითურთ, ამინ.

(დევებრის თვის ბოლოს, ტექსტის ხელით; გვარი და სახელი შემდეგ
ამოუშლიათ): ღმერთო, შეიწყალე ფრიად ცოდვილი... შვილი [იესე], რომელმან
აღწერა ორი თვე ესე, ქორონეკონს ტ ე გ.

(ფ. 257r. ტექსტის ხელით): ქრისტე, შეიწყალე ცოდვილი მწერალი
ფიტარეთის წინამძღვარი იობ გლახაკი.

243

მეტაფრასი, ფრაგმენტი

35 ფ.; 41,5×28,3; ქალაღი; უყდო; დაშლილი; თავნაკლული,
შუაშიც აკლია; ნუსხური; XVII ს-ნისა (ხელის მიხედვით); შემოსულია
1925 წ. პოლ. კარბელაშვილისაგან (გურჯაანი).

იწყება: ხარ მელოდგ მე უძლურისა და უღირსისა სასოე-
შისათჳს, რომელი გაქუს ეგოდენთა მაგათ ტკივილთა შენთა.

ბოლო: დებულ არს აწინდელთა ამათ საუკუნეთა და მერ-
მეთა მისსა დიდებამ და სიმტკიცე, პატივი და თაყუანისცემა თა-
ნა დაუსაბამოთ მამით და ყოვლად წმიდით და ცხოველს მყოფე-
ლით სულითურთ აწ და შემდგომითი შემდგომად ყოველთა საუ-
კუნეთა უკუნისამდე, ამინ.

მინაწერი (ფ. 25r, მე-18 ს-ნის მხედრულით): ქ. ეს მეტაფრასი სამთავისის ეკ-
ლესიისა, ვინც გამოსწიროს, მასამც რისხამს ლთაება და ყოველნი წმინდანი მისნი.
(სხვა ხელით, მხედრულითვე: ეს მეტაფრასი მლთავების(!) ეკლესიისა.

244

გულანი

247 ფ.; 42,8×28,3; ქალაღი; უყდო; თავსა და შუაში ნაკლული;
ნუსხური (სათაულები და თავასოები სინგურით); 1714 წ.; შემოსულია
1925 წ. ვას. კარბელაშვილისაგან (თბილისი).

დასაწყისი: დასდებელნი აღდგომისანი. უფალო ღალადყავ-
სა წვიამ: სამწუხრონი ლოცვანი ჩუშნნი შეიწირენ, წმიდაო უფალო.

ბოლო: არა არს იგი ჩემდა ღირს და რომელსა უყუარდეს

ძე ანუ ასული უფროს ჩემსა, იგი არა არს ჩემდა ღირს და რომელმან არა აღიღოს ჯუარი თვისი და შემომიღვეს მე, იგი არა არს ჩემდა ღირს.

ანდერძი (ტექსტის ხელით): აღიწერა და სრულ იქმნა გულანი ესე ბრძანებითა და საფასეთა წარსაგებელითა სახელოვანის ქართლის განმგებელის ბატონიშვილის სვიმონისათა, რომელმან აღგვაწერინა ფრიადითა გულისმოდგინებითა და სურვილითა ჩუენ ფრიად მდაბალთა და უღირსთა, მდგომარეთა და მყოფთა ტაძარსა წმიდისა სიონისასა, დეკანოზის ძეთა ზაქარეას და გაბრიელს, რომელთა დიდად ვინარკეთ და ვიღვაწეთ უკლებელად აღწერისა ამისთჳს და არც სხჳს წელი ვისიმე ურევია თჳნიერ ჩუენისა და თუ რამე შეცთომილი ნახოთ, ნუ გუწყვით, რამეთუ ესოდენთა წიგნთა შინა ორი სამი შეცდომილებჳა უკანონოა და უმეტესი ნუმიცა პოვნილ არს, არამედ ვინც წარაკითხვედეთ და იხილვიდეთ, ყოვლად ღმრთის მოყვარესა პატრონსა ამისსა დღეგრძელობით მოიკსენებდეთ და შერმე ჩუენ ფრიად მშრომელთა ქრისტეს სიყვარულისათჳს შენდობაჲს გზბძანებდეთ. დასაბამითგან აქამომდე ე ს კ ბ, ქრისტეს აქეთ ჩ ღ ი დ, ინდიკტიონისა ზ, კორინციონსა უბ, თუშსა სეკდენბერსა ა.

(ასომთავრული ხელით): ღმერთო, მშვიდობაში მოახმარე გულანი ესე ბატონიშვილს სვიმონს, ამაჲს.

245

ხადღესასწაულო

192 ფ.; 26,5×19; ეტრათი; უყდო; დაწლილი; თავბოლო ნაკლული; ნუსხური (სათაურები და თავსალები სინგურით); XV ს-ნისა (ხელის მიწველით); შემოსულია 1925 წ. ვას. კარაგელაშვილისაგან (თბილისი).

იწყება: ჯერ იჩინა საშოსა მისსა საკრველად და შემდგომად შობისი დაიცვა ქალწული, განანათლნა მარად შობამან შენმან.

წყდება: სიბრძნისა ტრფილ იქმენ, ნეტარო, და ყოველთჳ შეტბათა უფროს შეიტკბე უბიწო ცხორებაჲ და კსენებითა სიკუდილისათა განჰვლე საწუთოჲ ესე ცუდი.

მინაწერები: 1) მე ზეგროზ დაწვერე (ფ. 20v, ნუსხურით, ტექსტის ხელით).

2) ამისა მშრომელსა ბასილსა შეუნდვეს ღმერთმან (ფ. 117v ნუსხურით, ტექსტის ხელით).

3) ამის მწერლისა დედასა შეუნდვენ ღმერთმან (ფ. 139v, ნუსხურით, ტექსტის ხელით).

4) ღმერთო, აღდგარქელე ერისთავი შანშე, მე, დაგით, დაწვერე.

5) ქ. სახელითა ღმრთისათა, მამისა, ძისათა და სულისა წმიდისათა მებრძობითა წმიდისა იოვანე ნათლისმცემლისათა, იოანე მახარებლისათა ესე წიგნი გოპოძე მე ერისთავმან ვიძე (?), შენსა გაყრილთა ნიადაგ მგლოვარეს ესე... არ გიცოდით წერა, შემინდევ, ვინცა წაიკითხოთ, სირქარე... (ფ. 47r მე-16 ს-ნის ცუდი მხედრული ხელით).

6) ღმერთო, მოიხსენე ცოდვილი დიაკონი გრიგოლ (ფ. 86r, მე-18 ს-ნის მხედრული ხელით).

ქლისპირანი დღესასწაულთანი

83 ფ.; 17,2×30,4; ქალღი (ღურჯი; ყდაში; მხედრული (სათაურები და თავასობები ასომთავრულით და სინგურით); 1809 წელსა, შემოსულია 1925 წ. ვასილ კარბელაშვილისაგან.

დასაწყისი: სასწაულითა ივსნა ერი უფალმან და ზღვა მღელვარე სიტყვით განახმო პირველ და დღეს უბრუნელად იშვა ქალწულისაგან და წარმძღვა ჩვენ ზეცად ბუნებით სწორი მამისა თანა, რომელსა უგალობთ.

ბოლო: მსაჯულთა მიერ უღმრთოთა განჩინებისა კალამბ აღმოიწერების და იესო დაისჯების მსჯავრითა უმსჯავროთა ჯვარისა მიერ, არამედ რომელმან ივნი ჩვენთვის ბუნებითა ჯოცთათა, სახიერო უფალო, დიდება შენდა.

ანაერძი: აღუწერე ძლის პირი ესე საცისკრო და სამწუხრო შეხვეტილიანით უნაკლულად მე უღირსმან ბერმან დიმიტრი სარწმუნოსა მეგობარსა ჩემსა და ძმასა საყუარელსა მგალობელს პეტრეს, წელსა ჩუქ 1809, ქორთიკონს უუხ.

სწავლანი წმ. მამათანი

75 ფ.; 17,2×10,6; ქალღი (23 ფურცლიდან ღურჯი; ყდინი; თავნაკლული; მხედრული (სათაურები და თავასობები ასომთავრულით და სინგურით); XVIII ს-ნის ბოლოს (ხელის მიხედვით); შემდსულია 1925 წ. ვასილ კარბელაშვილისაგან.

1. სწავლანი გრიგორისნი.

იწყება: ...სხენ, რამეთუ ესე არს ქეშმარიტი და სრული სიბრძნე, ვითარცა იტყვის უფალი: ისწავეთ ჩემგან, რამეთუ მშვიდ ვარ და მდაბალ გულითა და ჰპოვოთ განსუენება სულთა თქვენთა.

ბოლო: ზ ვინმე დაიმარხნეს ზემო წერილნი ესე მცნებანი და ჰსცხონდეს და ზეცისა სასუფეველსა ღირს იქმნას დამკვიდრებად მადლითა და მოწყალებითა და კაცთმოყვარებითა უფლისა ჩვენისა იესუ ქრისტესითა, რომელსა შენის ყოველივე დიდებდა და პატივი და თაყვანისცემა თანა დაუსაზამოთ მამით და ყოველად წმიდით სახიერით და ცხოველსმყოფელით სულითურთ აჲ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

2. სწავლანი სულიერნი წმიდისა მამისა ჩუენისა დიდისა ბასილისაჲ (ფ. 29v—52r).

დასაწყისი: ლოცვა უბნობა არს ლეთისა მიმართ აწ უკუშ გულის ჯმა ვჰყოთ, ძმანო...

ბოლო: და ესრეთ დავიმკვიდროთ ცხოვრება საუკუნო სახიერებითა მისითა, რომელსა შუენის პატივი და თაყუანისცემა თანა მამით, ძით და სულით წმიდითურთ აწ და...

3. სწავლანი სულიერნი წმიდისა მამისა ჩვენისა მაქსიმე აღმსარებლისანი (ფ. 52v—75r).

დასაწყისი: პირველი უვნებლობა არს, რათა კაცი საქმეთაგან ცოდვისათა უცხო იქმნეს.

ბოლო: და მოგვეცეს შენ გვირგვინი დიდებისა მაღლითა და კაცთმოყვარებითა უფლისა ჩუშნისა იესო ქრისტესითა, რომლისა არს დიდება და ძალი და სიმტკიცე თანა მამით და სულით წმიდით აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სრულ იქმნა სამასეული სადიდებლად სამებისა წმიდისა.

248

ქლისპირნი ღმრთისაწაუღთანი

421 ფ.: 13,5×9,6; ქალაღი (ფ. 12—23 ლურჯი); ყდიანი (ზისა ტყავ-გადაკრული); ნუსხური (სათაურები სინგურით, თავსაოები ასომთავრულით და სინგურით); 1736 წ.; შემოსულია ვასილ კარბელაშვილისაგან 1925 წ.

დასაწყისი: თუესა სეკდენბერსა, აქუს დღე ლ. ა—დაწყება ინდიკტიონისა და ჯსენება სუმეონ მესევეტისა..

ბოლო: ღმერთო, ყოვლისა მპყრობელო; უწყი სამღრთო ძალი ცრეჟლთა, რამეთუ ეზეკია სიკუდილისაგან იჯსენ და მეძავი ბრალთა სიმრავლისაგან და კულად მეზჭყრე ფარისევლისა უმეტეს განამართლეს, ამისთვის მეცა გვევდრები, მათთანა აღმრაცხე სახიერ და შემინწყალე მე.

ანდრძი (ფ. 16v—17, ტექსტის ზელით, ნუსხურით); აღწერე წიგნი ესე, რომელსა შინა წერილ არს სძლის პირი საცისკრო და სამწუხრო სრულიად, რადენიც მგალობელს ესაჭიროებოდა, ახალნი სძლის პირნი შობისა და ნათლის ღების ზუძღრნა სრულიად, ვნებათ კვრა სრულიად, რაც წელიწადში წმიდად მოიქსენება, რომელიც პირველი არს ოხითა იამბიკო, რომელსაც დიდებად მალალი გოძელი და ქრისტესი სრულიად, ქართველთ წმცდ.თ ოხითა იამბიკო; საზოგადო წმიდათ ოხითა იამბიკო მცარე, ოხითნი ღმრთია მშობლისანი სრულიადვე, დღემი სათქმელი ლაზარობის. ბზობისა, დაუჯდომელობისა, აღდგომისა და ანდრძის საგალობელი და ზოგერთი ს. ჩინათა დღეთა იკოსნი, რომელი გდემზე იყო, მე ფრიად ცოდვილმან და უღირსმან იეროდიაკონმან სოლლაშვილმან გერონტი უდაბნოსა გარესჯასასა და მონასტერსა შინა დიდებულისა ნათლისმცემლის იოანესისა გერასიმეს მიერ უსასკიდლოდ აღზრდილმან და მისმან

უკანასკნელმან მოწაფემან გერონტიმან შეფობასა ირაკლი მეორისასა, წელთა და-
საბამითგან ვსკე, ქოიკტეს აქეთ ჩლჳ, თუშა იკნოსა კ. სადიდებელად მამისა
და ძისა და წიდიასა ბუნებით შეყოფილისა, ხოლო პირებით განყოფილისა აწ
და მარადის და უყუითი უყურისაჲდ, ამინ.

ღმერთო, მრავალ ჟამიერ ჰყავ სულიერი მამა ჩუენი არქიმანდრიტი
ფთჳმი, რ.იბლისა ლოცვათა საქმე ესე წარეჳართა.

მინაწერა (ფ. 5v წ. მხედრულით): მარტის ცხრას ჩყვს წელსა ყარაიხედ
აქალჳქილ არხუჲ მტყვარი გამოუშუეს, რ.იპელიც აქურთხა ექსარხოსმა
ბრხ. ევსეჳა, სადაცა იყო დიდი მთავარი მიხელი.

249

სადღესასწაულო

736 ფ.; 18,2×12,7; ქალაღი; ყდიანი (ხის ტყავგადაკრული); ნუს-
ხური (სათაურები სინგურით, თავაჳები ასომთავრულით, სინგურით);
1788 წ.; შემოსულია 1925 წ. ვას. კარბელაშვილისაგან.

დასაწყისი: თუესა სეკდემბერსა 17 შობა ყოვლად წმიდისა
სადღეფლისა ჩტმნისა ღმრთის მშობლისა და მარადის ქალწუ-
ლისა მარიაშისა.

მცირესა მწუხრსა ზედა, უფალო ღალადყავსზე დასდებულ-
ნი დ, კმაჲ ა, ზეცისა განწესებული.

ბოლო: კდა 17. ილოცეთ და მიეცით უფალსა ღმერთსა ჩტმნ-
სა; მუკლი—განცხადებულ არს ჰურიასტანს ღმერთი და ისრაილ-
სა ზედა დიდ არს სახელი მისი.

ანდერძი (ფ. 362v—363r, ტექსტის ხელით, ნუსხურით): განვასრულე ძა-
ლითა და მეწყენათა ქრისტეს ღმრთისათა წიგნი ესე მცირე სადღესასწაულო
უდაბნოსა გარეაჯისასა და მონასტერსა მრავალშობის ნათლისმცემლისასა არხი-
მანდრიტობასა სულიერისა მამისა და მოძღვარისა ჩტმნისა ფეთიმესისა, კარაჳე-
ლთა ზედა მეფობასა მისის უმაღლესობის მეარეასა ირაკლისასა, ხოლო პატრიარ-
ხი უწმინდესი და უნეტარესი ანტონი გარდაიცუალა ამიერ სოფლით. აღვწერე
მე ფოიად ცოდვითა დაბეღლებულმან დიაკონ-მონახონმან სოლალასშვილ-
მან გერონტი სადიდებელად ყოვლად წმიდისა სამებისა, მამისა და ძისა
და წმიდისა სულისა, რომელსა ჰმტმნის დიდება და პატივი და თაყუანის-
ცემა აწ და მარადის და უყურითი უყუნისამდე ამინ, თუშა მარტსა იე და-
საბამითგან წელთა ვსკე, ქოიკტეს აქეთ ჩლჳ, ქორონიკონს უოე, რაოდენიცა
რა ცთოთა ჰპოთ, ბომიტევეთ და შენდობა მიბრძანეთ, წმინდანო მამანო, რო-
მელთა ეკლად მიიღოთ წიგნი ესე. ჟამსა ამას ვიქმენ წელიწადისა ლა. ღმერთო,
შეიწყალე ცოდვილი ბერი გერონტი.

მინაწერი (ფ. 363 r. პოლ. კარბელაშვილის ხელით, მხედრულიად): არხ.
გერონტი, მწერალი ამისი, გუარით სოლალაშვილი მიიციულა იანერის იგ-სა წე-
ლსა ჩყიგ-სა.

250

კითხვანი და მიგვბანი ლოლიკისანი

28 ფ.; 17×11; ლურჯი ქალაღი; უყდო; XIX ს-ნის დასაწყისი
(ხელის მიხედვით); შემოსულია 1925 წ. ვასილ კარბელაშვილისაგან.

დასაწყისი: კითხვა — რაოდენნი არიან გუარნი კაცობრი-
ვისა ზედმიწევნილებსა?

მიგება — სამნი: 1) ისტორიებრივი, 2) ფილოსოფოსებრივი,
3) მათემატიკებრივი.

ბოლო: 6) არ უნდა გვეგონოს, საზღუარნი სხუადასხუა
ლექსით დახატულნი ძალადად სხუაობდნენ.

7) არც ეს უნდა გუშგონოს, რომ ყოველი ნივთი შეიძლება
ანუ სათანადო არის, რომ განისაზღვროს.

251

ქლისპირნი საცისკრონი

104 ფ; 13,6×8,5; ტყავ გადაკრული ხის ყდა; ქალაღი; ფ. 9 გა-
ხეულია; სრული; მხედრული (სათაურები და საწყისი ასოები სინგურით);
გადამწერი არ ჩანს; XVIII ს. (ხელის მიხედვით).

ს ძ ლ ის პ ი რ ნ ი ს ა ც ი ს კ რ ი ნ ი: ხმა ა, გალობა, ა ს ძ ლ ის-
პირი: სასწაულითა იხსნა ერი უფალმან და ზღუა მღელღარე სი-
ტყვით განახმო პირველ და დღეს უხრწნელად იმუა ქალწული
საგან და წარმიძღუა ჩუჴნ ზეცად, ბუნებით სწორი მამისა თანა,
რომელსა უგალობთ.

მინაწერები: ყდებზე, 1r, v, 2r, 103v, 104 r, v;

შენიშვნა: ფ. 103-ზე მოთავსებულია თამარ მეფის ეპიგრაფია:
ოდეს ნაპარმაგვესა შვიდნი მეფენი სჯფრისა ზედა დამესხნეს,
რუსნი სპარსნი და არაბნი საზღვარსა ზედა გამესხნეს...
და ფ. 104-ზე შირიმის წამლის რეცეპტი.

252

ცხოვრება ღვით გარესჯმილისა

24 ფ; 14,3×11,3; ქალაღი; ტყავ გადაკრული მუყაოს ყდა; ჩრჩი-
ლისაგან დაკმულია; სრული; ნუსხური; გადამწერი მთავარეპისკოპოსი
რომანოზი; ადგილი — დავითგარეჯის მონასტერი; 1737 წ.; ფ. 24 დაუ-
წერელია.

ცხოვრებაჲ წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩუჴნისა დაჲ
ვით გარესჯელისა მეუღაბნოესი, გუაჲურთხენ, მამაო.

ვინათგან ყოვლისა დასაწყვი[სი] და დასაბამი და ყოვლისა
მყოფისა არსისა და უარსოსა ხილულისა არა ხილულისა მიზე-
ზი და შემომქმედი უფალი არს, მივსცეთ მას დიდებაჲ, პატივბ
და თაყუანისცემა — მამასა, ძესა და სულსა წმიდასა...

ანდრძი: რომლისა საფლავი არს დამართებით კარსა სამეფოსა საფლა-
ვსავე თანა წმიდისა დავითისსა საკურნებელად სარწმუნოებით მთხოველთა-
რომელსა შუშნის დიდება. ეს სიტყუაჲ, მწერალთ, ზემო ჩაურთევი.

წმიდაო ღმერთშემოსილო დავით გარესჯელო, წენი ცხოვრების მეტაფრა-
სი მქონდა და სურვიელცა ვიყავ ცხოვრებისა წენისა სმენად და მრავალჯერ აღ-
მომეკითხა, ვითარმედ ზეპირადცა ვიცოდი, ვითარმედ არა ხოლო თუ წიგნი,
არამედ მრავალ წელ ვიყოფოდი უდაბნოსა და თვთ საფლავსა ზედა წენსა მონას-
ტრისა, ზოგიცა მუწი და მკვიდრებულთა ძმათა მამათგან მესა და ადგილიცა-
ხვალთა ვახილე; ამისთვის, ვითარცა პირველი ცხოვრება. ჭეშმარიტებით აღე-
სწერე ცხოვრებაჲ წენი მთლად და უნაკლულად, ვისცა ენებოს ისმინოს და ვისაც
არ მოაშენდენ, უზრუნველმცა არს.

ათას შვიდას ოცდა ჩვიდმეტს წელსა ქრისტეს აქეთ იქმნა ფრიადი და
საშინე[ლი] წვა, რომ სრულიად მოსპო საშეუფო ქალაქი და დაიწვა, რომელიმე
მცირედი უბნები დარჩა, არაოდეს არ ნახულა ვეც ვითარი არცაღა ანდერძად,
აპურცხველი საქონელი სრულიად მონასტრისანი და ყოველი ეკლესიანი. მაშინ
დამეწო ყოველი საცხოვრებელი ჩემი.

მე ფრიად ცოდვილმან მთავარეპისკოპოსმან რომანოზ, ლოცვათა შინა-
თქუშნთა ხსენებასა ჩემსა ნუ დაივიწყებთ მიძობვეულნი ამის წიგნისანი. (ფ. 23).

253

ანტონ I კათოლიკოსი, კახეზიჯო

96 ფ.; 21 x 16; ქალღი; ტყავგადკრული ტვიფრული ხის ყდა-
სრული; მხედრული (სათურები და დასაწყისი ასოები ასომთავრული,
სინგურით); გადამწერი ტრიფილე (ფ. 83r); შედგენილია 1757 წ. (ფ. 2r);
გადამწერილია 1767 (ფ. 83r); შემოსულია 1925 წ. ვასილ კარბელაშვილისაგან

დასაწყისი: წიგნი კატეხიზმოს ანუ მოწოდება, რომელიცა
თანა აცს ქრისტეანეთა კეთილმსახურთა აღსარებად და შეწყნარე-
ბად, რომლისა შორის სიმეოლიონ აღიხსნების 123 შინა კითხვისა მი-
გებათა: 1 კითხუჲ—რაჲ არს სათანადო ქრისტეანეჲსა მიმართ, რა-
თა პრწყენეს? 1 მიგება—სიმეოლიონ, რომელი არს ათორმეტი
ტაეპი, ქმნილი მეორისაგან მსოფლიოჲსა კრებისა, პირველად კოს-
ტანტინუპოლის შეკრებულისა (ფ. 3r).

ბოლო: ხოლო მეუფესა მას საუკუნეთასა უხრწნელსა, უხი-
ლავსა, მხოლოსა ბრძენსა ღმერთსა პატრივი და დიდება უკუნითა
უკუნისამდე, ამინ:

შენიშვნა წინ უძღვის: ქართველ სიბრძნის შემყურებელთა მიმართ-
მიმართული ლექსად თქმული წინა სიტყვაბაჲ წიგნისა კატეხიზმოსისა: „არ-
მომწყინდების თქუშნთანა საუბარი, ჰოჲ ქართუქლონო, სიბრძნის შემ-
ყურებელნო“. ბოლოს დართული აქვს საგნობრივი პინაქსი-ხანდუკი,
ანბანზე დალაგებული. დასაწყისი: „პინაქსი სიტყუაობაჲ ჩუქნ მიერ ქმნი-
ლისა წიგნისა კატეხიზმოსისა“... (ფ. 84r) ბოლო: „ფოტიოს პატრიარხი კოს-
ტანტინუპოლისა მოუთხრობს მსოფლიოთთაცა წმიდათა კრებათა და
ადგილობითთაცა. 94—97, დასასრული პინაქსი სიტყუაობისა (ფ. 96v).

ანდერძი (ასომთავრულით, სინგურით (ფ. 2r): სადიდებლად ცხოველს-
მყოფელისა თანა არსისა და განჯყოფელისა სამებისა, მამისა და ძისა და სული-

შა წმიდისა ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა ზემოასა საქართუშლოჲსა, დავითან ბაგრატიონისა წაგნი კატეხიზმო, როჲელ არს მოწოდება თვისთა მოწაფეთა ჭემმარიტისა მიმართ სარწმუნოებია და საქმისა, რაჲელიცა სათანადოსა ქრისტიანეთასა აღმოჩინებულთა ღუთისმეტყულებათა და ფილოსოფოსობითითა იპყრობს თვს შორის კითხუ-მიგებებითად.—დროსა ოჯკეთილ მსახურესისა და უმალღესისა ირაკლი ჰეორია მეფისა ყოვლისა საქართუშლოჲსასა და მამათ მთავრობისა თვისისა ყოველთა ქართუშლთა ზედა. წელსა დასაბამიოგან სოფლისა 7275 წელსა, განაოჩიელებითგან სიტყვსა ღთისა 1757, თუშსა მებუთესა, რიკებუა 20.

შენიშვნა: ასომთავრულს ანდერქს სტრიქონებშივე მისი შინაარსი მხედრულით აქვს მიწერილი.

254

ქეთევან დედოფლის წამება

5 ფ.; 22×16,5; ქალაღდი; უყდო; ბოლო ნაკლულო; მხედრული (სათაური და დასაწყისი სიტყუები სინგურით); ლექსად გამოთქმული, დაგლეჯილი; XVIII ს.; შემოსულია 1925 წ. ვას. კარბელაშვილისაგან.

დასაწყისი: წამება ქეთევან დედოფლისა შა-აბაზისაგან. ღმერთო, ცისა და ქვეყნისა საბრუნავითა მაქცეო,

ზე აღმართულთა ყოველთა დამცემო გარდამაქცეო... (ფ. 1r)-

წყდება: სულო, გაუშვი ადგილი, თვალო, დააგდენ ბუღდენი;

გულო, საძირკვლით აღმოხენ, მოირღვენ გარე ზღუღდენი;

ტანო, ზე ნულარ მართიხარ, გაღის ქვეზღვანი უღდენი;

ღა ქარო, საღ მიხვდენ, მიიღენ ამბავნი არ სიმრუღდენი.

255

ივუთის ნაწყვები

16; ფ. 22,5×17; ქალაღდი; უყდო, გამურვილ—დაგლეჯილი; თავ-ბოლო ნაკლულო; მხედრული; XVIII ს.; შემოსულია 1925 წ. ვასილ კარბელაშვილისაგან.

იწყება: და ქოროს ქართი დასავლეთისაქენ იწვიმებს, კგ შამლის ყივილისას ისარი მასკვლავი გამოჩნდების, ამ ღღეს უკან თვის ბოლომღენ კეთილია...

წყდება: ღმერთი კეთილს მოგცემს, რომელსაც ნატრობა ნახო. თუ ავად გახდენ, მორჩენ, რაც დაგიკარგავს, იპოვო, თუ სა... ნუ გაკეთებ, მიწის საქმობა კარგია... უფროთხილდი მოსეს წილის ყრითა...

ქართული გრამმატიკა

39 ფ.; 21,8×17; ქალაღი; ტილო გადაკრული მუყაოს ყდა; დაუმთავრებელი; მხედრული (სათაურები და დასაწყისი ასოები ასომთავრულით); 13,14,36 ფფ. დაუწერელია; XVIII ს. შემოსულია 1925 წ. ვასილკარბელაშვილისაგან.

ი წყება: ქართული ღრამმატიკა. § 1. ღრამმატიკა არს სწავლა ხელთ მძღწანუსლი კანონიერ უბნობისა და მართლ წერილსადმი.

წყდება: თუმცალა ზმნის ზედანი განყოფილ არიან სხუა და სხუათა სახეთა ზედა, გარნა ყოველნი იგი ოთხთა ამათ ზმნის ზედათა ეშედგინებინ, რომელ არიან: ვითარებითი, რაოდენობითი, ოდესობითი და სადაობითი. თავი იღ: კავშირისათვის...

შენიშვნა: ფფ. 12 და 13 ტექსტის შესავსებად ცარიელად დატოვებულია და 38r-ზე შეჩერებულია ტექსტის წერა.

ქორწინების კანონი

38 ფ.; 19,8×12,4; ქალაღი; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; სრული; მხედრული (სათაურები და დასაწყისი ასოები ასომთავრულით სინგურით); წიგნი მხატვრულად არის გაფორმებული; 1816 წ.; გადამწერი ივროდიაკონი გერონტი; შემოსულია 1925 წ. ვასილკარბელაშვილისაგან.

დასაწყისი: ქორწინებისა თავისათუს, სყა, მატეთსი. ხარისხნი ქორწინებისანი ამად ვიდრემე იწოდებიან ხარისხად, რამეთუ ვითარ იგი კიბეთა ზედა აღვლენ ხარისხად და შთამოვლენ. ეგრეთეს ვითარ იგი კიბეთა ზედა აღვლენ ხარისხად და შთამოვლენ, ეგრეთეს ნათესაობაჲცა ხარისხად.

ბოლო: კაცმან რომელმანვე, უკეთუ იმრუშოს დედა-კაცისა ვისთანამე, ვერლარა შეერთავს მემრჴვისა მის დედაკაცისა დედისნაცტალსა, არამედ შეერთავს მეორესა ბიძაშვილსა მისსა (ფ. 16r).

შენიშვნა: ა. ქორწინების კანონი წარმოადგენს რჯულის კანონის ნაწილს, რომელიც აქ მოცემულია სყა-ტნ თავებით. ბ. ფფ. 16v-35r სხვა და სხვა სურათებით მხატვრულად გაფორმებული და მოხატულია; შიგ ჩართულია ქორწინებისათვის ნათესაობით დამაბრკოლებელი ხარისხები.

ი წყება: ესე მაგალითნიცა ქორწინებისანი, რომელნიცა დასხნა უბრძნესმან და უსიტყვიერესმან ღიდმან ხარტოფილაქსმან, ესე იგი წიგნთა მცუსულმან, ოჯშიდგისა ქრისტეს ღიდისა გკლესისა კონსტანტინეპოლისამან, ივრო-დიაკონთა შორის უფალმან. მანლილ ქჷანთინოს.

ბოლო: ბუნებისა წინააღმდეგი ცოდვანა ხედუათავე არს ყოველნივე პირუტყუშბრიენი ბილწებანი და ნებსითნი თესლთ-თხევანი.
ანდერძი: აღიჭერა წიგნი ესე ოვდაბნოსა მრავალ-მათის დავით გარესჯი-სასა, ხელითა უღირსის ბერის იეროდიაკონის გერონტისათა, თუშსა ნოემბრის 16, წელსა 1816. მხილუშლოთაჲან ლოცვისა მოქენე (36r).

მანაწერები: 1r. და უკანა ყდახე.

258

კ რ ე ბ უ ლ ი

93 ფ.; 14,5×10; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტვიფრული მუყაოს ყდა; მხედრული (სათაურები და ტასაწყისი ასოები ასომთავრულით, სინგურით); 1762 წ.; შემოსულია 1925 წ. ვასილ კარბელაშვილისაგან დაუწერელია: ფფ. 1,6,7,68,88,90,92.

1. შენდობის ლოცვა: აცხოენე, უფალო, მონა გინა მხევალი შენი (სახელი); რაოდენიცა გცოდა ყოველთა დღეთა ცხოვრებისა თვისისათა, შენ ვითარცა სახიერმან და კაცთ მოყვარემან ღმერთმან შეუწდევ... (ფ. 2r).

2. სარწმუნოება შემოკლებით. კითხვა: რა არს სჯული? მიგება: მე ვარ უფალი ღმერთი შენი, რომელმან გამოგიყვანე ეგვიპტით (ფ. 8—13).

3. შეიღდა საიდუმლოთათვის. კითხვა: რომელნი არიან შეიღნი საიდუმლონი იგი? ნათლისღება, ქრისტენა, ზიარება... (ფ. 14—18).

4. შეიღნი მადლნი ხორციელნი. კითხვა: რაოდენი არიან მოწყალეზანი ხორციელნი? მიგება: შეიღნი ესე:—ქმევა მშვიერთა, სმევა მწყურვალთა, შემოსა შიშველთა... (ფ. 19—20r).

5. შეიღნი იგი მომაკვდინებელნი ცოდვანი. კითხვა: რაოდენი არიან ცოდვანი იგი მომაკვდინებელნი? მიგება: რომელნიცა შცნებათა ღთისათა დახსნიან და კაცთა სიყვარულისა წინააღმდეგებიან... (ფ. 20v—31v).

6. ამ შვიდს მომაკვდინებელს ცოდვაზე ლექსი:
ამპარტაენება ფაშამანგს, დათვის ნაყოფენებით მკურალსა;
ყურივამსგავსე კაცის ძალს, მკბენარს მუღამად მღრენელსა (ფ. 31).

7. ეს არის კაცთა შორის უნდა შეიმეცნოს: ფილოსოფოსობა, ღრამატიკოსობა, რიტორობა, მკურნალობა... (ფ. 32r).

8. შეიღ საიდუმლოთა მხატვრული სვეტი—ნათლისღება, მარონცხება, ზიარება... (ფ. 32v).

9. ათორმეტნი თვენი და ეტლნი, მათი სახელნი: ვერძი—მარტიკურო—აპრილი, ტყუბი—მაისი... მხატვრულ სვეტშია (ფ. 33r).

10. ლოცვა შესანდობელი, მოძღვრისა მიერ წასაკითხავი აღმსარებლისა მიმართ: სახიერმან და კაცთმოყვარემან ღმერთ-მან ჩვენმან, რომელი ჩვენთვის კაც იქმნა და ყოვლისა სოფლისა ცოდვანი აიხვნა, აურაცხელითა მით წყალობითა თვისითა შეგინდენეს შენ, სულიერო შვილო... (ფ. 33—34r).

11. მახარებელთა შესხმა იოანე პეტრიწისა: პირველი ესტეროთ ოთხნი, ორ აკლს იოანე, სამ მარკოზ, ოთხ ულუკოდ... (ფ. 34f).

12. იოანე ფილოსოფოსისა პეტრიწისა მიერ თქმული. ლოცვამან ანნა.

რომ კორიკორი, ღალატ ეფეს ფილიპე.

კოლას თესალო, თესალო ტიმოთეოს... (ფ. 35—42).

13. საქართველოს მეფის დიმიტრისაგან თქმულნი იამბიკონი მუხლი ათორმეტი, წმიდის შიოს მღვიმელისა.

შენის დაფნისა აშოიებს ასურსა,

ისავსებს ქართლი ნილოსა ნაკადულთებრ,

ორბობს მოხუცი, მღვიმე ფრთეობს სამყაროდ,

იბერწის წულებს მრავლად უდაბნოს ესე (ფ. 43r—v).

14. თამარ მეფემ რომ ხალიფაზე გაიძარჯვა, ხახულისა ღთის-შუმბელს დროშა და მანიაკი მიართო; ეს იამბიკო ხუთეულ ოცდახუთ ლექსად თქმული:

ცასა ცათასა დამწყები ღმერთ მთავრობაჲ,

ძე საუკუნოდ პირველ და კვალად... (ფ. 44).

15. იამბიკონი წმიდათა მოციქულთანი აღსრულებისათვის, თქმული იოანე მონაზონისა.

ჯუარს აცუამს პეტრეს თავდმოღმართ ჰრომს ნერონ, არ მკუ-ღარი სკოცხლებს მომკვდარი იოანე... (ფ. 44v—45v).

16. თარგმანება წმიდათა მოციქულთა სახელთა:

პეტრი განმხსნელად, ანუ მცნობელად, ანუ მსმენელად. ეწოდა პეტრეს ქრისტესაგან კეფა, რომელ არს კლდე... (ფ. 46—56v).

17. შეიდათ მათ მადლთა უპირველეს ესე არს, რომლისაგან აღმოიფხვრების ხე იგი ამპარტავენებისა ძირითურთ,—სიმდამბლე. სიმდაბლე ეს არის—კაცი კეთილს რომ ირჯებოდეს, გული არ აღიმალლოს და თავისი თავი ყოვლისა კაცისაგან უდარესად მიაჩნდეს (ფ. 57r—67v).

18. ხოლო რამეთუ აღსარება ფრიად და დიდ საქირო არს სულისა ცხოვრებისათვის, უკეთუ ამისათვის წამება სამღთოთა წერილთაგან მოვილოთ ძუძლისა და ახლისა აღთქმისაგან (ფ. 69r—89v).

ამ თავის ბოლო: აჰა, ხატი წინაშე ჩუქნსა და მეცა მოწამე ვარ, მხოლოდ ვსწამო წინაშე მისსა, რაოდენიცა აღმიარო მე. და ჰკითხვიდეს.

ანდერძი 1. მალაქის პროტაპა (!) მდივნის ნიკოლოზის, ჩღბ. (ფ. 317).
მინაწერები: 2r, 3, 4, 5, 93r

2. ეს შვიდნი წამალნი მომაკვდინებელთა მათ სენთა განმაუკვდაჲნი ტფიო
ლელ მიტროპოლიტს ნიკოლოზ ორბელიანს აღწერა და იმისგან მხატვრის
იოანეს ძეს ილუმენს მიხაილს გადმოეწერა. ღმერთმან მოცვალებულიცა და აწ
ცოცხალიც ღირს ყოს სანატრელსა მას. ცხოვრებასა და განსვენებასა და კე-
თილ სუფეგვა მრჩობლქდად ნიანიკოს უფალმან.

და მე უღირსისა და მდაბლისა და ყოველთა კაცთა უნარჩვევისა პრო-
ტაპა მდივან ნიკოლოზ მალაქისათვის შინდობა ბრძანეთ, ვინც იხილიდეთ
მათგან ნაბიჭვეად გარდმონაწერსა ამას (ფ. 67).

მინაწერი: ქ. ეს საღმრთო და ყოვლად მშვენიერი წიგნი სულით გლახაკის ბე-
რის მღვდელმონაზონის ათანასი ამილახვარის შვილისა არის და რომელმანც მიიმ-
ძლავროს, ან მოიპაროს, რისხავსმცა ღმერთი და ყოველნი მისნი წმინდანნი. ჩყიდ-
წელსა (93r).

259

კ რ ე ბ უ ლ ი

152 ფ.; 16×11; ქალაღი; ტყავის ტვიფრული ყდა; სრული; ნუსხუ-
რი (სათაურები და დასაწყისი ასოები ასომთავრულით. სინგურით); 1779 წ.
ფფ. 3, 197, 147, 150, 151, 152 დაუწერელია; შემოსულია 1925 წ. ვასილ კარ-
ბელაშვილისაგან.

1. სძლის პირნი და ღთისმშობლისანი: ჳმაჲ ა:

იწყება: უგალ[ო]ბსი: სასწაულითა ივსნა ერი უფალმან
და ზლუა მღელვარე სიტყვთ განაჳმო პირველ...

ბოლო: ესერა მომცა მე უფალმან საყდარი დიდებისა თვი-
სისა, ზოგადი სიხარული და მხიარულება და ცხოვრება სულთა.
ჩუშნთა... (ფ. 2r—82r).

2. ოხითა იბაკონი საუფლოთა დღეთანი და წინადღეთა და
რომელთამე დღესასწაულთა.

დასაწყისი: ოხითა. სეკდენბერს ზ ჳმაჲ დ. ძირისაგან იე-
სესა და წყვლთაგან დავითისთა საღეთო ქალწული მარიამ იშვების
ქუშყანასა ზედა.

ბოლო: ულხინე სულთა ჩუშნთა, ქრისტე ღმერთო ჩუშნო,
და გვაცხოვენ ჩვენ (83r—106r).

3. იოანე პეტრიწის მიერ იამბიკოდ თხუზული „კლემაქსი“

იწყება: იოანესაგან სინელისა სამათნი გვარნი კიბისა აღ-
სავალთაებრ თქმულნი. ვინცა აღსრულ ხარ, სისრულედ მიწივნირლ

ხარ, ესენი თუთო თავისაგან ათი მუხლად. მე იოანე დავლექსენ პირისპირად.

ბოლო: კლდენი შეიმუხვრიან შიშით და ზღუასა შეეშინა და იელტოდა საზღურთაგან და დაშთეს ნასნი ქვეყანასა განხმელსა. სახიერებით წყალობით მოხედვა ყავ და შეიწყალენ დაშთაზმელნი ყოველნი (ფ. 109r—149r).

შენიშვნა: იხილეთ, ბრძენო; წინაწყობილთა შორის.

ოდეს მიუფის ბრძანებით გაილექსა,
არ მეცნიურად, გარნა მორჩილების ძლით,
ნუ მწყევთ ღოისაფვის გამუხლვერსა ამისდა.
ესე არს მხოლოდ ნემსით ჩემთ იმექმა (ფ. 149 r).

შინაწერები: 1. სეყარულისაფვის ჯცდვნი ჩემს მოძვარს და პატროსანს შგაღობელს გრიგორის მოსახსენებლად ჩემ ცოდვილს მონიზა მრისა იოანე ბრძენოვისა, ჩყად წელსა (ფ. 1).

2. არხიმანდრიტი იოანე (ფ. 11).

ანდერძები: 1. აღესრულა შეწყვეთა ღოისათა თუშა იანვარსა თ კორონიკონს 1789 წ. იოანეს მიერ ზუცეს მონაზონისა გაბათნელისათა (ფ. 97v).

2. სადიდიდებლად თანა არისა და ცხოველს მყოფელისა სამებისა, ბრძანებითა დიდისა უფლისა ათორთა უდაბნოთა მაკურთხეველისა ნინოწმიდელ მიტროპოლიტისა საბა არქიმანდრიტისათა და ყოველთა უნარჩევე მან უღირსმან ზუცეს მონაზონმან იოანე აღესწერე ნათლის მცემლის მრავალმთის მონასტერში. მხილველთა შენდობას ვექენები (ფ. 106v).

260

კონდაკი

59 ფ.; 19×13; ქალაღი; სრული, ხელმეორედ აკინძული; ნუსხური (დასაწყისი ასოები ასომთავრული); XVIII ს.; ვასილ კარბელაშვილისაგან.

იწყება: განგებამ საღთოთა წირვათა, ვითარ იქმნების მღვდელთა და დიაკონთა მიერ ანუ რაჲ წეს არს. ოდეს ეგულვებოდეს მღვდელსა წმიდისაჲ ეამის წირვის ქმნა, ჯერ არს რათა იყოს მღვდელი განწმედილი...

სწყდება: შემდგომად ზიარებისა. კუალად სერობსა საიდუმლემ...

მინაწერები (უმნიშვნელონი): ფ. 20, 32, 33, 34 და 35.

261

მარხვანის ნაწილი

131 ფ.; 18×11,3; ქალაღი; ტყავადაკრული ტვიფრული ყდა; არა სრული; ნუსხური (ფ.1—57, 88—135), მხედრული (ფ. 58—88); (სათაურები

და დასაწყისი ასოები ასომთავრულით, სინგურით); 1779 წ; შემოსულია 1925 წ. ვასილ კარბელაშვილისაგან.

1. ხუთშაბათსა მეხუთესა წმინდათა ორმოცთასა ცისკრად კანონი დიდი, თქმულრ წმინდისა მამისა ჩვენისა ანდრეა კრიტელ იერუსალემელისა. ჯმაჲ ვ. გალობა ა. სძლის პირი. შემწე და [მ]ხსნელ და მფარველ მეყავ მე მაცხოვარებად ჩემდა...

ბოლო: მიითვალე ვედრება მონათა შენთა, ყოვლად წმიდაო ღმრთისმშობელო ქალწულო, და ევედრე დაუტბრომელად, რათა და-ჰხსნე ცოდვანი ჩუჴნი და მშჯღობა მოგვანიქოს ჩუჴნ (ფ. 3v—57v).

შენიშვნა: წინ მუჴდღვის სწავლა ღმრთის არსებობაზე (ფ. 1r), სწავლა იოანე ოქროპირისა (2v) და ლოცვა ანდრეასადმი (3r).

2. გამოკრებილი საგალობლები ლაზარობის შაბათიდან აღდგომამდე.

იწყება: შაბათსა ლაზარობისასა ცისკრად, შემდგომად პირველსა წარდგომასა ზედა, ჯმაჲ ა. ქრისტე კაცთ მოყვარე. ლო-დი რა აღიღეს, მკუდარი ოთხისა დღისა ლაზარე სიტყვით აღა-დგინე, მხსნელო...

ბოლო ...რამეთუ შენ უწყნი, ვითარ შესუარულ არს, ყოვ-ღმრთა ცოდვითა უბადრუტება ჩვენი, რათა გადიღებდეს შენ წმი-დასა და უხრწნელსა... (ფ. 58r—135r).

ანდრძი: 1. ღირსო მკაო ანდრია, შემეწიე, რათა სრულ ვყო თქმუ-ლთაგან შენთა გალობისა აღწერად სადიღებულად სამებისა—წმიდისა მამისა და ძისა და წმიდისა სულისა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ (3r).

2. ღმერთო. შეიწყალე ცოდვილი ბერი მკარაიოს და შენდობა მიმად-ლე შეცოდებათა მასთა. დაიწერა ქორონიკონს ჩღუთ, ქარაული ქორთნიკონი იყო უპხ. უკნონო წერასათვის შენდობას ვითხოვ, უფალნო ჩემნო, ბერი კაცი ვიყავ თუალთ ნაკლე (ფ. 75v).

3. ღმერთო, აცხოვე უღირსი ბერი მკარაიოს; წმინდანო მამანო, გვედ-რები თქუენის ღმრთის საყვარულისათვის, შენდობას მიპრძანებდეთ ცოდვისა, რა-თა თქვენცა მიადო შენდობა. ქორთნიკონი იყო ქრისტეს აქეთ ჩღუთ, ქარაუ-ლი ქორთნიკონი იყო უპხ. ფრიალ თუალკუბულ ვიყავ, თუ რომ ცდომალეა პოოთ, შენდობას ვითხოვ, უფალნო ჩემნო (ფ. 111r).

შინაწერი: ფ. 135v.

262

კუართხმანის ნაწყვეტი

46 ფ.; 18×13,5; ქაღალდი; უყდო; თხენაკუული; მხედრული (დასა-წყისი ასოები და ზოგიერთა სათაურები ასომთავრულით, სინგურით); XXIII ს.; შემოსულია 1925 წ. ვასილ კარბელაშვილისაგან.

იწყება: მეუფეო, უფალო ყოველისა მპყრობელო, რომელმან განჰკურნენ ყოველნი სენნი და უძლურებანი კაცნანი, ეგრეთუღ დღესა ამას, რომელმან ჰშუა ყრმაჲ ესე მონაჲ შენი (სახელი), განჰკურნე...

ბოლო: და ჩვენ მოსულნი მონანი შენნი შევსწირავთ მარადის ლოცვასა და თაყვანის ცემისა შამისა და ძისა და წმიდისა სულისასა, აწდა მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ (ფ. 44 v).

მინაწერები: ფ. 45 rv, 46rv, უმნიშვნელონი.

263

დღესასწაულთა ტროპარ-კონდაკნი

60 ფ.; 16 x 10; ქაღალდი; ტავის ტვირთული ყდა; დაზიანებული; სრული; მხედრული (დასაწყისი ასოები ასომთავრულით, სინგურით; 1792 წ.; შემოსულია 1925 წ. ბელაშვილისაგან.

დასაწყისი: ოხითა და იბაკონი ყოველთა დღესასწაულთანი. თუშსა სეკდენბერსა ა ოხითა. ინდიკტიონისა წმაჲ ბ. ყოველისა დაბადებულისა შემოქმედო, ჟამთა და წელთა თვისთა წელმწიფებითა დამსხმელო, აკურთხე გზგვნი ამისა წელიწადისა სიტკობებითა შენითა, უფალო...

ბოლო: ცოდვილთა და მეზვერეთა, მრავლისა წყალობისა შენისათვის, გამოუჩნდი, უფალო, მაცხოვარო ჩუენო, რამეთუ ვისამცა გამოუჩნდა ნათელი შენი, გარნა ბნელსა შინა მახლომარეთა, კაცთ მოყვარე დიდება შენდა... (ფ. 1—6Q).

შენიშვნა: ყდებზე აქვს უმნიშვნელო მინაწერები.

ანდერძი: აღიწერა და სრულ იქმნა აგვისტოს ლქორონიკონა ჩღუთ, უბ (?)

264 და 268

კახუული

258 ფ.; 15,6 x 9,5; ქაღალდი; ყდა შემოტორლი, დაშლილი; სრული; მხედრული და ასომთავრული (სათაურები სინგურით); ბერძნულიდან ნათარგმნი გიორგი მთაწმიდელისაგან (98v, 100r); თქმული ეფთვიმი მთაწმიდელისა (101r) და იოანე შავიელისაგან (201v); 1730 წ. ფფ. 1rv, 3r, 4v, 6r, 7v, 9r, 11r, 12v, 14r, 16r, 18r, 19v, 21v, 23v, 26v, 27rv, 28rv, 29rv, 42r, 46v, 54v, 55rv, 74v, 75rv, 76r, 77v, 125rv, 170v, 171rv, 202rv, 20rv, 233rv, 257rv და 258rv დაუწერელია; შემოსულია 1925 წ. ვახილ კარბელაშვილისაგან.

შენიშვნა: ხელნაწერები №№ 264 და 268 ერთი მეორის. გავრძელება და ერთს წიგნს წარმოადგენს.

1. იწყება: ესე არს ზვიდთა მათ მომაკუდინებელთა ცოდვათა უპირველესი, რომელ წერილ არს ხესა მას ზედა პირველსა: ამპარტავენება; ამპარტავენება ეს არის, რომელსაც თავისი ნაქმარი და ნათქუამი დიდად მოსწონდეს...

ბოლო: მტერთა და მოყვარეთათვის ლოცვას თვითონ უფალი ჩვენი ბრძანებს, მოძულეთა და მაქირვებელთათვის ლოცვასამისი ბრძანება უნდა აღვასრულოთ, რადგან მტერს ულოცავთ, მოყვარეს უფრო უნდა ლოცვა... ფ. (2r—25r).

2. წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლი ღმრთის მეტყუელისა: მუჯღები იამბვიკოჲ სასწავლოჲსა წილ წარმართთასა, რომლისაგან განაყენნა ქრისტეანენი ივლიანე განდგომილმან, ზედა წარწერილი თვით მისივე.—გრიგოლის ვარ მე, ტკივილით ნამუშავევ, ოთხ მუჯღედისა ჰინდურისა დამცველ ვარ მისაცემელად ცნობათა სულიერთა...

ბოლო: წარიპარო რაჲ სიტყვით, გინა თუ საქმით და მერმე გიგმდეს ცეცხლით განწმედილობაჲ (ფ. 29r—40v).

3. საქართველოს მეფის დიმიტრისაგან თქმულნი იამვიკონი, მუხლი თორმეტი. ა, წმიდის შიო მღვიმელისა. შენის დაფნისა, აშიობეს ასურსა, ისავეს ქართლი ნილოსა ნაკადულთებრ...

ბოლო: ღმერთმან შეგამკო, ვერაინ გჯობს ქებული და თვით თავით თვისით მზე ხარ გაბრწყინებული (ფ. 41—42r).

შენიშვნა: ეს მეფის დიმიტრის იამბიკონი მარტო ხუთია დაწერილი და ზვიდისათვის დასაწერი ადგილია დატოვებული.

4. ამფილოქეს იამბვიკონნი სელევკოსის მიმართ: არამედ უფროჲს ამისი სწავლაჲ შენდა სახმარ, ვითარმედ არა ყოველნი წიგნნი...

ბოლო: უკეთუ არა დაუთუნჯენ მან ჰრომთა ქედილი ოქროჲ რიცხვით ორი ათასი და ჩემსა ამას საყუარელსა მამულსა იერაპოლეს მისცეს ათასი ოქროჲ (ფ. 42v—47r).

5. ნიკოლაოზ ტფილელ მიტროპოლიტი(ს) ორბელიანის ორბელის ძისა მიერ მიწერილი პეტრებრუნს აშთარხნიდამ მეფე ვახტანგს ლევანის ზვილს ბაგრატიონთან იამბიკონი: თუალნი ვერ მხედი შენი არ ნათლიან მაქუს...

ბოლო: ვიბრუნებთ სულსა ესრეთ მცირით დიდებით, თუ სულიერ ხარ, ესრეთ ვითარ ვისჯებით (47v—58r).

6. ხელთის ცხრილები (ფ. 49r—54r).

7. კელთისა: მზის მოქცევისა, დიდის მცხრალისა, თვის დადევისა განმარტებით აღწერილი სწავლება, სულხან ყოფილის საბა ორბელიანისაგან თქმული და აქა ძმის მის საბასივე ეპისკო-

ჰოსისა ნიკოლაოზის გელით დაწერილი. რომელსა ნებავეს სწავლა მზის მოქცევისა ზეპირად, ანუ ცხრილ ცხავთა შინა ესრეთ ჯერ არს უწყოდეთ, რამეთუ მზის მოქცევა ოცდა რეასა წელიწადსა შინა მოიქცევის...

ბოლო: აწ ოდეს ცხრამეტეული ათერთმეტსა და ნაოთხასსა მიამთხვიო... (ფ. 56r—74r).

შენიშვნა: თან დარჩული აქვს წრე—ცხრილი მთვარის მიმოქცევის შესახებ მხეა და დედამიწას შორის (ფ. 76v—77r).

8. აღსარებად და უწყებად და სასწაული მართლისა სარწმუნოებისად და წმიდათა კრებათათვის, რომელთა დაამტკიცეს მართალი სარწმუნოებად, რომელი ესე ჯერ არს ყოვლითა ქრისტიანეთათვის, რომელნი კეთილად და გამოწვლილვით მეცნიერ იყვნენ. იესო ქრისტე, აღიდგ სული წმიდისა მამისა გიორგისი, რომელმან თარგმნა წმიდა ესე წიგნი, საუკუნო იყავნ ქსენება მისი, ამინ. მრწამს ერთი ღმერთი, მამა ყოვლისა მპყრობელი...

ბოლო: და რომელთა კეთილი ექმნას, წარვიდგნ ცხოვრებასა საუკუნესა და რომელთა ბოროტი, ცეცხლსა საუკუნესა (ფ. 78r—98v).

9. თქმული წმიდისად და ღმერთ შემოსილისა მამისა ჩვენისა ათანასი აღექსანდრიელ მთავარეფისკობოზისა ქალწულებისათვის. დასაბამი სიტყვისა ცხორებისა ქალწულობისა მიძართ. პირველ ყოვლისა გრწმენინ ერთი ღმერთი, მამა ყოვლისა მპყრობელი...

ბოლო: ხოლო ქორწინებული იგი ზრუნავნ სოფლისასა, თუ ვითარ სათნო ეყოს ქმარსა და განყოფილ არს... (ფ. 99r—100v).

10. თქმული წმიდისა მამისა ჩვენისა ეფთავიმისა მთაწმიდელისა, რომელი იყო ნათესავით ქართველი, რომელმან იგი მრავალნი წიგნი სალაონი თარგმნა ბერძულისაგან ენისა ქართველთა ენასა, რამეთუ გამოიტყოდა იგი ენათა მადლითა სულისა წმიდისათა. და ესე მცირედი კითხვად-მიგებად მოსცა თევდორე ხუცესსა საბაწმინდელსა, რამეთუ იყო იგიცა მღვდელი კეთილი ქართველივე.

კითხვა: გევედრები შენ, ღმერთა შემოსილო მამაო; მათუწყე, თუ რომელნი წიგნი არიან, რომელთა იგი წმიდად კათოლიკე ეკლესია არა შეიწყნარებს?

მიგებად: წიგნი, რომელთა კათოლიკე ეკლესია არა შეიწყნარებს, არიან ყოველნი, რომელნი მწვალებელთა მიერ აღიწერნეს.

ბოლო: დაღაცათუ შესვენებულთათვის იქმნების, ეგრეთ კოცხალთათვის კეთილ არს ჟამის წირვად და ფრიად სანატრელ და წმიდათა მიერ განწესებულ. და ნეტარ არს კაცისა მის, ვიდ-

რე ცხოველ არს, რომელმან წინათ წარიძლუანა წმიდა ჟამის წირვა,
და ეგრეთვე შესვენებულთათვის ფრიად კეთილ არს (ფ. 101r--103r).

11. [სხვა და სხვა საეკლესიო და ასტრონომიული ცნობანი].
ესეც ძველის კარგის წიგნიდამ გადმოვწერე. დიად ბევრი კარგი
ეწერა. მოვიდა ლმერთი ქუეყანად დღეთა მათ ზაქარია იოანეს მა-
მისა მღვდელობასა და ჰეროდეს მეფობასა იერუსალიმს...

ბოლო: და სხვასა, რომელსა შევიდეს მზე და მთოვარე,
ერთ ფერ ამათ ცხოველთასა ხილვათა ზედა რააცა წერილ არს,
თვითეულისა ნიშანი იგიცა იყოს (ფ. 107v--109r).

შენიშვნა: ბოლოს ერთვის თორმეტ წრეში მოთავსებული საინდიკ-
ტიონო ცნობები.

12. [ხუთას ოცდა თორმეტეული ქორონიკონი]. იწყება ა
0 ა ფბ. კვ. აბ. იგ. დღ. .გ. აბ. იე. ლ. [ა].

ბოლო: ნკ. ზ. ფბ. ზ. შტ. კე. დღ. ზ. შტ. კვ. ით. [ფლბ]-
ვისაც ლმერთმან ბოლოს გასლვა დაგაცალოს, კვალად თავსავე
იწყევით... (ფ. 110r--124r).

13. იოანე სინელის სამ ათნი გუარნი კიბისა აღსავალთაებრ
თქმულნი: ვინცა აღსრულხარ, სისრულედ მიწვეულ ხარ. ესენი
თვითო თავისაგან ათ მუხლად მე იოანე დავლექსენ პირის პი-
რად.

გნებავს, გამოხვალ თუ ოდესცა ამას ჰყოფ.

ბოლო: მათ შორის ქცევა, მხიარულ ქმნა უკუდავი.

არღუევ იმისას ოთხ სახითურთ ყოფასა (ფ. 126r--170r).

14. [ხელთა]. უწყება ჯერ არს ჟამთა და წელთათვის. არიან
თთუენი წელიწდისანი ათორმეტნი, კვირიაკენი ორმოც და ათორ-
მეტნი, დღენი სამას სამოც და ხუთნი და ნაოთხალი დღისაჲ, რომ-
ელ არს სამი ჟამი და ამის მიერ იქმნების ნაკი.

ბოლო: მარცვალნი დღისა ჟამთანი ორგზის ბევრ ცხრაას
და რვა, მარცვალნი ღამისა იგივე, ერთ რიცხვად ყოველნი მარ-
ცვალნი ჟამთანი ოთხ ბევრ სამ ათას და რვაას (ფ. 172r--201v).

15. [ცხრა თვის იამბიკოდ თქმული სენიაქსარული თხრობა]-
სეკლემბრისა დღეთა ათოცობასა სთორმეტო სთორმეტობს ჟამებო
დღე ღამეთა. ინდიკტიონსა, სადასაბამობს დღევანდელი, ესე იგი
არს, აწსა თავად თვისადსა, დიდისა მზისა, სვიმეონ ყოვლადის...

ბოლო: ერმისთა ერნო, ერმეანად მკვირობდით ყბა შემუს-
ვრილისა.

განკბილულ ტყავ წარჯდილსა, ცეცხლით ბრძმედულსა,
ორ გზის სამსალა სმულსა, გუგა წარყრილსა,

ძარღვთ დაწუდით სიავთ მთმენსა,
და ქედ კერძული წყალ სისხლსა მცენად გრწმენინ
(ფ. 205r—256v).

შენიშვნა: იამბიკონი იწყება სეკდემბრის პირველი რიცხვიდან და
თავდება ოცდა თერთმეტი მაისით.

ანდერძები: ა. ესენი არიან შვიდნი იგი ცოდვანი, მომაკდენებელნი სულ-
თანი და მათ ცოდვათა დამარღვეველნი, მადლნი და მოტყუებისა და კურნები-
სა წამალნი. და იგი ცოდვანი და მადლნი, რომელნიცა მშობელ არიან, მათ ყო-
ველთა სახელები თვითთველად რტოთა მათვე ხეთასა ხილთა ზედა აღწერილ
არიან. არამედ დასაბამნი მათ ცოდვათა, გინა მადლთა აღმოცენება, ქვეშე ძირ-
თა მათვე ხეთასა წერილ არს. და მათვე ძირთაგან აღმოცენებულისა მის ხისა
ნაყოფნი განეწინების რტოთა ზედა მათვე ხეთასი. ხოლო მათ ყოველთა ხეთა
ზედა წერილისა დამარღვეველნი იგი სახელნი ზეშთა თავთა მათვე ხეთასა წე-
რილ არს. და ამათ ყოველთა ცოდვათა და მადლთა სახელნი ყოველთათვის საც-
ნაურად გამოთარგმანებით მათთან ქვე თანა ხეთასა შემდგომად აღწერე.

გვედრები ყოველთა მხილველთა მოქმედი ამის მცირისა შრომისა მრღ-
ველ ეპისკოპოსი და აწ ტფილელ მიტროპოლიტად სახელდებული და ორისავე
დიდად შორს მყოფი ნიკოლოზ ორბელისშვილი—შენდობას მიბრძანებდეთ ქრი-
სტეს სიყვარულისათვის, რამეთუ ფრად შემძლებელ არს ლოცვა მართლისა
შეწვენად. და თუ ვინმე გარდასწყვეტდეთ, ან ღმერთმან ინებოს და სტამბა გა-
ნდეს, და იმაში გადმოიდოთ ვინმე, ქრისტეს ჯვარცმის გულისათვის და წმი-
დის ღთისმშობლის სიყვარულის გულისათვის ჩემს სახელსა და ამაზედ ქირან-
ხელს ნუ დაადებთ. ეგების შენდობა მითხრას ვინმე, 1730, აგვისტოს კა.
ნაშრომი საშრომი, მშრომელი უშრომ

აღვსურე დიდსა სამეფუოსა ქალაქსა შინა მოსკოვს, მეფობასა კურთხევით
ესენებულ მეფეთ მეფაჲს ანა იოვანეს ასულისასა. უფალმან განაგრძოს დღე
მისი სვე სვიანობით.

მეფედ გამცნობი, აწ ვერ საცნობი:

ვიშვე ვოსადვე, შევედ მიცდავე (ფ. 25r—26r).

ბ. ეს იამბიკონი ას მღვლენი დიდისა ღთისმეტყველისა წმიდისა გრი-
გოლისა მიერ თქმულ არიან (ფ. 40v).

გ. ოდეს ეს დაეწერა ჩემსა პირველ, მაშინ ქრონიკონი ყოფილიყო ულან
გამოთარგმანებით არს ოთხსა ოცდა ათერთმეტა დ. და მე რომ დაეწერე, ქრის-
ტეს აქათ იყო ათას შვიდას ოცდა რვა, დასაბამითგან იყო შუადი ათას
ორას ოცდა თექუსმეტი, ქართული კედებოდა ოთხას თექუსმეტი, დეკემბერს
იზ (ფ. 72v).

დ. მეორე ძველს რვეულზედ ესეები ასე ეწერა, მეც დაეწერე, მაგრამ ბო-
ლო აღარ იყო, თორემ ბევრი კარგი ყოფილიყო, ამის მეტი აღარ იპოებოდა.
ვინც ნახოთ, შეასრულეთ ღთის სიყვარულისათვის (ფ. 73r).

ე. იესო ქრისტე, სული წმიდისა მამისა გიორგისი, რომელმან თარგმან
წმიდა ესე წიგნი. საუკუნო იყავნ ესენება მისი, ამინ (ფ. 78r).

ვ. ესე მართლიაა საწმუნოებისა აღსარებაჲ ჰრომთა წიგნისაგან გარდ-
მოეწერე. ვინ აღმოიკითხოთ, ლოცვა ყავთ გლახაქისათვის, რომელმან ესე ვთარ-
გმნე.

ერთი სამოციქულო ვნახე წმიდისა გიორგი მთაწმიდელისა. თვლით მზი-
ლელისა და წელით მსახურისა, მეორე გიორგის წელით დაწერილი იყო და იმაში
ეს მართლ მაღიჯებლობა საარწმუნოებები, როგორც ეწერა, ჭეშმარიტად მეც
ისე გარდმოვწერე (ფ. 98v).

ზ. ესე ხემოთ მიქაელ სვინკელისა თქმული სარწმუნოებთა ნეტარისა მა-
ხისა ჩვენისა ფეთვიმის თარგმანილ აუს და სხვაჲ ყოველი წმიდისა მამისა გიო-
რგისაგან, ვითა ამას წიგნსა სწერია (100v).

ც. ეს მამა ფეთვიმი ქართველისაგან ნათქვამი, კითხვა მიგებაჲ. ერთ
ძველს წელით დაწერილს, მეფის არჩილისაგან[ნ] წაღებულს, კათხევანშა ეწერა,
იქიდაჲ გამოვწერე; ის კურახევანი ქართლს რუისის ღთაებისა იყო, ავალი შვი-
ლის მროველისაგან დაგდებული (ფ. 207r).

თ. ერთს ძველს წიგნში ეწერა: ხუიდამაჲ ამისთანა ყოფილიყო, ამოვქ-
რათ, დაეწერე, მაგრამ არაჲ სწავარი მგონია. ეგების გამოიყენათ, მაგრამ ტყუი-
ლიც მგონია ეწეროს (ფ. 109v).

ი. დმერთო, შემისყლე ნიკოლოზ ორბელიანი (139r).

ია. ეს უცხო ამავე ერთის დიად ძველის წიგნიდამ გარდმოვწერე კარგის
გაცის დაწერილისაგან (ფ. 172r).

იბ. და ოდეს ესე დაეწერე, ქართული ქრონიკონი მეთათამეტედ მოქცეუ-
ლი იყო და მეტი იყო სამას ოთხმოცდა მეთორმეტე. — ამას ხედვით ასე ეწერა:
ერთი ძველი ძლის პირი მეფეს არჩილს გელათიდაჲ წამოელო რუსეთსა, ოთხას
ორმოცდა ათექსმეტის წლის დაწერილი იყო. და ოდეს მეფე ვანტანგ, ძმის
წული მისეჲ მეფის არჩილის; ურუმთაგან ლტოლვილი, წარგადა რუსეთად, მრავა-
ლნი დიდებულნი საქართველოთანა — თეადი, ეპისკოპოსნი, წინამძღუარნი, აზ-
ნაურნი და მსახურნი თანა ეაზღნენ მეფესა, თუთაჲ და დაუშულათ წარსრულ-
სა და მეც მათ თანა ხლებული ორბელისძე მრაველ ეპისკოპოსნი და
ტფილელ მიტროპოლიტი ცოდვილი ნიკოლოზ. მეიწიგნით სამეუფოსა ქალაქსა
მოსკოქეს, გიბილე გიბი ძლის პირი და გარდმოწერე მუნით დასაბამათგან წე-
ლთა რიცხუნი და ხარება შეიდევლსა, დიდი მკხოალისა ზედნადებთა,
დღის საძებელთა, ჭის მოცხვეთა, მთვარის მოქცევთა, ხუთეულთა, ეგვსეულ-
თა, თუ სადათ მოვალს, ანუ ვერ მპოენელსა ვით მართებს პოვნა და ცხრათა
თთვეთა წმიდათა სახელნი იამბეაკონად (!) თქულნი და მეფის დავითის თქმული
გალობანი და მწუკლებულთა მეჩვენებს გალობა და წელით უქმარს ხატისა მუ-
ნით გარდმოვწერე. შენდობას ვითხოვ ღთისათვის (ფ. 173rv).

ივ. ვინცა ამას დასწერდეთ, ამასვე ცხოველს მყოფელსა აღდგომისა
პატივ ეცით და სათუალავსა სიტყუად დასწერდით, თენიერ ამის დიდოსა ქრო-
ნიკონისა, საუწყებელსა შინა არა ჯერ არს სათუალავისა ანბანითა წერაჲ,
მკითხველისათვის სადრტინავად შეკჳნებაჲ და ამას ქრონიკონსაცა სრულეზი-
თა დასწერდით ხუთსა ოცდა ათორმეტ წელიწადთა, თუვარა აჲ ჩემგან თქუ-
ლისა ძალსა ვედარას შეირაგებთ. ანუ სხვათა ნიშნითა ნეტა აღარას თქვენ
დასწერთ, თუ ამას წელიწადსა ესე რაჲ იქმნა, თუვარა ჩემთა დაწერალთა ნი-
შანთა თანა გავრევის, რომელსაცა ესე საუწყებელი ეწამების და ესეცა ცუდ იქ-
მების და ჩემ ცოდვილისათვის შენდობაჲ თქუთ (ფ. 196v—197r).

იდ. ესე რომელ თვითოეულისა ჯგირისათვის მრავალ გზის დამიწერა
პირველად ამისსა წერას; შინა უმჯობესად გულის ხუმა ყოფილითა ჩემგანემ
ნაკლულეგანი აღმომიკახმავს და რომელი უნაკლულოდ და კეთილად დამიწე-
რია, თქვენისა უკლებადრე უწყებისათვის და წვლილადრე გამოძიებისათვის
მეორედ და მესამედაცა დამიწერია რომელსამე ჯერისა და მიხეზისათვის. და

ღმერთი მშვიდობისა და თქვენ ყოველთა მართლ მიწაწმენთა და ღთის მოყვარეთა თანა იყავნ და კურთხევად თქვენ, ჯუარითა ცხოვლს მყოფელითა, ჩემ ცოდვილისა თანა იყავნ აღმოსაწინგლად სულისა ჩემისა, ამინ.

ამა ქვემოთი ეს ცოტა რამე ამის მწერლის დაწერალა არ იყო, მაგრამ ასე ეწერა და მეც ისე დაეწერე. (ფ. 198r).

იგი ესე ასურულითა კვიკლოპისა სძიებელი და მსწავებელი, იამბიკონად თქმული წიგნისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა ილიანე შავთულისაგან თქმული, ამისთვის დაეწერე როზელ ზემოთა საუწყებელსა შინა მცესუნა, ამას კვიკლოპისა თანა ქრონიკონსაცა დაუწერენ, დიდსა წინა მდებარესა წელთასა. უკეთუ ჯავთავად ვინმე დასაწერდეს, ვინადაცნ ერთი მეორასა მოწამე არს, იმას ზემოსა ქრონიკონსა მივანდვენ და თანა აღარ დაუქარე და ესე რიცხვი შავთულისა იამბიკონთა ქვემოთ მოსაკიდებელი იყო და პირველ მას ხოლმე წაიკითხვედნ და მერჟე ამას. მწერალქან მუნ სხუად რამე მომაკიდა და ესე აღარ დაიწერებოდა. ერთის ძეგლის წიგნიდამ ჯარდმოვწერე და თავს ეწერა და, სადაცა იმავე დამწერს ეტანა—იამბიკონთან უნდაო—მე იქ დაუწერე, მის მცნება აღვახრულე. მე ორბელიაშვალს ნიკოლოზს ტფილელ მიტროპოლიტს შენდარქაქს მიბოძანდელთ ღთის სიყვარულისათვის.

ფოთიად გამტონეო, ესე ვითარც ესე სულ მცირედ აღწერილი პიტაკის სახე და ათა დიდთა შინა ნაწერათა მდებარე სიტყუთა ნაბიკევი რაოდენთამე მიხეხთათვის და საქებელ გაქუნდინ და მადლის მირთმელ მუშაკობისათვის, რამეთუ მოგებად ნაწერისა და უსად მძიზე არს და საიშვითა მოგებულთათვის. და ადგილითი ადვილად თანა ქონებად მოგზაუროთათვის. ხოლო ესე თხოვის საკიქელ და ფრკითა სატიერთელ ვერ საცნობელ წარწყმედს, თუ გინა აღვაცოს ათად სატყუარი და ვგოს თუ ვყოთათვისჲ ათა ყავლად უქმარ სადაცა მოუწოდოს რამ ვისმე ქამშან გარეგან ეკლესიისა, და ეკათოს მუნ დადგინება მოხვისად, არამედ ნუ უჯე და საცილუბელცა იყოს. და ურთიერთს მარძალობად ქრონიკონისა, ქართულთა ცთოქლად აღწერისაგან მხად ყოვლისა მის აქუნდეს უკდოთლი განმარტებად სიტყუთა ანათ მიერ და სახეთა, ვინადაცნ კვიკლოპს ყოველსა შინა უკდომელ არს, ხოლო ქართულიც ესე მცირედ და ქამათა თვისთა ქრონიკონი ახლად მოსწავლე ქმნალთათვის კვიკლოპისათა, რეცა მძველად რამე ათა გზის მასწავლელად აღვსწერე მუჯღებსავე თანა იამბიკონთასა (ფ. 201v—202v).

იგი ღმერთმან სასუფეველი დაუშვიდროს ამ ცხრას თვის იამბიკონად მთქმელსა და ვინც ეს ცხრა თაოუქტად შეასრულოს, იმასაც შენდობა უბძანეთ. დიად, კარგად ნათქვამი არის (256v).

265

კლისპირნი

178 ფ; 10,2X7,8; ქადაღად; ტყავადაკრულა ხის ყდა, ბოლო ნაკლული; ნუსხური და ჩამატებული ფურცლები მხედრულით (სათურები და დასაწყისი ასოები ასომთავრულით, სინგურით); XVIII ს.; შემოსულია 1925 წ. ვასილ კარბელაშვილისაგან.

შენიშვნა: ამოკიდებული-დაკარგული ფურცლები ხელახლა ჩამატებულია და მხედრულით არის დაწერილი: 16, 21, 173—178.

დასაწყისი: სძლას პირნი და ღთისმშობლისანი უვალობდითად ვმად ა. სასწაულითა იქსნა ერთი უფალმან და ზღვიამ მღელვარე სიტყვთ განაქმო...

წყდება: შიშით და მოწიწებით და განვლეს რა სივრცე ზესკნელთა, ზეცისა მხედრობათა უხილვად ეტყოდეს: ესე რა, მოვალს ყოველთა დედოფალი, აღიტყველეთ (?) ჯელნი და სიხარულით შეიწყნარეთ.

ანდრძი: ღმერთო, შეიწყალე ცოდვილი იოანე (ფ. 131r).

266

შვიდნი ცოდვანი და მალნი

ფ.; 16×10,5; ქალაღი; უყდო; თავბოლო ნაკლული; მხედრული (დასაწყისი ასოები ასომთავრულით, სათაურები სინგურით); სასვენი ნიშნებად ნახმარია წერტილი და ორწერტილი; XVIII ს. (ხელის მიხედვით); შემოსულია 1925 წ. ვასილ კარბელაშვილისაგან.

იწყება: აწ უკუშ არიან შეიდნი მომაკუდინებელნი ცოდუანი, რომელთაგანი პირუშლი ამპარტაგნება არს. ამპარტაგნება ეს არის, რომელსაცა თავისი ნაქმარ და ნათქუამი დიდად მოსწონდეს...

წყდება: წყურვილიც ისე გასინჯე. ასე უნდა კაცმან თავისი გული განახმოს და ენა განაშოროს და ყური დაიყრუოს, რომ გულისთქმა ცოდვსა არ შეიწყნაროს; სხვისაგან ნარჩევი არ გაიგონოს და ენით აღარა... (ფ. 1r=18v).

მინაწერი: წინა ყდაზე, უმნიშვნელო.

267

აღსარების წესი

91 ფ.; 8,8×5,3; ქალაღი; ტყავგადაკრული ხის ყდა; სრული; წესი-ხტრი (დასაწყისი ასოები ასომთავრულით, სათაურები სინგურით); XVIII ს. (ხელის მიხედვით); შემოსულია 1925 წ. ვასილ კარბელაშვილისაგან.

დასაწყისი: აღსარების თქმის რიგი შეიდს მომაკვდინებელს ცოდვაზე და ათს მცნებაზე ამ რიგით: მღვდელმან დაასვენოს ხატი მაცხოვრისა და სახარება, სამი მეტანია ქნასა ღმსარებელმან და დადგეს. მოძღვარი მოიღებს ოლარსა და იტყვის: კურთხეულ არს ღმერთი, რომელსა ნებავეს ყოველთა ცხოვრება.

ბოლო: დედაო ღთისაო, მეოხ მეყავ მე; ქრისტეანეთე მეოხო, შემწე მე ყავ მე (ფ. 1—91).

ხელნაწერი შემდეგი (268) ნომრით გაერთიანებულია № 264 ხელნაწერთან.

ლოცვანი

483 ფ.; 9,8×7,5; ქალაღი; ტყავადაკრული ხის ყდა, დაზიანებულ-
ლი; თავბოლა ნაკლული; მხედრული (საჩაუტრები სინგურით); XVIII ს.
(ხელის მიხედვით); ფფ. 194 r, 201 r დაუწერელია; შემოსულია 1925 წ.
ვასილ კარბელაშვილისაგან.

იწყება: ესრეთ, რომელი შუალამესა (ქებასა ში)ნა იშვე.
ქალწულისაგან, (და ვითარცა) კაცთ მოყვარე და ბაგასა პირუ-
ტყუთასა მიიწვინე, მეუფეო...

წყდება: წმიდა პატრიარქი ჩვენი, სახელით, წმიდანი მიტ-
რაპოლიტნი და ეფესკოპოზნი და ყოველი სამღვდლო და სამო-
ნოზნო... (ფ. 1—431).

ლოცვანში მოყვანილი შემდეგი ავტორების
ლოცვები:

1. შუა ღამის ლოცვები (ჟაეტორო, ფ. 1r—36r).
2. ლოცვა შუალამისა, თქმული იოვანე დამასკელისა.—უფა-
ლო ღმერთო, რომელი მდიდარ ხარ წყალობითა... (ფ. 37r—42r).
3. ლოცვა შუა ღამისა, თქმული წმიდისა დიდისა ბასილისა.
—მეუფე ზეცათაო, ღმერთო ჭეშმარიტო (ფ. 47r—53r).
4. ლოცვა შუალამისა მისივე.—უფალო, ღმერთო ჩვენო, მრ-
ვალმოწყალეო... (ფ. 53r—70v).
5. ღმრთის მშობლის დაუჯდომელი (ფ. 70v—96r).
6. ლოცვა ყოვლად წმიდისა ღმრთის მშობლისა მიმართ,
თქმული ღირსისა კირ-ფილაფისი არქიეპისკოპოზისა კოსტანტინო-
ქალაქისა.—უბიწო, შეუგინებელო... (ფ. 97r—105r).
7. ლოცვა, თქმული წმიდისა იოვანე ოქროპირისა, რომელი
უწინარეს ეამის წირვისა წარიკითხვის, ხოლო მონოზანი ყოველსა
ეამსა იტყოდეს.—გმადლობ შენ, უფალო, ღმერთო ცხოვრებისა,
ჩემისაო (108v—119v).
8. ჟაეტორო ლოცვები (ფ. 119v—179v).
9. ლოცვა წმიდისა მამისა ჩვენისა მაკარისა.—უხრწნელო,
უბიწოო, ყოვლად მოწყალეო... (ფ. 179v—132r).
10. ლოცვა წმიდისა მამისა ჩვენისა იოვანე ორქოპირისა.—
კჳალად შემობრკჳმა უბადრუქსა გონებითა ბოროტითა... (181r,
—194 r).

11. ლოცვა სვიმონისი გულის სიტყუათაჲთაჲსი.—ჰიო უფალო, იესო ქრისტე... (ფ. 196v—198r).
12. ლოცვა დანიელისი ბრძოლისა სიძვისასა სავედრებელი. შემწე იქმენ ჩემდა, მეუფეო ყოველთაო... (ფ. 198r—204v).
13. ლოცვანი ზიარებისანი... (ფ. 205r—220v).
14. გალობანი ზიარებისანი, თქმული თეოქტისტე მონოზონისანი... უფალობსა. ჳმა ბ. მოვედით, ერნო... (ფ. 220v—136v).
15. ლოცვა ზიარებისა, თქმული დიდისა ბასილისა.—მეუფეო, უფალო იესო ქრისტე... (236v—241v).
16. ლოცვა იოვანე ოქროპირისა.—უფალო ღმერთო ჩემო, უწყი, რამეთუ არა ვარ ღირს... (ფ. 341v—245r).
17. ლოცვა წმიდის იოვანე დამასკელისა.— მეუფეო უფალო იესო ქრისტე, ღმერთო ჩვენო, რომელსა მხოლოსა გაქუს მოტევაბა... (ფ. 245r—249r).
18. ლოცვა, თქმული სვიმეონ მეტაფრასისა.—მხოლოო წმიდაო უხრწნელო... (ფ. 249v—252r).
19. ლოცვა იოვანე დამასკელისა.—წინაშე ჳარსა ტრაპეზისასა შენისასა წარდგომილი... (ფ. 252r—257v).
20. ლოცვა დიდისა ბასილისა.—უფალო უწყი, რამეთუ უღირსად მოვიღებ... (ფ. 257v—258v).
21. ლოცვა სვიმეონ მეტაფრასისა.—ვითარცა საშინელისა და საყდრისა თვალუხუთისა... (ფ. 258v—276v).
22. ლოცვა წმიდისა სვიმეონ ახლისა.—შეგინებულთა ბაგეთა საძაგელისაგან გულისა... (ფ. 276v—282r).
23. ლოცვა იოვანე დამასკელისა.—უფალო, მიეც წყალობა მოძულეთა ჩემთა... (ფ. 282v).
24. ლოცვა იოსებ გამომეტყუელისა.—მეუფეო, წმიდაო უხრწნელო... (ფ. 282v—289v).
25. ლოცვა ზიარებისა დიდისა ბასილისა.—გმადლობ შენ, უფალო, მამაო მოწყალეებისაო... (ფ. 289v—300r).
26. ლოცვა მისავე.—გმადლობ შენ, უფალო ღმერთო ჩემო, რამეთუ არა მომიძაგე მე ცოდვილი... (ფ. 303v—306r).
27. ლოცვა დიდისა [იოანე] ოქროპირისა.—მკუდარი იყავ შეცოდებითა და აწ განსცხოველდი... (ფ. 306r—300).
28. ლოცვა დიდისა ბასილისა.—მეუფეო ქრისტე ღმერთო, მეუფეო საუკუნეო... (ფ. 309r—310).
29. ლოცვა სვიმეონ მეტაფრასისა.—მომცემელო საზრდელად კორცსა... (ფ. 310r—311r).
30. ლოცვა კვირილე ალექსანდრიელისა.—ჭორცი შენი წმიდა, უფალო... (ფ. 312r—313r).

31. ლოცვა დიდისა ბასილისა. — სულო უბადრუკო...

32. ლოცვა სავედრებელი წმიდისა იოვანე ნათლის მცემლისა, თქმული წმიდისა თეოფანესი. — წინასწარმეტყუელად და ანგელოზად გიციობთ ჩვენ მორწმუნენი... (ფ. 371r—376v).

33. ლოცვა აღსარებითი ეფრემისი, — შეინანე, სულო ჩემო... (ფ. 376v—382r).

34. ლოცვა სავედრებელი ღმრთის მშობელისადმი, თქმული წმიდისა თეოფანესი. — ყოვლად დიდებულო, ყოველთა უმეტესო... (ფ. 382r—396r).

35. ლოცვა აღსარებითი ეფრემისი. — შენ მხოლოსა ძვირ-უხსენებლო უფალო... (ფ. 396r—407r).

36. ლოცვა სავედრებელი მოციქულთა, თქმული წმიდისა თეოფანესი. — ყოველთა შემოქმედი ღმერთი იტყვს პირითა... (ფ. 407r—430v).

37. შესხმა ჯვარისა და ვედრება, თქმული იოვანე დამასკელისა. — ხოლო ჩემდა ნუ იყოფინ სიქადულ, გარნა ჯვარითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა... (ფ. 431r—463v).

39. უაეტორო ლოცვები (ფ. 463v—471v).

40 ღმრთის მშობლის პარაკლისი (ფ. 473r—483v).

შენიშვნა: პარაკლისი ბოლონაკლულია.

270

ქლის პირნი და აღსაგაღნი

49 ფ.; 15,8×10; ქალაღი; მკყ.ოს ყდა; თავნაკლული; მხედრული (დასაწყისი ასოები ასომთავრულით, სათაურები სინგურით); XVIII ს. (ხელის მიხედვით); შემოსულია 1925 წ. ვასილ ჯვარბელაშვილისაგან.

იწყება: დიდება და აწ და ღთის მშობლისა: ყოვლისა სოფლისა დიდებასა, კაცთაგან გამოსრულსა და მეუფესა მშობელსა. ზეცისა ბჭესა უგალობდეთ მარიამს ქალწულსა...

ბოლო: დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ. ალილუია, ალილუია, ალილუია (ფ. 1—48).

271

დასდებელი რვა ხმათანი

63 ფ.; 15,5×10,6; ქალაღი; ტყავგადაკრული ყდა; სრული; მხედრული (სათაურები და დაწყებითი ასოები ასომთავრულით, სათაურები

სინგურით); XVIII საუკუნე (ხელს მიხედვით); შემოსულია 1925 წ.

დასაწყისი: ჯმაჯ ა. დასდებელნი აღდგომისა ჯმაჯ ა. სა-
მწყრონი ლოცუანი ჩვენნი. შეიწირე, წმიდაო, უფალო, მოგუმაღ-
ლე ჩვენ მოტევება ცოდუათა...

ბოლო: ექუს ექუსფრთენი სერაფიმნი, პირთა თვსთა დამ-
ფარუშლნი და გალობით მღალადებელნი,—აღილუთა, აღილუთა,
აღილუთა.

მინაწერები უმნიშვნელონი: 1r v, 3r.

ანუკრი: ღმერთო, შეწიე ამ წიგნის დამწერს ჩივაძეს დავითს. იქმი ნა-
შრომი პატასათვის მიმიცია, გალობა უნდა მასწავლოს, პირობა ასე არის
(ფ. 63v).

272

გამოკრებილი საღვთისწავლო

208 ზ; 14×10; ქაღალდი; ყდა შემოცლილი; ნუსხური (სათაურებზე
და დასაწყისი ასოები ასომთავრულით, სინგურით); სხვა და სხვა ხელით
დაწერილი XVIII ს. (ხელს მიხედვით); შემოსულია 1925 წ.

იწყება: ...დანთქენ ენებანი.—რა ჟამს მოივლინა პირველ
შვისა ცისკარი ბერწისაგან მუცლისა, ცხადად მოესწავა ქალ-
ულისაგან შობილი...

წყდება: ქალწულმან გვშევ ყრმა იგი, ხოლო მან მშობლად
თვსად გიწოდა შენ მამათა ჩუენთა ღმერთმან და მარადის კურთ-
ხეულმან და რა კმსახურეს... (ფ. 1—208).

ხელნაწერში მოთავსებულია შემდეგ დღესასწაულოთა საგა-
ლობლები და ძილის პირნი:

1. საგალობლები იოანე ნათლისმცემლის შობისათვის, რომელიც თავ-ბოლო ნაკლულია (ფ. 1r—4v).

2. საგალობლები მოციქულთა პეტრესი და პავლესი, რომელიც თავნაკლულია (ფ. 5r—11r).

3. ფერის ცვალების საგალობლები (ფ. 11r—18v).

4. ღმრთის მშობლის მიძინების საგალობლები (ფ. 18v—25v).

5. ჯვარის ამაღლების საგალობლები (ფ. 26r—31v).

6. ღმრთისმშობლის შობის საგალობლები (ფ. 31v—36r).

7. ღმრთის მშობლის ტაძრად მიყუანების საგალობლები
(ფ. 36r—41v).

8. ქრისტეს შობის საგალობლები (ფ. 41r—48r).

9. ქრისტეს წინადაცვეთის საგალობლები (ფ. 48v—48v).
10. ღმრთის მშობლის ხარების საგალობლები (ფ. 54v—60v).
11. ნათლისღების საგალობლები (ფ. 60v—67v).
12. მირქმის საგალობლები (ფ. 67v—72v).
13. დიდპარზეის მესამე კვირიაკის საგალობლები (ფ. 72v—90r).
14. ლაზარობის პარასკევის საგალობლები სერობაზედ
ფ. 80r—90v).
15. ლაზარობის შაბათის ცისკრის საგალობლები (ფ. 90v—96r).
16. ბაიობის (ბზობის) კვირიაკის ცისკრის საგალობლები
(ფ. 96r—101v).
17. ბაიობის კვირიაკის (ბზობის) სერობის საგალობლები
(ფ. 101v—105r).
18. დიდი ორშაბათის ცისკრის საგალობლები (ფ. 105r—108r).
19. დიდი ორშაბათის სერობის საგალობლები (ფ. 108r—111v).
20. დიდი სამშაბათის ცისკრისა და სერობის საგალობ-
ლები (ფ. 111v—118r).
21. დიდი ოთხშაბათის ცისკრისა და სერობის საგალობლე-
ბი (ფ. 118r—123r).
22. დიდი ხუთშაბათის ცისკრის საგალობლები (ფ. 123r—128).
23. დიდი პარასკევის სერობის საგალობლები (ფ. 128v—134r).
24. დიდი შაბათის ცისკრის გალობანი (ფ. 134r—140v).
25. დიდი პარასკევის ცისკრის გალობანი (ფ. 140v—155r).
26. დიდი მარხვის მეხუთე კვირიაკის ხუთშაბათის ანდრია
კრიტელის საგალობლები (ფ. 155r—189v).
27. [ალდგომის] პასექის ცისკრის საგალობლები (ფ. 189v—
197v).
28. ახალი კვირიაკის ცისკრის საგალობლები (ფ. 197v—202v).
29. ზატიკის მეექვსე შვიდეულის ხუთშაბათის ცისკრის გა-
ლობანი (ფ. 202v—208r.)

შენიშვნა: ეს უკანასკნელი საგალობელი ბოლო ნაკლულია.

273

სამთვარიო

25 ფ.; 22,5×22; ქაღალდი; მეყაოს ყდა; დაშლილი; სრული; მუ-
დრული; XIX ს. (ხელის მიხედვით); შემოსულია 1925 წ.

დასაწყისი: სამთვარიო სრული, მართალი, კეშმარტი,
ნათქვამი წმინდა მამათაგან. ერთს მთვარისასა დღე კეთილი ყო-

ვლისა საქმისათვის, მგზავრობა კეთილი, ბედნიერია ზღვასა და ბმელსა...

ბოლო: მოეხმარა ღმერთი და მრავალი სიდიდე მისცა, იმ ნაირათ შენც გაიხარებ ნებითა ღთისათა, ამინ... (ფ. 2v—25v).

მინაწერები: ფ. 1rv, 2r.

274

კონდაკი

75 ფ.; 19,5X14; ქალაღი; ტყავ-გადაკრული ხის ყდა; დაშლილი. შიგა და შიგ ფურცლები აკლია; ნაკლული; ნუსხური (სათაურები და დასაწყისი ასოები ასომთავრულით, სინგურით); XV—XVI ს. (ხელის მიხედვით); შემოსულია 1925 წ. ვასილ კარბელაშვილისაგან.

დასაწყისი: საღთო ჟამის წირვა წმინდისაჲ იოვანე ოქროპირისაჲ. დაიკლვის ტარიგი ღთისა, ძე მამისა, ამხუმელი ცოდვათა სოფლისაჲთა ცხორებისათჳს სოფლისა...

ბოლო: რამეთუ შენ ხარ მომცემელი კეთილთა და შენდა შუშნის დიდებაჲ თანა დაუსაბამოთ მამით შენით და ყოვლად წმიდით და სახიერით და ცხოველს მყოფელით... (ფ. 2r—75v).

შენიშვნა: (თავს ერთვის ლოცვა): იგსო ღმერთო ჩვენო, რომელი პირველ საუკუნეთა უგნებელად დაუსაბამო მამისაგან გამობრწყინდით.

(და ბოლოს): რომელნი ხართ ქრისტეს მოყუარენი და მორწმუნენი, მიიღეთ კეთილისა ამის დღისა კრებაჲ... (დაჟმთავრებელია ფ. 75v). თავბოლო სართები დაწერილია ნუსხურით, მგრმინდელი ხელით.

მინაწერები: 1. ქ. მოიხსენე, უფალო, პავლე (ფ. 5r).

2. მოიხსენე, უფალო, სასუფიველსა შენსა ასთანდარ (ფ. 22r).

ანდერძები: 1. ღმერთო, შეიწყალე ფრიად ცოდვილი მღვდელი პეტროე (ფ. 31r).

3. სულსა ამის ბწერალის პეტრესსა შეუნდნეს ღმერთმან. სულსა დედუ ზამათა და ძეთა და ასულთა და სახლფულთა პეტრესთა შეუნდნეს ღმერთმან... და გინცა შენდობა ჩუმითვის ჰყოთ, ღმერთმან ოქუშნცა შეგინდნეს. ეს კონდაკი დაიწერა თბილისის ქალაქში (ფ. 57v).

275

ქართული გრამატიკა

28 ფ.; 28X18; ქალაღი, ლურჯი; ქალაღის ყდაში ჩადებული; მხედრული (დასაწყისი ასოები და სათაურები ასომთავრულით); XIX ს. (ხელის მიხედვით); დამწერი ნიკოლოზ ბაგრატიონი უნდა იყოს. 1 (ფ. r და 27v). ჩვეულებრივი საცენი ნიშნებია ნახმარი; შემოსულია ვასილ კარბელაშვილისაგან.

დასაწყისი: კითხვად: რა არს ღრამმატიკა? მიგება: ღრამ-
მატიკა არს სწავლა ხელთა მძლუნაველი კანონებისა უბნობისა
და მართლწერისადმი.

ბოლო: ... 10, შეწყალებითნი. 11, განხმობითნი ანუ მოწყა-
ლებითნი და 12, ნატვრითნი (ფ. 1r—26v).

276

გოკლე კატეხიზმო

21 ფ.; 21,7×17,3; ქალაღი, ლურჯი; უყდო; დაუმთავრებელი, ნა-
კლული; მხედრული (სათაურები და დაწახებითი ასოები ასომთავრულით);
XVII ს.; შემოსულია 1925 წ. ვასილ კარბელაშვილისაგან.

დასაწყისი: შემოკლებული კატეხიზმო. კითხვად: რა
არს კატეხიზმოს? მიგება: კატეხიზმოს. არს სწავლა, თუ ვითარ
სათანადო არს ცნობა ღთისა და მოწყვეა მცნებათა მისააებრ.

წყდება: კითხვად: რა არს სიყუარული? მიგება: სიყვარუ-
ლი არს მოქმედება შეყუარებელისა შეყუარებლისა მიმართ, რომე-
ლიცა არს მჭუარულებითი სიამოვნება სულისაჲ. კითხუად (ფ.
1r—20r).

277

წმიდათა მამათა ცხოვრების ნაწყვეტი

8 ფ.; 22,5×17,2; ქალაღი; უყდო; ნაწყვეტი; მხედრული (სათაუ-
რები სინგურით); XVIII ს. (ხელის მიხედვით); შემოსულია 1925 წ. ვასილ
კარბელაშვილისაგან.

იწყება: ...მშობელთა ძე, ხოლო მამისა მისსა ეწოდებოდა
ხარიტონ და დედას თეოდოტა. ეს სიყრმით მისითგან სათნო და
უბიწო მსახური ქრისტესი...

წყდება: და ღირსისა მამისა ჩვენისა იოანე დამასკელისა.
ესე იყო ქალაქით დამასკოთ, ნათესავათ წარჩინებული და მართლ-
მადიდებლობისა სარწმუნოებასა ზედა განთქმული... (ფ. 1r—8v).

შენიშვნა: წმიდათა ცხოვრების ნაწყვეტი იწყება 22 ნომბრიდან
და თავდება 4 დეკემბრით.

ანდერძი: ა. ყოვლთა არსთა მხედველო ღმერთო, შეიწყალე ფრიად ცო-
ჭგილი მღვდელი მათე (ფ. 2r).

ბ. წმიდაო ქალწულ მოწამეო ბარბარე, შემეწიე ცოფელსა მღვდელსა
მათეს (ფ. 8r).

ქ რ ე ბ უ ლ ი

24 ფ.; 22X18; ქალაღი; უყდო რვეულა; სრული; მხედრული (დასაწყისი ასოები ასომთავრულით); ფფ. 1v, 19v, 20v, 23rv და 24rv დაუწყოკლა; მქაოსულა 1925 წ. ვასალ კარბელაშვილისაგან.

1. შესხმა, თქმული დიმიტრი ბაგრატიონის მიერ, მეფის ერეკლეს II ასულის ქეთევანისადმი მიძღვნილი.

დასაწყისი: მეფის ასულო, ქველ კეთილ სულო,
ძვირ უფასულო, ქეთევან რქმულო,

ბოლო: ...მოსახელისა შენისა, მის ნეტარისა წმიდისა
სამშობლო საქრმეულობით, ორკერძო მისაზიდისა.
დიმიტრი (ფ. 2v).

2. წამება ქეთევან დედოფლისა, ლექსად თქმული დიმიტრი ბაგრატიონისა მიერ.

დასაწყისი: შენ უწინარეს ყოველთა, საუკუნეთა მყოფელო,
თვისისა დასაბამისა, თვთ თავსა შორის მყოფელო;

ბოლო: მოკლეს სიტყვით შეამკვეროს, გრძელი ტანჯვა
მრავალფერად,
მათ მოგვეთხრან შესაზარად, არ სასტუკონ გულსა
გმერად (ფ. 3r—19r).

3. შესხმა, ლექსად თქმული გრიგოლ მუხრან-ბატონის მიერ, მიძღვნილი დიმიტრი ბაგრატიონის მიმართ.

დასაწყისი: მაღალ ბრწყინვალე თავადსა, დიმიტრი
ბაგრატიონსა,
ერთის ძირით შთამოსრულსა, გკერეტ მრავლად
მაშვრალოვანსა...

ბოლო: თქვენის მაღალ ბრწყინვალეების მორჩილს მონად
ვარ მდგომარე.

მუხნარბატონ (!) იოანეს ძე გრიგოლ ერთგული მწმობარე
(ფ. 21r—22v).

მიჩისა და სხვათა აგვაგათა ნაწყვეტი:

6 ფ.; 22,5X17,5; ქალაღი მოლურჯო; უყდო; ნაწყვეტი; მხედრული (სათაურები სინჯურით); XVIII საუკ. (ხელის მიხედვით); შემოსულია 1925 წ. ვასილ კარბელაშვილისაგან.

იწყება: ...ქალი მოიპარაო, თუ შეგიძლიან გაბრუნდი, ზულამუნ მოვალ, ციხე წართვი და ქალი გამომგვარეო. მერმეთ თქვენს ნებას აღვასრულებო. წიგნი და სახელმწიფო ფეშქაში მი-
რისთან გაგზავნეს...

წყდება: აქა მიირისა (!) და ნასიზისაგან ნომიაგთაფის სა-
ნახავათ ღამით წასვლა, ერთათ შეყრა და ერთმანეთის მათგან
უზომო ტრფიალება. როდესაც შეღამდა და ფევი მისწყდა, წამო-
ვიდნენ, ბურჯზე საბელი შესტყორცნეს და მასზედ გავიდნენ და ნომ-
იაგთაფის საწოლის კარზედ შევიდნენ, მირა მკლავზედ ძვალი შეიბა
და ნასიზს შეჰყვა. ნომიაგთათ ტახტზედ... (ფ. 1r—7r).

280

კ რ ე ბ უ ლ ი

86 ფ.; 34,3×21,3; ქალღი; ტყავ გადაკრული ყდა; დაშლილი;
მხედრული (სათაურები და დაწყებითი ასოები ასომთავრულით, სინჯუ-
რით); ფფ. 45r, 89r—96r დაუწერელია; შემოსულია 1925 წ. ვასილ კარ-
ბელაშვილისაგან.

1. სიტყუანი და სწავლანი, ორ ფრიად სამეცნიერონი, ფრიად
გარგებლნი, სულ-სხეულობით, ორკერძოვე ძველისა და ახლისა
წმიდათა წერილთაგან რჩევით გამოკრებულნი კლემაქსისაგან
და ღიღისა ვასილისა და გრიგოლი ღთის მეტყულისა და
იოანე ოქროპირისა და მამისა ეფრემისა და მაქსიმესი და ცხო-
ვრებისაგან მამათასა და სხუათა წმიდათ სლუდელთ მოძღუარ-
თა, მამათა, მოციქულთა, წინასწარმეტყუელთა, სოლომონ და ზი-
რაქასა და გარეშეთა წიგნთა პლატონ და სოგრატისი; და მენია-
ნდროს და სხუათა ფილოსოფოსთა მიერ თქმული კლემაქსისაგან.
ყოველთა, რომელთა ენებოს და ეძიებდენ ღმერთსა, ეპოების
მათ, რამეთუ იგი არს ყოველთა ცხოვრება ურწმუნოთა და მორწ-
პუნეთა, მართალთა და ცოდვილთა...

ბოლო: დასასრული ყოვლისა სიტყვსა ისპინე. ღთისა გეში.
ნოდეს და მცნებანი მისნი დაიცვენ (ფ. 2r—18r).

2. სიტყვის გება სოგრატისი. დასაწყისი: კეთილი კაცის
წესი არ არის კაცს აქებდეს და უკან ზრახვიდეს.

ბოლო: ერთს ლაკედომონელს ჰკითხეს: რატომ შეირთო
ცოლი ღიად პატარაჰჰრქუა: მისთვის, რომ ორის მოროტისაგან
და უმჯობეს გამოვირჩიე უმცირესი ბოროტი. ამით გამიაჩინა,
რომე საკვირველ არს ქუშყანასა ზედა დედაკაცი კეთილი (ფ.
19r.—42r).

შენიშვნა: ა. აღნიშნული ნაშრომი რუსულიდან ქართულ ენაზედ ნათარგმნია ერასტი თურქისტანიშვილისაგან (ფ. 19r).

ბ. (თავს ერთვის შემდეგი შესავალი): აპოვებმატი, რომელ არს შემოკლებული რიტორებრივთა და წესის მასწავლელთა სიტყუშობთა წიგნისაჲ. ხოლო მათ შინა არიან დადებულ თვითთულნი კითხვა მიგებანი, ცხოვრება და ქცევა და იგავნი (რომელ არიან სახის მეტყუშლებანი) და მეტყუშლება სხუათა და სხუათა ფილასოფოსთა შემოკლებულთა სიტყუათა და მიგებათა. წიგნი პირველი—სწავლა სოგრატისი. მოკლედ სიტყუის გება სოგრატისი, ჰსწავლა პირველი, თარგმნილი და სხუათა ფილოსოფოსთაგან, რუსულისაგან ქართულს ენაზედ ერასტი თურქისტანიშვილისაგან (ფ. 18v—19r).

3. (პეტრე III-ის ტახტიდან გადადგება და იმპერატრიცა ეკატერინე II-ის გახელმწიფების ისტორია). დასაწყისი: ოდეს მიიღო ტახტი რუსეთისა და დაიპყრა საჯელმწიფო ესე, პირველის იმპერატორისა პეტრეს შვილის შვილმან მესამემან ამან პეტრე თეოდორეს ძემან, ექვსი თუშ იწელმწიფთა. მერმე მიიქცა უკეთურებად და წვალებად, მიიღო სარწმუნოება ლუტერისა ფარულად.

ბოლო: პრუსიის ციხე და ქალაქები, რომ დაიპირეს პეტრემ თეოდორეს შვილმან თავის ჯელმწიფობაში ისევ უკან მისცა; ახლა ამისი (ეკატერინე II-ის) ბრძანება არმიაში წავიდა—ისევ შიგ ჩადეგითო, და ისევ აეშალნენ, არმიაც აქვე პრუსიის მამულში დგას (ფ. 42r—44r).

4. სასწაული ანტიქრისტეს მოსვლისა და ამ სოფლის აღსრულებისა. სამლოთოთა წერილთაგან გამოჩნეულნი მოციქულთაგან კითხვა: შენი რა არს სახელდება სასწაული მოსვლისა შენისა და სოფლისა ამის აღსრულებისა, მათესა შინა 24 თან შეხმობითა. [მიგება:]

წმიდისა იოანე ოქროპირისა მცნებისა სწავლასა შინა 12: პავლეს ეპისტოლესა შინა ეფესელთა მიმართ, 4 თავსა შინა: არა რომელიმე ეგრეთ განარისხებს ღმერთსა, ვითარცა ეკლესიისა განყოფილება...

ბოლო: ჰომე, რაოდენი უმეტეს შეიმოსეს ხატება და მზგავსება სამპირებისა და ერთ არსებისა ღვთაებისა, რომლისა არს დიდება და პატივი და თაყუანისცემა ყოველთაგან ნათესავთა ზეცათა და ქუსყანისათა და ქუსსკნელისათა უკუნისამდე ურიცხვთაგანმან (ფ. 44v, 46r—87v).

ანდრძო: ა. დაიწერა წიგნი ესე ბრძანებითა ბაქარ ხაქართველოს მეფის ვახტანგის ძისათა. მრავალ ეამიერ ჰყოს უფალმან და საუკუნო ცხოვრება მიანიჭოს, წელსა 1749 ს, მარტის 15 ს (ფ 18).

ბ. ეს ამბები სწორეთ მოგწერე, რაც შევიძელ, ზოგი ჩემის თვალთ ენაზე და-

ზოგი სარწმუნოს კაცის პირით აღვსწერე და თქვენს ბრწყინვალეობას მოვახსენე. ჯელწიფეც მოსკოვს აპირებს ჩაბრძანებას აგსტოში საკურთხებლად, ექვთ— მანგლელი არ მოიცადონ ამ ცერემონიაზე, ვაგონებ უმაგისობას არ დაიჩნევენ არც გიორგი მღვდელს დაისაკლისებენ; ხარკანელი რომ დაიბარონ, დაეხარება. მძიმე კაცი არის, არ გარჯიან (ფ. 44r).

გ. დაიბეჭდა ბრძანებითა კეთილის მყოფელისა დიდისა პატრონისა ჩვენისა მეფისა და დიდისა მთავრისა პეტრე ალექსევიჩისათა, ყოვლისა და მცირი და, თეთრისა რუსეთისა თვთაპრობელისათა, და ჟამსა კეთილად შობილისა პატრონისა ჩვენისა მეფის ზვილის დიდის მთავრისა ალექსი პეტრეს შვილისათა, ზოლო კურთხევითა ყოველთა მათ სამღვდლოთა კრებათათა შორის პატრიარქობისა სამეფოსა შინა დიდად საზელდებულისა ქალაქსა მოსკოვს წელსა დასაბამითან სოფლისათ 7212; ზოლო შობითან განვორციელებიისა სიუყუისა ღვთისათა 1703, ინდიკტიონსა 12 თუქსა ნუმბერსა 11 (ფ. 44v).

დ. მწუხარებათაგან მრავალთა და სნეულებათაგან გულისათა აღვსწერე თქუქნდა მრავლითა ცრემლითა, არა ვითარცა მწუხარე იქმნეთ, რათა სცნათ სიყუარული, რომელი გუქუქს ნაყოფიერად და თქუქნდა მომართ. მეორე კორინთელთა თავი 2. ამას ყოველთა ღვთიე განბრძნობილთა წმიდისა ეკლესიისათა მართლმადიდებელთა კათოლიკისა აღმოსავლეთისასა განსახლდებრებითა ჭელ გიდებ თქუქნ ძხასა გამართუად, უკოლუ იყოს ამაში შეცოდებანი რომელნიმე (ფ. 87r—88r).

ე. წარმკითხუქლნო ამის წიგნისანო, სთქვთ შენდობა ამ წიგნის აღმწერისათვის. ისიდორე (ფ. 88v).

მინაწერებ: წინა ყდაზე, 1v, 96v.

281

კურთხევაანი

147 ფ.; 26×18,5; ქალაღი; ქალაღის ყდა; შეკეთებული; თავ-ბოლო ნაკლული; ნუსხური (სათაურები ასომთავრულით, სინგურით); XVIII-ს. (ხელის მიხედვით); შექოსჯლია 1925 წ. ვასილ კარბელა-შვილისაგან.

იწყება: ლოცვა პირველი წმიდისა დიდისა ბასილისა შემდგომად წმიდისა ზიარებისა. გმადლობ შენ, უფალო ღმერთო ჩუქსნო, რამეთუ არა მომძიძაგე მე ცოდვილი...

წყდება: და ყოველსავე ვყოფთ, ვითარცა წერილ არს ერისკაცის წესის აგების ბოლოს... (ფ. 1r—147v).

კურთხევაწში მოთავსებულია შემდეგი წესები:

1. ლოცვა შემდგომად წმიდისა ზიარებისა — ნაწყვეტი: (ფ. 1—2).
2. კურთხევა ზეთისა, თავ-ნაკლული (ფ. 3r—17v).
3. მცირე აიაზმის კურთხევის წესი (ფ. 16r—24v).
4. დიდი აიაზმის კურთხევის წესი (ფ. 25r—31v).
5. მონაზონათ აღკვეცის წესი (ფ. 32r).

6. მცირე სქემის მაღების წესი (ფ. 32v—38r).
7. სულის წმიდის მოსლვის შედევი (38v—47v).
8. ჯუარის ამალღების შეგვიწყალენი (ფ. 48r).
9. საიდუმლო ნათელის წესი და ლოცვა (ფ. 49r—64r).
10. საყდრის კურთხევის წესი (ფ. 64v—68v).
11. ტრაპეზის განახლების წესი (ფ. 69v—70r).
12. ბაიას კურთხევის წესი (ფ. 70v).
13. ხორცის გახსნის კურთხევის წესი (ფ. 70v).
14. ყველისა და კვერცხის კურთხევის წესი (ფ. 70v)–
15. ყურძნის კურთხევის წესი (ფ. 71r).
16. ღვინას კურთხევის წესი (ფ. 71r).
17. მარილის კურთხევის წესი (ფ. 71v).
18. პანაშვიდის წესი (ფ. 71v—76v).
19. ჩჩვილის წესის აგება (ფ. 76r—83r).
20. მონაზონის წესის აგება (ფ. 83v—107v).
21. მღვდლის წესის აგება (ფ. 125v—143r).
23. აღდგომის კვირიაკეში მიცვალებულის წესის აგება (ფ. 143v—147v).

ანდერძი: ქ. მე ფრიად ცოდვილმა გოგორისშვილმა მღვდელ მონაზონ-
მან ნიკოლაოზ, ვიშოღვაწე, სულთა გამანათლებელი კურთხევენი ესგ, სანამდის
ცოცხალი ვიყო, ჩემს ჭელო იყოს; ოდეს აღსასრული ჩემი მოიწიოს, ამიერ სოფ-
ლით ჰივიცვალი, ვისაც საღმთოსა და მოწყეს მსხვერპლი შემწირველს დარჩეს,
ჩემთვის შენდობას ჰყოფდეს მღათის გულისათვის, რათა თქვენცა შენდობილ იყუ-
ნეთ, ჩღლბ (ფ. 47v).

შენიშვნა: თარიღი „ჩღლბ“ მერჰინდელი ხელით და სხვა მელნი-
თა მიწერილი და სწორი არ უნდა იყოს.

282

სამართლის წიგნი

232 ფ.; 34×21; ქაღალდი, ლერჯი; მოშორებული ბუყაოს ყდა-
დაშლილი; თავბოლო ნაკლები; მხედრული; XVIII-ს; დაუწერელია 192
და 193 ფურცლები; შემოსულია 1925 წ. ვასილ კარბელაშვილისაგან.

1. სამართალი მოსესი. კარი პირველი. დასაწყისი წიგნისა
სამართლისა, რომელი მოსცა ღმერთმან მოსესს, რომელი დასწერა
მან, მოსე, წივისა მეორე სჯულისასა და გამოხელათა. მცნება
ღვთისაგან, სამართალი მოსესი ა. მცნება ღვთისაგან: ნუ უყავ მა-
მასა შენსა და დედასა შენსა, ვითარცა გამცნო შენ უფალმან
ღმერთმან შენმან...

წყდება: ნუცა იყოფებინ სახლსა შენსა შინა საწყაულთ ერთი დიდი კნინი, არამედ საწყაული სარწმუნოებისა და სიმართლისა იყავნ შენ შორას და კეთილი გეყოს ქვეყანასა შენსა. ათეულისათვის (ფ. 2v—7v).

2. სამართალი ბერძული ლევან ბრძნისა და კოსტანტინესი და სხვათა ჯელწიფეთა მიერ თქმული და განწესებული სჯულის კანონი მეფეთა და სიმართლისა. მოსამართლეთათვის, რათა რაოდენიცა ეწეროს წიგნსა ამას შინა, მცირედიცა არა განვაგდოთ, არამედ ყოველივე ვისმინოთ და ვჰყოთცა.

ბოლო: უკეთუ ვინმე სხვის მიწის სიახლოვეს ალაგისათვის ქირა მისცეს და რუ გაიყვანონ, რადგან ქირას მისცემს, მისი მასალა—კირი, ქვა, ქვიშა, იმ მიწაში უნდა დაჰყაროს. რუს გასაკეთებლად ვერ დაუშლის მიწის პატრონი (ფ. 8r—51r).

3. სამართალი სომხური. ესე წიგნი არს დიდის სომხეთისა წიგნთა ზედან გადმოაარგმნილი და ეწოდების სახელი სამართლისა. თუ იკითხავთ და შეტყობა გინდათ, თუ რომლის წიგნისაგან შეგვიკრებია, მოვახსენებთ.

ბოლო: დასრულდა სამართალი სომხური, ღმერთსა დიდება, ამინ (ფ. 52r—122r).

4. სამართალი კათალიკოსისა შესავალი, თავი ერთი სახელითა ღვთისათა მე ქრისტეს მიერ კურთხეულმან ყოვლისა საქართველოსა კათალიკოსმან პატრიარქმან მალაქია, მე ქრისტეს მიერ კურთხეულმან აფხაზეთის კათალიკოსმან მამად მთავარმან ევდემონ, დავსხედით და შეეჰკრიბენით ყოველნი ეფისკოპოსნი აფხაზეთისანი...

ბოლო: რომელმან უბრალოდ ცოლი დაადოს, შეჩვენებულმცა არის წმიდათა მოციქულთაგან და სიკვდილითა განიპატიოს... (ფ. 113r—125v).

5. სამართალი მეფის გიორგისა, შესავალი. ძეგლის დადება მეფეთ მეფის გიორგის მიერ. ჩვენ მეფემან გიორგიმ, ძემან ყოველთა შორის წარჩინებულისა მეფეთ მეფის დიმიტრისამან, დავსდევით ძეგლი ესე განაჩენი მას ჟამსა, ოდეს შევედით მთიულთა შიგან მოსავლელად...

ბოლო: და თუ დია რათმე ავი კაცი არ არის, არც ამისი აღება მართებს. სამართალი ესრეთ ჰყონ ყოველთა (ფ. 126r—132v).

6. სამართალი აღბუღასი შესავალი: შევიყარენით ჭოლთას მინდობილნი ღვთისანი და აწყურისა ღვთის მშობლისანი და გაქცევისა. (!) თავი ერთი ა.—დავიდევით წინაპატრონისა პაპის ჩვენის

შანდატურთ უხუცესის ბექას განაჩენი და იგი აგრევესრულგბლით და უკლებლად დავსწერეთ...

ბოლო: თუ ღედაკაცსა ქმარი მოუკვდეს და საქონელი მან ქერიმან მონასტერს შესწიროს, შვილნი ნუ ეცილებიან (ფ. 133r—150).

7. სამართალი პირველი შესავალი, ბატონისშვილის ვახტანგის ნაბრძანები. მყოფისა უმყოფისა, არსისა და უარსისა და შარსისა მქები, არათუ ღირსად და შეძლებია ჩემისაებრ მქებელი და მმონებელი, უდებად მქონე მპოენელ ვიქმენ, ვითარცა მეფენი დღითი დღე მრეველნი კელთა მარგალიტთა შინა და ჰპოებენ მძივთა რათმე და უხილველობიპათვის აღიღებენ და შთადებენ საუნჯედ პატროსანთა.

გ. წმიდანო მამანო, ესე რომელ ადგილები არს დანარჩომი დედანშია: ასე იყო და მისთვის ჩვენც ახვევ დაუტევით და რომელთაც მრთელი დედანი იშოვნოთ, მოაწერეთ და ღთისა მიერ სასყიდელი მიიღეთ (ფ. 250v).

შენიშვნა: ეს სამი ანდერძი გადაწერის არის.

დ. სადიდებლად ცხოველს მყოფელისა, თანა არისსა და განუყოფელისასამებისა მამისა და ძისა და სულისა წმიდისა. წიგნი მარტირიკაჲ, შესწმა და ისტორია ქრისტესთს ვნებულთა, მოწამეთა ქართულთა და. სხუათა, დროსა ყოვლად ბრწყინვალისა უკეთილმსახურისისა და ჟმალღვისისა ირაკლი მეორისა. მეულისა ყოვლისა ზემოთსა საქართულმოსასა, ხოლო მამათემთავრობისა თვისისა

წელსა დასაბამითგან სოფლისა 7238; კორციელად შობითგან სიტყვსა დრისა 1769, თთუქსა მეთერთმეტესა, რიცხვსა 19 (ფ. 251r).

ე. წინა სიტყუაობაჲ წინა მდებარისა წიგნისა მარტირიკასა კმნილია მისისა უწმიდესობისა ანტონი არხიეპისკოპოსისა ყოვლისა ზემოჲსა საქართუმ-ლრჲსა, დავითიან ბაგრატიონისა, მოწაფეთა მიერ გაიოს არხიდიაკონისა და თანა მოწაფისა მისისა, მისის უმაღლესობისა მეფის მოძღურის იოანეს ძის გავრიელისა მ(იერო)თა (ფ. 251r).

305

სწავლა-მოძღვრებანი

145 ფ. 29X19; ქაღალდი; ტყავ გადაკრული მუყაოს ყდა; თავბოლო ნაკლული; ნუსხური (სათაურები სინგურით, დასაწყისი ასოები ასომთავრულით); XVII-XVIII ს. (ხელის მიხედვით); ჩამოტანილია შიომღვიმის მონასტრიდან 1723 წ.

იწყებთ: ...ეტს ფრიად მოსწრაფებით აღვილად: აწ უკუშნუ მოიწყინებთ ლოცვასა, რათა უკირველად წარვლოთ ცხოვრებაჲ ესე; რათაჲ ოდენიცა ცოდვანი გაქუნდენ ყოველთაგანვე აქავე განთავისუფლდეთ.

წყდებთ: ხოლო მე შემორაფველ, არცა ერთი ვინ ვპოვე აქა, და განკვბრდა გონებაჲ ჩემი, და ვიტყოდე თავსა შორის თვისსა: სადა არს აბრაჰამ? სადა არიან ისაკ და იაკობ და სიმრავლე სხუად?

ხელნაწერში შემდეგი სწავლა—მოძღვრებანია:

1. იოანე ოქროპირი—სიტყუაჲ უძღებისა მისთვის შვილისა (ფ. 2r).

2. იოანე ოქროპირი—სიტყუაჲ მეორედ მოსლვისათვის უფლისა და რათა ვზრუნვიდეთ სარგებლისათვის სულთა ჩუქნთაჲსა (ფ. 9r).

3. თბრობაჲ სულთა სარგებელი სასწაულისა მისთვის, რომელი იქმნა ხალკუბრატიას პატიოსნისაგან და წმიდისა ხატისა ქრისტესისა (ფ. 14v).

4. იოანე დამასკელი—სიტყუაჲ სიტყვსა საგებგელი მათი, რომელნი ჰგმობენ წმიდათა ხატთა (ფ. 28v).

5. სოფრომ იერუსალიმელ მთავარეპისკოპოსისა—ცხოვრებაი და მოქალაქეობაჲ მარიამ მეგვაბტელისა (ფ. 56r).

6. წამებაჲ წმიდათა ორმეოცთაჲ, რომელნი იწამნეს სევასტოსის (ფ. 50r).

7. ანდრია კრიტელ მთავარეპისკოპოსის სიტყუაჲ ხარებისათვის

ყოველად წმიდისა დედოფლისა ჩვენისა ღთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისა (ფ. 74r).

8. ანდრია კრიტელ მთავარეპისკოპოსი—საკითხავი, თქმული ლაზარესათვის ოთხ დღე მომკუდარისა, რომელი აღადგინა უფალმან (ფ. 84v).

9. იოანე ოქროპირი—სიტყუად დიდსა ხუთშაბათსა განცემი-მისათვის იუდასაგან და მიცემისათვის წმიდათა საიდუმლოთა (ფ. 112r).

10. ეპიფანე კვიპრელ მთავარეპისკოპოსი—საკითხავი თქმული იესო ქრისტეს ვნებაზე და დაფლვაზე (ფ. 132v).

11. გრიგოლი ღვთის მეტყველი—სიტყუა თქმული აღვსები-სათვის (აღდგომისათვის ქრისტესა) (ფ. 145r).

12. იოანე ოქროპირი—სიტყუად ამაღლებისათვის უფლისა ჩუშნისა იესო ქრისტესა (ფ. 160v).

13. სოფრომ იერუსალიმელ პატრიარქი—სიტყუად წმიდისათვის ნათლისღებისა მაცხოვრისა ჩუშნისა (ფ. 164r).

14. ამფილოქე იკონიელ მამისა—საკითხავი თქმული მიგებე-ბისათვის უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესსა (ფ. 176r).

15. ეფრემ ასური—სიტყუად ფერისცუალებასა ზედა უფლისა ჩუშნისა იესო ქრისტესსა (ფ. 181v).

16. გიორგი ნიკოდიმელ მთავარეპისკოპოსი—დიდს პარასკევს-საკითხავი ჯუარცმისათვის და დაფლვისა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესსა (ფ. 187r).

17. იოანე ოქროპირი—სიტყუა ვნებისათვის უფლისა ჩუშნისა იესო ქრისტესა (ფ. 188v).

306

კატეხიზმო

123 ფ.; 20,5 x 17; ქალაღი; მუყაოს ყდით; სრული; ნხედრული (დასაწყისი ასოები ასომთავრულით); XIX საუკ; ჩამოტანილია შიომღვიმის მონასტრიდან.

დასაწყისი: შესავალი კატეხიზმოსა შინა. გულისხმის ყოფა კატეხიზმოსათვის. კითხვა: რაა არს კატეხიზმო? მიგება: კატეხიზმო არს მოკლე სწავლა კეთილმსახურებისათვის ქრისტიანობრივისა.

ბოლო: ოდეს ჰყოთ ბრძანებულ თქუნდა, მსთქუთ ვითარ-მედ მონანი ვართ უბარნი, რომელ თანაგვედვა ყოფად ჰყავთ-ლუკ. იზ, ი (ფ. 5r—120r).

შენიშვნა: ბოლოში დართული აქვს დამატებად მოკლე ჰსწავლა ხნეობისა მხედარათვის (ფ. 120r—123v).

თავს ერთის ხანდუჯი ანუ სარჩევი კატეხიზმოსი (ფ. 2r—3v).

ანდერძმაგვარი: ვ-ცელი ქრისტიანობიოვი კატეხიზმი მართლმადიდებელი-სა კათოლიკისა აღმ-საგლეთვის ბერძნთ-როსსიის ეკლესიისა, განხილული და განკეთებულნი უწმინდესის მართებელის სინოდისა მიერ და გამოცემული გარ-დამოსაცემელ-დ სასწავლებელთა შინა უმაღლესისამებრ მისის იმპერ-ტორების დიდებულების ბრძანებისა. სანკტებერბურლი სინოდის ტიპოგრაფიასა შინა ჩყვთ სა წელსა (ფ. 1r).

307

ცხოვრება და საკრველები შიო მღვიმელისა

97 ფ.; 14X20.5; ქალაღი; ტყ ვ-გ-დაკრული ტვიფრული ხის ყდა. სრული; ნუსხური (დასაწყისი ასოები ასომთავრულით, სათურები სინგურით); XII—XV ს. (ხელის მიხედვით); ჩამოტანილია 1923 წ. შიო მღვიმის მონასტრიდან.

დასაწყისი: ცხოვრება და საკრველებიანი წმიდისა და ნეტარისა შიო მღვიმელისა, რომელი იყო ანტიოქით შუა მდინარისათ ასურეთისა. ხოლო მოიწია ქუწყანად ქართლისა და დაემკვდრა საკინისა მღვიმეს, რომელი ესე აღწერა ღირსმან მარტკრი, რომელსა ეწოდა... იოანე, რომელი იყო მოწაფეთაგანი წმიდისა იოანესთა კონსტანტინოპოლით, გუაქურთხენ, მამაო.—ქსენებით წმიდათადათა ოდესმცა სადა იქმნა განძლომა ცნობის მქონებელთაგან, არა თუ ვინმე სრულიად წარტყუნულ იყოს გონებითა ეშმაკისა მიერ.

ბოლო: ამისთვის განუჩინა, რათა კანდელი ერთი და სანთელი ერთი დაუშრეტელად კათოლიკე ეკლესიით ენთებოდის საფლავსა ზედა წმიდისა შიო მღვიმელისა (ფ. 3r—96r).

შენიშვნა: 1v ფურცალზე მოთავსებულია ასურულ მამათა სია და ფ. 2v ზე—შიოსა და ევაგრეს სურათი.

მინაწილები: (ფ. 1r, 2r, 3r, 41r, 43, 97v).

ანდერძი: დიდება დმეროსა სრულთ მყოფელსა ყოვლისა კეთილისასა ყოვლადე აწ და მარადის და უკვნიით უაუნისამდე ამინ. სრულ იქმნეს წმიდა და სულთა განძანათლებელი ცხოვრებანი და სასწაულნი წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუქნისა შიო მღვიმელისა. ბრძანებითა წინამძღვრისა ყ-ჩაელის. მელქიზედესისთა ველითა მეტებთა ღთის მშობლის დეკანოზისა დემეტრესითა. უწყის უფალმან ჩემმან და წმიდამან მამამან შიო, რომელიცა ჩუქნ მიერ შესაძლებელ იყო. და ანუ ძალ გვედდა, მოვ კიოვით, რომე უკეთობელად და უნაკულლოდ აგვეწერა ერთი დედა წმიდის შიოს საყვარს იღვა და ერთი სვეტის ცხოველის საკითხავში ეწერა. წმიდის შიოს ცხოვრება და სასწაულები არა ეწერა სვეტის ცხოველის წიგნში და სასწაულებს ზეით ეს ორი წიგნი ერთმანეთს არ ემთხვევა ალაგალაგ, და სვეტის ცხოველის წიგნში ნამეტნავი ეწერა და

სასწაულებს ზედ თი სვეტი' ცხოვლის წიგნისაგან გარდამეწერე, და სასწაუ-
ლები წაიდის შიოს წიგნისაგან, რომელიცა დედასა შინა ეწერაჲ, ის დავეწერე.
თუ რამე დაკლებოდეს, ღთის გულისათჳს წყევას ნუ ჰყოფთ და შენდობაჲ.
ბრძანეთ გლახაკისა და ჟუბაად მწერლისა ცოდვილისა დიმიტრისთვის, უფალ-
ნო ჩემნო, და თქმნცა შეგინდენეს ღმერთმან. ამინ (ფ. 96r).

308

ქრნდაკი

91 ფ.; 20 X 14; ქალაღი; ტყავის ყდა; სრული, არა თანამიმდევ-
რულად აკინძული; ნუსხური, (დასაწყისი ასოები ასომთავრულით, სათაუ-
რები სინგურით); 1651 წ.; ჩამოტანილია შიო მღვიმის მონასტრიდან
1923 წელს.

დასაწყისი: შერავიდეს დიაკონი სადიაკუნესა შინა და
შეიმოსოს სტიხარი და ოლარი თვისი, მღუდელმან ესე ლოცუად
სადიაკუნესა შინა წარსტეუას: ღმერთო, ღმერთო ჩუშნო, გარდა-
მომივლინე ძალი მაღლით და განმაძლიერე მე მსახურებასა ამას
შენსა...

ბოლო: გამოვიდეს მღუდელი და დადგეს ვითარცა წეს არს
და განუყოს ევლოგიაჲ. ერმან დიდებაჲ, აწდაჲ, კირიელესოანი.
გ. მღუდელმან ქრისტემან ჰეშმარიტმან (ფ. 1r—91v).

შენიშვნა: კონდაკი მოთავსებულია არა თანამიმდევრულად იოანე
ოქრობირის, ბასილი დიუის და გრიგოლი ღირღოლღღისის ჟამის წირვები.
მინაწერები (ფ. 25 1v, 83r).

ანდერძი: ა. ღმერთო, შეიწყალე ცოდვალი სულითა რომანოზ და შეაწიენ
სულსა მისსა საუკუნოდ, ამინ. და ვინცა მე შენდობაჲ მიბრძნოთ, ღმერთჳნ შე-
გინდოს. ღმერთო, შეიწყალე ფრიად ცოდვილი რომანოზ, ამ წიგნის მწერალი,
ამინ. დაიწერა ქორონიკონსა ტმთ (ფ. 31v).

ბ. ღმერთო, შეიწყალე სულითა ცოდვილ ზომანოზ ამისი მწერალი, ამინ.
დაიწერა ქორონიკონსაჲ ტმთ, სრულ იქმნა ორი კრნდაკი დღესა შაბათსა.

309

საკითხავები დიდმარხვის, ზაბიჭის და საუფლოთა დღესასწაულთა

187 ფ.; 20 X 16; ქალაღი; ლურჯი; ტყავადაკრული ყდა; სრული;
მხედრული (დასაწყისი ასოები ასომთავრულით, სათაურები სინგუ-
რით); X¹ XII ს. (ხელის მიხედვით); ჩამოტანილია 1923 წ. შიო მღვიმის
მონასტრიდან.

დასაწყისი: თქმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუშ-
ნისა იოანე ოქრობირისა იგავისა მისთვის, მეზუჳრისა მისთვის და
ფარსიეველისა, გუაკურთხენ, მაშაო. საყუარელნო, ორნი ვაცნი აღ-
ვიდოდეს ტაძრდ ლოცუად...

ბოლო: განისწავლნეთ ნათელთ' მიჰყუნებელობისა განბრწ-
ყინებითა სამებისაგან უწმინდესობით და უსრულესობით, რომე-
ლი არა ზომიერად მიგიღიეს ერთი ბრწყინვალედა, ერთისაგან
ღმრთაებისა ქრისტე იესოს მიერ უფლისა ჩუშნისა, რომლისა დი-
დება და სიმტკიცე უკუნითი უკუნისამდე, ამინ (ფ. 3r-186r).

შენიშვნა. 1. ამ ხელნაწერში მოთავსებულია შემდეგი მოძღვრებანი:

1. იოანე ოქროპირის—მეზვერისა და ფარისეველის კვირიაკისა (3r).
2. მსივეე—უძღვბოს შვილის კვირიაკისა (ფ. 8r).
3. ეფრემ ასურისა—ხოცთა აღების კვირიაკისა (ფ. 26r).
4. ეფრემ ასურისა—შაბათსა ყველიერისასა (ფ. 26r).
5. ნექტარი კოსტანტინეპოლელისა—თეოდორე ტირონე-
ლის დღისათვის (ფ. 29v).
6. დიდის მარხვის პირველი კვირიაკისა (ფ. 28v).
7. ანდრია კრიტელისა—სიტყუა ლაზარე ოთხდღე მკვდრი-
სათვის (ფ. 48r).
8. იოანე ოქროპირისა—საკითხავი ბაიობის კვირიაკისა
(ფ. 63v).
9. იოანე დამასკელისა—სიტყუა განხმელისა ლეღვისათვს
(ფ. 71r).
10. გრიგოლ ღთის მეტყუელისა—აღდგომისათვის ქრისტესა
(ფ. 78r).
11. იოანე ოქროპირისა—დიდისა ხუთშაბათისათვს (ფ. 80r).
12. გიორგბ ნიკომიდიელისა—ვნებისათვის ქრისტესა (ფ.
89v).
13. ეპიფანე კვიპრელისა—დაფლვისათვის ქრისტესა (ფ. 108v).
14. იოანე ოქროპირისა—ამაღლებისათვს ქრისტესა (ფ. 124r).
15. გრიგოლი ღთის მეტყველისა—სულის წმიდის მოსვლი-
სათვის (ფ. 129r).
16. იოანე პატრიარქისა მარხველისა—ტაძრად მიყუნებო-
სათვს (ფ. 240r).
17. სოფრონ იერუსალიმელისა—მირქმისათვის ქრისტესა
(ფ. 152v).
18. გრიგოლი ღვთის მეტყუელისა—შობისათვს ქრისტესა
(ფ. 165v).
19. გრიგოლი ღვთის მეტყუელისა—ნათლისღებისათვს (ფ.
175v).

შენიშვნა: 2. ბოლოში დართული აქვს ხანდჟაი წიგნისა (186r).

მინაწერები ფ. 1rv, 2r, 187rv.

დავით გაბონიშვილი, გრამმატიკა

84 ფ. 21X16; ქალაღი; ტვიფრული ტყავ დადაკრული ხის-ყდა; სრული; მადრული (დასაწყისი ასოები ასომთავრულით, სათაურები სინგურიით); 1789—1790 წწ.; ფფ. 82—84 დაუწერელია; ჩამოტანილია 1923 წ. შიო მღვიმის მონასტრიდან.

დასაწყისი: თვს ღრამმატიკაჲსა და ნაწილთა მისთა. თავია. კითხუა: რად არს ღრამმატიკა? მიგება: ღრამმატიკა არს შემძლებლობა მართლ უბნობად და წესიერ წერად.

ბოლო: კითხუა: რომელი არს ანაგები. გინა განშორებადი? მიგება: განშორებადი არს მაგალითად, ვითარცა შავ-პყოფა ეკალმუხისა, გინა თულ-მარჩხოა პეტრესი, ამისთვს ეწოდების შემთხუშეთისა ამას განშორებადი, რამეთუ რაოდენ ჟამ ჰგიეს ქუშმდებარე, ესეცა მასთანა განუშორებელვე არს (ესე—იგი ანაგები) (ფ. 5r—81r).

შენიშვნა: თავს ერთვის კითხვა—მიგებანი ცნობად ღრამმატიკის დამწყებთათვის (ფ. 4r).

ანდერძ-მაგვარი. დავითის მიერ დავითიან პანკრატოვანისა ირაკლი მეორისა პირმშო ძის გიორგის პირმშოს ძისაგან წალკებად, წელსა ჩღჲ, ხოლო ქართულსა ზედა უოს; სამეფოსა ქალაქს ტფალსა (ფ. 2r).

ანდერძი: ა. მისს უმღლესობას სრულიად ზემოასა საქართულოს მეფესა მეორესა ირაკლის, ყოვლად ოჲმაღლესს და ოჲმოწმალესს ჳელწიფეს.

ვინაძთჲან კჲმად მაჲხუი შრომისა ჩემისა ესე არს, რათა კარისა მიმართ სიბრძნისა იყ-სმცა გზად სვლისა ჩვენისა: ამის გამო აღმძრა ერთგულებათმან სიყუარულმან თქვენმან და ერისა თქვენისამან, ვინაძთჲან მოუტლუობისა ქვეშე შეგრდომილ არს ერნი თქვენნი, და არა აქვსთ მოცალეზად დროსა ძლით მიხეხისა ერთა ქართლოსიანთა, რათამცა ახნაურებითა ზედვათა გინა ფილოსოფიათა იყუნენ შემეცნებული, ანუ ზედ მიწევილ, ამის გამო გჲყავ შრომაჲ, შემოვიხუშნ და შევთხვენ ადვილ გასაგონი ესე ძველთაგან და ახალთა ღრამმატიკათა კითხვა-შაგვებით მცირე ესე წიგნი, რომელ არს გზად სიბრძნისა, გინა კლიტი შეცნიერებისა, რათა ამის მიერ შევემეცნენ, გინა ზედ მიწევილ—ოქმენ გუართა ოთხთა მოძღვრებითა და რუათა სიტყვსა ნაწილთა ღრამმატიკასათა და და სინტაქსებრ თანჳრობათა და ვგრეთვე ხუთთ:ცა მათ მარტივთა ხმათა პორფარიოს ფინიკელისათა, რომელნიცა საქირად ემდერებთან სახლუართა, რომლისაცა არა ჯერ იყო დატევეზად, გარნა წინაშე უმაღლესობისა თქვენისა კანდიერ ვიქმნები ვითხოო, უყეთუ ჰპოვოთ რაჲმე შეცოდებაჲ, მაქუს მედი მოტევევისა ამის გ-მო, ვინაძთჲან ასაკითა სწავლისათა ვარ გამოუცდელ და ამის გამო თეცვა ძალი დამაყენებლოჲთი მექმნებოდა დაძროკლებად, გარნა მონებრითმან ერთ-გულებამან თქვენმან და სიყუარულმან. ერისა თქვენისამან სძლო დამაყენებელსა ძალსა და წალ გჲყავ შეთხუჯად რაოდენ ძალ მედვა, რომელსაცა ეწოდების საფუძველი სიბრძნისა, გინა კლიტი მეცნიერებისა, რომელიცა არა მცირ-

რესპენდენიერებასა შეატყუებლეთ ერთა თქვენთა, არა თუ მზოლოდ მათ, არამედ მეცა. მათ აზისათჳს, ვინაჲთგან უჩვენებს გზასა და კარსა აზნაურებითისა ხედვისასა, და მეთამისთჳს ვინაჲთგან სურვილი სამსახურისა თქვენისა და გულსმოფიცება ჩემო-
აზით აღმოჩენილ იქმნების უმაღლესობისა თქვენისა წინაშე.

მისის უკმაღლეობისა და მოწყალისა კელმწიფისა უმდაბლესი მონა მათო-
ძის ძე დავით (ფ. 31v).

ბ. აღიწერა კელითა აღქატის ეგნატი მდივნის შვილის გიორგის თუმა-
ოვისათა მარტის ი, კორონიკონს უოზ დროსა სიყრმისასა, რომელიცა გამოუც-
დელ ვიყავ წერად ყოვლადისა წიგნისა (ფ. 81v).

311

სჯულის კანონი

214 ფ.: 19,6×14; ქალაღი; ტყავგადაკრული ყდა; თავბოლო ნაკ-
ლული; ნუსხური (ათაურები სინგურით): XV—XVI ს.; განახლებულია
1706 წ.; ჩამოტანილია 1923 წ. შიო მღვიმის მონასტრიდან.

1. [კრებათა კანონი], იწყება: ღთის მეტყუელი... იგო-
მაცხოვრისა არა წინააღმდეგომ საღთოჲსა ნებისა იყო, არამედ
ყოველთჳრთ განღმრთობილ და მიყოლილ საღმრთოჲსა ნებასა
ფ. 1r—114r).

2. კანონი იოანე მარხველისა. უწყებულ იყვენით, ვითარმედ
ესე ნეტარი იოვანე მმარხველი უკანასკნელი იყო უფროს ყოველ-
თა მათ, რომელთა რჩულის კანონისა წესნი დაწერნეს (ფ.
114r—161r).

3. კანონი ბასილი დიდისანი—პირველი მოსლეა გულის სი-
ტყჳსა, რომელი მოუკდეს და გონებაჲს მსწრაფლ განიოტოს,
რომელსა ეწოდების ბერძნულად პროსვოლინ—უცოდველი არს.

წყდება: მღვდელმან რამეთუ სახიერი და კაცთ მოყუარე
ღმერთი ხარ და შენდა დი[ღებასა].. (ფ. 161r—214v).

ანდერძი: ბატონჲს კათალიკოზმან ნიკოლოზ მე თბილელს მხატვარს... ები
დამახატვინა და ეს რჩულის კანონი იქ იღვა, დიად დაძველებული და დაშლი-
ლი, და ჩემი კლით დავწერე და შევკარ და წმიდის მიოსი იყო და მასვე მი-
ვართვი. ვინც მიემხვენეთ. მაშინო, შენდობაჲ ყვეთ ჩემ ცოდვილის გიორგის
მხატურისათჳს, კორონიკონს ტყდ, მისის კბ (ფ. 1r).

312

ცხოვრება ანდრია სალოსისა და იოანე მოწყალისა

388 გვერდი; 20×14; ქალაღი; ტყავ გადაკრული ყდა; სრული-
ნუსხურით (ათაურები სინგურით); 1709 წ. (315); ჩამოტანილია 1923 წ.
შიო მღვიმის მონასტრიდან.

1. ცხოვრებად და მოქალაქეობად წმიდისა და ნეტარისა მწმოსა ჩუშნისა ანდრიასი, რომელი იქმნა ქრისტესთვის სალოდს. ჟუაკურთხენ, მამაო. უფალო იესუ ქრისტე, შეგვიწყალებ. ძმანო ჩემო საყუარელნო, მონანო ღთისანო, ისმინეთ ვედრებისა ჩემისა...

ბოლო: უცხო იყო სოფლისაგან უპოვარი, მშვიერი, წყურიელი, ყინელითა და ნეფხვითა გვეშული და კაცთაგან ტანჯული, და სხუანი ურიცხვნი განსაცდელნი ღთისათჳს თავს ისხნად (ფ. 1—314).

2. ცხოვრებად წმიდისად და ნეტარისად მამისა ჩუშნისად იოანე მოწყალისა აღექსანდრიელ მთავარეპისკოპოსისა, აღწერად ლეონტიოს ეპისკოპოსმან ნიკოპოლისმან, რომელ სარს კვაბრისადა. ვინებე და თნებეს მამათა მათ, რომელნი პირველ ჩუშნისა იყვნეს დაწერეს ცხოვრებად წმიდისადა ამის მამისა ჩუშნისადა...

ბოლო: ვითარმედ ღთისადა მიერ მოგიჰდად ნუგეშინის ცემაჲ ესე მტკიცედ სარწმუნოებისათჳს შენისადა და არა ლოცვითა ჩემითა, რამეთუ გონებაჲ მისი ყოვლადვე სიმდაბლესადა მოდრეკილ იყო (ფ. 316—387).

მინაწერი: ა. ქ. ჩვენ ბატონმა როდამ შემოგწირეთ წიგნი ესე ღვიმეს ტაძარსა წმიდისა ღვთის მშაბელისაჲსა, ვინც გამოსწიროს, შენ შერახსდი და მთიკობთჳ (367).

ბ. ქ. ჩვენ ბატონმა როდამაჲ შემოგწირეთ წიგნი ესე ღვიმეს ტაძარსა წმინდის ღვთის მშობელსა ანდრიას სალოსი ესე. ვინაც გამოგწიროს, შენი მადლი გაუწყრეს (ფ. 387).

ანგერძი: ა. ბოლო მე ნიკიფორე, ხუცესმან დიდისა ეკლესიისაჲსა, თუაღითა ჩემითა ვიხილე და რომელი მომიტხრაჲ ნეტარმან ჩაიფანე უტყუშლითა, პირითა, აღკურე წიგნი ესე სადიდებლად უფლისადა ჩუშნისა იესუ ქრისტესა, რომელსა შუშნის პატივი და თაყუანისცემა თანა მამით და სულთ წმიდითუთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ. ამა წიგნსა ეწოდების ბერძულად აპოკროფა, რომელ არს მოძღუართადა, ბოლო საკითხავი და არა ყოვლისა ერისა საამჯამო ყოფად უკებთა და უმეცართა ჭათარცა მჯულის კანონი. უწყის უფალმან, თუ მიზღდეს კაცი ბრძენი, გულის კმეჭრი—დედად არს ყოვლისა მეცნიერებისადა (ფ. 314).

ბ. დიდებაჲ ღმერთსა სრულ მყოფელსა ყოველთა კეთილისა სრულ იქმნეს და დაიწერნეს წმიდანნი ეს წიგნი მკითხველთა და მამუნელთა განმანათლებელი და ლმობიერ მყოფელნი ბრძანებითა ციციმვილის ასულისა და ამილახორის თანამეცხედრისა ბატონის როდამისითა ყელითა ფრიად ცოდვილისა და უღირსისა ჩხვიე მდღლისა იე.ესითა. საუკუნო იყავნ ვსენებაჲ მათი და მრავალჲცა არიან წელნი ცხოვრებისადა მათისანი, და ვითარცა მათ უნდადა, ეგრეთ აკმარნეს ღმერთმან სიგ. ძესა შინა დღეთასადა, ამინ. ქორონიკონსა ტრზ აპრილსა და (ფ. 315).

პარაკლიტონი

145 ფ.; 17×11; ქალაღი; ქალაღის ყღა; სრული; მხედრული (ზოგერთი დასაწყისი ასოები ასოთავრულით, სინგურით); XIX საუკ. (ბეღლის მიხედვით), ჩამოტანიღია შოთ ძღვიმის მონასტრიდან 1923 წ.

დასაწყისი: ქმა ა, სამწუბრონი ლოცვანი ჩვენნი, შეიწირენ წმიღაო უფალო...

ბოლო: ვაკურთხევეღთ ქრისტესა და უგალობღეთ აღდგომჲსა მისსა, რამეთუ ჯვარცმა თავს იღვა და სიკვეღიღითა სიკვეღიღი განაქარვა (ფ. 1r—144v).

შენაშენა: ხელნაწერში მოთავსებულღია შემღვეი საგალობღები:

1. უფალო ლაღადყავესა ზეღა რვა ხმათა დასღებღენი და წარღგომანი (ფ. 1r—56r).
2. რვა ხმათა აღღგომის ტროპარნი და ლღთის მშობღლისანი (ფ. 66v—65v).
3. შუღამის ღირს არსნი (სამეღბიანი) (ფ. 65v—68r).
4. გუნღნი ანგელოზთანი (ფ. 68v—72r).
5. ცხრა ნეტარეღბანი (ფ. 72v—74r).
6. ძღის პირნი რვა ხმათანი (ფ. 75r—78r).
7. კატავასიანი, რვა ხმათანი და ლღთის მშობღლის საღიღებღენი (ფ. 78v—124v).
8. ღიდ მარხვის აღღიღუისა ზეღა წარღგომანი-საგალობღენი (ფ. 125r—130v).
9. ანღრღი კრღტელის გალობის ძღის პირნი (ფ. 131r—133v).
10. შეხვეღტიღიანი (ფ. 134r).
11. უფალო ლაღადყავ რვა ხმაზე ნოტეღბის მზგავსად (ფ. 135r—138v).
12. ღმერთი უფაღი რვა ხმაზე ნოტეღბის მზგავსად (ფ. 139r—143v).
13. აღღგომა ქრისტესი ვიხიღეთ (ფ. 144v).
14. (ბოლოს ცალკე ფურცელზე) ფერის ცვაღების საგალობელი (ფ. 145r).

იოანე ოქროპირი—ოქროს წყარო

206 გვეღდი; 16×10; ქალაღი; შემოშორებღი მღყაოს ყღა; სრული, დაზღიღი; მხედრული (დასაწყისი ასოები ასო მთავრულით); სათაუ-

რები სინგურით); XIX საუკ. დასაწყისი; ჩამოტანა ზო მღვიმის მონასტ-
რაჲან 1923 წელს.

დასაწყისი წმიდათა შორის მამისა ჩვენისა იოანე ოქრო-
პირისა კოსტანტინუპოლელ პატრიარხისა, თქმული ღვთიე შუშ-
ნიერნი ჰსწავლანი, რომელსა ეწოდების ოქროს წყაროდ.—სწავლა
1. წმიდათ წერილთა ჳელად მიღებისათვის. საყუარელო იკითხვი-
დე რა საღმრთოთა სიტყუათა, პირველად ევედრე ღმერთსა.

ბოლო: და ჩვენ მუშაკნი ერთბამად ვიხარებდეთ სასუფევე-
ლისა ღთისასა, რამეთუ მამისა ჰშენის დიდება, ძესა—მადლობა
და სულსა წმიდასა—თაყვანისცემა პირველ საუქუნეთა აწ და უკუ-
ჩისამდე, ამინ (ფ. 1r—193r).

შენიშვნა: ბოლოს დართული აქვს საჩჩევის ნაწყვეტი (ფ. 193r—194v).

315

დავითნი

213 ფ.; 8,5×6; ქალღლი; ტყავგადაკრული დაზიანებული ყდა;
სრული; ნუახური (დასაწყისი ასობი ასომთავულით, სათაურები სინ-
გურით); XVI—XVII საუკ. (ხელის მიხედვით); ჩამოტანილია ზო მღვიმის
მონასტრიდან 1923 წელს.

დასაწყისი: დავით წინასწარმეტყულის მიერ ქებაჲ. კა-
ნონი ა. ფსალმუნი დავითისი... ნეტარ არს კაცი, რომელი არა
მივიდა ზრახუასა უღვთოთასა და გზასა ცოდვილთასა არა დად-
გა და საჯდომელსა უსჯულოთასა არა დაჯდა.

ბოლო: აქებდით მას წინწილთა ღაღადებისათა. ყოველი
სული აქებდით უფალსა, დიდებაჲ (ფ. 1r—211r).

შენიშვნა: ბოლოში დართული აქვს კიდევ ორი—რნა და რნბ ფსალ-
მუნები (ფ. 111v—112v).

მინაწერები: ა. მეფის ძენი დავით და აღმასხან და ჩვენ როსიისაკენ რომ
წავედით წელთა 1803 თებერვლის ით, ქს უკა (ფ. 213r).

ბ. წმიდას შიოს მღვიმის მონასტერში შვედნენ კრებულნი მათს ღა-
ღღესა ხუთნობათსა. დავით გარესჯის მამის დღესასწაული იყო ეს დღე, წელთა
1802—ბერები შვიდნი და საბეროდ მომხადებულნი კერძო დიაკვნები ოთხნი
(სურლია (ფ. 213v).

ანდერძი: ღმერთო, შეიწყალე ფრიად ცოდვილი მწერალი დიაკონი იოანე
(ფ. 211r).

316

ქაჯმან ხელმწიფის აბაჯი

50 ფ.; 22×18 ქალღლი ღურჯი; უყდო, უბრალო ყდაში ჩადებუ-
ლი; თავბოლო ნაკლული; ხაწყვეთი; მხედრული; XVIII. საუკ. (ხელის
მიხედვით); შემოსულია 1925 წ. ივ. ვნაკოლოფოვისაგან.

იწყება: ვინც სიმრუდით საქმეს დაიჭერს და ჩემს სამართალში მოვლენ, შიშით სული არ შერჩებათ და შენ როგორ გაბედე...

წყდება: მღებრისას კაცი გაგზავნა და ის მღებარი დაიბარა. მოდის და ქვეშ-ქვეშ იცინოდა და ყაზისაკენ მივიდოდა. ყაზმან დაინახა და უთხრა—მე სასაცილოდ აძივდეთ (ფ. 1r—50v).

317

კაკაბადინი

93 ფ.; 17,5×10,5; ქალაღი; ყდა შემოწორებულთ, ფურცლა-ფურცლად დაშლილი; თუ-ბოლო ნაკლული; მხედრული (სათურები სინჯურით) XVII ს. (ხელის მიხედვით); შემოსულია 1925 წ. ივ. ენაკლოფოვისაგან.

იწყება: კაცა რომ სისხლზედ იარებოდეს, მეავე ვაული მწვედ არგებს. დარიჩინი გრილს ღვიძლს არგებს...

წყდება: ვისაც ან თავი უთრთოდეს, ან ხელი, კურდ-ღლის ტვინი შეწვი და აქამე სამს დილასა, არგებს, თრთოლას დაუყენებს. კიდევ ოსპი და ბროწეულის ქერქი...

318

სახარება

190 ფ.; 28,5×20,5; ქალაღი; უყდო, უბრალო ქალაღის ყდაში ჩადებული; ნაკლული, აკლია მათეს სახარებიდან 25 თავი და იოანეს სახარებიდან დასაწყისი და ბოლოს დიდი ნაწილი; ნუსხური (სათურები და დასაწყისი ასოები ასომთავრულით, სინჯურით); XVIII ს. (ხელის მიხედვით); ჩაპოტანილია გურიის ხევის ეკლესიიდან 1923 წ.; ხელნაწერი გაწყალებულია.

იწყება:... და მეცით მე ჰამადი, მწყუროდა და მასუთ მე, უცხოა ვიყავ და შემეწყნარეთ მე.

წყდება: შეილნო, მცირედ ჟამ თქუცნთანა ვარ და მეძიებდეთ მე და ვითარცა იგი ვარქვ...

ანდერძი: ა. ჰ. ფრიად ცოდვილმან ყოვლთა უცოდვილესმა მუხრანის ბატონის შეილმა დარეჯანმა და მეცხედრემა ჩუენმა ციცისშვილის ნოდარის ძემან ფარსადან, შემოგწირე შენ ჩვენსა მფარველსა და სიქადულსა ჯუარსა ქრისტესსა წმიდა ესე სახარებმა ცოდათა ჩვენთა შესანდობლად, სულისა ჩვენისა სახსრ დ, ძეოა ჩვენთა წარსამართებელად; ცხოველს მყოფელო ჯუარო ქრისტესო, მეოხ გვეყავ ორსავე ცხოვრებასა. ვინცა და რამანცა კაცმა გამოსწიროს, შენმცა რისხავ, ჯუარო ქრისტესო, და ნუმცა გამოიხსნების რისხვსა შენისაგან და ცოდვათა ჩვენთათვისმ განიკითხვის. ძმანო, ვინც კელყოთ ჰმოებამდ. ჩუენ ცოდვილთათს შენდობაა ჰყოფდით, ამინ (ფ. 62v).

ბ. ღმერთო, შეიწყალე ფრიად ცოდვილი იასე (ფ. 62).

გ. ქრისტე, შეიწყალე ცოდვილი მწერალი ამისი ბაღდადელიძე ბედისმწერლიშვილი ნათანაელ (რ. 150v).

დ. ქრისტე, შეიწყალე ცოდვილი ბაღდადელიძე ბედისმწერლიშვილი ნათანაელ მწერალი ამისი (151v).

ე. ოსხნო თავნო სახარებაჲანო, მათე, მარკოზ, ლუკა და იოანე, მეოხ ეყავ. მღღელს ქლენტს გიორგის, ამინ (ფ. 152v).

319

კონდაკი

91 ფ.; 22×15; ქალაღი; ტყავგადაკრული 'ხის ყდა, დაზიანებული თავ-ბოლო ნაკულები, დაშლილი. გაწყალებული, შიგა და შიგ ფურცლე ბიცაკლია; ნუსხური (დასაწყისი ასოები ასომთავრულით, სათაურები სინგურით); XVII ს. (ხელის მიხედვით); ჩამოტანილია 1923 წ. კარების ეკლესიიდან.

იწყება: უფლისა მიმართ ვილოცოთ. მღვდელმან დაბუროს და ჯუარი დასწეროს და თქუას: უფალი სუფევს შუშნიერებაჲ, შეიმოსა ძალი და გარე შეარტყაჲ.

წყდება: შეისმინენ შენი უფალმან, დღესა ქირისა შენისაჲსა შემწე გეყავნ... (ფ. 1r—91v).

ანდერძები: ა. ქრისტე, შეიწყალე ვედემონ (ფ. 33r).

ბ. ქრისტე, შეიწყალე ვედემონ მთავარეპისკოპოზი, ამინ. მომიკსენეთ, მოძლუარნო წმიდნო, რათა თქუანცა (ფ. 43v).

გ. ღმერთო, შეიწყალე, ამისი სობერის დროს მზნაბავი მთავარეპისკოპოზი ვედემონ; ვინცა მომიხსენოთ, თქუანცაჲ მოგიყვენოქო დმერთმან სასუფეველსა შინა, ამინ (ფ. 62v).

დ. ქრისტე, შეიწყალე ვედემონ. ვინცა მომიკსენოთ, თქუანცა მოგიკსენოთ ღმერთმან, ვედემონ მთავარეპისკოპოზი მოგიკსენებ (ფ. 79v).

320

კონდაკის ნაწყვეტი

28. ფ.; 20,5×16; ქალაღი; შემოშორებული ტყავგადაკრული ყდა, დაზიანებული, დაშლილი; ნაწყვეტი; ნუსხური, (დასაწყისი ასოები ასომთავრულით, სათაურები და თვალსაჩინო ადგილები სინგურით); XV ს. (ხელის მიხედვით); ჩამოტანილია კარების ეკლესიიდან 1923 წელს.

იწყება:... ტრაპეზისისა გ. და ემთხუშვიან წმიდა სახარებასა და ტრაპეზსა და მიიღებენ თვთოეული ჭელითა თუსითა სტიხარსა თუსსა.

წყდება: ხოლო მცირედ რაჲმე ანგელოზთაჲ დაკლებულად ვხედავთ იესოს ჭნებითა მით სიკუდილისათა დიდებითა და პატივითა გვრგვნოსანსა, რათა მადლითა ღთისაჲთა ყოვლისაჲე.

ანდერძი: ღმერთო, შეიწყალე ცოდვილი დავით.

ქაზან-გულანი

211 ფ; 21X19,5; ეტრათი; ყდა შემოშორებული, ფურცლებად დაშლილი, დაგლეჯილი, დატუპმუნვილი; ნაკლული, არა თანამიმდევრულად აკინძული; ნუსხური (დაწყებითი ასოები ასომთავრულით, ხოლო სათაურები და საყურადღებო ადგილები სინგურით); XIV ს. (ხელის მიხედვით); სხვადასხვა ხელით გადაწერილი; ჩამოტანილია 1923 წ. წალკიდან.

იწყება: გულნი თქუენნი ნუცა გეშინინ. გესმა, რამეთუ გარქუ თქუენ. წარვალ და კუალად მოვიდე თქვენდა, უკეთუმცა გიყუარდი მე. გიხაროდემცა, რამეთუ მივალ მამისა ჩემისა, რამეთუ მამა ჩემი უფროს ჩემსა არს.

წყდება: და მერმე აღმოიღოს წყლისა მისგან და გემოა იხილოს პირველად მღუდელმან წინაშე ყოველთასა და მიერიოთგან იხმარებდენ დაუშჯელად.

(ეს ქაზანგულანი წარმოადგენს თავისებურს, თთვენიდან, სარღესასწაულოდან და სხვა წიგნებიდან გამოკრებილს ნაწარმოებს და შიგ მოთავსებულია შემდეგი საკითხავ-საგალობლები:)

1. ზეთის კურთხევის ნაწყვეტი (ფ. 1r—4v).

2. წესი და განგებულებაჲ კანონთა ლოცვისაჲ. წმიდაო, ღმერთო, მამაო ჩუენო. რა ეამს მსაჯული იგი სიმართლისაჲ დაჯდეს და ბეგრეულნი ანგელოზნი წინაშე დგენ, საყვრი იგი ჯმობდეს (5r—8v).

3. ლოცვაჲ შესუშნებულთა მამათა და ძმათა ჩუენთა. უფალო იესუ ქრისტე, მოვედით, თაყუანისცემთ; უფალო, შეისმინე ლოცვისა ჩემისაჲ, ვიდრე რამეთუ მე მონაჲ შენი ვარ (8v).

4. დავითნიდან მოყვანილი საგალობელი ფსალმუნები (ფ. 9r—32v, 38r—41v, 98r—106v, 186r—201r, 202rv).

5. თუშსა იანვარსა ყოველთა წმიდათა საგალობელი; რომელნი მას შინა იღიდებიან. ა გ. ი.—სიბრძნე მერვისა დღისა ჯორციელად წინადაცუშთაჲ ქრისტეს ღმრთისაჲ ვადიდოთ, მორწმუნენო; და უგალობდეთ დიდსა მღვდელთმთავარსა ბასილის და პრომთა პაპსა ბრძენსა სიღვისტროსს (ფ. 34v—37v).

6. ფებერვლის თვის საგალობელთა ნაწყვეტი (ფ. 42r—43v).

7. თუშსა მარტსა ყოველთა წმიდათაჲ, რომელნი მას შინა ივსენებიან.—მოვედით, მარტკლთ მოყუარენო, ყოველთა წმიდათაჲ გალობით ვადიდებდეთ მარკელსს, ევდუკიას, ნესტორს, ტრივიმის და ანტონის (ფ. 43r—47r).

8. ასევეა მოყვანილი აპრილის თვის (ფ. 47rv), სეკდენბრისა

(ფ. 84v—87), დეკნბრისა (87v—91v), ოკლონბრისა (ფ. 92r—96r) და ნოენბრისა (ფ. 96r—97v).

9. პარაკლიტონიდან მოყვანილი საკითხავები და საგალობლები: დასდებელნი, წარდგომანი, ტროპარ-კონდაკნი, ღმრთისმშობლისანი; აღსავალნი, იკოსნი და იბაკონი; გალობანი აღდგომისანი, სამებისანი, ჯუარისანი და ღთისმშობლისანი; სამხრად მომიხსენენი და სხვა რვა ხმათანი (ფ. 48r—78r, 171r—176v).

10. ...წერაჲ სარწმუნოებისაჲ, რომელი აღწერეს წმიდათა მათა კოსტანტინეპოლის შეკრებულთა წმიდათა ხატთა თაყუანისცემისათჳს, რომელი ესე წარიკითხვის სოფთა წმიდას და ყოველთა ეკლესიათა პირველსა კვირიაკესა მარხვათასა წმიდასა ჟამის წირვასა ზედა. გუაჟურთხენ, მამაო.

წინასწარმეტყველთა ქადაგებისაგან დამტკიცებულნი და წმიდისა სახარებისა ბრძანებითა დამორჩილებულნი წმიდათა მამათა, მოციქულთა მოძღვრებისაებრ ვდღესასწაულობთ დღესა ამას სატფურებისა და განახლებისა სარწმუნოებისა ჩუშნისა გერმანოს და ტარასეს, ნიკიფორეს და მეთოდეს ქეშმარიტთა მღვდელთმთავართა ქრისტესთა და მართლთმადიდებლობისა დამამტკიცებელთა და მოძღვართა სულიერთა საუკუნო იყავნ ჳსენებაჲ.

ეგნატისი, ფოტისი, სტეფანესი, ანტონისი, ნიკოლაოსისი, ეფთჳმესი, წმიდათა მართლთმადიდებელთა პატრიაქთაჲ საუკუნო იყავნ ჳსენებაჲ.

11. ათორმეტ თვეთა წმიდანებისა და მათი ტროპრების დასახელება. — გალობანი ყოველთა წმინდანთანი. ჳმად. ბ გ-ი. ზლუჲა მუწამული; ჟამთა და წელთა ჳელმწიფებათა.

ა. ღირსი სჳმიონ—ყოვლისა დაბადებულისა სუტტმოთმინეზისა,

ბ. მამაჲ—მოწამემან ჳენმან, უფალო (ფ. 107r—109v).

12. ჟამნი შუა ღამისანი (ფ. 110r—114r).

13. ჟამნი შუა ღამისანი, თქმულნი იოსებ გამომთქუმელისა (ფ. 114r—117v).

14. ლოცვაჲ წმიდისა ღმრთისმშობელისა მიმართ სავედრებელი, თქმული მარკოზ მონაზონისაჲ.—მრავალნი და დიდებულნი ნიჳნი მომეცნეს მე დამბადებელისა და ღმრთისა ჩემისაგან (ფ. 117v—121v).

15. [ლოცვაჲ] თქმული წმიდისა მამისა ჩუშნისა ეფთჳიმი ქართველისაჲ კვირიაკესა და ყოველთა დღეთა სათქუმელი. — უფალო, ღმერთო. ჩემო, სახიერო და მრავალმოწყალეო (ფ. 121v—126r).

16. ლოცვა ღირსისა ეფრემისი ოთხშაბათსა.—ვცოდე ცად მიმართ და წინაშე შენსა, უფალო (ფ. 126rv).

17. ლოცვა მისივე ხუთშაბათისა.—შენ მხოლოსა, ძვრუქსენებლო უფალო, აღვიარებ ცოდვათა ჩემთა (ფ. 126v—127r).

18. ლოცვა დიდისა ბასილისა პარასკევისა.—უფალო ღმერთო, მილხინე მე ცოდვილსა (ფ. 127r).

19. ლოცვა ზეშთა ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობლისა მიმართ შაბათსა სათქუმელი.—ვინაჲთგან შესავედრებლად და შუამდგომელად განგიკუთნა შენგან შობილისა მიმართ, ღთისმშობელო ქალწულო (ფ. 128 rv).

20. სხუად ლოცვა წმიდისა იოანე ოქროპირისაჲ.—უფალო ღმერთო ჩემო, დიდო და საშინელო (ფ. 128v—30v).

21. ლოცვანი, სათქმელნი თითოეულსა შინა ეამსა ღამისა და ღლისანი, ძილად მისეღისა და განთიადისა (ფ. 130v—139r).

22. ლოცვა წმიდისა ბასილისა შესუწნებულთათვის (ფ. 139rv).

23. ნათელის წესი და განგებაჲ (ფ. 145r).

24. წესი და განგებაჲ მონაზონის კურთხევისაჲ, თქმული წმიდისა ბასილისა (ფ. 145r—149r).

25. წესი და განგებაჲ დიდის სქემის კურთხევისაჲ, თქმული წმიდისა ბასილისა (ფ. 149v—158r).

26. [წესი და განგებაჲ, რომელი] აღესრულების დაფლვასა შესუწნებულისასა.—შეისუშნოს რაჲ ძმამან, გაწმიდონ იგი ღრუბლითა (ფ. 158v—160v).

27. მოსახსენებელი—ჩამოსათვალი მოციქულთა, მღვდელთ-მთავართა, მოწამეთა, ღირსთა მამათა და დედათა, რომელთაც მეოხებისათვის მიმართავენ მეედრებელნი (ფ. 178r—178v).

28. კალანდა და საეტლო (ფ. 178r—183v).

29. განგებაჲ, რომელი ჯერ არს აღსრულებად, უკეთუ არა-წმიდათაგანი რაჲმე შთავარდეს კურტელსა შინა ზეთისა, გინა ღვინისა (ფ. 183v—184r).

30. ლოცვა შეგინებულსა მქამელსა ზედა (ფ. 184rv).

31. ლოცვა შეგინებულსა ჯურღმულსა ზედა (ფ. 184v).

32. სამთვარიო—საეტლო ცხრილი კვიმატი დღეებისა, თვეთა რიცხვისა და შვიდეულის დღეების აღნიშვნით (ფ. 4v).

მიწაწერები: 1. ფებერვალი და მისნი შემდგომნი თთუშნი ამა წიგნისა ბოლოსა ჰაოვნე (ფ. 37v).

2. სულსა პატრონისა ანაქალის (!) შეუნდნეს ღმერთმან, ამინ (ფ. 166r).

3. ...გიორგი, მოგვიცხენებ პატრონ... (ფ. 168r).

ანდერძი: ცოდვილსა გრიგოლს მწერალსა შეუნდენენ ღმერთმან (ფ. 178v).

... შიქაელ მართლმადიდებელისა მეფისა ჩუშნისა... ოდორა დედისა მისისა, ბისილისი... რომანოსისი, ნიკიფორესი... მართლმადიდებელთა მეფეთა, საუკუნო იყავნ ვსენება.

ბასილი და კოსტანტინე, მართლმადიდებელთა მეფეთა, მიქელ მართლმადიდებელთა მეფეთა, ზოსი და თერდორა მართლმადიდებელთა დედოფალთა, საუკუნო იყავნ ვსენება:

კოსტანტინე მონამანსა, მიხაელ ბერისა, მართლმადიდებელ მეფეთა. საუკუნო იყავნ ვსენება.

ისაკ მართლმადიდებლისა მეფისა, კოსტანტინე დუკიწისა, მართლმადიდებელთა მეფეთა საუკუნო იყავნ ვსენება

დიოგენსა, მიხაელ დუკიწისა, მართლმადიდებელთა მეფეთა, ნიკიფორე ბოტანიტისი, მართლმადიდებლისა მეფისა, ალექსისი, შვილთა და ძმთა მათთა, მართლმადიდებელთა მეფეთა, საუკუნო იყავნ ვსენება.

ბაგრატ აფხაზთა და ქართველთა მართლმადიდებლისა მეფისა, საუკუნო იყავნ ვსენება.

გიორგი კესაროსისა აფხაზთა ქართველთა მეფისა მართლმადიდებლისა, საუკუნო იყავნ ვსენება.

დავით ყოვლისა აღმოსავლეთისა ველმწიფედ მფლობელისა, აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და წანართა, და ყოვლია აღმოსავლეთისა მეფისა, საუკუნო იყავნ ვსენება.

თამარ ყოვლისა აღმოსავლეთისა მართლმადიდებლისა მეფისა, საუკუნო იყავნ ვსენება.

ძისა მათისა გიორგი ყოვლისა აღმოსავლეთისა მეფისა, საუკუნო იყავნ ვსენება.

რუსუდან ყოვლისა აღმოსავლეთისა მართლმადიდებლისა მეფისა საუკუნო იყავნ ვსენება.

ძისა მათისა, დავით აფხაზთა და ქართველთა მეფისა, მრავალმცა არიან წელნი და საუკუნო ვსენება

ეფთჳმიოსს დთივ დაცულისა ქალაქისა ანტიოქიისა და ყოვლისა აღმოსავლეთისა პატრიარქისა და მოწამებისა სისხლითა გზგჯნოსან ქმნილისა, საუკუნო იყავნ ვსენება.

კუალად ვიტყვთ გერმანოსს, ტრასეს, ნიკიფორეს და მეთოდის, სანატრელთა მათ პატრიარქთა, საუკუნო იყავნ ვსენება (ფ. 84v—87v).

322

დიდმარხვის ბიზნური საკითხავები

40 ფ. 21X13; ეტრატი; უყდო, ყდა შემოზორებული, ფურცლებად დაშლილი, გამურვილი, დაგლეჯილი, ნაწყვეტი; ნუსხური (დაწყებითი ასოები ასომთავრულით, სათაურები სინგურით); XIII—XIV საუკ. (ხელის მიხედვით); ჩამოტანილია 1923 წ. წალკიდან.

იწყება ...ნდით ყოველთა გზათასა ძოვ... და ყოველთა ალაგთა ზედა იყოს... სამოვარი მათი არა შიოდის, არცა სწყუროდის, არცა ფცეს მადჯ ხორმაკი, არცა აქნოს მათ...

წყობილია: დასიტყვითა ჩემთა მოეც- გონებამ შენი, რათა არა მოგაკლდენ შენ წყარონი ცხოვრებისანი (ფ. 38r)..

323

სახარება

269^o ფ.; 22,5X15,5; ეტრათი; ტყავ ტყავგადაკრული ხის ყდა, წინა ყდა ვეცხლით შექვილი და უბრალო თვლებით შემკული, ყდა შემო- შორებული და ნაწილობრივ დაშლილი; სრული; ნუსხური (სათაურები და დასაწყისი ასოები ასომთავრულით, სათაურები და საყურადღებო ადგილები სინგურით); XII—XIII სს. მიჯნაზე (თამარ მეფისა და ბე- ჯა მქანდაკებელის დროინდელი); აქვს მხატვრობა: მათე მახარებელი (4v) და კამარები (ფ. 5r, 75r, 122r და 193r); ჩამოტანილია წალკიდან 1923 წ.

დასაწყისი: წიგნი შობისა იესუ ქრისტისი, ძისა დავითი- სი, ძისა აბრაამისა.

ბოლო: და არიან სხუანიცა მრავალნი, რომელ ქმნა იესუ, რომელნი თუმცა დაიწერებოდის თუთოეულად, არცალა ვგონებ, ვითარცა სოფელმან. ამან დაიტია აღწერილი წიგნები, ამინ (ფ. 5r—244v).

ბოლოში დართული აქვს სახარებათა სძიებელი მთელი წლისათვის (ფ. 245r—266).

შენიშვნა: შინაარსის მიხედვით ოთხთავი დაყოფილია თავებად და მისი სარჩევი თან ახლავს თითოეულს მახარებელს დასაწყისებში.

ანდერძი: ამით ყოველთა ძალითა და მადლითა და მეოხებითა ზე აღიდ- ნენ და დააძყარნეს ღმერთმან ძლიერნი და უძლეველნი, თვით ქელმწიფებით მფლობელნი ყოვლისა საქართულოასანი დავით მეფეთა მეფე და ღვივ გვრგვნი- სანი თამარ მეფეთა მეფე და დედოფალი და წარმართენ ლაშისა ძისა მათისა მე- ფობაა უმეტეს და უფროას ყოველთა მეფეთა ქუცყანისათა და აღიდგენ წმი- დად მღვდელთმოდღვარი თვედორე ანჩელ მთავარებისყოპოსი და ათორ- მკეტთა უდაბნოთა არქიმანდრიტი. მღვდელ მოძღვრებასა მათსა ვიგულის- მოდგინე მე კულითა საწყალოებელმან და ნათელღებულობით ოდენ ქრის- ტეანემან, დიდად გამარისხებელმან და მემკოდემან ღთისამან სოფრომ ცწიგნობარზან, ოღუემე ვა... თამან, ოდესმე ღთისა სწორთა... სახედ ქუ- რივისი მწულითა... და მოგვებელმან უამისამან, რომელ უნდოდა ესე ნამსა- ხური და კინი გამოჩენასა ღირს იქმნა. ზესთ მბრწყინვალისა და ნათლით შემოსილისა საყდრისა ანჩისა საჩინოებდა მღვდნასა ამას სოფელსა მიდა- მო ეცკალა და მას შინა დანიეობული სიმდიდრე და საქაული საყდრისა ხრწნილებასა დაენთქა და ყოვლად შეკინებულ იყო. ესრეთ ათმელ ვიკადრე წმიდისა ამის სახარებისა მოსყიდა წმიდით უდაბნოთ წყაროს თავით და შემს- ჩავსებულად ძალისა ჩემისა ჟოვაჟედინე ღთისა მიერ კურთხეულს ღირსსა ოქროს მქანდაკებელსა ბექასა და დაუსუძნე ხატსა წინაშე ღთაებისასა სალოცველად ძისა ჩემისა სვეონისთვის.—და ამისა წინაშე ხატი ღთისა განკაცებისა კელ- ცყავ და შევაძვეე მისვე ბექასა ქელითა და დაუსვენე ხატსა თავადისა გუბრდით

სხუთავე ხატთა მათთა დიდად სასანგლოთა ბერძულთა და გამიკუშეთს სალო-
ცავი იოანე რკინაელმან ნეტარებით მოხსენებულმან სიწმიდის გარდმოყენებით
ესრეთ. სოფრომს და მარიამს მშობელთა და ძმათა მათთა შეუნდევნ ღმერთმან,
გიბასა (?) მისსა გაზრდილსა შეუნდევნს ღმერთმან.—და ამის სახარებისათვის
თეოდორე ანჩელ მთვარებისკოპოსმან და სულით და ჯორცით შესავედრებელთა
ჩემთა საყდრის შეიღოთა... გარდმოყენებასა ზედა განმიწესა რუშ და ძმათა მის-
თა შეუნდევნ ღმერთმან... აღმითქეპს მათცა, მიანიბენ (?) სასყიდელი ღმერთმან
შრომათა მათთა.

აწ ვინცა და რამანცა... მიდაჲ ესე სახარებაჲ ანუ ხატნი [გამოუხვას]...

შენიშვნა: შემდეგ ტექსტი გადასულია და აღარ ამოიკითხება.

324

შენიშვნის კვირის საგალოზლის ნაწყვეტი

4 ფ.; 19,5×13,2; ქალაღი; უყდო; ფრაგმენტები, ნაწყვეტი; ნუს-
ხური (სათაურები სინგურით); XII ს. (ხელის მიხედვით); ჩამოტანილდა
1923 წ. წალკიდან.

შენიშვნა: წარწერა მეტის მეტად გადასულია და ძნელად იკითხება.

იწყებთა: იხილა რაჲ ძე შენი განრთხუმული [ჯუარსა ზედა]
და მახვლმან ურვისამან განვლო...

წყდებთა: აწდა ვანკჯრდეს. გალობითა ვადიდებთ მკსნელო,
და თაყუანისცემით ჯუარსა... შენსა...

325

კათალიკოზ ანტონ I-ის წყობილ-სიტყუაობა

114 ფ.; 20,5×15; ქალაღი; ტყავ-გადაკრული ტვიფრული მუყაოს
ყდა; სრული; მხედრული (დასაწყისი ასოები ასომთავრულით, სათაურები
და აკროსტიხები სინგურით); 1788 წ.; შემოსულია 1925 წ. პოლ. კარბე-
ლაშვილისაგან.

დასაწყისი: წიგნი წყობილ-სიტყუაობა, ნაწილი პირველი,
ლთის-მეტყულებისათჳს, თავი ა. თჳს სამობისა და ერთობისა.

ერთი არს ზესთა დაუსაბამო კეთილ.

ხესთ-ნათლოვანი ერთობა სამ-პირებით.

ბოლო: შენდა პატივად, შენდა თაყუანის. ცემაღ

აწ და ნიადაგ და საუკუნოდ, ამინ.

დასასრული წყობილსიტყუაობისა (ფ. 10r—103r).

შენიშვნა: თავს ერთვის არხიდიკონ გაიოხის წინასიტყვაობა.

იწყება: წინასიტყვაობა წინამდებარისა წიგნისა ხუთ ტეპოვანთა სტიხთა
ახუ შაირთა, ქმნილი გაიოსისა მიერ არხიდიკონისა.

წინ-სიტყუაობით შეყუანილებათა რა,

ვაწინ-მდებარებთა ანტონი ყოვლად ბრძნისთა.

ბოლო: თრფეოს მთქმელსა, შემდგომ არსთ უგრანობელსა,

სულისა მხესა გიძნობ მოწაფე მთქელსა (ფ. 2r—4r).

(თავს ერთვის აგრეთვე პინაქსი, ანუ სარჩევი წყობილ-წიტყუაობისა ფ.რ—9რ).

შენიშვნა: ბოლოს წყობილ-სიტყუაობას დართული აქვს:

1. ქმნილი მცირისა ტრიფილესაგან დიაკონ-მონახონისა,

ეს წყობილ-სიტყუა, განკარგულ ქმნილ თხუხულ—ლექსურ არს ანტონი-საგან ყოვლად-ბრძნის ბრძენ-უბრძნესის (ფ. 103v).

2. თვს სახელ-წოდებისა მისის უკწმოდესობისა.

დღე ესე მსგავს არს დღისა მეერგასისა.

ჩუშნთვს ანტონი ახალ-მეტაფისიკოს (104r).

3. ეპიტაფია უმნეტარესისა და უშუქმოდესისა ყოვლისა საქართუშლოასა პატრიარხისა და ჩლენისა უშუქმოდესისა სინოდისა, დავითიან ბაგრატივანი-სა, მეფის ძისა ანტონისი, დიდასკალოსისა და დირექტორისა ყოვლისა ივერიისა და ყოველთა საქართუშლოასა სემინარიათა, ქმნილი უმღირსისა მოწაფისა მისისა იოანე ოსეს ძისა მიერ, ხუცისა და იკონომოს-დეკანოსისა სიონისა, ფებერვალს 29 წელსა 1788.

ნამდვილ არავინ მკადრე იქმნას შენდამი,

ჰოე უშუქმოდესო მამათ-მთავარო ჩუშნო (ფ. 105r—112r).

4. მაგრა რიცხუსა მას წელთასა თთუშნი ხუთნი, მეტნი წარმოვლენ რომლისა თვცა ხუთნი: (112rv).

5. აკროსტიხი იოანე ოსესძისა:

კათოლიკოსი ანტონი თვთ მეფისძე,

ანგელთ შენადას ნიეთთ იგურდიე იქმნა განმყრი (113).

6. გიორგი ავალოვის:

აღმავსო შერმან წყობილ-სიტყუაობისამან

ნეტარისამან მამათ მთავრისამან (ფ. 113v).

შენიშვნა: ეს ლექსი მიწერილია 1805 წელს 1 თებერვალს.

მინაწერები: (ფ. 76v, 113rv, 114r).

ეს წყობილ სიტყუაობა მე, სახამ, ვიყიდე ფასითა ჩემითა ფებერვლის ით დღესა პარასკევსა ჩყე წელსა, ქვს ფა (ფ. 113r).

ანდერძი: სადიდებელად ცხოველს-მყოფელისა თანაარსისა და განრკყოფელისა სამებისა მამისა და ძისა და სულისა წმიდისა ანტონისაგან არხიეპისკოპოსისა ყოვლისა ზემოასა საქართუშლოასა დავითიან ბაგრიტოვანისა ქმნილი ანუ თქმული წიგნი წყობილ-სიტყუაობა, ესე იგი განზომილ-სიტყუაობა ბრძენთათვს კეთილ შესაქცევი; დროსა ყოვლად-უშბრწყინუშაღესისა უშკეთილ-მსახურისა და უშმადლესისა ირაკლი მეორისა, მეფისა ყოვლისა ზემოასა საქართუშლოასა, ხოლო მამათ-მთავრობისა თვისასა წელსა დასაბამითან სოფლისა 7276, გორცაველით შობითან სიტყვასა დღისა 1768, თათუშა მეოთხესა, რიცხუსა 20.

326

საისტორიო კრებული ნიკოლოზ ონიკოვისა

90 ფ; 21×17,2; ქაღალდი; უბრალო მუკაოს ყდა; სრული; მხედრული (დასაწყისი ასოები ასო მთავრულით, სათაურები სინგურით); ფფ. 50—53 დაუწერელია; შემოსულია 1925 წ. პოლ. კარბელაშვილისაგან.

1. აღწერა მოსკოვისა, პეტრებურლისა და მას შინა მყოფთა ხილუად საუცხოოთა და ვსოვნისა ღირსთა რამეთა ნიეთთა, ანუ ველოვნებათა.—წელიწადსა ათას შვიდას ოთხმოცდა მეთაშვიდ-მეტსა იანუარის მეთაერთმეტესა და დღესა სამშაბათსა სიმუხთლისა ძლით სოფლისა მბრუნაობისა გარდაიცვალა რა სანატრელად სახსენებელი და მცნობათა შორის საქართველომსათა სახელოვანი მეფე სრულიად საქართველომსა ირაკლი მეორე.

ბოლო: მოილო კუალად პირველივე საკრავი და დაუკრა ათორმეტი გვარი ორღანოვმა და ესრე დაასრულა თამაშობა იგი (ფ. 2r—49v).

შენიშვნა: ტექსტში მოხსენებული მეფის ერეკლე მეორის გარდაცვალების თარიღი შეცდომით არის მოყვანილი ავტორის ან გადაწერისაგან (ფ. 2r).

2. სპარსეთის მოკლე ისტორია.—თვის მონარხთა სპარსეთისათა, თავი ა.—კირ, ძემან კამბისისამან, გარდაადლო ტახტით ასთიად—პაპა თვისი და სძლო მეფესა ლიდისასა კირეზის და დაიმორჩილა მცირე აზია (ფ. 54r—55v).

3. საბერძნეთის მოკლე ისტორია. თვის მონარხთა ბერძენთასა, თავი ა.—საბერძნეთი განყოფილ იყო პირველ მრავლად მცირედ სამეფოდ, ესრეთ აწ ვითარცა რესპუბლიკა დოლანდისა (!) და შუშტარისა (ფ. 55v—57r).

4. მოკლე ისტორია რუსეთისა.—თვის იმპერიისა როსიისა, თავი ა.—როსისა, რომელსაცა შეუცავს ერთ-ნახევარი ევროპიისა და აზიისა, იწყების საზღურითგან ჩინელთასა ვიდრე შევდათმდე (ფ. 57r—66r).

5. რომის მოკლე ისტორია.—თვის მონარხთა ჰრომისათა, თავი ა.—ისტორია ჰრომისა შეიცავს სამსა უპირველესსა ცულილებასა, რომელიცა განყოფილ იყო სამად სამმართველოდ: პირუშლი, რომელიცა შედგომილ იყო მეფეთაგან, მეორე—კონსულთაგან და მესამე—ევისროისაგან (ფ. 66r—74v).

6. საქართველოს მოკლე ისტორია.—თვის სამეფოვსა ქართლისა, თავი ა.—ქართლის ისტორია იპყრობს თვს შორის ორსა ცულილებასა: პირუშლსა მთავრობისასა, ხოლო მეორესა მეფობისასა და ესეცა მეფობა განყოფილ იქმნა ოთხად: თარნავაზიანთად, არშაკუნიანთად, ხოსროიანთად და ბაგრატიანთად (ფ. 75r—90v).

შინაწერი: პ. კარბელისა, 1898 წ. 14 ივლისი. პლატონ იოსელიანი ავ წიგნს იხსენიებს დაკარგულად. მე ვიპოვე განსვენებულის ს. ფანიანის მღვდლის იოსებ ბერივეის სახლში, რომელმაც სახსოვრად შემომძღუნა 1895 წ. იანვრის 15 (ფ. 1r).

ანდერძი: აღიწერა წიგნი ესე მონასტერსა შინა წმინდის წინასასა, სადაცა მდებარე არს გუამი მისი, ჯელითა ჩემ უღირსისა დიმიტრი ბერიევისათა. შვილ-ველთაგან შევდომის პრქენე, ჩყვთ ხა წელსა აგვისტოს კვ. ხა დღესა (ფ. 49v).

327

მარხვანის ფრაგმენტი

6 ფ.; 28×21; ქალაღი; უყდო, ნაწყვეტი, ნუსხური (დასაწყისი ასოები ასომთავრულით, სათაურები სინგურით) XVI ს. (ხელის მიხედვით); შემოსულია 1925 წ. პოლ. კარბელაშვილისაგან.

იწყება: მკურნალმან წყლულთა ჩუშნთამან; აღსდგე, ვითარცა ღმერთი, მკუდრეთით უკუდავოა.

წყდება: და დააცბრვე ჩუშნგან გოდებაჲ ცრუმლთაჲ ჩუშნთა და ვითარ იგი გოდებდეს, ანგელოზმან კჳაჲ ყო მათდა მიმართ და... (ფ. 1r—6v).

შინაწერი: (5v). ქ. ეს. წიგნი მღთეებრსა არის; ვინ შოიპაროს, რის ძვეს მოღება იესო ქრისტე.

328

კურთხევანის ნაწყვეტი

12 ფ.; 20,5×16; ქალაღი; უყდო, ფრაგმენტები, ფურცლებად დაშლილი, ნაწყვეტები; ნუსხური (დასაწყისი ასოები ასომთავრულით, სათაურები სინგურით); XV ს. (ხელის მიხედვით); შემოსულია 1925 წ. პოლ. კარბელაშვილისაგან.

იწყება: და გამოუკვლეველ, მან თავადმან განაჩინა შენი, ეშმაკო, საუკუნესა მას სატანჯველსა შინა გვემან.

წყდება: აჲ უკუჲ, რომელნი იგი ღმერთმან შეაუღლნა, კაცნი ნუ განაშორებენ, ამინ. ჩამოლოცვა (ფ. 1r—12r):

ანდერძი: ქვევან მოიხსენე, უფალო (ფ. 11v).

329

სწავლა-მოქალაქების ნაწყვეტი

8 ფ.; 22,2×16,4; ქალაღი; უყდო, ფრაგმენტები, ფურცლებად დაშლილი, დახიანებულნი; ნაწყვეტი; ნუსხური (დასაწყისი ასოები ასომთავრულით, სათაურები სინგურით); XVII საუკ. (ხელის მიხედვით); შემოსულია 1925 წ. პოლ. კარბელაშვილისაგან.

იწყება: ... გულსა მოდგინებითა და მოსწრაფებითა და უკუ სრისხლთაცა დათხევა ჯერ იყოს ქრისტესთჳს სიხარულით...

წყდებოდა: ეგრეთვე იქმნებოდა ჩუქნსაცა ამას ზედა მოქალაქეობადასა, ვინათგან ჩუქნსაცა ვენახად ოფელისა წოდებულ ვართ, ანუ არა გავსოვსა გალობად იგი, რომელსა ვგალობდით... (ფ. 1r—8v).

330

შაშინის ნაწყვეტი

11 ფ.; 23,5×16; ქალაღი; უყდო, ფრაგმენტები, ფურცლებად დაშლილი; ნაწყვეტი; ნუსხური (დასაწყისი ასოები ასომთავრულით, სათაურები სინგურით); XVI საუკ. (ხელის მიხედვით); შემოსულია 1925 წ. პოლ. კარბელაშვილისაგან.

იწყება ... მისისა მინდობითა მრავალთა მოწყალეებათა შენთათა, მწინკულევიანთაგან ბაგეთა შევსწირავთ შენდა და მომიტევენ უსჯულობანი ჩუქნი...

წყდებოდა: ვითარცა მეორეთა მოცემელთა. ჩუქნდა საღთოაღსა ბრწყინვალეებისათა. სახარებად. მთავართა წმიდათა ანგელოზთა...

შენიშვნა: ნაწყვეტი წარმოადგენს შუღამის ლოცვებს.

331

კურთხევისაგანის ნაწყვეტი

7. ფ.; 22×16; ქალაღი; უყდო, ფრაგმენტები, ფურცლებად დაშლილი, გაწყალეებული; ნაწყვეტი; ნუსხური (დასაწყისი ასოები ასომთავრულით, სათაურები სინგურით); XV საუკ. (ხელის მიხედვით); შემოსულია 1925 წ. პოლ. კარბელაშვილისაგან.

იწყება: ლოცვა სავედრებელი უკანასკნელი სულთა და ჯორცთა გაყრისა დღისა, ღთისაჲ ჩუქნისა იესუ ქრისტეს მიერ; ხოლო ოდეს განვიდეს მართლმადიდებელის კაცის სული, ანუ ერის კაცისა სული გვამისაგან თვისისა, ესრეთ ჰყავთ, ვითარცა ქუქმო წერილ არს.

წყდებოდა: ხოლო ესე ყოველი, რომელი აღასრულოს მღუღელმან, მაშინ დასვენოს ჯუარი პატიოსანი ანუ ხატი ქრისტეს ჯვარი...

შენიშვნა: ეს ნაწყვეტი მთლიანად სულთბრძოლის ლოცვას წარმოადგენს.

332

ღაღითის ნაწყვეტი

9 ფ.; 19×14; ქალაღი; უყდო, ფრაგმენტები, ფურცლებად დაშლილი, გაწყალეებული; ნაწყვეტი; ნუსხური (დასაწყისი ასოები ასომთავრულით, სათაურები სინგურით); XVII საუკ. (ხელის მიხედვით); შემოსულია 1925 წ. პ. კარბელაშვილისაგან.

იწყება: და ზრახვა ჩემდა არიან საღმრთონი შენნი. მიება-
ხლა სული ჩემი მიწასა.

წყდება: და უთხოვბენ საქმეთა მისთა სიხარულით, რამე-
თუ იგინი შთავლენან ზღუასა ნავებითა (ფ. 1r—5v).

333

კუთხედიანი ნაწყვეტი

10 ფ; 19×14; ქალაღი; უყდო, ფრაგმენტები, ფურცლებად დაშ-
ლილი; ნაწყვეტი; ნუსხური (დასაწყისი ასოები ასომთავრულით, სათაუ-
რები სინგურით); XVII საუკ. (ხელის მიხედვით); შემოსულია 1925 წ.
პ. კარბელაშვილისაგან.

იწყება ... ნეს და დასხნეს იგინი წარმოუდგეს მათ, და-
ლათუ მეორესა საჭმილავსა და მესამესა მოვიდოდეს და პოვნეს
ესრეთ ნეტარ იყუნენ იგინი.

წყდება: ნუ დასცხრები ვედრებად ძისა შენისა და შემო-
ქმედისა და ოჯღლისა და ყოველთა ქრისტეანეთათჳს, ღთის მშო-
ბელო ქალწულო, ყოვლად წმიდაო ძალო, რამეთუ...

შენიშვნა: ეს ნაწყვეტი წარმოადგენს წყლის კურთხევის წესს.

334

წმიდათა ცხოვრების ნაწყვეტი

6. ფ.; 29×20; ქალაღი; უყდო, უბრალო ყდაში ჩადებული ფრაგ-
მენტები, ფურცლებად დაშლილი; ნაწყვეტი; ნუსხური (დასაწყისი ასოები
ასომთავრულით, სათაურები სინგურით); XVIII საუკ. (ხელის მიხედ-
ვით); შემოსულია 1925 წ. პ. კარბელაშვილისაგან.

შენიშვნა: ფფ. 5—6 უკულმა არის ჩაკერებული.

იწყება: ... და დასჯად მათდა, რომელთა არა ჰრწამსთ
ლთაებად მისი.

წყდება: ხოლო ოდეს მიშვებითა ღთისადათა აღდგეს სპარ-
სნი ქრისტეანეთა ზედა და აღძრნეს ურიცხვითა მკვდრებითა...

335

გამოკრებილი სახარება-სამოციქულონი და

საკითხავ-საგალობლნი

51 ფ. 20×14; ქალაღი; უყდო; ფურცლებად დაშლილი, მთლიან-
ნად გაწყალებული (ფურცლების ნაწილებია), ფრაგმენტების ნაწყვეტები;
ნუსხური (დასაწყისი ასოები ასომთავრულით, სათაურები სინგურით);
XVII საუკ. (ხელის მიხედვით); შემოსულია 1925 წ. პ. კარბელაშვილი-
საგან.

იწყება: ... საფლავსა შენსა ქრისტე მაცხოვარ, მოვიდეს ღირსნი დედანი და გეძიებდეს შენ შემურვად.

წყდება: იხილე რად ჯუარსა ზედა ძე შენი, უბიწოო ქალწულოდ და საღთოდ გუწრდი მისი ლხვრისა მიერ მოწყლული და ჰგოდებდ სიმწარით.—კატავასია, რომელმან იქსნნა ყ...ნ ცოდვისა გემოთა სიმწარისაგან ქრისტე ნალველი სუ... (ფ. 1r—51v).

მინაწერი: ქ. სახელთა მღთისთა, მამისა, ძისათა და სულისა წმიდისათა ვიყიდე ძე ჯანიზეგ გორანთელმა (!) ეს წიგნი, მოგეც ფასი სრული და უკლებელი. მე გიორგი ჯობიაშვილს დამიწერია და მოწამეც ვარ (ფ. 10v).

336

სადღესასწაულოს საწყვეთი

6 ფ.; 25,2×16,5; ქალღი; უყდო, ფრაგმენტები, ფურცლებად დაშლილი, გაწყალებული; ნაწყვეტი; ნუსხური (დასაწყისი ასოები ასომთავრულით, სათაურები სინგურით); XVI ს. (ხელის მიხედვით); შემოსულია 1925 წ. პ. კარბელაშვილისაგან.

იწყება: ... ა შენ მიერ ღთისა ჩუწნისა, რამეთუ აქუნდა შენ მიერ ძალი და მძლევა... დაამჯუნა და შემუსრა კერპთა იგი უძლური ძალი.

წყდება: დიდებამ, რომელმან კურთხეულ უწოდე, წმიდა არსათა საკითხავი წმიდისა ბასილისი.

337

იოანე მოქოპიკის მოქმეების საწყვეთი

6 ფ.; 29×23; ქალღი; უყდო, ფურცლებად დაშლილი, ფურცლების ზედა ნაწილი მოგლეჯილი, ფრაგმენტები, ნაწყვეტი; ნუსხური (დასაწყისი ასოები ასომთავრულით, სათაურები სინგურით); XVIII საუკ. (ხელის მიხედვით); შემოსულია 1925 წ. პ. კარბელაშვილისაგან.

იწყება: ... და ელიან, რათამცა ცნეს, თუ ვითარითა სახითა შევიწყნარეთ მათი თესლი და საქმეთაგან და ქცევათა სცნობენ, თუ ვითარ შევიწყნარეთ.

წყდება: და აღსაშენებლად მათდა, რომელნი მეცნიერ იყვნეს საქმეთა ჩუწნთა ბოროტთა და დაბრკოლებულ მათთჳს და უკეთუ სიტყუად რამე სწაველი...

ანდერი: ქრისტე, შეიწყალე ცოდვილი ბერი ფილიპე (ფ. 21).

5 ფ.; 22×17; ქალაღი; უყდო; ფურცლებად დაშლილი; ნაწყვეტი; მხედრული; XVIII ს.უკ. (ხელის მიხედვით); შემოსულია 1925 წ. პ. კარბელაშვილისაგან.

იწყება: ვიდრემდის სოფელსა ამას შინა ჯერ ვიჩინო ყოფა შენი, ექმენ მათ ვითარცა დედა-შვილთა საყვარელთა უფროსლა, ვითარცა მე ვექმენ მათ ვიდრემდის ხორციელად მათ თანა ვიქცეოდო.

ბოლო: და სოფელი თავისუფალ ჰყო და ყოველნივე ზეცად აღიყვანა, აღსდგა რა მკუდრეთით; მისა დიდება და სიმტკიცე აწ და მარადის და საუკუნეთა საუკუნეთასა, ამინ.

შინაწერი: ეს წიგნი ვინც მოიპაროს,
ისევ აქ მოიტანოს.
და თუ აღარ მოიტანოს,
საიქითს გაიპაროს (ფ. 5v).

ეპისტოლენი

8. ფ.; 19,8×15,7; ქალაღი, ლურჯი; უყდო; მხედრული (დასაწყისი ასოები ასომთავრულით); XIX ს.უკ.; შემოსულია 1925 წ. პ. კარბელაშვილისაგან.

1. პოლიკარბოს, წყალობითა ღთისათა პატრიარხი წმიდისა ქალაქისა იერუსალიმისა და ყოვლისა პალესტინისა,—ყოვლად ღირს არხიმანდრიტს წმიდისა საფლავისა, შვილსა უფლისამიერ საყუარელსა, საზომისაებრ ჩვენისა უფალსა ვენედიკტეს...

ბოლო: და ისწრაფე პასუხისგება ჩვენი, რათამცა მადლი ღთისა იყოს შენთანა. 1812 წელსა, სექტემბრის 15-სა.—პატრიარხი იერუსალიმისა და ღთის მარადის მლოცველი (ფ. 1r—v).

2. კალინიკოს, წყალობითა ღთისათა არხიეპისკოპოსი კონსტანტინეპოლისა, ახლისა რომისა და პატრიარქი ყოვლისა სოფლისა—ჩუშნისა უწმიდესისა საპატრიარხოვსა სამოციქულოვსა და მსოფლიოვსა კათედრისა მორჩილნო, ყოვლად უსამღუღელოვსნო მიტროპოლიტნო, უპირატესად პატივცემულნო და ღთის მოყუარენო არხიეპისკოპოსნო და ეპისკოპოსნო.

ბოლო: და გყუნეს თქვენ შემკვიდრედ ზენასა იერუსალიმი-სა, ესე იგი უკუდავისა და საუკუნოვსა ნეტარებისა და დიდებისა

მისისა, რომლისა მადლი და აუტრაცხელი წყალობა და ლოცვა კურთხევა საზომისამებრ ჩვენისა იყავნ თქუენ ყოველთა თანა, ამინ. თთუქსა ფებერვალსა, ინდიკტიონსა 12 (ფ. 2r—7v).

შენიშვნა: ეპისტოლე მიმართულია ცხრამეტი მიტროპოლიტისადმი (ფ.8r).

340

მოკლე ძრისტიანული ზნეთ სწავლება.

16 ფ.; 21,5×18; ქალაღდი; უყდო, რვეული; სრული; მხედრული; 1832 წ. (15r); შემოსულია 1925 წ. პ. კარბელაშვილისაგან; ფფ. 15v—161v) დაუწერელია.

დასაწყისი: მოკლე ქრისტიანებრითი ზნეთ სწავლება. —გახსოვდეს ყოველსა ქრისტიანესა, რომელ ღმერთი არს და რომელ იგი ჰსკურეტს მხოლოდ საქმეთა შენტა.

ბოლო: და მყოფელი მისი ყოფს თავსა თუსსა კეთილ შობილურსა ქცევასა შინა, წელსა ჩყლბ ივლისის 39 (ფ. 1r—15r).

შენიშვნა: ხელნაწერში მოთავსებულია შემდეგი ზნეთ სწავლებანი:

1. მოკლე ქრისტიანული ზნეთ სწავლება (ფ. 1r).
2. კანონი კეთილისა საქმისანი და ჩვეულებისანი (ფ. 3r).
3. გლეხი ანუ მიწის-მომკმედი და შვილნი მისნი (5v).
4. ძმათათვის ანუ დათა (10r).



ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 20.

შეკვეთა № 673

ტირაჟი 1000.

უფ 00237

საქმედგამის I სტამბა. თბილისი, ხვ. წერეთლის ქ. № 3/5